

ଅ ବି ବ ବ ବ ବ

ତଥିରୁଣ୍ଟିର ଜୀବନିଳିଙ୍କ

ଚିତ୍ରିତ ପଦି ମେଲିରୁ

ନଂ IV

୧୯୦୨ ଜାନୁଆରୀ ୧, ୧୯୦୨



ପ୍ରକାଶନ ବସନ୍ତ

ମେଲିରୁ, ବ୍ୟାକାରୀ, ବୋଲ୍ଡିଙ୍ଗମନିକ, ମୁଦ୍ରଣକାରୀ, ଗ୍ରୂପ, ମ୍ୱାରା, ଟାଙ୍କା

1902

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Мая 1902 г.



ପ୍ରକାଶକ ପତ୍ର

I	— დიდი-დედა მარიამი და ხატაურა. — მოთხერობა ქ. არჩ- გვისშინელისა, (დასასრული) . . . . . 1	83
II	— დაძირული ზარი. — დრამა ხუთ მოქაედებად გერგაფ ჭავჭავაძისა, თარგმანი ინ-ანისა, (დასასრული) . . . . . 19	
III	— ტორჩევებადა. — დრამა 5 მოქაედებად, გიქტონ-ჭუ- გასი, თარგმანი გ. უაფანის, . . . . . 51	
IV	— წინაპრეზიდის თაზვანისცემა კავკასიულებაზი. — პრო- ფესორ მ. მ. გოგილეგისგისა, თარგმანი —ასი. . . . . 1	
V	— უცხოეთის მიმოხილვა. — 1. აგრარული კითხვა იტალი- აში. — 2. მფარველობით სისტემა (პროტექტიონისმი) ინგლი- სში. — 3. საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნები. — 4. კა- თოლიკური პარტია (ცენტრი) გერმანიაში და პოლონელები; პოლონელი წარმომადგენლები პრუსის ზემო პალატაში 15	
დ ა მ ა ტ მ ბ ა.	— საბერძნეთის ქველი ისტორია დასაზყი- სილაც დამოუკიდებლობის დაკარგებაზე. — ფრან- გულიდან ნათარგმნი ვ. ლოროვიფანისა . . . 65—96	

# დიდი-დედა მარიამი და ხატიარა

შოთარობა

v

დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირისთვის გადაჭრული ზია-  
 რება და ბზობიდან კიდევაც შეუდგა. რამდენიმე დღის წინად-  
 თავის ქალს—მიტრუას დედას—მისწერა წერილი და ეხვეწე-  
 ბოდა: „ჩამოდი, შეილო, თორემ წავწყმნდებიო“... მაგრამ ქა-  
 ლი არ მოუფიდა. მაინც დაიწყო მზადება. მთელ დიდ-მარხვას  
 წირვა-ლოცვა არ გამოუტოვებია, ყოველთვის დადიოდა წირვა-  
 ლოცვაზე, მაგრამ სეფისკვრის აღება არ შეეძლო, რადგანაც  
 თავის ხატაურათი კარებჭეში იღვა და შიგ არ შედიოდა. თა-  
 ვის ქალი მხოლოდ იმ განზრახვით გამოიწერა, რომ ხატაურა  
 მიებარებინა და თითონ სხვებსავით საყდარში ეარნა...

ბზობა დღიდან მარხულობა დაიწყო. დიდ შაბათს უნდო-  
 და ზიარება. მარხულობა ისე კი არა, როგორც დღეს ჩვენ  
 გვაქვს წარმოდგენილი. გავძლებით ლობიოთი, ან სხვა რაიმე  
 მცენარეულობით და ძლივას-ლა ვსუნთქავთ და ვიძახით:  
 ვმარხულობთო, და, თუ ზომიერად ყველი, ან ერბოთი გაკე-  
 თებული საჭმელი შექამა მარხვის დროს, ვუკიტინებთ (ჩვენ  
 სოფელზე ვამბობთ, თორემ ქალაქზე ამას არ ვიტყოდით)...

დიდი-დედა მარიამმა ნამდვილად მარხულობა დაიწყო.  
 აკვეთა საჭმელ-სასმელი, თუმცა კი ისევ თავის ხატაურათი

\* ) იხილე „მოამბე“ № 3.



დადიოდა და საყდრის კარებჭეში წირვა-ლოცვის დროს გული გული მხურვალედ ლოცვულობდა. ყოველ დღე თავის ქალს მოელოდა, რომ დროებით თავის ხატაურა იმისთვის გარდაეცა და სხვებსავით წინ წამდგარიყო. მაგრამ მისი ქალი არ მოდიოდა და დიდი-დედა მარიამი ისევ კარებჭეში დაჩოქილი ღმერთ ავედრებდა თავის ცოდვილ სულს...

სოფლის ახალგაზდებმა და ხნიერებმაც კი სულ სხვანა-ირად მოისაზრეს. კუდიანობა ღამე ახლოვდებოდა და გადას-წყვიტეს: ჭიაკოკონაზე გადახტომის შემდეგ დიდი-დედა მარიამისთვის ეყარაულნათ და ენახათ, თუ ის კატაზე შემჯდარი იალბუზისკენ როგორ გაჰკურცხლავდა...

ჭიაკოკონა ღამეს სოფელი მთლად ცეცხლის აღმა მოიცა; უცხოს, შორიდან მნახველს ეგონებოდა, მთელი სოფელი იწვისო, და სოფლიდან ამოხეთქილი ურიალ-ხივილი და კისკისი ხომ ცრემლებსაც გადმოაყრევინებდა და ათქმევინებდა: „საბრალონი, უეცარი უბედურების გამო ბევრი გაგიჟებულა და ამისთვის უგონოდ კისკისებსო“. მით უფრო იტყოდა ამას, რომ ხშირად კასკასში გაისმოდა სასოწარკვეთილი კივილი გასათხოვრად შეღერებულ ქალთა, რომელთაც ცეცხლზე გადალაჯებისა ჰრცვენოდათ.

ტანისამოსის და ომის სუნი ტრიალებდა სოფელში, რადგანაც ბევრი გაძლიერებულ ცეცხლის აღში თუ ტყვიასავით ვერ გაევლებოდა თავის მოუხეშაობით და ცეცხლი წაეკიდებოდა, ან შიგ ჩავარდებოდა, მაყურებელთა ხარხარ-კისკისს ჰვერიდა. ახალგაზდები ჟივილ-ხივილით იქით მირბოდნენ, სადაც უფრო ძლიერი ჭიაკოკონა იყო...

დიდი-დედა მარიამმა თავის ხატაურათი საღამოს ლოცვა მოისმინა და კარები შეიკეტა. სახლშიაც კიდევ ილოცა, თავის ხატაურას ასეა-აჭამა და უჭმელ-უსმელობით გაყუნწებული, გასუსტებული ტანისამოსიანად მიწვა, რომ ძვლები მოესვენებინა. ჩქარა, სულ ჩქარა ლრმად მიეძინა..

მის ეზოში ცეცხლი არ ანთებულა. წინად, წინა წლებში მოვალედ სთვლიდა თავის-თავს ოდნავ მაინც აებუტებინა

თავის ეზოში ჩალა, რადგანაც კაჭეჭის მომტანი არავინ ჰყვანდა და სხვა რამეს ვერც იშოვიდა. ღღეს კი სულაც არ მოჰვონებია, ისე გამოშტრერებული იყო წაწყმედ-ცხონების აზრით და სიმშილ-წყურვილითა.

მეზობლებმა კი სულ სხვანაირად ახსნეს ეს გარემოება. „ეშმაკის კერძია და, აბა, როგორ აანთებდა თავის ეზოში ცეცხლსაო?!”—ბუტბუტებდნენ და, როცა ექვსიოდე ახალგაზდა ქალი და ვაჟი ყარაულობას დასთანხმდნენ, მხოლოდ მაშინ წავიდნენ და მოსვენებით დაიძინეს...

დარაჯებად სამი ვაჟი თავიანთ დედებით იყო და ამის-თვის ვერავინ ვერაფერს იტყოდა. თამამად გაისტუმრეს მეზობლები და თითონ კი შეკავებულ ფრუტუნ-სიცილით დიდი-დედა მარიამის სახლის მოშორებით დარჩნენ, რომ ბუხრის თავიც კი დაენახათ.

შემთხვევით, თუ განზრახ, ან თუ განგებამ შეარჩია ესე, სამივე ვაჟს მათთან მყოფი ქალები უყვარდათ, მაგრამ თავიანთ დები კი არა; დებს სოფელში სრულებით ყურადღებას არ აქცევენ და არც უყვართ, ისინი მეტ ბარგად მიაჩნიათ და ცდილობენ, თავიდან ჩქარა მოიშორონ, როგორც ხორც-მეტნი. არა. სამივეს სატრფოები იქ იყვნენ, და არც ერთი ერთი-მეორეს არ შეეცილებოდა. სულ ნახევარ საათი არ გასულა, რომ შეკავებულ ფრუტუნ-სიცილით წყვილად დაიყვნენ, მაგრამ ისე კი, რომ ვაჟი ვაჟს არ შეჰვედრია და ქალი თავის ძმას. სამივე ვაჟს არც კი ახსოვდა, თუ მისი და იქ იყო, და ქალებს კიდევ—თავიანთ მმების არსებობა. სულ უნებურად, მოუფიქრებლივ სამივე წყვილი სიცილ-ფრუტუნითვე,—თუმცა ერთი წყვილის ლაპარაკი მეორეს და მესამეს არ ეყურებოდა, მაგრამ სამივე წყვილის საფრუტუნ-სასაცილო ერთი და იგივე იყო.—და მოირდნენ ერთმანეთს რამდენიმე ათეულ ნაბიჯის მანძილით და, თითქოს სამივე წყვილს პირობა ჰქონოდეს, ერთ დროს დასხდნენ და ვაჟებმა წამოიძახეს:

— აქიდან კარგად ვადევნებთ თვალს!

— ჰო, აქიდან კარგად ვაღევნებთ თვალს! — უპასუხეს ქალებმა.

სამივე წყვილი დადუმდა; ხმას არ იღებს. სოფელი ხომ კარგა ხანია გაჩუმდა და მხოლოდ მის არსებობას ცაში ნატი-სუსლის სუნის ტრიალი-ლა ამხელდა. მდინარეები ხომ თავიანთ ჩვეულებრივ-მუდმივ ძილის-პირს მოსთქვამდნენ... .

— უთუოდ ბუხრიდან ამოძვრება — ჩახველებით წამოიძა-ხეს ვაუებმა.

— იქნება კარებიდან გამოვიდეს! — უპასუხეს ქალებმა.

— ჰეუ! — ჩახველეს ვაუებმა.

— ჰებ! — ჩახველეს ქალებმაც.

განვლონ რამდენმამე საათმა და სამივე წყვილი გაჩუმე-ბულები ისხდნენ. მხოლოდ დრო-გამოშვებითი მხრების შმუშვ-ნა და ოდნავ წაფუმუილება თუ გამცნობდნენ, რომ იგინი ფხიზლობდნენ, თორემ სხვა არაფერი. მხრების ჩეჩით და ტუ-ჩების ოდნავის გაპობით ქურდულად შეპხედავდნენ ვაუები თა-ვიანთ სატრფოებს, ქალები კი — ამის დამნახველნი — ჩაპლუნავ-დნენ თავს, ვითომ ვაუების თვალების ელვარება და სხეულის მოძრაობა არ შეუმჩნევიათო, და თავებს დაბლად იხრიდნენ. ვაუები სწორედ ამ მომენტს აშტერდებოდნენ. ქალების ამგვარ თავის ჩაკიდვას თავისებურად ჰესნიდნენ და გულ-ჩაწყვეტილე-ბი ფუმუილით თავებს უკანვე აბრუნებდნენ, დაბლა ეხრე-ბოდათ, და მხრები ძირს უცვიოდათ და ღრმად, ძალიან ღრმად უფიქრდებოდნენ იმას, თუ ქალები ასე თავ-ჩაღუნულები რაზე ფიქრობენო...

ვაუები რაკი მწუხარებით თავებს ჩაჭკიდებდნენ, ზევიდან გადაპხედავდნენ და ისინიც ვაუებსავით ღრმად, ძალიან ღრმად უფიქრდებოდნენ, თუ ესენი ასე თავ-დაღუნვილები რაზე ფი-ქრობენო...

ორივე მხარე ამ ამოცანაზე იმტვრევდა თავებს. ორივე მხარე მზად იყო თავდავიწყებისთვის მიეცა თავი, მაგრამ მხო-ლოდ ის აზრი აყენებდა: „იქმნება არ მიმიღოსო“...

— ხომ არ გცივა?! — სწორედ ერთ წამს ჰკითხა სამივე ვაჟმა თავ-თავიანთ სატრფოს განთიადისას და ხელი წაატანა ხელის დასაჭერად, მაგრამ ქალებმა ერთ-ნაირად უპასუხეს: „არაო“, და ხელები მუხლებში ჩაიმალეს.

— ეჲ! — სხეულის შმუშვნით წამოიძახა სამივე ვაჟმა და მწუხარებით თავი ჩალუნა.

— ეჲ! — ქალებმაც გულ-ჩაწყვეტით წამოიკვნეს და თავები ჩაჰკიდეს.

არც ერთ წყვილს ერთმანეთისა არა ჰსმენია-რა, მაგრამ ერთსა და იმავეს კი ლაპარაკობდა, მოძრაობდა და ერთ გვარად ჰსუნთქავდა...

კარგა დროს ისხდნენ ესე თავ-ჩაკინტრულები და სრულებით დაავიწყდათ დიდი-დედა მარიამი...

— ამ დილა აღრიანად აქ რას უსხედხართ? — შეეკითხა მენახირე, რომელიც გუდა წამოკიდებული სანახიროსკენ მიღიოდა და თან გამხმარ პურის ლუკმას ჰლოოღნიდა.

მხოლოდ მაშინ იგრძნეს, რომ თავს დაჰსონებოდათ და თითქმის ყველამ ერთ-ხმად უპასუხეს:

— აი, დიდი-დედა მარიამს ვყარაულობდით!

— მერე, რა ჰნახეთ? — მენახირემ მაშინვე გაიგო, რის-თვისაც უყარაულებდნენ, და ამისთვის ასე ჰკითხა.

— ვერაფერი! ვერც წასვლა და ვერც დაბრუნება ვერ ვნახეთ! — ფეხზე წამოდგომით უპასუხა ერთმა და სხვებს გადაჰედა.

სხვებიც ამავე დროს წამოდგნენ და შმუშვნით, — ვერა, ვერ ვნახეთ! — დაემოწმენენ პირველს...

ამ დროს ცისკრის ზარი ჩამოჰკრეს. მაშინვე ყველამ პირ-ჯვარი გადიწერა და ექვსივემ დაამთქნარა. მხოლოდ ეხლა იგრძნეს, რომ ეძინებოდათ.

— ჰო, ჰო, კუდიანის გზა-და-კვალს ვინ ადევნებს თვალ-ყურს?! — წამოიძახა მენახირემ და ფეხი სანახიროსკენ გააშურა.

ქალ-ვაჟთ კიდევ გადაჭედეს ერთმანეთს, დიდი-დედა მარიამის კარებს შეჭედეს, რომელიც ისევ მოხურული იყო, და: „როგორ გამოგვეპარა, როგორო“?!—თავების ქნევით სახლებისკენ წავიდნენ, მხოლოდ ისე კი არ იყვნენ დაწყვილებულნი, როგორც მთელ ღამეს... ცისკრის ზარი კი სამგლოვიაროდ გამოსცემდა ხმას...

## vi

საზიარებელნი ჩქარა შეგროვდნენ საყდარში. ერთმანეთს დილამშვიდობისა უთხრეს და უური დაუგდეს მეფსალმუნეს, რომელიც ისე კითხულობდა, როგორც ზარი ირკეცბოდა. უეცრივ წინადაღების პირველ სიტყვას ხმა-მალლა, ძალიან ხმა-მალლა წამოიძახებდა, როგორც ზარის ენის შემოკვრა, და შემდეგ კი გუ... გუ... გუ... ნის მეტი არა მოისმოდა-რა.

— ნააუუ... უგუ... გუ... გუ... ნააუ... უ... უგუ... გუ... გუ... გუ!...—მოისმოდა ზარის ხმა საყდარში.

ზარმა შესწყვიტა გუგუნი. მლოცველთაც გუგუნი შეჭს-წყვიტეს. გუგუნებდა მხოლოდ მეფსალმუნე დასაყდარიც ზევით, გუმბათის ძირას ბანს აძლევდა.

დედა-კაცები ერთ ადგილას შეგროვდნენ და კაცები კიდევ მეორეს. დედა კაცებმა ჩქარა ერმანეთში ჩურჩული დაიწყეს:

— ქა, როგორ მოხდა, რომ დიდი-დედა მარიამი თავის ხატაურათი კარებჭეში არ დაგვხვდა?—იკითხა ერთმა.

— მართლა, ქა?!—ეს სიტყვა უველა იქ მყოფს პირში ამოევლო.

— კეშმაარიტად ჰოხ, ჰოხ!...—ერთგვარ გუგუნში წამომახვილებული სიტყვა ყურებში ჩაერჭოთ და უველა იქ მყოფთ წამოიძახეს თითონაც და ოხვრით და ფშმუვნით პირჯვრის წერა დაიწყეს...

აირია ერთმანეთში ოხვრა-ფშმუნვა და მეფსალმუნეს გუგუნი...

— კეშმარიტად!.. — წამოიძახა ერთმა ყველაზე უკან მდგრ-  
მა რამდენიმე წამის შემდეგ და იმანაც დიაკვნის გუგუნს შე-  
უერთა თავისი გმინვა. ყველაზე გვიან იმას შეესმა სიტყვა  
„კეშმარიტად“. სხვები რომ დაწყნარდნენ, იმან მაშინ წამოიძახა.  
უთუოდ ფიქრობდა რასმეზე, ან ხატების რამდენიმე ყვითელ  
სანთლის შუქზე ციმუმობამ გაიტაცა იგი, რომ ძალიან  
გვიან გამოერკვია და იგივე ჩაიდინა, რაც სხვებმა რამდენიმე  
წუთის წინ. საყდარმა აიტაცა მისი „კეშმარიტიც“ ზევით და  
ჯერ იქ, გუმბათის ქვეშ, სხვების ისევ მოძრავ კეშმარიტს  
შეუერთა.

ყველამ მიიხედა უკან და, რა იცნეს, ვინც იყო, ისევ  
აღსავლეთისკენ ჰქმნა პირი..

— დიდი-დედა მარიამი იქნება იმიტომ არ მოვიდა ისე  
აღრე, რომ წუხელის იმოგზაურებდა იალბუზის მთისკენ! —  
წაიჩურჩულა ერთმა ქალების ჯგუფითგან.

— ჴო, მართლა, კუდიანობა ღამეს ხომ იქით მიფრინავენ,  
დასწეულოს წმინდა გიორგიმ მათი თავი და ტანი!.. — ყველამ  
თითქმის ერთად წამოიძახა და პირჯვარი გადიწერა...

— ქალო, წუხელის ხომ ჰყარაულობდნენ დიდი-დედა  
მარიამს?!! ნეტა, დაინახეს თუ არა?!

— ვინა, ჴა?

— აი, ჭუკაანთი, ლიპაანთი და შავლეგაანთ გოგო-ბიჭები!

— შავლეგაანთი კი არა, ჭიპაანთი! — შეასწორა მეორემ.

— ნეტა კატაზე იჯდებოდა, თუ...

ამ დროს კრეტსაბმელი ხრიალით მიიკრიფა ცალ-მხრივ,  
გაისმა ოდნავი ჩხაკუნი და აღსავლის კარი გაიღო, სადაც  
მღვდელი გამოჩნდა.

ყველა აჩმუჩნდა, გულიდგან ყველას ოხვრა ამოსკდა  
და ყველამ თვალები აღსავლის კარებს მიაპყრო.

მღვდელი, თავის დაკვრის შემდეგ, გატრიალდა და სამ-  
კვეთლოსკენ წავიდა, სადაც საცეცხლური მიაწოდეს... დია-  
კვანმა რაღაც საგალობელი დაიწყო.



მღვდელს წინ სანთლით ხანში შესული ზარის მრეცველი მოუძღვდა. მღვდელმა ხატებს უკმია. საკმლის სული დადგა. მღვდელმა უკმია და აღსავლის კარებში შევიდა.

მღვდელები მოძრაობდნენ, ქშენავდნენ, ოხრავდნენ...

გამოვიდა ცისკარი. კარებჭეში გამოვიდნენ თუ არა, უფრო ეუცხოვათ, რომ დიდი-დედა მარიამი ჩვეულებრივ იქ არ იდგა, და კუდიანთა მოგზაურობაზე ათასი რამ ჰავა... ჰავა...

საყდარში და საყდრიდან მიმავალ-მომავალნი დიდი-დედა მარიამის სახლს ვერ აპიცდებოდნენ. ამიტომ დედაკაცების ჯგუფმა ამ დილასაც აქით ამოიარეს,— მამაკაცებმა იმათზე ადრე აიარეს,— და უნებურად შესდგნენ და ეზოში გადიხედეს.

უეცრივ კატის გულ-საკლავი კნავილი მოესმათ და სარკმლის მინების მაგივრად ჩაყვითლებულ ქალალზე ფხაჭუნი. დედაკაცები სმენად გარდაიქცნენ და ადგილიდან აღარ იძვროდნენ...

კიდევ კნავილი, კიდევ ქალალის ფხაჭუნი და უეცრივ მინის მაგიერი ქალალდი გაიხა, და კატის კლანჭი გამოჩნდა. ამ გარემოებამ დედაკაცებს პირი ოდნავ დააღებინა, და, როდესაც ხატაურა გამოვარდა და პირ-და-პირ ამათკენ ისარივით გამოქანდა, ხომ „აჲ!“ წამოაკივლებინა.

ხატაურამ კი სასოწარკვეთილებით ხან ერთს წაჰავნავლა, ხან მეორეს და მესამეს და ტოტი წამოჰკრა; ბალან აბურძგვნილი ისევ ლობეზე გადახტა და ოთახში სარკმლიდანვე შევარდა.

დედაკაცები და ქალები აცმუკებდნენ ფეხებს და პირჯვარს იწერდნენ.

მოფიქრება არც-კი დააცალა ხატაურამ. იგი სწრაფად უკანვე გამოსრიალდა და ისევ ის გულსაკლავი კნავილი, ისევ ის კლანჭის გასმა, და ქალების ფეხების ტოკვა...

— ქა, რაღაც უბედურება უნდა იყოს!.. — წამოიძახა ერთმა უფრო მიმხვედრავმა მათგანმა, როდესაც კატა ისევ ეზოს ლობეს გადაევლო და ოთახში შევარდა, და ეზოს კარი შეიარა.

სხვებიც მიჰყვნენ იმას და ჩქარა ოთახის სარქმელს, მაგრა ნის მაგიერ კატისაგან გახეულ ქაღალდთან ყველა ცნობის-მოყვარეობით ჰკულობდა თვალი მიეტანა.

ოთახში ბნელოდა. ვერა დაინახეს-რა...

— უიჯ!...—იკივლეს და სწრაფად თავები უკან გადილეს. ცოტათი გულებიც აუტოკდათ და:

— მიაუუ!..—რომ გაიგონეს ფხაკუნზე, რამაც აგრე შეა-შინა იგინი, დამშვიდენენ და სიცილიც აუვარდათ, რათა ამ უბრალო ფხაკუნმა შეაშინა...

გამვლელ-გამომვლელი ყველა ეზოში შემოვიდა, და დედაკაცებში მამაკაცებიც აირივნენ. ზოგი ინდაურსავით თვალებ დაჭყეტილი იდგა და ვერა გაევო-რა, თუ ხალხი რად შეკრებილიყო აქ.

ჩქარა აყაყანდა ხალხი.

— დიდი-დედა მარიამ, დიდი-დედა მარიამ!..—დაიწყო ყვირილი სარქმელთან და კარებთან, მაგრამ ოთახიდან მხოლოდ ღროგამოშვებით ხატაურას კნავილი გამოისმოდა...

კარები შიგნიდან ჩაკეტილი იყო. რომ შესულიყვნენ, უნდა გაეტეხნათ. ერთი ახალგაზდა, გამბედავი (გამბედავად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სხვები ყაყანის მეტს არას აკეთებდნენ) მივიდა სარქმელთან, გახეულ ქაღალდში ხელი შეჰყო, სარქმლის ქვევითა რაზა გააღო, მერე ზევითას აეპოტინა და, რადგანაც სარქმელი დაბალი იყო, ზევითასაც მისწვდა, გააღო სარქმელი და სწრაფად ოთახში გადაძრა.

ყველამ ვერც კი მოასწრო გაბედულის მოქმედებისათვის თვალი მოეკრა, რომ კარები გაჯახუნდა, ტყვიასავით გარედ გამოვარდა და ეზოს ღობეში თავი წაჰყო სარქმლიდან გადამძრალმა.

ვისაც სარქმლიდან გადაძრენა არ შეემჩნია, იმას პირი ღია დაპრჩა, თუ ეს ოთახში როგორ გაჩნდა, და ან ასე კის-რის მტვრევით რამ გამოსტყორცნაო, და იმათ კი, ვინც დაინახა გადაძრომა, პირი ღია დაპრჩათ, თუ ეს კაცი ვინ გამოსტყორცნა ოთახიდანო.



უცვლას შეეშინა. ერთ წამს პირ-დალებულებს პირული ნერწყვი გაუშრათ და დაავიწყდათ, რომ ხმა ყანყრატოდან ამოდის. იგინი თეძოებზე ეძებდნენ ხმას...

— წყალიიი!.. — წამოიკნავლა ღობეში თავ-წაყოფილმა და ისე ქმენვა დაიწყო, რომ მის ცხვირის ქვეშ მიწას კორიანტელი ასდიოდა.

მხოლოდ მაშინ-ლა მიჰმართეს ყანყრატოს და პირჯვრის წერით:

— დიდება შინთვის, ღმერთო, დიდება შენთვის! — წამოიძეეს და პირქვე წაწოლილს მიჰსცვივდნენ.

გადმოაბრუნეს პირქვე წაგდებული, რომელსაც, თითქოს დამბლად ჩავარდნილიაო, მოძრაობის არაქათი აღარ შესწვდა, და ხელ-ფეხი მოწყვეტით გადმოუცვივდნენ გადმოაბრუნების დროს.

წყალი მოურბენინეს. დაასხეს. დაალევინეს. მოსულიერდა, ნაცრად ქცეულ ღოყვებზე სიწითლემ აითამაშა, გაბედულმა წამოიფშმუვლა და ძლივას შუბლზე ხელი გადისო.

— როგორ გაჰნდი იქ, ანდრო, რა დაგემართა?! გაკვირვებით ეკითხებოდნენ ანდროს, მაგრამ ანდრომ მხოლოდ ეხლა, როდესაც სისხლი ისევ აემოძრავა, დაიწყო კნავილით:

— რა როგორ, კაცო...

ბევრი კიდევაც გავიდა გარედ, ნამეტნავად დედაკაცები და გარედან ღობეს აეკუნწლნენ. შიგ ეზოში დარჩენა საფრთხედ მიაჩნდათ...

— გადავძვერ თუ არა... ჰო, ჯერ გულადად გადავყავ ფეხი და... — კიდევ გადისო შუბლზე ხელი...

კატა რამდენჯერმე გამოვიდა, შეჰქნავლა ამათ და უკანვე შებრუნდა, მაგრამ მისი კნავილი არავის გაუგონია, ისე გატაცებული იყო ყველა ანდროს ამბით.

— მაშინვე რაღამაც თავზე მომიჭირა, სულ კისრის-კვრით კარებთან მხრებში ცემით მომათრია, და, მეც არ ვიცი, აქ როგორ გავჩნდი.

მართლაც, ანდრუა გადაძერა თუ არა ოთაში, თვალის დახამხამებაზე იალბუზი, კატიო მოგზაურობა კულიანებისა, მათი გრძნეულობა და ჯადოსნობა, რაც-კი აკვნიდან აქნობამდის ამის შესახებ გაეგონა, ყველაფერმა ცხადად, სურათებად გაუელვეს თვალ-წინ და, მართალი სთქვა, მერე აღარა გაუგიარა. თავში სისხლი შეუგუბდა, გული აუთრთოლდა და რომ კარის გაღებისთვის არ გადასულიყო და ეს ისე დაჭმართნოდა, უეპველად, იქვე გაშრებოდა. მაგრამ მიზანმა კისრის-კვრით, როგორც თითონა სთქვა: „რაღამაც“, მიათრია კარებამდის, უგონოდ გააღო კარი, მიახეთქა და, სინათლე რომ თვალთ მოჰქვდა, გადარჩენის შიშმა ჰკრა კისერში და გარედ გამოსტყორცნა...

ბევრმა გაიგო ანდროს სიტყვები, ბევრმა კი ვერა, თუმცა ყველამ გაიგონა, ყველანი კი შიშმა აიტანა და ეზოს გარედ გასვლას ცდილობდნენ...

— რა ამბავია? — შეულრიალა მამასახლისმა, რომელიც გზირთან ერთად ნაღვინები, ვინ იცის, საიდან მოდიოდა.

— რა ვიცით, რა ამბავია?!. — თითქმის ერთ-ხმად წამოიხახა ყველამ და გზა დაუგდეს.

— აგერ, შადი და გაიგებ! — ზოგიერთმა დაუმატა.

მამასახლისი, თუმცა გადაკრულში იყო, მიჰქვდა, რომ აქ რაღაც ამბავია, გამოკითხვით ვერას გაიგებს, თუ თავის თვალით არ გაჰსინჯავს, და ამისთვის წამოიხახა:

— აბა, გზირო, წინ გამიძელო!. — და კისერში ხელი წაჰკრა გზირს.

გზირი ხმის ამოულებლივ წინ გაუძლვა, მამასახლისიც უშიშრად მიჰყვა. რამდენიმე წუთის წინ რომ აქ ყოფილიყვნენ, ასე უშიშრად არ გაემგზავრებოდნენ; მაგრამ იმათ არა იცოდნენ-რა, მხოლოდ ავაზაკობის აღმოჩენის სურვილით იყვნენ გატაცებულნი, რომ დილა აღრიანად მოეხსენებინათ ბოქაულისთვის და მისი ნდობა დაემსახურებინათ და ამისთვის პირ-და-პირ ოთახის კარისკენ გასწიეს.



მათმა უშიშრობამ ბევრს გააბედვინა, და ეზოში შეკვეა. ეზო ჩქარა ისევ ქალებით და კაცებით აივსო...

საშინელის ცნობის მოყვარეობით იღრჩობოდნენ; მოელოდნენ მამასახლისისა და გზირის დაბრუნებას; მოელოდნენ კიდევ რაღაცას და გული უჩერდებოდათ, სუნთქვა ეხუთებოდათ; კარებთან ახლოს მისვლას მაინც ვერ ჰბედავდნენ...

— თქვე ოჯახ-დაქცეულიშვილებო, რა შორიდან გამოიცეირებით და კატის ამარა დაგიგდიათ ე მკვდარი? ჩალა სანთელს მაინც აუნთებდით, ერთი კვერცხის საკმელს მაინც დაუკმევდით, თქვე! — აღარ გაათავა სიტყვა კარებში და გარედ გამოვიდა...

— აქაც მამასახლისმა უნდა გიწინამძღვროთ?! — წყროშით წააფურთხა გამშრალ ხალხს და შემდეგ გზირს მიუბრუნდა:

— წადი, მღვდელს შეატყობინე, რომ მიცვალებულია...

### \* \* \*

მართლაც დიდი-დედა მარიამი გაცივებული იყო, როდესაც მამასახლისი და გზირი შევიდნენ მის ოთახში. იგი საკუბოოდ მომზადებულიყო; გულ-ხელი დაეკრიფა და თვალები დაეხუჭა...

დიდი-დედა მარიამს დაძინების შემდეგ აღარ გამოჰლვი-ძებია. იგი გამოურკვეველად, თავის-და უნებურად, თითქოს ეს ხელმძღვანელობდა მის მოქმედებას, რომ გულ-ხელის დამკრეფი არ ეყოლებათ, ძილის დროს დაიკრიბა ხელები, ფეხები გაშხლართა და ძილში უჩიუმრად გაიპარა...

ხატაურას არ გამოჰლვია დიდი-დედა მარიამის მოძრაობა. იმას ყოველთვის დიდი-დედის მკერდზე ეძინა. უკანასკნელი მისი მოძრაობა კატის გულზე მიკვრა იყო...

ხატაურა ამ ალერსით დადნა, სუნთქვა გაკმინდა ისე, როგორც დიდი-დედამ, და თავისი კისერი დიდი-დედის კისერს გადუჯვარედინა... რამდენსამე წუთს ასე იყო გატვრენილი... ეუცხოვა ხატაურას, რომ დიდი-დედა მარიამის სხეუ-

ლი ასე უმოძრაოდ იყო. სხვა დროსაც ჩაუკრავ გულში წატაურა, მაგრამ ყოველთვის მისი მკერდის მოძრაობა უგრძენია, მისი ოდნავი სუნთქვა ჰსმენია. ეხლა კი არც ერთი და არც მეორე. უფრო გატვრინდა, თითქმის სმენად გარდიქცა. მაგრამ დიდი-დედის მდგომარეობისა ვერა გაიგო-რა.

დიდ ხანს იყო ასე ხატაურა. სოფელს მთლიად მიეძინა. გარედან არავითარი ხმაურობა არ შემოისმოდა. ხატაურამ თავი აიღო და ჩვეულებრივ დიდი-დედის სახეზე მოისრისა თამისი პირი და...

თვალებ დაჭუეტილი დააშტერდა მის სახეს. უფრო დაიბნა და ვეღარა გაიგო-რა. სახის დასრესის დროს დიდი-დედის სახიდან სითბოს, რაც ისე საამოდ ურბენდა სხეულში და ჰშლიდა, მაგივრად სიცივე გადვიდა, რამაც ასე შეაშფოთა და თვალები დააჭუეტინა. ამოცანის ამოკითხვით აევსო სხეული, მაგრამ მისი ბრიალა თვალები მაინც ჰქედავდნენ...

დაეშო კატა. დაჭიმული ძარღვები მოადუნა, თუმცა მის სახეს თვალებს არ აშორებდა. მარჯვენა წინა ფეხი ფრთხილად ცხვირზე გაუცაცუნა. მისმა ფეხმაც კი სიცივე იგრძნო. საჩქაროდ თავის ცხვირი დიდი-დედის ცხვირთან მიიტანა, ულვაშები ცხვირში შეუყო, რომ ელიზინა, და თავისი ცხვირი რომ მის ცხვირს შეახო, სწრაფად უკან გადმოიზიქა და შეჰქნავლა. სრულებით ვეღარა გაიგო-რა. დიდი-დედის ცხვირი გაყინული იყო...

მისმა კნავილმაც არავითარი შედეგი არ მოიტანა. მკერდიდან ბალიშხე გადახტა და იქ გაინაბა და თვალს არ აშორებდა დიდი-დედას... მამლებმა იყივლეს. ხატაურა შეშოშმანდა, წამოდგა სიხარულით და ძირსაც გადმოხტა ტახტიდან. ამ დროს დიდი-დედა მარიამი იღვიძებდა და ლამპრის ანთების შემდეგ, თუ არ ლოცულობდა, დაფუსფუსებდა ოთახში, კარებსაც გააღებდა ხოლმე.

ხატაურამ ყველა კუთხეები მიირბინ-მოირბინა, ლამპართანაც ახტა, რაც ჩვეულებად ჰქონდა და ელოდა, დიდი-დედა

მოვა და გაუშექებსო, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა, კნავილით ისევ დიდი-დედა მარიამის ბალიშამდის მივიდა, ზედ წა-მოჯდა და დაღონდა.

მამლებმა მეორედ იყივლეს, მესამედაც, მაგრამ დიდი-დედა არ ინძრევა.

მისთვის გაუგებარი ამოცანა უფრო და უფრო იხლართება, როულდება.

ცისკრისთვის რომ ზარი ჩამოჰქონეს, მაშინ ხომ მისი მდგომარეობა აუტანელი გახდა. ამ დროს ისა და დიდი-დედა კარებ-ჭეში იდგნენ ხოლმე და ეხლა კი ოთახის კარიც არ გაღებულა.

ახმაურდა ხატაურა: დაიწყო კნავილი, კლანჭებით ბალი-შისა, საბნის ფხაჭვნა, რამდენჯერმე დიდი-დედის ხილაბანდ-საც გაჰქრა კლანჭი და თითქმის ნახევრად გადააძრო! მაგრამ იგი მაინც არ ინძრევა...

დაწყნარდა ხატაურა... ზარის ხმა დიდი ხანია შესწყდა. სულ გათენდა. რამდენი ნიშანი ჰქონდა, რომ დიდი-დედა ამდგარიყო... არც ერთ დანიშნულ დროს არ ადგა და მაშ...

გადმოვარდა ძირს. ასტეხა საშინელი კნავილი, კარების ფხაჭვნა. რაკი კარებს ვერა დაკლო-რა, სარკმელთან მიირ-ბინა და გაიმარჯვა კიდევაც: უნდოდა მოეწვია ვინმე, რომ აეხსნათ მისთვის, და აკი მოიწვია...

ვერა გაიგო-რა ხატაურამ: ლაპარაკი, საღამოთი ტირი-ლიც, სანთლები, შემოსილი მღვდელი, ყოველგვარი მოძრაობა, ეგონა, დიდი-დედა მარიამს ფეხზე წამოაყენებსო, მაგრამ დიდი-დედა არ ინძრეოდა. ისაც ვერ გაიგო, თუ რად უბარ-ტყუნებდენ იმას ხან ფეხს, ხან კიდევ ხელს და თავს მიწაზე უგლიდნენ. ვერ აეღსნა.

ეხლა საცოდავი ხატაურა კნავილსაც ვეღარ ახერხებდა. რაიმე ნივთს ამოეფარებოდა, რომ არავის დაენახნა, და იქიდან თავის საყვარელ დიდი-დედა მარიამის გახევებულ უძრავ სახეს უმზერდა...

გაასვენეს დიდი-დედა მარიამის გვამი, ხატაურა შორიან-ლოს გაჟყვა, რომ არავის შექედნა იმისთვის. მინდვრად, სადლაც, საცა ჯერ არ ყოფილა, დადგეს გათხრილი მიწის პირას. ის ქვებში გაინაბა და იქიდგან აღვენებს თვალ-ყურს. ცოტა მოძრაობისა და—მისთვის გაუგებარ—ბუტ-ბუტის შემდევ ჩაუ-შვეს შიგ თხრილში და ხრიალი აუყენეს, მიწას აყრილნენ... წავიდ-წამოვიდნენ... ოთხი-და მუშაობდა. რაღასაც ლაპარა-კობდნენ. თხრილი ამოივსო. მივიდა ხატაურა და მოწიწებით:

— მიაუ!—შეჰქნავლა. თითქოს ეკითხებოდა: „გეთა-ყვათ, დიდი-დედას რა უყავითო?..

— აი, შეე!...—თითქმის ოთხივე მესაფლავემ ერთად შეუტია და ნიჩბები მოუქნია.

ხატაურა გახტა. ქვებიც მიაყოლეს, მაგრამ ქვებში და-მალვა მოასწრო.

სრულებით დაცარიელდა სასაფლაო. მხოლოდ გაზაფხულის ნიავი-და დაფარფაშობდა და აქა-იქა წინა-წლის გამხმარ-გაროკილ ნარ-ეკალს აზუზუნ-ასისინებდა; ახალი კი ჯერ დედა-მიწას არ აჰცდენოდა...

ხატაურა ნელის ნაბიჯით მიიპარა დიდი-დედა მარიამის საფლავამდის და დასავლეთით გაწვა. ყური მაგრად დაჭირა დიდი-დედის საფლავის ჯერ ისევ სველ მიწას და სალამომდის ასე გამწარებით მოელოდა საფლავიდან ამოხმას...

მთლიად გარეტიანებულმა დიდხანს უარა გარს დიდი-დედის საფლავს; დავთრები სულ აერია და მოქანცული გაუ-გებრობით და სიმშილით სოფლისკენ ლას-ლასით გაემგზავრა. ცოტა არ იყოს, თავში უეცრივ გაურბინა იმ აზრმა, რომ დიდი-დედა მარიამი იქნება შინ იყოსო...

სარკმლიდან მოწიწებით—ბოლო დროს მისი მოძრაობა მოკრძალებული იყო, რადგანაც ცემა-ტყეპის მეტი არა მიუ-ლია რა—გადაძრა, უჩუმრად მიიარ-მოიარა და ორ გაშლილ ლოგინს წააწყდა. ფეხ-აკრებითვე შემოუარა გარს; თავებზე დააცქერდა, მაგრამ არც ერთი მათგანი დიდი-დედა არ იყო.

პირველ-ნახვაზე კინაღამ სიხარულით გულში არ ჩაეკრა, შეგრამ მერე კი წელ-მოწყვეტილი გაშტრერდა...

დღემდის დიდი-დედა მარიამი მის თვალთ წინ იყო. დღეს კი თვალიდანაც მოაშორეს. ვერც მოსიარულეს და ველარც უძრავად მდებარეს ვერ ჰქედავს. ეს რა მოხდა?!.

— მიააუუუ!... — სასოწარკვეთილებით წაიკნავლა ხატაურამ და სრულებით დაავიწყდა, რომ ოთახში იყო...

დედა და შვილი გულებ-დახეთქილები — ეს მიტრუა და მისი დედა იწვნენ დიდი-დედის ოთახში — წამოცვივდნენ და ორივემ ერთად შეჰქივლეს:

— ჰა, რა იყო?!

ხატაურა კი ამათ კივილზე განაბეგით სარკმლის რაფაზე შეხტა და სწრაფად შურდულის ქვასავით გარედ გავარდა. მინის მაგიერად გაკრულმა ქაღალდმა უეცრივ გაიშრიალა კატის შეხებისაგან...

ორივე მიჰხედა და ორივემ ერთად წამოიძახა:

— ი ვერანა ხატაურა იქნებოდა!..

ორივეს ერთად გაურბინა აზრმა: „ნამდვილი კულიანი ყოფილა, რო...“ მაგრამ არც ერთმა სიტყვებით არ გამოთქვა. ერთმანეთისა დაერიდათ...

— მუთაქა მაინც მიადე ი ვერანა სარკმელს! — უეცრივ წამოიძახა მიტრუამ.

— ჰო, მართლა!.. — პასუხად სთქვა მიტრუას დედამ და წამოდგა...

— შვილო, მიტრო, — დაუძახა დედამ კარგა სიჩუმის შემდეგ, როდესაც სარკმელს მუთაქა მიაფარა და ისევ ლოგინში ჩაწვა: — ხვალ შინ წავიდეთ, თორემ სახლი დაგველუპება!...

— ჰო, კარგს ვიზამთ!..

— ე ქოხს რაღა ვუყოთ?!

— გავყიდოთ!

— ჰო, კარგი იქნება!.. მყიდველი გამოჩნდება.

სიჩუმეა. არც ერთს არ ეძინება, თუმცა ორივეს თვალები მოხუჭული აქვთ. ორივე ფშმუვილით კოტრიალობენ ლოგინ-

ში. ორივე შიშმა შეიპყრო, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოტე-  
ხილა. შინ წასლოაც მხოლოდ შიშმა აფიქრებინა ორივეს,  
თორემ სახლის დაღუპვამ კი არა...

ხატაურა კი სასაფლაოსკენ გაეშურა და ამის შემდეგ  
დიდი-დედის ქოხს აღარ მიჰყარებია. დარწმუნდა, რომ დიდი-  
დედა მიწის ქვეშ არის და არა ითახში. ამისთვის სულ იქ  
იყო... დღე გაჩუმებული იყო, რადგანაც ეშინოდა დიდი-დე-  
დის მგზავრებისა, რათა ყოველ იმის შეკითხვაზე, თუ ეს რა  
ამბავიაო, კისერში, თავში, ფერდში, გვერდში ან ჯოხს, ქვას,  
ხელს, ფეხს ან ნიჩაბს მიიღებდა პასუხად. ღამე კი თავისუფა-  
ლი იყო და შესძახდა ცას, ღამის მნათობთ, თვით საფლავს,  
თუ რა დაემართა მის დიდი-დედას?! მისი მოთქმა კატის კნა-  
ვილი არ იყო, იგი მწუხარე ადამიანის მოთქმას ემგზავრებო-  
და. ამისთვის იყო, რომ შეგვიანებული მგზავრი ამ ხმაზე ში-  
შისგან კანკალს იწყებდა და, თუ კი შეეძლო, ფეხ-მარდად ეშუ-  
რებოდა სახლისკენ. ერთი კიდევაც გულ-შეწუხებული შემ-  
თხვევით იპოვეს დილა აღრიანად სასაფლაოს მახლობლად.  
როცა მოაბრუნეს, თავის ჭკუაზე აღარ იყო. ღამიანად წასუ-  
ლიყო ტყეში და რა დაემართა და რა არა, ვეღარა გაიგეს-რა...

ბევრმა გაიგონა ეს გულ-საკლავი მოთქმა და სოფელი  
დაშინდა. ვერავის გაეგო, თუ რა იყო. ბევრი ამბობდა: „უთუ-  
ოდ, ცოდვილი სული შესტირის ღამ-ღამობით ღმერთსა და  
ნატიებას სთხოვსო!“ ბევრსა ჰჯეროდა. ნაკლებნი კი ამბობდ-  
ნენ: „ეგ უთუოდ დიდი-დედა მარიამის ხატაურა კნავისო!“;  
მაგრამ პასუხად უმრავლესობა ეუბნებოდა: „აღამიანო, ხატაურა  
როგორ ილაპარაკებს?!“. აღამიანივით მოსთქვამს და ტირისო!...  
ცველა დარწმუნდა, რომ ხატაურა კი არა, თითონ დიდი-დედა  
მარიამის სული ტირის, მოსთქვამს, რადგანაც იგი კურიანი  
იყო და უზიარებელიც მოკვდა... „უთუოდ ისეთი ცოდვილი  
იყო, რომ ეშმაკებმაც არ მიიღესო!“—გაიძახდნენ ბოლოს  
დროს სოფლელები, და შიშით ღამ-ღამობით კარშიაც ვეღარ  
გადიოდნენ, უფრო დიდი-დედის მეზობლები. ცველას ჰჯეროდა,  
რადგანაც სოფელში ცველაზე ჭკვიანად მიმჩნეული მანდილო-



სანი, მთლად გათეთრებული და ქმარ-შვილით გახარებული—  
ერთი ქალი კიდევაც გაათხოვა, ისეთი ბეღნიერება ეწვია,—ამას  
ამტკიცებდა და აბა სხვები, რომელთაც, ქვევრებივით, რასაც  
ჩაჰასებდ, იმას ამოიძახებენ, როგორ არ გაიმეორებდნენ ბეღ-  
ნიერი მანლილოსნის სიტყვებს და სხვებსაც როგორ არ დაარ-  
წმუნებდნენ?!...

B. Shuzz Wm H. M.

# დამირული ზარი

დრამა-ზღაპრა 5 მოქმედებად

გერგარტ ჭავჭავაძისა.

მოქმედება მიოთხვა.

(ქახის მოწეობილობა შიგნიდან ისრეთივეა, როგორც მე-3 მოქმედებაში. მარჯვნივ, კლდის კედელში, გამოქვაბულია, მარცხნივ სამწევდლოა, საბერველებითა და ბოლის ასასვლელ ბუნებრით. სამწევდლო გერაზედ ცეცხლი ღვივის. კერაზედ ცოტა მოჰკრებით სამწევდლო გრძელი სდგას).)

1

ჭავჭავაძე გრძემლზედ გახურებული რეინის ნაჭერი უჭირავს. ჭენიანის გვერდით ქვეში ქონდრის კაცი სდგას, მაღნების მთხოველთა ტანისამოსით. პირველს ქონდრის კაცს ჭენიანთან ერთად მარწესი (მაშა) უჭირავს; მეორე უშეგლებელს ჩაქებს სცემს გახურებული რეინსა; მესამე საბერველით ცეცხლს აღვივებს; მეოთხე მეშაბას უურაღებით თვალს ადგვნებს; მეხუთე ცდაშია, ხელში წერაჭი უჭირავს; ეტეობა მზად არის ესაც საქმეს შეუდგას; მეექვსე ჰარა შემაღლებულს აღილზე ზის: თავზედ

\*) იხ. „მოამბე“ № 3.



ბრწყინვალე გვირგვინი ადგას. გარშემო მოსჩანან სხვა-და  
სხვა გვარი ჩამოსხმული მზა ფორმები, სახურო-მოძღვ-  
რო სამკაულინი, ფიგურები.

**ჭერისი.** დაჰკა, სანამდის ძალა გაქვს! ეგ შენი დაღლა სრუ-  
ლიადაც არ მაწუხებს: არ გააკეთებ, როგორც და-  
გინიშნევი და მაშინვე წვერს შემოგტრუსავ. (მეორე  
ქონდრის კაცი ჩაქებს გააგდებს). ო, შე ცბიერო,  
განა არა, ვიცოდი აგრე იზამდი, მაშ კარგი, პნახავ  
ახლავე, რომ არ გეხუმრებოდი. (წავლებს სეჭსა და  
ცეცხლზედ ატრიალებს. ქონდრის კაცი ფართხალებს და  
ჭერის. საბერველზედ მომუშავე ქონდრის კაცი უფრო  
ერთგულად უბერავს ცეცხლსა).

**ბირგ.** ქონდრის კაცი. ოსტატო, მეტი აღარ შემიძლიან, ხე-  
ლი დამიბუჟდა!

**ჭერისი.** ახლავე მოვალ (მეორე ქონდრის კაცს). ო, დაისვენე?  
(მეორე ქონდრის კაცი თავს მხიარულად უკანტურებს, ჩა-  
ქებს ისევ აღებს და სცემს) ვფიცავ მამალსა, მხოლოდ  
შიშითა და მუქარით შეიძლება თქვენი მორჩილება!  
(მარწებს მოსჭიდებს ისევ სეჭს). ნალი რა არის,  
ნალს ვერ გამოჰკვერავდა მჭედელი, რომ თქვენის-  
თანა ზარმაცებს თავაზიანად მოეპყრას. დაჰკრავთ  
ჩაქებსა და გვონიათ, მეორეზედ ძელი აღარ შეგ-  
უვებათ, არავითარი მუყაითობა და სურვილი არა  
გაქვთ რიგიანად იმუშაოთ. ჰა, ცოცხლად დაჰკა!  
არ გესმის, შენ რაღას სჩადიხარ მანდა?

**ბირგელი ქონდრის კაცი** (ერთგულობით გატაცებული, სეჭითა  
სცდის გახურებულს რეინას საჭირო სახე მისცეს). ხე-  
ლით მინდა ყალიბში გამოვიყვანო.

**ჭერისი.** უგუნურო! იქნება გინდა ხელი დამიბუჟო? რაღა  
ვქნა მაშინ, რომ სამსახური ველარ გამიწიო? რო-  
გორ-ლა ავმართო მზემდე ჩემი ტაძარი?

**ბირგელი ქონდრას კაცი.** ყალიბი მზად არის. ხელი-კი ცო-  
ტათი დამიბუჟდა, დამელალა, მეტი არასფერი.

**ჭერისი.** ჩქარა აუზისაკენ, წყლის ბერს უთხარ, თითებზედ  
მწვანე შლამი დაგადოს. (მეორე ქონდრის კაცი) კარ-  
გი, გეყოფა, დაისვენე, ზარმაცო (ახლად გამოგვი-  
რის რეინის ნაჭერს აიღებს, დაჯდება და სინჯვას დაუ-  
წეუბს). მშვენიერია! საუცხოვოა! ნატვრას ველირსე.  
ჩემის დღევანდელ შრომით სრულიად კმაყოფილი  
ვარ: უბრალო რკინის ნატეხმა აზრიანი სახე მიიღო,  
ხაოსიდგან საუცხოვო რამ გამოვიდა. ახლა ის-ლაა  
საჭირო, რომ ეს ახლად გაკეთებული ნაწილი  
დაუმთავრებელს ქმნილებას შეუერთდეს, სხვა არა-  
სფერი (მეოთხე ქონდრის კაცი ტაბურეტზედ შედგება  
და ჭერის უკანში რაღასაც ჩასჩურჩულებს). რას მეჩურ-  
ჩულები?.. გამეცა! მომწყდი, მომასვენევი, თორემ  
ხომ იცი, შეგკრავ და ემა ავ-ყია, უგნურს პირს  
მალე დაგიცობ! (ქონდრის კაცი გაიქცევა). რაო? ვი-  
თომ რა არ მოგწონს ამ ნამუშევარში? რით არ  
არის მთელ ქმნილებასთან შეთანხმებული? მითხარ,  
შენ გეკითხები. არსად ისე სწორედ და კარგად არ  
მიმუშავნია, როგორც ახლა: ხელი აზრს სრულიად  
ემორჩილება და შენ-კი მიბედავ, მუშაობას მიწუ-  
ნებ? ან იქნება მე ხელოსანი არა ვარ? იქნებ  
შენ ჩემზე ხელოვანი ხარ! მოდი და გამაგებინე,  
რისი თქმა გინდა? (ქონდრის კაცი მივა და უკანში<sup>ჩასჩურჩულებს.</sup> ჭერისი გაფითრდება, თხრავს, აიღებს  
ბაჟოებულს ნაჭერს რკინისას და ისევ გრძემლზედ  
დასდებს). დე, ეშმაკმა დაამთავროს მაშ ეს ჯო-  
ჯოხეთის სამუშაო; მე-კი მებოსტნეობას შევუდგე-  
ბი ისევ; დავრგავ კომბოსტოს, კართოფილს, მოსვე-  
ნებითა ვჰამ და ვიცოცხლებ, მერე-კი მოვკვდები  
კიდეც. (მესუთე ქონდრის კაცი გრძემლთან მიგა) არ  
გაჰედო, ხელი არ ახლო! გესმის? ვხედავ, როგო-  
რა სცახცახებ სიბრაზისა და ბოროტისაგან, თმები  
ჯაგარივით როგორ აგბურძგვნია, თვალებს ელვასა-

ვით აკვესებ, მკვლელო! კარგად ვიცი,—რომ, ვინც  
დამორჩილებას ვერ შესძლებს შენსას, მაგ წერაქვს  
იქით გზა არა აქვს, უნებურად თავი უნდა შეუშვი-  
როს! (მეტეთე ქონდრის კაცი გაეკთებულს ნაჭერს რეი-  
ნისას გასტევას. განრისხებული ჸერნისა კბილებს აკა-  
ჭუნებს). კმარათ! დღეს საღამოთი უქმეა. მუშაობა  
გათავებულია. წადით. დილაზე კი კვლავ ძალას შე-  
მოვიკრებ და თქვენც მოგიწვევთ. შენ რაღას სდგე-  
ხარ საბერველთანა? დამეკარგევი! (უვეჯა ქონდრის კა-  
ცები გადას, გარდა იმისა, რომელსაც გვირგვინი ადგას).  
შენც, გვირგვინოსანო, მთელს სიცოცხლეში რომ  
ერთხლის მეტად არ ჰლაპარაკობ, რაღას უცდი?  
წადი. არც დღეს, არც ხვალ შენს ბედითს სიტყვას  
ჯერ ვერ იტყვი. ღმერთმა იცის, ვეღირსები, თუ  
არა, გავიგონო: „აღსრულდა ყოველივეო!“ ოჟ, და-  
ვიღალე. არ მიყვარს ეს საღამოს უამი მწუხარე,  
დღე-ღამის შუა რომ მიიპარება და ერთისაც და მე-  
ორისათვისაც უცხოა. ხელიდან ჩაქუჩის დამაგდები-  
ნებს ხოლმე, მაგრამ ძილს-კი არ მომაკარებს. ძი-  
ლი-კი ხომ სიცოცხლეს და ძალას უკანვე გვიბრუ-  
ნებს. განთიადის ნათელი დიახ გვამხნევებს, მაგრამ,  
დავა მზე თუ არა, წამსვე ქვეყნად მოწყენილება  
მეფება, მარტოდ მყოფნი ბნელა ღამეში უძლუ-  
რად ვკან კალებთ. დილით მეფენი ვართ—საღამოთი  
მხოლოდ გლახანი. (ქაზედ წამოწვება და თვალებ-გახე-  
ლიდა ოწნებს ეძღვა. კედლის ხერელიდან თეთრი ბურქსი  
ჩამოწვება. მერშე ისევ გადიურის და აუზიდან წელის ბერი  
ამოჭერითს თავსა).

**წელის ბერი.** ყვარაქს! ბრეკეკექს! ხელოსანს მოუსვენია. წევს  
და არა-რა ესმის, ვერც-თუ რას ჰედავს, რომ იქ,  
კლდეებზედ, აჩრდილნი დაცოცვენ, მუშტებს იღერე-  
ბიან, იმუქრებიან, გამწარებულნი ცოფიანებივით  
ჰყვირიან... ჩვენი ხელოსანი-კი დაღლილი წევს.

ძვლებში ტკივილსა და სიცივესა ჰგრძნობს, მაგრამ სიზარშიაც-კი დღის მუშაობისათვის თავი ვერ დაუღწევია. სჯობს თავი დაანებო! ეგ შენი შრომა უქმი ბრძოლაა. ღმერთს ებრძოდი, მაგრამ გარე მიიქცია პირი თვისი შენგანა და შენც დასუსტდი! (ჰენრიხი კვნესით გადაბრუნდება). ეგ შენი მსხვერპლი სულ ტყუილია, დამნაშავე ხარ, მაგრამ დანაშაულს ვერაფერ შრომით ვერ გამოისყიდი. ზეცისგან კურ-თხევა არა გაქვს აღებული, რომ ცოდვა მაღლად, სასჯელი ჯილდოდ ჩაგეთვალოს. სიამაყემ, სიამპარ-ტავნემ გძლია, მაგრამ სამაგიეროს უამშაც მოაწია. მთის ბოროტნი სულნი ხეობაში სანადიროდ შეყრი-ლან. გესმის, გესმის შავი ძალი როგორა ჰყეფს? უთუოდ საზრდოს იპოვნის ბოროტი! ჰედავ: ბუმ-ბერაზთ ღრუბლებში როგორ შავი ციხე-დარბაზნი აჭმარეს, როგორ ახლიან მთის ციცაბოებსა და ანგრევენ, რომ ქვეშ მოგიყოლონ, მატლივით გაგ-სრისონ შენც და შენის ოცნების საცოდავი ქმნი-ლებაც!

**ჰენრიხი.** ვიხრჩვები, რაუტენდლეინ! სადა ხარ, მოდი, მიშვე-ლე!

**შედის ბერთ.** დეე, ისმინოს და მოვიდეს, მაგრამ შველით-კი ვეღარ გიშველის. თუნდაც მშვენიერ ფრეათაც იქ-ცეს და შენ კიდევ ბალდერად; თუნდაც მზის სხი-ვებს იტყორცნებოდე შურდულით, მაშინაც ვეღარა გიშველის-რა, დაიღუპები! ჰო, ყური დამიგდე, რა გითხრა: იქ, ტბაში, ქვიანს ნიაღაზედ, დაძირული ზარი სძევს და ჰლამობს ამოცურებას, სად ლურჯს, მოშაო ტალღებში, ცის მნათობთა შუქი გამოჰკრ-თის და საცოდავად გუგუნებს,

თითქოს მკვდრისათვის ჰრეკვდესო  
— ბიმ-ბომ!

ოჱ, ითროთოლებ მწარე ტანჯვისგან,

როდესაც მოგესმის ხმა,  
— ბიმ-ბომ!

სამარადისოდ დაკარგავ ძილსა,  
სამარისებურს რომ მოისმენ ხმას  
— ბიმ-ბომ!

**ჭენრიხი.** მიშველეთ! მიშველეთ! (გამოქედვიძება). რა დამემა-  
რთა? მოვკვდი თუ ცოცხალი ვარ? (თვალებს იფშვნე-  
ტავს და აქეთ-იქით იუურება). არავინ არის?  
**რაუტენდლეინი.** (ქთხის შესავალში გამოჩნდება). აგერ აქა ვარ,  
მიძახდი, არა ჰენრიხ?

**ჭენრიხი.** პო, პო, მოდი ჩემთანა, მოდი! ხელი მომეცი! გახუ-  
რებულ შუბლზე დამიდე. პო აგრე. მინდა შენს აქ  
ყოფნას, შენის აბრეშუმის თმების შრიალს, შენს  
გულის ძერასა ვგრძნობდე... დამეყრდნე გულზედ.  
მაკოცე! მაგ შენს კოცნას გაზაფხულის სულ-თქმა,  
ტყისა და ყვავილების სუნნელოვნება მოაქვს თანა.

**რაუტენდლეინი.** ოჯ, ჩემო ძვირფასო, ავად ხარ თითქოს?

**ჭენრიხი.** არა... არასფერია... აქ ვიწერი, გავცივდი... საბა-  
ნი დამხურე... გრძნობა დავკარგე, გულმაც თი-  
თქოს ცემა შესწყვიტა, მეგონა ბოროტნი. სულნი  
დამესივნენ და მტანჯავლნენ, მაწვალებლნენ... მა-  
გრამ ყველაფერმა გაიარა. ახლა ვეღარავითარს მო-  
ქმედებას ვერ იქონიებენ.

**რაუტენდლეინი.** ვინ, ჰენრიხ?

**ჭენრიხი.** მტრები.

**რაუტენდლეინი.** რომელი მტრები?

**ჭენრიხი.** ყველანი, ყველანი, არ ვიცი, რას ეძახიან. მგელ-  
კაცივით ბნელაში მომეპარნენ, ჩემი დალუპვა უნ-  
დოდათ. მაგრამ არ დავმორჩილდები, არა?

**რაუტენდლეინი.** ჰენრიხ, შენ სიცხე გაქვს.

**ჭენრიხი.** მართალია, ცოტათი თითქოს მაციებს, მაგრამ ნუ  
შეშინდები, მომეხვივე, მაგრა მომეხვივე... აგრე.

**რაუტენდლეინი.** ჩემო საყვარელო! ჩემო ძვირფასო!

**ჭერისი.** მითხარ, ჩემო კეთილო: გჯერა რამ ჩემი?

**დაუტანდღეინი.** ჰენრიხ, ჩემო ღმერთო! შენ ხარ ჩემი ბალდერი! სახე მკრთალი, მძლავრი რაინდი მზისა! ჰედავ, თეთრს შუბლს გიკოცნი, შენის თვალების ცქერით ველარა ვძლები! (ჰაუზა).

**ჭერისი.** მართალია, აგრეა. ბალდერსა ვგევარ, განა? ხომ თვითონა სთქვი? ჩემო კეთილო მეგობარო, გულში ჩამიკარ მაშ, დამარწმუნევი კიდეც, რომ აგრეა. შემოქმედებისათვის სასმელი რამ თავდავიწყებისა საჭირო არის. როცა-კი მუშაობისგან მარჯვენა გელლება, ჩაქუჩი და მარწუხი ხელიდგან გვარდება და რაიმე მცირე მარცხი გაწუხებს, გაღელვებს, ან მხნეობა და რწმენა სულისა გეკარგება, ბრწყინვალე იდეალი და ციური ნიჭი ზეშთაგონებისა მიმკრთალდებიან, სდგევხარ მაშინ მოტყუებული და ჰნატრობ, ამ შემოქმედების ტანჯვას, როგორც ფუჭს ოცნებას, თავი როგორმე დაალწიო... მაგრამ ამის შესახებ ახლა მეტს აღარას ვიტყვი. კვამლი ჩემის სამსხვერპლოისა პირდაპირ ზეცად აღევლინება, მაგრამ თუ მარჯვენე უფლისა ისურვებს და უკანვე მოუვლენს დედამიწას, მაშინ მე უძლური ვარ, ვეღარას ვიღონებ. მოვიხსნი მაშინ ქურუმის სამოსელსა და ბედს დავემორჩილები; ჯერ-ჯერობით-კი დეე, იბრწყინვოს ვარსკვლავმა! აბა, აანთე ჩირალდნები! თვალთმაქცობა მიჩვენე შენი: მოიტა ღვინო და, როგორც უბრალო ხალხმა, ვიმხიარულოთ, ბეღნიერების ვიგემოთ წამი.

**დაუტანდღეინი.** მე, ჩემო საყვარელო, ობობასავით ქარს ვდევდი კვალში, ციცინათელასავით ყვავილებსა და ბალახებს თავს ვევლებოდი და ყველასაგან ფიცს ვითხოვდი, რომ არავითარს ვნებას არ მოგაყენებდნენ. დედამიწის არც ერთი ბოროტი სული თავისს

ისარს სასიკვდილოდ შენ წინააღმდეგ არ გაჰლესავს,  
რაც უნდა მტრობა ჰქონდეს!

**ჭენისი.** რაო, რას ამბობ, ისარიო? მერე, ვინ იქმნება, რომ  
ისარი მტყორცნოს?

**რაუტენდლეინი.** არავინ, ჩემო კარგო, არავინ, დამშვიდდი.  
ჩემთან არასოდეს შიში არა გაქვს. მანიშნე ერთი  
და წამსვე ნათელი თვალთ-მაქუბის შემოგევლება,  
აბჯრად დამცველად გარეშემო შემოგერტყმება,  
რომელსაც ვერც ხმა ხალხისა და ვერც ნალვლიანი  
ზარისა რეკა ვერ შემოუვა. მანიშნე და კლდენი  
ალყად შემოგერტყმიან, მხიარულნი სულნი ტყი-  
სანნი შენდა სამსახურად მზად იქნებიან, სადღესას-  
წაულო სუფრას, თავხეებს, კედლებს, არე-მარეს  
ყვავილებით შეგვიმკობენ, იგრგვლივ ყველგან სათ-  
ვალო-მაქცო ცეცხლის ალი ავარდება...

**ჭენისი.** არა, საყვარელო, ყველა მაგას თავი დავანებოთ! მე-  
ჯლისი მე ვერ გამახარებს, ვიდრე ეს ჩემი ქმნილე-  
ბა ასე საცოდავად არის დარჩენილი. დადგება ის  
ნეტარი წამიც გამარჯვებისა, როდესაც სული ჩემი  
სრულს სიხარულს იგრძნობს. მინამდის-კი ისევ იქ-  
ით, ზევით, ვისწრაფვი: მინდა ჩემი შემბორკველი  
უცხო შენობა ვიხილო. აიღე ჩირალდანი, გზა გა-  
მინათე! ვგრძნობ, რომ ვიღაც უსახელო მტრები  
ჩემს ძვირფასს ტაძარს საძირკველს დაფარუ-  
ლად უთხრიან. მოქმედებაა საჭირო და არა მხია-  
რულობა (უნდა წავიდეს, მაგრამ გასავალში შედგება).  
მაგრამ რისთვის მოგიწყენია, ჩემო კარგო? იქნება  
რითიმე შეურაცხვყავი?

**რაუტენდლეინი.** არა... არა...

**ჭენისი.** მაშ რა დაგმართვნია?

**რაუტენდლეინი.** არასფერი.

**ჭენისი.** საბრალოვ! მესმის, რაც გაწუხებს: ბავშვი ციცინა-  
თელას სიხარულით დაიჭერს ხოლმე, მაგრამ ჰკლავს

ମମିତିମ, ରନ୍ଧ ଉପାର୍କସ. ନ୍ଯୂ-ଟ୍ୟୁ ପିପିନାଟ୍ୟେଲୋସ ଏଲାର  
ବ୍ୟାପିଦିବାର?

**କାଶ୍ତର୍ଗନ୍ଧର୍ଜ୍ୟୋନ୍.** ମେର୍ଯ୍ୟ, ମେ ରିଲାତି ଏହା ବାର ମଧ୍ୟ ବ୍ୟାପିଦିବାର  
ଟ୍ୟେଲି?

**କ୍ଷେଣିକାଳେ.** ଓଡ଼ି, ରାଶାକ୍ଵାର୍କ୍ୟେଲୋଇ, ଉକ୍ତେଟେଣି ବାର! ଏହି ରନ୍ଧମିଲ୍ଲେଖି  
ଦାମ୍ଭେତ୍ତୁବିନ୍ଦା, ମାତ୍ରିନ ବ୍ୟାପ ସିପିଲ୍ୟୁଲ୍ଗେଲ୍ସାପ ଏଥିରି ଦା  
ବର୍ତ୍ତ୍ୟୋନ୍ବାଲ୍ଗେବା ମତଳାଦ ଦାର୍କାର୍ଗ୍ୟେବନଦା. ମନଦି ମାତ୍ର  
ହେମତାନ! ଏହି ପ୍ରକାଶମଣି ନାଲ୍ବେଲ୍ସ ଦା ମିଶ୍ରବାର୍କ୍ୟେବାସ, ହେମ-  
ଗନ୍ତି ଶ୍ରେମିଦଲ୍ବନିଲ୍ସ, ହେମି କାର୍ଗ୍ରା, ନାତଳାଦ ମିହ୍ଵେ-  
ନ୍ଦ୍ରବା. ମେର୍ଯ୍ୟମୁନ୍ଦ ମିଯାରକାର! ନ୍ଯୂ ସ୍଱ିରିର. ଶ୍ରେବ ଏହି  
ବ୍ୟାପ, ରନ୍ଧ କ୍ଵାଲାଦ ସାବରଦିଲାଦ ଏଲମାଦଗିନ୍ଦ୍ରାଜି, ଲମ୍ବର-  
ଟ୍ୟେବତାନ ସାଜିମିଲ୍ସ ଦାଶାକ୍ଷେରାଦ ଏକିରି ମନମ୍ଭପି. ଏହି,  
ଏଲାପ-କି ବ୍ୟାପନବାଦ, ରନ୍ଧ ଏହି ଶ୍ରେବ ମନମିଳିଲ୍ଲେଖି  
ସିଲାମାଟ୍ୟେ ହେମି ତ୍ରାନ୍ଧିଶ୍ରୀଲ୍ସ ଗୁଲ୍ସ ଜୀଲିଦାଦ ଏହିର୍ଭର୍ଜ୍ୟୋନ୍  
ଲାଦ ମନ୍ଦିରିଲିନା, ମିହ୍ରିଦିମର୍ଯ୍ୟ ଦେବନିଏର୍ବେବିଲ ବିଗରଦ୍ରେବି  
ମାଲା! ମାତ୍ର ବିନ, ହେମି କାର୍ଗ୍ରା, ମିନାଟେ ବନ୍ଦିଲ୍ୟ!

## 2

**କାଶ୍ତ.** (ଶ୍ରେବାଲ୍ଲାତାନ). ଏହିଏ! ଏହିଏ! ମାରଦାତ ମନଦିତ! ରାଶ ଏଥି-  
ଲାକ୍ଷନ୍ଦିବିତ ଦା ବ୍ୟାପିନ୍ଦିବିତ, ଏଶମାକି-କି ବିନିଲା ତକ୍ଷେବି  
ତାବି! ବିନ, ବ-ନି ବାଲ୍ମୀକିରା! ବିନ ଦାଲାକ୍ଷା! ପ୍ରବେଲାଫ୍ରେ-  
ରି ଏହି ଏବିଲ୍ସ, ହାଲାପ, ଫିର୍କିପି, କୁପକିପି. ବ୍ୟାପିଲାବାନି  
ଶ୍ରେବନିବି-କି ତାବିଲ୍ସ ଭ୍ୟାରିବାଦ ଶ୍ରେବନିବିଲ୍ସ.

**କ୍ଷେଣିକାଳେ.** ବ୍ୟାପନ୍ଦିତ, ଗାପିଲ୍ୟେବ୍ୟୁଲ୍ୟ ସ୍ତୁଲ୍ୟେଲ୍ୟ. ଶ୍ରେବ ଏହି, ଏହି ଗା-  
ଲାରିବାଲ୍ୟେବିଲ୍ସ ଏହି ଲାମିତ? ମିହ୍ରିଦିବିଲାଦି, ତାର୍କାର ବ୍ୟାପ  
ଏହି!

**କାଶ୍ତ.** ବିନି ଶ୍ରେବ ମନଦିଲ୍ୟେଲ୍ସ? ଶ୍ରେବ ତ୍ୟା?

**କ୍ଷେଣିକାଳେ.** ମାତ୍ର, ତ୍ୟା ଏହିଏ, ଶ୍ରେବାଲ୍ୟ ରନ୍ଧମାର ଦାଗିତର୍କ୍ୟ ମାତ୍ର ବିନ୍ଦୁ-  
ରିତ, ଶ୍ରେବ ବିନି ଭ୍ୟେବାନି ଏହାମିଶ୍ରାଦାବି! ବିପି, ଶ୍ରେବିଲାବା-  
ନ୍ଦ୍ରବିଲ୍ସ କିଲ୍ୟେରି ରନ୍ଧମାର ମନ୍ଦିରିବାନି. ଗିର୍ବେନ୍ଦ୍ର ମାରି-  
ଲାପ, ରନ୍ଧ ବ୍ୟାପିଲାବାନି ବାର! ମତଳାଦ ଗାଗିର୍କ୍ୟେବାବ. ଏହି,  
ମାତ୍ରିନ ମନ୍ଦିରିଲ ଗାନ୍ଦିଲା, ଏହିବ୍ୟୁଲ୍ୟେଲ ମିଶ୍ରବାର୍କ୍ୟେବାନି. ଶ୍ରେ-



დავ ამ გრძემლსა და ჩაქუჩის? ვგონებ, საკრაოდ  
მძიმეა, რომ ლაპაშივით გაგაპრტყელოს.

**ქაჯი** (ზურგს მიუშვერს). სცადე აბა და დამარტყი! ჩაქუ-  
ჩი-კი არა, მახვილიც-კი არ მიდგება, მხოლოდ ოდ-  
ნავ მიღიტინებს ხოლმე.

**ჭირიახი**. დამაცა, მაშ, წყეულო ყვიყვიანო ქაჯო! არა უშავს-  
რა, თუნდაც აი იმ ფიჭვნარზე ბებერი და დათვზე  
ძლიერიც იყო, მაინც შევიძლებ ძალლივით დაგაბა;  
ჰნახავ მალე წყალსა და ქვას როგორ გაზიდვინებ,  
ქოხს გაგვეინებ! დაზარმაცდები და სახრით ტყავს  
აგაძრობ!

**რაუტენდლეინი**. ჰენრიხ, ეგ ხომ მხოლოდ გაფრთხილებს.

**ქაჯი**. აქეთკენ, ბიჭებო, აქეთ! ჰა, მხიარულად! კარგი ოი-  
ნი-კი იქნება. მეც მოგეხმარებით. აი, ხომ ჰედავ,  
ხბოსავით აკუწავენ მოსახრაკადა. მე-კი გოგირდს,  
ზეთსა და კუპრს მოვუტან. ისეთს ცეცხლს ავაგურ-  
გურებთ, რომ კვამლმა ქვეყანა დააბნელოს! (მიდის.  
სცენის იქიდან ბრძან უკირილი ისმის).

**რაუტენდლეინი**. გესმის, ჰენრიხ, ხალხის ხმა! გემუქრებიან!  
ახლოვდებიან! ბები! გვიშველე! (ქვები ცვივა. ერთი  
რაუტენდლეინს მოჭედება).

**ჭირიახი**. მესიზმრა, ვითომ შავი ძალლი მომდევდა უკან.  
აგერ, ეს ყმუილი ახლა მესმის. არ მეშინიან, მო-  
დით! თუნდაც ანგელოზიც ჩამოვიდეს ახლა ზეცი-  
დან და დამარტმუნოს, რომ ჩემი შრომა ასე დიდ-  
მნიშვნელოვანია, მაინც ვერას გახდებოდა; ნაკლებ  
გავუგონებდი, ვიდრე ამ საზიზლარს ყმუილს. მო-  
დით! მოდით! ვეცდები თქვენისავ თავის წინააღ-  
მდეგ დაგიცვათ როგორმე: ჰა, ჩემი სიტყვა!

(მიდის)

**რაუტენდლეინი** (შეშფოთებული). გვიშველეთ! გვიშველეთ!  
წყლის ბერო, გთხოვ: ამ კლდეებზედ მოუშვა წყა-

ლი და ყველანი წალეკო, გარეკო! გეველრები,  
ამისრულე ეს თხოვნა!

**წელის ბერი** (აუზში გამოჩნდება). ბრეკეკეკეკს! რაო, რა უნდა  
ვქმნა?

**რაუტენდლეინი.** გადარეცხე, წალეკე ყველა.

**წელის ბერი.** არ შემიძლიან.

**რაუტენდლეინი.** კმარა, წყლის ბერო, ვიცი, რომ შეგიძლიან.

**წელის ბერი.** მაგრამ, მოითმინე, რა აზრი ექნება? ვერ ჰედავ,  
განა, რომ ჰენრიხი მხოლოდ გვაბრულებს ჩვენა.  
ღვთისა და ხალხის ბატონობა განუზრახნია. დეე,  
მოჰკლან. ჩემთვისაც უმჯობესია.

**რაუტენდლეინი.** წალი ჩქარა, მიეშველე.

**წელის ბერი.** მერე, ამისათვის რას მომცემ?

**რაუტენდლეინი.** მითხარ, რა გინდა, რომ მოგცე.

**წელის ბერი.** რა და შენ. ბრეკეკეკეკს! მინდა, ეგ შავვერე-  
მანი მხრები გადმიხსნა, ფეხიდან წითელი მესტი  
წაიძრო. გაშიშვლდე ისრე, როგორც წინად იყავი,  
ჩამოხვიდე ჩემთანა და წამომყვე შორს, შორს, საცა  
წაგიყვან.

**რაუტენდლეინი.** ჰედავთ, რა კარგად მოუფიქრია! იცოდე,  
მაშ, რაკი აგრეა, რომ არასოდეს მე შენი არ გავ-  
ხდები, თუნდაც ბებიაზედ ორჯელ და სამჯერ დი-  
დიც იყო, თუნდაც მარგალიტივით სადაფში ჩა-  
სვა,—გესმის: არასოდეს!

**წელის ბერი.** მაშ თუ აგრეა, დეე, დაიღუპოს ხელოსანი!

**რაუტენდლეინი.** სტყუი, ბებერო, ვერძნობ, რომ სტყუიხარ!  
გესმის, მეძახის! ჰა, შეგეშინდა, ხმა რომ გაიგონე!  
(წელის ბერი დაიმადება. შემთდის ჭენრისი. ბრძოლი-  
საგან მთლად აღელევებული, და გამარჯვებული როგორდაც  
გეღურად ხარხარებს).

**ჭენრისი.** ძალლებივით დამესივნენ, ძალლებივით ანთებულ  
მუგუზლებით გავლალე. კლდეს ვგლეჯდი და ლო-



დებს ბურთივით ვესროდი ზემოდგან: ვინც გადარჩა, ყველა გაიქცა. წყალი მასვი. ცხარე ბრძოლა მუდამ სულს გვიახლებს: სისხლი მარდად სჩეფს, სიყვარულსა და სიძულვილს გული უკეთ გრძნობს.

**რაუტენდლეინი.** აპა, დალიე ჰენრიხ.

**ჰენრიხი.** მოიტა, მოიტა, ჩემო კარგო! კვალად მწყურიან სიყვარული, მასთან ნათელი!

(ჭიშვილს).

ვსვამ შენს სადღეგრძელოსა, ჩემო ზეციურო ბედნიერებავ, ჩემო სიყვარულო. ვიცი დაიღუპება უთუოდ, ქვეყნიურს ბოროტს ვეღარა სძლევს, ვინც შენ არ გმეგობრობს. იყავი ჩემთან: ერთად-ერთი ჩემი გამამხნევებელი, ჩემო კარგო, შენა ხარ! გევედრები, ნუ დამტოვებ!

**რაუტენდლეინი.** შენ არ დამტოვო, ჰენრიხ, თორემ...

**ჰენრიხი.** არა და არა! ღმერთმა დამიტაროს. აბა, ერთი საკრაი რამ გამაგონევი!

**რაუტენდლეინი.** აქეთ, ჩემო პაწიებო, სოროებიდან, ნაჩვრეტებიდან, კლდეთა ნაპრალებიდან, ყველა მხრიდან აქ შემოკრებნით! წკრიალა სალამური და ფანდური მომართევით. დეე, სიხარულით აღიბეჭდოს ეს გამარჯვების დღესასწაული!

(მუსიკა ისმის).

თქვენის საკრავების ხმაზედ მეც ტურფად ცეკვას დავუვლი! ოქროს ფერს ხუჭუჭებზედ ციცინათლებისაგან შეკონვილს სამკაულს დავიდგამ; დეე, ცოცხლად იელვარის ფერის თავზედ!

**ჰენრიხი.** ჩჩუ-უ,—ცსს! მელანდება, ვითომ...

**რაუტენდლეინი.** რა, ჩემო კარგო?

**ჰენრიხი.** არ გესმის, განა?

**რაუტენდლეინი.** რა არ მესმის?

**ჰენრიხი.** ისე, არასფერი...

**რაუტენდლეინი.** მაგრამ, რა დაგემართა, ძვირფასო?

ପ୍ରକାଶକ. ଏଣ୍ ପରିମା...

მეჩვენა, ვითომ ამ მუსიკის ხმასთან ერთად  
რაღაც უცნაური ხმა შემომესმა...

କୁର୍ବାନ୍ଦିଙ୍ଗାନ୍ତା. କା କମା, କେବଳିକ?

კენიასი. ხმა საბრალისი... რომელიც დიდი ხანია აღარ ის-  
მოდა... მაგრამ ეს არასუერი... თავი დავანებოთ.  
მოდი, მოდი ჩემთან და მაგ მომხიბლავს ფიალას —  
მშვენიერს წითელს ტუჩებს დამაკონე, რომლის  
წალურვილითაც კაცი აგრე აღვილად ვერ გაძლება.  
დევ, დამათროს ექმა, თავი დამავიწყოს. (ერთმანეთს  
ჰქოცნას, ხანგრძლივი პაუზა. შემდეგ ხელი-ხელს გადა-  
სვეულნი გასაფალ კართხ მივლენ და მთას ქედობათა  
დიდებულ სანახაობით სტებებიან).

შექმნედე აგერ: შავი კლდეებიღან ძირს ველი  
ჩასდევს. ადამიანები სცხოვრობენ იქა. მეც ხომ  
კაცი ვარ. მაგრამ უცხო ვარ მათვის; გესმის;  
სახლში ყველას ვეუცხოები. და აქ, მთებშიაც, ას-  
რევე უცხო ვარ... ხომ გესმის ჩემი ნათქვამი!

**କାମତିକ୍ରମଙ୍ଗଳୀନୀ** (ବ୍ୟକ୍ତିଗତ). ମେଲିମିଲେ, କେବଳିକେ! ମେଲିମିଲେ!

**ქენრის.** ეგ „მესმის“ თითქოს როგორლაც უცნაურადა სოჭი,  
არა?

କାନ୍ଦୁତୀର୍ଥମୁଖ୍ୟାବେଳେ. ଶ୍ରୀନାଥ, ମୃତ୍ୟୁନାନ୍.

କ୍ଷେତ୍ରରୁ କିମ୍ବା ?

କୌଣସିବାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା?

**კენჭისი.** წავიდეთ, დროა მოსვენებისა. (აქეთ გამოიყვანს, მაგრამ შესავალ კართან უცბად შედგება და აქეთ-იქით იუკრება) მაგრამ ერთი რამ მენატრება: რომ ეს მკრთალი მთოვარე თავისს შუქს დაბლა ველს, ჩემს სამშობლოს, არ აფრქვევდეს: დეე, ნუღარ ვიხილავ მას, რაც ჯანყით დაფარულია... მაგრამ ეს რა არის?.. არ გესმის, გ ანა, ჩემო კარგო?

“**ԱՐՄԵՆԻԱՆ** ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ. Առա. ՎԵՐԱ ՇԵԲՈՍ ՆԱԴՔՎԱՅԻՆԱ ԳԱՅՈՒՑ ՀԱՅԵ.

କ୍ଷେଣିକାରୀ. କନ୍ଧଗାର? ଏହା ଏକାଂଶ ଦୟାମିଳିରେ...



**რაუტენდლენი.** რა უნდა მესმოდეს, არ გამეგება? მესმის აი, რომ ქარი ბალახს, ფოთლებს აშრიალებს, ბუს ძანილიც მესმის და მასთან შენი უცნაური სიტყვები, შეშინებული რომ მეჩურჩულები.

**ჭერიხი.** იქ, დაბლა, სისხლის ფრად აშუქებს მოვარე. ჰედავ, წყალში როგორ ჩასახულა?

**რაუტენდლენი.** ვერაფერსაც ვერა ვხედავ.

**ჭერიხი.** როგორ ვერ ჰედავ შენ, რომელსაც მიმინოს თვალიც-კი ვერას გამოგაპარებს? შეუძლებელია! ნუ-თუ ვერ ჰედავ, რომ ქვეიდგან რაღაც ნელ-ნელა, წყნარად, ზემოც მოცოცავს?

**რაუტენდლენი.** ვერა, ჩემო კარგო, ვერ ვხედავ! უთუოდ მოგეჩვენა!

**ჭერიხი.** არა, სუ, სუ! სრულიადაც არ მომჩვენებია. ეს ის-რევე მართალია, როგორც ის, რომ ზეცისაგან პატიების იმედი მაქვს. შეჰედე, აბა, აგერ, ბილიკის პირად, ქვებზედ, ვიღასიც აჩრდილი წამოდგა...

**რაუტენდლენი.** კმარა. იქით ნუდარ იცქირები. კარებს დავ-კეტავ. ვეცდები ძალათი როგორმე გადაგარჩინო.

**ჭერიხი.** თავი დამანებე, გესმის? მსურს ვუცქირო, დავინახო!

**რაუტენდლენი.** გთხოვ მოჰშორდე. სუსტადა ხარ. იქ, დაბლა, ხევში, ღრუბლებს ატრიალებს ქარი და იმისი ნაჩ-რდილი ღელვა მოსხანს.

**ჭერიხი.** არა სუსტად არა ვარ. არაფერია. გამიარა.

**რაუტენდლენი.** ჰო, ეგ კარგია. მოსულიერდი, ჩემო ჰენრიხ, და კვლავ დაეუფლე იმას, რაც ბედმა მოგცა. აიღე ჩაქუჩი და კვალიად ძლიერად მოიქნიევი!

**ჭერიხი.** ნუ-თუ არც ეხლა ჰედავ? აგერა, მთაზედ მოცო-ცავენ?..

**რაუტენდლენი.** სად, სად?.

**ჭერიხი.** აიქ, მალლა, მთის ბილიკზედ. მარტო ჰერანგები აცვიათ...

**რაუტენდლენი.** ვის, ჰენრიხ?

**ჭერისი.** ფეხშიშველა პატია ბიჭუკებს. თან რაღაც კოკა  
მოაქვთ. მაგრამ ისრე მძიმე, რომ ძლივს ერევიან:  
ხან ერთი შეუდგამს მუხლს, ხან მეორე...

**რაუტენდლეინი.** მითხარ, ჰენრიხ, რა გემართება?

**ჭერისი.** თითქოს წმიდანები არიანო, ორთავეს შარავანდედი  
აღგია თავზედ.

**რაუტენდლეინი.** არა, ეგ მხოლოდ მოჩვენებაა. შორის მიმ-  
კრთალი ცეცხლი გატყუებს.

**ჭერისი.** არა-და, არა! აბა, ხელი მიიშველიე და შეჰედე.  
ვერც ახლა ჰედავ? აგერ, აგერ ისინი. ხომ ჰედავ?  
(ჭერისი მუხლის თავზედ დაიხუქებს. გამთხნდება თრი  
ბავშვი, ტანთ მსოფლი შერჩნები აცვიათ, მოკრძალებით  
შოდიან და თან კუკა მოაქვთ).

**შირგელი ბაგშვი.** მამი!

**ჭერისი.** რა გინდა, შვილო?

**შირგელი ბაგშვი.** დედამ გვიბრძანა სალამი მოგვერთმია.

**ჭერისი.** გმაღლობ, ჩემო საყვარელო ბიჭუკა. სხვა, ხომ  
კარგადა ცხოვრობს დედა?

**შირგელი ბაგშვი** (თვითოუელ სიტყვის შეათიად და სმის ამაღ-  
ლებით ამბობს). კარგად.

(ძირიდან ურუდ და თდნავ ზარის ხმა მოისმის).

**ჭერისი.** ეგ რა მოგიტანიათ?

**შეორე ბაგშვი.** კოკა.

**ჭერისი.** ჩემთვის ხომ არა?

**შეორე ბაგშვი.** დიახ, შენთვის, მამა.

**ჭერისი.** შიგ რა არის?

**შეორე ბაგშვი.** სასმელი, მლაშე სასმელი.

**შირგელი ბაგშვი.** თან მწარეც.

**შეორე ბაგშვი.** დედი-ჩვენის ცრემლებია.

**ჭერისი.** ო, ღმერთო მოწყალევ!

**რაუტენდლეინი.** ვის უყურებ აგრე გაშტერებული?

**ჭერისი.** იმათ, იმათ...

**რაუტენდლეინი.** ვის იმათ?

**ჭერისძი.** ვერ ჰქონდავ, განა? იმათ. მერე, დედა ოქვენი სად  
არის ახლა?

**ბირებელი ბაგშვი.** დედა სად არის?

**ჭერისძი.** ჰო, დედა.

**მეორე ბაგშვი.** იქ, წყალ ქვეშ, ვარდები როა.

(ჰქონდავ ისმის ზარის ხშა).

**ჭერისძი.** ზარის ხმა!.. აგერ... აგერ კიდევ...

**რაუტენდლეი.** ი. ზარისა-კი არა?

**ჭერისძი.** ის არის, ის... ძველი ზარი... ტბაში რო გდია...  
ის უკრავს!.. მერე, ვინა ჰქმნა, ნეტა, ეს?.. არ  
მინდა მისი გაგონება, არა, არა!.. მიშველეთ!

**რაუტენდლეინი.** გონს მოდი, ჰენრიხ, რა გემართება!?

**ჭერისძი.** ო, ღმერთო, შემაძლებინე! კიდევ უკრავს! არ გეს-  
მის, როგორ ყრუდ გუგუნებს, თითქოს სამარიდან  
იძახისო?.. მაღლა... მაღლა... ამოდის...

(რაუტენდლეინს ხელსა ჸკრავს).

მომშორდი! მძულხარ!.. თორემ დაგარტყავ რასმე,  
თვალთმაქცო, კუდიანო!.. შორს ჩემგან!.. წყევა  
და კრულვაა ჩვენს თავსა, ჩემს ქმნილებასაც იგივ  
ჰქვდა წილად, მთლად ქვეყანა წყეულ-კრულია!..  
აქა ვარ... აქ... მაგლა... მოვდივარ... ოჯ, ზეცავ,  
შემიბრალე...

**რაუტენდლეინი.** გონს მოდი, ჰენრიხ!. წავიდა!.. წავიდა!..

მოხმადება შეზოვა

შირველის მოქმედების დეკანაცია; ველია მთაში ვიტტისას  
ქრისტერთ. შეადამე გადასულია ჭის ჩირად სამი ალი ზის.

შირველი.

მეფე.

მესამე.

შირველი.

მეფე.

მესამე.

ცეცხლი ანთია ყველანა.

ქარი ჰქრის, გაბრაზებული

მოშენის მაღლა მთიდგანა.

ჩამოდგა კვამლის ღრუბლები

ფიჭვნარიანი კლდიდგანა.

იქ-კი, დაბლობში... ბურუსი

დაუხვევია თეთრადა...

კალა სთვლემს, გესმით, ბულბული

როგორ მღერს გულ-საკლავადა,

გამონი, ქვისაც რომ იყოს, დაილეოდა ცრემლადა...

უცნაურია სწორედ! ყვავილებში გაბმულ, საუც-

ხოვოდ და წარმტაცად ჩაწნულ ობობას ნაზს ქსელზედ

ჩამეძინა. ვფიჭრობდი სამეფო საწოლში ვარ-მეთქი,

ისე კარგადა ვგრძნობდი თავსა. დღე-ლამის გაყრის

უამს, დასავლეთის ალიონზედ, იგრგვლივ ნაპკური

ნამი ბრილიანტებივით მოელვარებდა. ტკბილად მეძი-

ნა. გამომეღვიძა. არე-მარე უკვე ბნელს მოეცვა, დაღა-

მებულიყო. ბოლოს ამოპრიალდა მთვარე და კლდო-

ვან მთაგრეხილს გადმოჰედა, დაბლა ჩრდილი გად-

მოუშვა; სისხლის ფერმა ნაზმა შუქმა ჩაძინებულ-

ჩამკვდარი ჭალა და ველი თითქოს გამოაცოცხლა.

მოისმა ოხვრა, ჩურჩული, შესაბრალისი ხმები, ტი-

რილი... შიშის ზარმა ამიტანა, შემკრთალი ციცი-

ნათელის შევეხმაურე, რომელმაც ის იყო თავისი



მწვანე ფარანი გამოანათა და ცხვირ-წინ გამიფრთხოება  
მაგრამ ხმა არ გამცა, წავიდა. საშინლად დაღლილი  
და დაღვრემილი ვიწექი... უცბად ჭრიჭინის მოელ-  
ვარე ფრთებზედ საიდგანლაც ჩემი სატრფო გაჩნდა.  
ვეხვეოდით, ვეალერსებოდით, ერთმანეთს ვკოცნი-  
დით... ჩამიკრა გულში სატრთომ, მწარედ მოჰყვა  
ტირილსა და მითხრა: „ბალდერი მოკვდაო“...

**შირგელი** (წამოდგება). ცეცხლები მოჩანს ყველგანა!  
**მეორე** (ესაც წამოდგება). ბალდერს გაუჩაღებია!  
(მიეფარება).

**მესამე.** დიალ, მოკვდა, ჰმარხავენ საწყალს!  
(ესაც მიეფარება).

**შირგელი.** სასიკვდინო კოცონიდან ავარდნილ კვამლივით  
დედამიწას წყევა-კრულვა მოეფინება! (კელს ჯანე  
დაჭვარავს. რომ გადიურის, ალნი აღარა უჩანან. ტეიდან  
გამოდის ქაჯი).

**ქავი** (ქაში ჩასძახის). შენ, ეი! ბაყაყების მეფევ, ზემოთ  
ამო! წყეულო ჭყუპალავ! არ გესმის? გძინავს თუ  
რა არი? შენ გეუბნები, ჩქარა ამოდი-მეთქი! თუნ-  
დაც უუმშვერიერესი ალიც გეალერსებოდეს, დას-  
ტოვე ეგ შენი შლამის ლოგინი და ამოცურდი.  
იმისთანა ახალს ამბებს გიამბობ, რომ სიხარულით,  
ბებერო, ბუქნა დაუარო!

**წელის ბერი** (წიდან). ბრეკეკეკეკს!

**ქავი.** ამოდი, კარგი! რასა ბუზლუნებ?

**წელის ბერი.** თავი დამანებე. არა მცალიან.

**ქავი.** უყურეთ ერთი, არა მცალიანი! აი, შე ყურყუტო!  
შენ ეი, არ გესმის: რალაცა შევიტყე. გახსოვს,  
რომ ვიწინასწარმეტყველე, ასრულდა. ხელოსანმა  
გოგო მიატოვა. თუ რომ მარჯვედ იქნები, ძვირ-  
ფასს თევზს ადვილად გააბამ ბადეში.

**წელის ბერი** (ჭიდან ამოცურდება, თვალებს ცბიერად აკვესებს).

მაშ, მიატოვა! მერე, გვონია, ახლა იმას გამოვეკი-  
დები?

**ქავი.** თუ შენ არ გინდა, მე მაინც გამაგებინე, სად  
არის.

**წელის ბერი.** მერე, შე ქაჯო-და, მე ხომ არ მოგიძებნი? ნა-  
ხე, იქნება იპოვო საღმე.

**ქავი.** ვეძებე ყველგან. მოელს ღამეს ჯანყსა და ბურუსში  
დავძრწოდი; მაღლა კლდის ფრიალოებიც-კი მოლად  
მოვიარე, სად ჯიხვთათვისაც სიარული საშიშო არის.  
ვკითხე თხუნელას, მაგრამ ვერც თხუნელამ და ვერც  
მთის შავარდენმა ვერა მითხრეს-რა, არ იცოდნენ, სად  
არის იგი. ვნახოთ, გაჩაღებულს ცეცხლს წავაწყდი;  
დავავლე ხელი ანთებულს მუგუზალს და დავუწყე  
ახლა ტყეში ძებნა. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერას გავხდი.  
უცბად ბოლოს მთაში სამჭედლოს წავადექი. სამ-  
ჭედლოს ახლა ცეცხლი უკიდია, ბოძებსა და კოჭებს  
ტკაცა-ტკუცი, გურგური გააქვს. ხელოსნის დიდებას  
ბოლო მოელო: სამუდამოდ დაიფუტკნა!

**წელის ბერი.** ეგ ხომ მეც ვიცი. იქნება მაგისთვის შემაწუხევი?  
ეგ კიდევ რა არის! ვიცი, მაგალითად, რომ ზარმა  
დაუკრა. ვიცი ისიც, ვინ იყო, რომ მკვდარი ენა  
აუმოძრავა, დააკვრევინა. ო, რომ გენახა, რაც აქ,  
ტბის ძირად, ამბავი მოხდა!.. ვნახე, დამრჩვალმა  
დედაკაცმა ხელი შეახო ზარსა, აამოძრავა და ზარ-  
მაც უცბად რეკვა იწყო... გაისმა გრგვინვა-გუგუნი  
და ძულომივით საზარელი ლრიალი მორთო, მთასა  
და ხევს მოეფინა, ხელოსნის ეძახდა... ვნახე დამ-  
რჩვალის სახეც: ოჳ, რა საზარელი, საცოდავი  
სანახავი იყო: მთლად გამხმარს თმები ქალაზედ  
გაჰკვროდა. შეეხებოდა თუ არა მისი გამხმარი თი-  
თები მოზანზარე ლითონს და ერთი ორად ძლიერად



იწყებდა გუგუნს! მართალია, მოხუცი ვარ და ზევ-  
რიც მინახავს, მაგრამ, გამოგიტყდები, შიშისაგან  
ჭალარა თმები ყალხზედ დამიდგა. ოჯ, რო გენახა  
ეს საზარლობა, იმ გოგოთი უთუოდ თავს აგრე  
აღარ მომახეზრებდი? არარაობაა იგი, სხვა არასფერი?  
დევ, ისევ ყვავილიდან ყვავილზედ იფრინოს. კმარა!  
მომწყინდა ამდენის ხნის შეყვარება.

**ქავი.** ჰო, კარგი! ვითომ-და! მე-კი არ მომწყენია. ვისაც  
რა მოსწონს, იმასა სჩადის: თუ რომ როგორმე მი-  
სი მშვენიერი, ცოცხალი ტანი ხელთ ვიგდე, არას  
დაგიდევ მიცვალებულსა; დევ, იწვეს თავისთვის ტბის  
ძირად, რა მენალვლება?

**წელის ბერი.** ყვარაქს! ბრეკეკეკეკექს! ეძებე, სადაც გინდა,  
თუნდ ათი წელი, შენ იმას ვერ იპოვნი. არ იცი,  
განა, რომ რაუტანდლამ მე შემიყვარა? მაშ არა-და  
მაგ თხის თავს შეიყვარებდა, ჭირივით რომ სძლოს,  
არა? მშვიდობით! იქ, ძირს, ჭაში საქმე მაქვს. გეს-  
მის? თუ რომ შენც საწადელს მიაღწევ, ქაჯო, აი,  
მე—წყლის ბერი—სიტყვასა ვდებ, რომ უახალგაზ-  
რდეს ალის ტაშის ცემაზედ ბუქნას დავუვლი.

(ჭაში ჩაეშვება).

**ქავი** (ზევიდან ჩასძახის). მაშ თუ აგრეა საქმე, მალე ადა-  
მიანთა საჯილაგოს აკვანსაც დაარწებ! მართალია  
ეს ისრევე, როგორც ის, რომ ცაში ვარსკვლავნი  
ბრწყინავენ, წყალში თევზები დასცურავენ, ფრინ-  
ველნი ჰერინვენ. ლამე მშვიდობისა, პაპი! მე-კი...  
ისევ დაბურულს ტყეებსა და ჭალებს მოვედები!,  
(თხასავით მისკუპალათბის. ვიტტისა ქონიდან გამოვა და  
ფანჯრის დარაბებს გამოდებს).

**გიტტიხა.** აღგომის ღროა. განთიადის სიოსა ვერძნობ. წუხელ  
როგორლაც საშინლად რუხ-რუხებდა.

(მამალი უიგის).

ո, Շեն! Կոյսլուց! այ գոնდա, և եզրի դաձարմէց հեմտցու-կը նշան գործացի է. Սմաց կոյսլուց պատապ յարցած զուր ամ վեցած և եղի ժամանակ ու եղի ժամանակ կարուր է ճակատ. մալց կա ալուսնի գօաՇոյքին. ածա, յրտո Շենը ճասեսեց, պատիւազ. ածալո գոյ գոյութեան ճակատ, յե մարտալուա. Քամու պատիւազ եռմ առսած մռասին? Մուռ առ ամուռ պատիւազ առսած մռասին? Ես առ ամուռ պատիւազ առսած մռասին?

(Հօծության և պահպանի գործությունների մասին)։

**ମେହିଳା** (ସର୍ବଜୀବ ଜୀବିଦାନ). ଲାଗୁତ୍ୟରେଣ୍ଟଫୋଲ୍ଡର୍!

გიტგინა. ჰო, გასძახე აგრე! მე ვიცი ეხლავ არ მოგივიდეს.  
ხმა-მაღლა, თორემ ვერ გააგონებ!

ქართველი მარტინი! აქა ვარ. იქნებ არ გესმის, რო გე-  
ძახი?

გიტრიანა. დიალ, არ ესმის უთუოდ.

**ჭენდისა.** გაპბედეთ, აბა! ვინც უნდა იყოს: პასტორი, მასწავლებელი, მეწვრიმალე, დალაქი, თუ სხვა ვინმე, სულ ერთია, ამოსდგამს თუ არა ფეხს ზემოდ, მაშინვე ძირს მოსძვრება ბრაგვანი! მე-კი არა, თქვენ, თქვენ დაახრჩევით ჩემი ცოლი, მაწანწალებო!

(ଭୋଲେ ହେଲିବେଳେ ଏବଂ କ୍ଷେତ୍ରରେ ମଧ୍ୟରେ)

**გატტიხა.** შესდექ, ეი. ნულარ, მიხვალ. მაგას იქით ასვლა  
შეოძლობელია.

**ଶ୍ରୀନାଥେ.** ଦେଖିଲୁଗା, କେମନ୍ତ ଠିକ୍ ହେଉଛି?

**გატტიხა.** რა ვიცი, რა იწვის! ვიღაცა კაცი იყო, არ ვიცი  
საყდარს აშენებდა, არ ვიცი სასახლეს. მერე სადღაც  
წავიდა. ეს ის შენობაა, რომ იწვის.



(სასოწარკვეთიდან ჭენრიხი უფრთ შეტან სცდილობს, რომ მაღლა როგორმე ავიდეს).

არ გესმის, კედელს იქით გადასავარდნია? იქ ამსვლელს ფრთები უნდა ესხას. შენ-კი უკვე დაგ-მტერევია ეგ ფრთები.

**ჭენრიხი.** დამტერევია თუ არა, სულ ერთია, მე მაინც აყალ. ის შენობა, ბებერო, ჩემი ნამოქმედარია, მე ვარ ის ვიღაცა, ვინც ეს ტაძარი შეჰქმნა: მთლად ჩემი არ-სება, ჩემი სული ჩავბერე ავ ტაძარს... მაგრამ იწვის... და მე-კი არ შემიძლიან... ძალა აღარ მაქვს... არა... რომ...

(სიჩუმე).

**გიტერის.** ცოტა დაისვენევი. ჯერ კიდევ ბნელა. აგერ სკამი. დაჯექი.

**ჭენრიხი.** დავისვენო? და ისიც ეხლა? არა! მთლად თივთიკშიაც რომ ჩამაშვინო, ისაც კი ვერ წამიტყუებდა, ჩონ-ჩხების გროვად მეჩვენებოდა. თუნდაც დედას,— მაგრამ ვად, რომ დიდი ხანია მომიკვდა ისიც, მშობელს დედას ეკოცნა ჩემთვის გაყინულს შუბლში, ისიც-კი ვერ დამამშვიდებდა.

**გიტერის.** ვინ იცის აგრეც იყოს, არ აგიხირდები. მაგრამ მოიცა, ვგონებ, სარდაფუში ღვინო უნდა მქონდეს.

**ჭენრიხი.** მოცდა, არა, მოცდა არ შემიძლიან! წყალს დავლევ! (ჭენ ეცემა).

**გიტერის.** ამოიღე, მაშ, და დალიე.

(ჭენრიხი ჭის პირად ჩამოჯდება, წეალს ამოიღებს და დაჭ-ლებს. უცბად ჭიდგან ნელი და ტკბილი ხმა მოქსმის).

**ხმა.** ჭენრიხი, ჩემო საყვარელო,

ტალღა მაწევს, ტალღა მძირავს.

ავათა ვარ... ვიტანჯები,

მყინვავსა და არა მწირავს...

მშვიდობით, მშვიდობით!

(სიჩუმე)

**ჭერისა.** მითხარ, ბებერო, ვინ იყო ეს!? ასე საცოდავად, ასე წყნარად ვინ მეძახოდა: მშვიდობითო? ან შენ ვინა ხარ, მე სადღა ვარ? ასე მგონია ეხლა გამომეღვიძა, აგერა კლდეა, აგერ ქოხი, შენც აქა ხარ,— ყველა ეს ნაცნობია, მაგრამ თან უცხოც. ან იქნება, რაც-კი რამ დღემდისა ვნახე, მხოლოდ სიზმარი იყო? შენ ვინ ხარ?

**გიტტისა.** ვინა ვარ? ეგ რა საჭიროა. შენ ის სთქვი, თვითონ ვინ ხარ?

**ჭერისა.** მე? ვინა ვარ მე? გინდა გაიგო, ბებერო? თვითონაც ბევრჯელ ჩავეკითხე მაღალს ზეცასა,—ვინა ვარ-მეთქი? მაგრამ პასუხს ვერ ველირსევი! გმირი ვარ თუ არარაობა, ან მხოლოდ სუსტი ადამიანი, სულ ერთია,—ვიცი, რომ მზეს, ჩემსა მშობელსა, სული ესწრაფვის. ვნაღვლობ უძლურად მზისათვის, თვალით თუ გულით, მუდამ მისის ნათლისა და სხივების მოტრაფიალე ვარ, მსურს განუყრელად ჩემთან იყვნენ, მაგრამ ვერა ხერხდება... მაგას რას აკეთებ?

**გიტტისა.** აი, ჰნახავ, რასაც ვაკეთებ.

**ჭერისა.** ეგ კარგია? მაგ სისხლის ფრად მანათობელ ფარნით გზა გამინათე, რომ იქ, მაღლა, კვალად აღვიდე. ამ კლდეებზედ ხომ მე ვიყავ ერთს დროს მბრძანებელი. იქ დავლევ სიცოცხლეს, ვით განდეგილი, ქვეყნის ზრუნვასა და კაცთ უფლებას მოძულებულ-მოცილებული.

**გიტტისა.** არა მგონია, რომ აგრე იყოს. რასაც შენ იქ, მაღლა, დაეძებ, სულ სხვა ადგილს არის.

**ჭერისა.** მერე, შენ საიდან იცი?

**გიტტისა.** განა, ეგ ვიცი მარტო? არ იყო ხალხი მოგდევდა. მაშ! ხალხი მგელია, თუ სდევნის ვისმე. მაგრამ საკმაოა სიკვდილი გაახსენოთ და წამსვე ცხვრის ფარად გადაიქცევა. ასეა მუდამ. ყოჩალები არც



მეცხვარეები არიან! ჰყავირიან: არიქათ, თავს უშეფერო  
ლეთო! და ძალებს უსევენ—მგელს-კი არა—არა!  
ისევ თავისს ცხვრებსა და მგელს აჭმევენ. არა,  
ერთი ეს მითხარი, თითონ შენ-კი, განა, სხვებზედ  
ბევრით უკეთესი ხარ? შენ არ იყავი, რომ ვითომ  
ნათელს ცხოვრებას ეძებდი და სიკვდილს-კი ვაუკა-  
ცურად ვერ შეეგებე.

**ქენიახ.** ეჭ, არ ვიცი, ბებერო, როგორ მოხდა, რომ ნათელს  
ცხოვრებას ხელი ვკარ. დიახ, დიახ. ხელოსანი ვი-  
ყავ და ჩემს ნაშრომს შეგირდესავით გავექცი. ზარმა,  
რომელიც მე შევქმნ, თავისის ნაღვლიანის, მწუ-  
ხარე ხმით მევე შემაკრთო, დამიმორჩილა; მაგრამ  
ჩამომსხმელის ხელი მაინც მშრანებლად დარჩა და  
მთლად დავამსხვრი ჩემი ქმნილება!

**გატტიხ.** რაც იყო, იყო, მორჩა, წავიდა. უკან ვეღარ დავა-  
ბრუნებთ. იქ, მაღლა, ასვლას ვეღარ ეღირსები.  
ძლიერი იყავ, მაგრამ დაჭკარგე ძალა. საქმისათვის  
იყავ მოწვეული, მაგრამ რჩეული-კი არა. მოდი, აქ  
ჩამოჯექ.

**ქენიახ.** მშვიდობით, ბებერო!

**გატტიხ.** გეუბნები, მოდი-მეთქი. რისდამიც აგრე ძლიერად  
მიგწევს გული, ახლა მხოლოდ ფერფლის გროვა-  
ლაა. ცოცხალს-კი, როგორც ამბობენ, სიცოცხლე  
თურმე იზიდავს. იქ-კი ვერასოდეს ვერ ჰპოვებ მასა.

**ქენიახ.** მაშ, დეე, ისევ აქ მოვკვდე.

**გატტიხ.** აგრეც იქნება. ვინც შენსავით აგრე მაღლა აიწევს  
ნათლის სფერაში და ისევ ჩამოვარდება, უთუოდ  
დაიჩეხება.

**ქენიახ.** მეც ამასვე ვგრძნობ. ვხედავ, რომ დღენი მელევა.  
გათავდა ცველა.

**გატტიხ.** აგრეა სწორედ.

**ჰენრიხი.** მაშ თუ აგრეა, შენთვის ხომ საიდუმლო თითქმის არა არის რა, მითხარ უკანასკნელად: საწადელს მივაღწევ თუ არა? ვპოვებ თუ არა, რასაც ამდენი ხანია ვეძებდი? მითხარი, ნუ-თუ ამ სიბნელიდგან ისევე უარესსა და უსაზარელესს სიბნელეს უნდა შევუერთდე და დაკარგულს ნათელს ვერ ველირსები, ველარ ვიხილავ?

**გიტრიხი.** ვისი ნახეა გინდა?

**ჰენრიხი.** მისი, მისი! სხვა, აბა, ვისი!?

**გიტრიხი.** ჩაიფიქრევი, მაშ, და აგისრულდება.

**ჰენრიხი** (სწრაფად). ჩავიფიქრე!

**გიტრიხი.** ჰაახავ.

**ჰენრიხი.** ნუ-თუ ეს მართლა შესაძლებელია? ამდენი ძალაც გაქვს, განა? მაშინაც სიკვდილის პირად ვიყავი მიღწეული, სულთ-მობრძავი, მაგრამ მოვიდა იგი და გაზაფხულის სასიცოცხლო სიოსავით გულში ჩამბერა, გამაცოცხლა, მომარჩინა; აგრე ახლაც სულ მთლად მომეშვა, თითქოს ძალას ვგრძნობ, რომ კვალად აღვიდე იმ სიმაღლეზედ....

**გიტრიხი.** არა, ეგ-კი აღარ მოხდება. მეტად მძიმე ბოლო-თ-რია გეწვევა დედამიწისაკენ. და შენი მოძმენიც—ხალხი—ძლიერი არის: ვერა სძლევ. გესმის, აი: მაგიდაზედ სამს ფიალას დავსდგამ. ერთში თეთრი ღვინოა, მეორეში—წითელი, მესამეში—ოქროს ფერი. პირველს დაპლევ, ძველებური ძალ-ღონე დაგიბრუნდება; მეორეს—უკანასკნელად მოგევლი-ნება ის ზეციური ნიჭი, რომელიც ახლა დაკარგული გაქვს. მაგრამ იცოდე, ვინც ამ ორს ფიალას დაპლევს, იმან უთუოდ მესამეც უნდა დალიოს. (ქთხისაკენ მიდის, მაგრამ უცბად შედგება და წენარად,

გარშემოთ უებნება) ხომ გაიგე: უნდა უთუოდ და-  
ლიო. გათავებულია!

(მიღის)

(ჭენრისი სწრაფად წამოსტება. ვიტოსა რომ იტევის:  
გათავებულიათ! ჭენრისი გაფირდება, უკან წაბარბაცდება. შემ-  
დებ დაუძლურებული დაეშება სკამზე).

**ჭენრისი.** დიახ, გათავებულია... გათავებულიაო, სთქვა გულ-  
თამხილავმა სივილლამ... ოჯ, გულო, გულო! ჰერძ-  
ნობ, რომ ამ სიტყვამ სიცოცხლის ძაფი სამუდამოდ  
გასწყვიტა? ყოველივე ასრულდა. დაყოვნება ფუჭი-  
ლაა. ხეობიდამ განთიადის სიომ დაპერა. ამ ღამის  
ბნელს ზეწარს რომ დღისა ნათელი დაპევეწს, ეს  
დღე ჩემი აღარ იქნება. ბევრი დღე დამიღამებია,  
მაგრამ უკანასკნელი ჩემთვის ვეღარ გამოაშუქებს.

(პირველს ფიალას აიღებს)

აგწევ ფიალავ, ვიღრე სამარადისო სიბნელის უტყვო-  
ბა ჯერ კიდევ არ შემხებია, არ დავმუნჯებულვარ.  
ვხედავ, ძირში ერთი ცვარი-ღა სდგას; ნუ-თუ ბე-  
ბერს მეტი აღარა ჰქონდა?

(დაჭულებს)

ახლა მეორე.

(აიღებს მეორეს)

შენთვის დავლიე პირველი, მაგრამ ეგ შენი სუნე-  
ლოვანი შუშეუნა სასმელი რომ არ მეგემნა, იმ მეჯ-  
ლისისთვის, რომელიც ღმერთს ჩვენ, საცოდავ უბე-  
დურთათვის, გაუმზადებია, მაღლობას უთუოდ არ  
ვეტყოდით; ახლა-კი მაღლობელი ვარ.

(ჭეგამს)

ეს-კი ტკბილი და სამურია სწორედ. (ჭენრისი რომ  
ჭეგამს, ამ დროს ეთლას არფის სმა ისმის. მთლად და-

დაჭული, გადაფირებული და მწესარე რაუტენდლეინი  
ჭიდან ამოვა, ჭის შირად დაჭდება და გრძელს თმებს  
ივარცნის. მოვარის შუქა).

ଶୁଣିବାରେ ମଧ୍ୟରେ କଥା ହେଲା (ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା ମଧ୍ୟରେ)।

მშვენიერი რაუტანდლა,  
მარტოდ-მარტო ბნელა ღამით  
თმას ივარცხნის ოქროს ფერსა,  
სძინავს ყველა ტყის ჩიტებსა.  
ცეცხლი ჩაჭქრა, ჩაიმუშმლა,  
მთამ ბურუსი ჩამოშალა...  
(წელის ბერი ჭიდან)

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ. ହାତୁଆନନ୍ଦଙ୍କୁ!

“ უტენდლეინი. მოვდივარ!

## ବ୍ୟଙ୍ଗୀର୍ଦ୍ଧି ପାଇଁ କାମିକାରୀ

କାହାରେ ଦେଖିବାକୁ... କାହାରେ ପାରିବାକୁ... କାହାରେ ମାରିବାକୁ...

საბრალო ვარ დაწყევლილი...

წევდის ბერი. რაუტენდლეინ!

ରାଜ୍ୟପାନ୍ଦିତଙ୍କୁ ମୋହାଲି.

**ବ୍ୟାଙ୍ଗିକ ପରିଷଦ.** ମାର୍ଚ୍ଚନାତ.

რაგოენდლეინ. თმას ვივარცხნი მოვარის შუქზედ... და სულ  
იმაზედ-ლა ვფიქრობ, ვინც მიყვარდა, გამახარა...  
აგერ ზარის თავა ყვავილი ბიბინებს და უკრავს თა-  
ნა, მაგრამ ბეღნიერებას თუ მწუხარებას, არ ვიცი?  
მგონი ორივეზედ უნდა ამბობდეს რასმე... ძნელია  
ტბის ძირად ცხოვრება, იქ მხოლოდ წყალი და შლა-  
მია, მაგრამ წყლის ბერი მედახის და მეც უნდა წა-  
ვიდე.

(ଫୁଲ ରୂପରେ କାହିଁଏବେଳେ)

ვინ არის, ნეტა, ასე წყნარად რომ მეძახის?

କ୍ଷେତ୍ରକଣ୍ଠ. ୧୯.

କାଷ୍ଟରେନ୍ଦ୍ରଜୀନ୍ ଶ୍ରେଣ୍ଡିଙ୍ଗାର୍ଡିଙ୍କାର୍ପାର୍କିଙ୍ଗ୍

**ჭერიახი.** მომიახლოვდი: ნუ-თუ ვერა მცნობ?

**რაუტენდლეინი.** არა, ვერა გცნობ, გირჩევ წახვიდე! თორემ ვლუპავ ყველას, ვინც-კი ჩემთან ლაპარაკობს.

**ჭერიახი.** ნუ მტანჯავ, მომე ხელი და მიცნობ.

**რაუტენდლეინი.** არა, არასოდეს მე შენ არა მცნობიხარ...

**ჭერიახი.** როგორ! მაშ ჩვენ ერთმანერთი არსად გვინახავს?

**რაუტენდლეინი.** არ მახსოვს.

**ჭერიახი.** მრისხავდეს ღმერთი, მაშ, თუ მე შენთვის არ მე-კოცნოს.

**რაუტენდლეინი.** არასოდეს.

**ჭერიახი.** მაშ შენ ჩემთვის არსად გიყოცნია?

**წელის ბერი** (ჭიდან). რაუტენდლეინ!

**რაუტენდლეინი.** მოვდივარ.

**წელის ბერი.** დროა სახლში დაბრუნებისა.

**ჭერიახი.** ეგ ვინ-და ლაპარაკობს მანდა?

**რაუტენდლეინი.** ჩემი ქმარი.

**ჭერიახი.** ვერ მხედავ, განა: ვიტანჯები, სიკვდილს ვებრძვი,  
ვილევი; ნუ მტანჯავ, გამანთავისუფლე როგორმე!

**რაუტენდლეინი.** მერე, რა გინდა?

**ჭერიახი.** მოდი ჩემთან.

**რაუტენდლეინი.** არ შემიძლიან.

**ჭერიახი.** არ შეგიძლიან? რატომ?

**რაუტენდლეინი.** იქ, წყალ ქვეშ, ფერხულს ვაბამთ და ვცეკ-  
ვავთ ხოლმე. ფეხი დამიბუჟდა, მაგრამ დავიწყებ  
ცეკვას და გამივლის, არა უშავს-რა. მშვიდობით,  
მშვიდობით...

**ჭერიახი.** ნუ წახვალ... ნუ... სად მიხვალ?

**რაუტენდლეინი** (ჭაში ჩადის, ჩაიმალება თითქმის). იქ, სად მუდამა  
ბნელა.

## დაშირული ზარი

**ჰერიხი.** იქ... ფიალა სდგას. ოჲ, მაგდა... მაგდა... როგორ  
გაფიტრებულხარ... მოდი ეს ფიალა მომაწოდე...  
ვინც ფიალას მომაწოდებს, მეც მას დავლოცავ  
უკანასკნელად...

**რაუტენდლეინი** (მიუახლოვდება). მე მოგაწვდი!

**ჰერიხი.** როგორ, შენ გინდა, მაშ, მომაწოდო?

**რაუტენდლეინი.** მიცვალებულებს თავი დაანებე.

**ჰერიხი.** ვგრძნობ, ზეციურო არსებავ, შენს მოახლოვე-  
ბას!..

**რაუტენდლეინი.** მშვიდობით! მე შენი აღარა ვარ. ერთს დროს  
კი შენი ვიყავი, გიყვარდი: პყვაოდა მაშინ ჩვენთვის  
მაისი... ეხლა კი ყოველივე სამუდამოდ გაჰქრა...

**ჰერიხი.** გაჰქრა?..

**რაუტენდლეინი.** სამუდამოდ... გახსოვს: ვინ იყო, რომ სიმ-  
ღერით გაძინებდა და მერმე ისევ ასეთის მომხიბლვე-  
ლის ხმით გაღვიძებდა?

**ჰერიხი.** შენ, ძვირფასო, შენ...

**რაუტენდლეინი.** ვინა?

**ჰერიხი.** რაუტენდლეინი!

**რაუტენდლეინი.** ვის ჰყარი ხელი და მოიშორე?

**ჰერიხი.** შენ.

**რაუტენდლეინი.** ვინა?

**ჰერიხი.** რაუტენდლეინი!

**რაუტენდლეინი.** მშვიდობით! მშვიდობით! მშვიდობით!

**ჰერიხი.** მეც თან წამიყვანე, თან წამიყვანე... ღამდება...  
ყველას შესაზარად...

**რაუტენდლეინი** (მიჭიარდება, მუხლებზედ მოეხვევა და აღტაცებული  
წამთიძახებს). მზე ამოდის!

**ჰერიხი.** მზე!

**რაუტენდლეინი** (ქვითინითა და აღტაცებით) ჰერიხი! ჰერიხი!

အေဂျင်န္တဝါရံ၊ ဂမာလွှဲကဲ့...

იქ... მაღლა... ჰერეკვენ... ზარები ჰერეკვენ... ცა  
განათებულია... და შზეც... მზეც ამოდის!..

१६-१६०.

(ଗୁଣତରାଫଳ)

# ତମିଳପବିତ୍ରମାଣୀ

ଫର୍ମନ ପାଇଲାର କୁଞ୍ଜଗର୍ବ୍ରାତା ୯ ମହିମାରୁତ୍ସନ୍ଧି.

ମହାକଥାର ଅନ୍ତରେ

ଯୁଗରୁଦ୍‌ଦିନାନ୍ତର,—ଇତିହାସର କରନ୍ତିଲି.

ଦୀର୍ଘବ୍ୟାପିତା,—ଏଥିର ମେଲାରୁତ୍ତି.

ପ୍ରତିକର୍ତ୍ତାର ପରିପାଦା,—ଦେଖି, ଇତିହାସର ଦିନରୁତ୍ତି ନିର୍ମାଣିତାରୁ.

ଦେଖି—କାନ୍ତିକ ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଗୁରୁତ୍ବି ଦୁର୍ଗମାର୍ଥି.

ଦେଖି—କାନ୍ତିକ ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ମାର୍କିତା ନିର୍ମାଣିତା.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

ଦେଖି—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି,—ଦ୍ୱା-କାନ୍ତିକାନ୍ତି.

## პირველი მოძღვადება

## შირგელი სურათი

(სცენა წარმოადგენს კატალინიას<sup>1)</sup>). გარეშე მთის სერი. ლა-  
ტერანის<sup>2)</sup> მონასტერი, ავგუსტინების<sup>3)</sup>) ბერების სადგომი. მონას-  
ტრის ქველი სასაფლავო. ხშირი ბადი. შეა დღეა. უვაკილები.  
ბალახებში და ხის ძირებში მოჩანს საფლავები, ჯვრები, ძეგ-  
ლები. სცენის სიღრმეში მოჩანს მონასტრის გალავანი, დაძვე-  
ლებული. ერთს ალაგას ეს გალავანი გარდესულია, ქვები ერთა.  
ამ გალავანთან ერთს საფლავს არწყება რკინის ჭვარი; ამისთა-  
ნავე ჭვარი მოჩანს გალავანის ერთს ბეღელზედ. სცენის შეა  
გულზე სჩანს ასლად ასთასრილი საფლავი და აშის გვერდით  
დიდი თლილი ჭვა, ზედ დასაფარებლად. ამ საფლავში უნდა  
სჩანდეს კიბე რამდენიმე საფეხურით.—ფარდა რომ აიხდება,  
სცენაზედ დგას ამ მონასტრის უფროსი ბერი, ავგუსტინების  
ანაფლაში მოსილი; სცენის სიღრმეში კი ნელის ნაბიჯით  
გაიდა-გამიავლის მოხუცი ბერი, დომინიკანელი<sup>4)</sup> ბერის ტანთ-  
საცმელი ჩატმელი. ეს ბერი ნელა მოძრაობს, უცველ საფლავთან  
დაიხრებს და ჩუმად ლოცვულობს, შემდგებ სრულებით გავა სცე-  
ნიდან. უფროსი ბერი მარტო რჩება).

1) კატალინია,—ძველს ისპანიის საკოროლოში იყო დიდი სათავადი-  
შვილოს მაზრა.

2) ლატერანის მონასტერი იყო უპირველესი მონასტერი ქალაქს  
რომში, რომის პაპის უწინდელი საცხოვრებელი.

3) ავგუსტინები, — ესე იგი: ღვთის-მეტყველები; ამათ ჰქონდათ თა-  
ვისი საკუთარი მონასტერი. ამათი ტანთ-საცმელი იყო: შავი ფერის ანა-  
ფორა, ქვეშ ჩასაცმელი თეთრი, განიერი ტყავის შემოსარტყავი და ფეხ-  
შიშველნი დადიოდნენ.

4) დომინიკანელი; — იყო ერთი ბერი, სახელად დომინიკე, რომელ-  
მაც დაარსა ისპანიაში თავისი მონასტერი, რომლის ბერებიც სდევნიდნენ  
ერეტიკოსებს.

ՅՈՒՆԵՍԿՕ ՏԱՐԱՏԱՅՈ.

## ମନ୍ଦିରକୁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

(მედიოტია; თავის გარეშემო არტენა ჭალანა თმა, წევრი თეთრი, უბრალო მატელის ანათერა აცვია. მონასტრის გადავანს თვალს გადავლებს და დაზიქრებული გარს უვის საფლავებს).

ბერ არის მოვლილი ჩვენი მონასტერი! ყველგან  
ასკილია, ჯაგი და ეკალი. დრო წმიდა აღვილებსაც  
კი ავერანებს (გადავნის გარღვეულს ადგილს შინჭავს).  
ამ ნანგრევიდან მწირიც კი აღვილად გაიპარება.  
თითქო გალავანსაც მოსწყენია სამსახური; დიღი-  
ხნის დგომით თითქო დაღალულიყოს. ოჰ, როგორა  
ჰგავს ეს ყოველიფერი ჩვენი უფლებების დარღვევას.  
აქაც კი ყოფილა თავისი უანგი, თავისი ხრწნილება.  
აღარც მოვლა, აღარც ყურადღება, აღარც წესი  
და აღარც აღათი,—მოისპო, აღარ არის! დავეცით,  
დავეცით! ისიც კი არა გვჯერა, რომ ჩვენ შორის  
იყოს ბოროტ-მოქმედება, შური და მტრობა. მთავ-  
რობა ძალას გვატანს ბატონიშვილების ბიჭ-ბუჭების  
აღზრდაზედ, ყველას—გოგო-ბიჭებსაც კი გვასწავლე-  
ბინებენ. ვინ იცის, იქნება ბუშებიც კი იყვნენ? რა  
გაეწყობა, მორჩილნი ვართ! (ახლად ამთხორილ საფ-  
ლავთან გაქერდება) და თუ შეგვრჩა-ლა რაიმე ძალა  
და უფლება საქმის განხილვისა და სჯისა,—ისიც  
მხოლოდ ჩვენ შორისვე (ისევ გადავანს შიუბრუნდება).  
ჩვენი უძველესი შენობაც კი, ჩვენსავითვე, დროთა-  
ვითარებისა გამო იღრიკება, ბერდება, ირლვევა.  
ქრისტე სისხლით ილევა, ჩვენ კი ხელის ცეცებითა  
ვერძნობთ ჩვენ თავსა და თან-და-თან ვიმალებით  
სიწყვდიადეში და სიწბილეში. (გადავნის გარღვეულში  
გამოჩნდება უცნობი გაცი, სირდა მოსხმული, შლიახა ზედ



თვალებზედ აქვს ჩამოთვარებული. ეს კაცი ნანგრევშექმნავა  
ზედ შედგება. ბერი თვალს მოჰკრავს).

**ბერი.** აღამიანო, წალი აქედან!

**უცნობი.** არ წავალ!

**ბერი.** წალი, მეთქი!... და გახსოვდეს, ბრიყვო, რომ აქ  
სასაფლავოა!

**უცნობი.** რაო მერე?

**ბერი.** სახელ-განთქმული მონასტერია აქა!

**უცნობი.** ჰო, ო?!...

**ბერი.** აქ არავინ შემოღის, თუ არ ბერები დღისით და  
მკვდართა სულნი—ლამით, თავიანთ სულარაში გა-  
ხვეულნი; ვინც უნდა შემოვიდეს, მოწყალება აქა  
არავისთვის არ არის. ცული—თუ ჰერცოგია, და  
თოკი—თუ გლეხია! აქ შემოღიან მხოლოდ ისინი,  
ვინც ამ მონასტერს ეკუთვნიან. მაშ ფრთხილად,  
მეთქი! გაეთრიე აქედან, უვარგისო! (დაცინვით და  
უზრდეჭად) თუ რომ თვითან კოროლი არა ხარ!

**უცნობი.** ვარ.... კოროლი!

**ბერი.** შენა—კოროლი!?

**უცნობი.** აგრე მებახიან!

**ბერი.** რამ უნდა დამიმტკიცოს მე ეგა?

**უცნობი.** აი რამ! (ხელით ანიშნებს. ნანგრევიდან გადავანში უცბად  
შემთცივა ერთი დასი შეიარაღებულ სალდათებისა. კორ-  
თლი სალდათებს ბერს უჩვენებს) ჩამოახრჩეთ! (შემოვ-  
ლენ სალდათები სცენაზედ, ბერს გარს შემოერტყმიან;  
მათ შემოჰკევებიან: მარკიზ დე-ჭუენტლ და გუჩო. მარკიზ  
დე-ჭუენტლ ჭადარა წვერიანი, ალექანტანის) მდიდარს  
ტანისამოსში მორთული. გუჩო—მომცრო ტანის ჭუჭა, შა-

5) ალკანტარა; —არაბული სიტყვაა, რომელიც პნიშნავს: „ხილი“.  
ისპანიაში იყო ფრიად გამავრებული ციხე, მდინარე ტაგოს მარცხენა კიდე-  
ზედ. აქვე იყო დაარსებული ალკანტარას მონასტერი, რომლის ბერები  
ისპანიის სამზღვარს დარაჯად უდგნენ მავრების წინაშე.

ვებში ჩატული, ქედი ჟღარუნებით. სელებში უჭირავს  
თრი ჟღარუნა, ერთი აქრისი, კაცის გამოსახვით, მეო-  
რეში—სპილენძისა—ქალის გამოსახვით).

### მიორი სანახავი

**ბერი.** გორგოლი, მარკაზ დე-ფუნტლ, გუჩო,  
ამაღა და სალდათება.

**ბერი.** (მუხლის მოდრეებით). შემიწყალეთ, მეფევ!  
კოროლი. კარგი!—ერთის პირობით კი... რა ხარ ამ მონას-  
ტერში?

**ბერი.** წინამძღვარი გახლავართ.

**კოროლი.** მაშ გამიგონე! ყველაფერი უნდა შემატყობინო,  
რაც აქა ხდება. ტყუილი თუ სოქვი—ჩამოგახრჩობ!  
მართალი თუ სოქვი—შეგიწყალებ! (მოშორდება ბერს,  
რომელიც სალდათების ჯგუფში რჩება, და მიუხსოვდება  
მარკაზ დე-ფუნტლს, რომელიც ავან-სცენზედა დგას)  
მარკი! ლოცვით დავიწყოთ! (წამოსახასის მთისნის  
და მსახურს მისცემს და დარჩება ალკანტარის ტანისა-  
მოსში, ხელში სქელი დაცვანი უჭირავს. რამდენისმე ხანს  
სიჩუმეა, დაცვანსა კითხულობს, მერე მარკაზს ეტევის)  
დედოფალი შორს არის. მე ახლა ვცოცხალვარ! რა  
კარგია—მარტოდ ყოფნა! რომ დავქვრივებულვიყავი,  
უფრო კარგი იქნებოდა. მე ვიცინი!

**გუჩო.** (მიწაზედა ზის; ჟღარუნები სელში უჭირავს და ერთს  
საფლავს მიუუდება. იქით). შენ იცინი, შენი სამეფო  
კი სტირის!

**კოროლი** (მარკაზს). ამ მონასტრის გაცნობა მინდა; ამისი  
მიზეზი დიღია: ახლავე შეიტყობ. მომიახლოვდი!  
(ხელით ანიშნებს, რომ განზე გადგნენ და მიუხსოვდება  
იმ საფლავს, სადაც გუჩო წევს).

**მარკაზ.** გისმენ, მეუფეო!



- გუჩი** (იქთ). მე კი ვუსმენ ქარს, რომელიც თქვენი ნა  
მოქმედარის ზემოდანა ჰგერავს.
- კოროლი** (მარკიზი). ერთს საიდუმლო საქმეზედ რჩევა მინდა  
გკითხო.
- გუჩი** (იქთ). ეჭ, მე კი ოღონდ ვსჭამო და ვიძინო!
- მარკიზი** (კოროლი). გუჩი ხომ არ გავაგდო?
- კოროლი.** არა... მაგას არა ეყურება რა! (გუჩის) მანდ იწექი!  
(გუჩი, რამდენადაც შესაძლებელია მთიკუნტება კოროლის  
ზურგს უკან. კოროლი მიუახლოვდება მარკიზს). მარკიზ,  
ლამაზი ქალები ძალიან მიყვარს. შენში ის მომწონს,  
რომ სირცხვილისა არ გეშინიან; თუ უწინ არ გე-  
შინოდა. შემდეგ, შე ბებერო, ფარისეველი, სალო-  
სი გახდი. ძალიან კარგი! ესეც მომწონს! მაგრამ  
სარწმუნოება კაცს ამშვენებს, ადამიანს უკეთესადა  
ხდის, ლაქა მოცხებულს ასუფთავებს (ზირჯვარის  
იწერის).
- მარკიზი.** ეს მონასტერი, მეფევ, რომლის გაცნობა გსურთ,  
ემორჩილება ორს მთავრობას,—ერთი გახლავსთ  
კაგორში<sup>6</sup>) და მეორე—გენტში<sup>7</sup>).
- კოროლი.** შენ განთქმული შურიანი იყავი, ეხლაც მაგისთანა  
ხარ! ამბობენ, ბევრს ლამაზ ქალებს, შენი გულისა-  
თვის, ბევრი სისულელე ჩაუდენიათო. შეუძლებელი  
იქნებოდა, რომ შენ მშვენიერ პაჟად ყოფილიყვი  
და, მართლაც, რატომ არაო? დილა—მხიარული,  
დღე—ღრუბლიანი. ხომ მოხდება ხოლმე ასე? იცი,  
შენზედ რას ამბობენ? ვითომც ერთ ღროს სასახ-  
ლის ხელთ-მსახურათა ყოფილხარ თურმე? შენ გე-  
ძახდნენ როდისმე—გავრონად?

<sup>6)</sup> კაგორი,—არის ქალაქი და დიდი ციხე, სადაც დაიბადა რომის  
პაპა იოანნე თუდა მეორე; საფრანგეთში.

<sup>7)</sup> გენტი,—ერთი დიდი ქალაქის სახელია; გენტის მცხოვრებლები  
ისპანიის მეფის წინააღმდეგნი იყვნენ.

**მარგაზ.** არა. რისთვის?

**კოროლი.** იმისათვის, რომ, როგორც დარწმუნებით ამბობენ, შენი სიმღაბლით და ცბიერობით დაეფარათ შენი კავშირი პრინცესასთან.

**მარგაზ.** მე, არასდროს!

**კოროლი.** ისიც მითხრეს, ვითომც შენ ერთის სულელ კოროლისათვის მემკვიდრე ვაჟი გეჩუქებინოს. არ იყიან მხოლოდ, სად და რა ქვეყანაში მოხდა ეს ამბავი. ტყუილი უნდა იყოს, უთუოდ!

**მარგაზ.** რასაკვირველია, ტყუილია. თქვენ მე გრაფობა მომანიქეთ და ამიტომაცა მტრობენ.

**კოროლი.** სრული უფლებაცა აქვთ! ჩემი წესი ის არის, რომ თუ გინდ მართალიც იყოს, თუ გინდ ტყუილიც იყოს რამე, მე მაღლა მინდა ვიდგე იმაზედ, რასაც კაცის ჭკუა გამოიგონებდეს; მეტადრე მაშინ, როცა საქმე მე არ შემეხება. მე—კოროლი ვარ! შენი ჩამომავლობა, თუ გინდ ტაკი-მასხარასთან იყოს შეკავშირებული, თუ გინდ ხელთ-მსახურთან, შენი ბოროტ-მოქმედება, შენი შურიანობა—ჩემთვის მეტად სასარგებლო არის! ვერავინ ვერ იტყვის, და ვერც შენ თვითონ, თუ ვინ იყო მამა შენი. მე აღტაცებული ვარ იმითი, რომ შენ ისე დამალე შენი ჩამომავლობა, ისეთ დროს, როცა სუკველის თვალის წინ იდექი: ზღვის ყვავის ბუდე, ხვლიკის სორო, შესაძლებელია, რომ შენი ოჯახი იყო, რომელიდამაც შენ გამოხვედი შერტხვენილი და მაწანწალა. მე შენ გრაფის წოდება მოგანიჭე, კასტილიის<sup>8)</sup> გრანდად<sup>9)</sup> გაგხადე, მარკიზად; სასირცხვო

8) კასტილია,—დიდი მაზრა არის ისპანიაში, რომელშიაც არიან ქალაქები: ბურგოსი, ლოგოროვო, სანტანდერო, სორია, სეგოვია, ავილა, პალენსია და ვალიადოლიდა.

9) გრანდი,—ისპანიაში მაღალ-ხარისხოვანი აზნაურების წოდება.



აღმაღლება და წოდება, შენგან კარგად დახმასურებ-  
ბული, საძაგლად ნაშოვნი. შენ ადვილათ მოქმედობ  
ცბიერობითაც და ძალ-დატანებითაც. შენ შეებრ-  
ძი მთელს ბრძოს და შიგ რომ ეშმაკიც იდგეს,  
მაინ განდევნი. შენ თავხედი ხარ და მასთან მოხერ-  
ხებულიც. თუმცა კი დაბადებული ხარ, რომ სხვის  
წინაშე იკლაკნებოდე, მაგრამ არაფრის შიში არა  
გაქვს. შენ კარგათ იცი, საჭიროებისამებრ, თავის  
განწირულება და შენ, ბებერო, მაშინ მზათა ხარ  
ხმალსა სატაცო ხელი. შენ სხვას ურჩევ ბოროტებას,  
მაგრამ თვითონ შენ კი არ ჩადიხარ. შენ, გრაჭო,  
ისე იქცევი, რომ არც ერთს საქმეში შენ არას  
დაიბრალებ და ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ  
შენ ყოველ-ნაირის საქმისათვის მზათა ხარ; სიყვა-  
რულისათვისაც კი მზათა ხარ, რომ შეიყვარო ვიხ-  
მე. რომ დავუჯეროთ, რასაც ამბობენ, შენ ჯერ  
მსახური იყავი და ავაზაკად გახდი; და ავაზაკი—  
სასახლის კაცად. შენ საქციელზედ მეცინება. დიდის  
სიამოვნებით ვუცქერ ხოლმე ანკარა-გვლის დაკლა-  
კვნას. შენი განზრახვა, რომელსაც ჩუმად ბადესავითა  
ქსოვ, ჰვავს იმ ძაფს, რომლის ბოლო არსადა სჩანს.  
შენი ნიჭი, შენი ჭკუა, შენი შეძლება, ყოველი შენი  
უწმინდურება, სულ ერთიანად ისეთ რადმე უცნაურა-  
თაგხდიან შენა, ისეთის უმადლოთა რისსამე გხდიან,—  
რომ შენისთანა კაცის სამსახური მიყვარს მე.

**მარგაზ.** მეფევ, თქვენ ხელთ არის ტაგოც<sup>10)</sup>, გვადალკვივი-  
რიც<sup>11)</sup>, ებროც<sup>12)</sup> და კასტილიის სამფლობელოსთან

<sup>10)</sup> ტაგო,—სახელი დიდი მდინარისა, რომელიც მიმდინარეობს ისპანიისა და პორტუგალიის სამზღვარზედ.

<sup>11)</sup> გვადალკვივირი,—სახელი დიდი მდინარისა, რომელიც მიმდი-  
ნარეობს ისპანიის უკეთესს მოსავლიან აღილებზედ.

<sup>12)</sup> ებრო,—უდიდესი მდინარე ისპანიაში, რომელსაც რომაელები  
ეძახიან: „იბერ“.

თქვენმა მეუფებამ ნეაპოლიც<sup>13)</sup> დაუმატა; საფრანგეთის კოროლს თქვენზედ თავისი ხმალი გადაუტყდა. ჩემის მეფის წინაშე აფრიკა თრთის; ყოველ დღე თქვენი ძალა თან-და-დან ჰუარავს ალეირს. თქვენ სოსსაში<sup>14)</sup> ხართ დაბადებული, ნავარრაზედ<sup>15)</sup> ისრე ახლო, რომ თქვენ გეკუთვნით მისი მფლობელობა და რომ არც ერთი მეფე უსასჯელოდ არ იბადება ქვეყანაზედ. მე მზა ვარ გამოვაცხადო, რომ ჯერ ძუძუ-მწოვარმა თქვენ დაიპყარით ეს სახელმწიფო. თქვენ, მეფე—კათოლიკე, დაადგით ფეხი ეკლესიას, რომელშიაც სუფევს რესპუბლიკანის დაწყობილობა; თქვენის მიზეზით, თვით რომის პაპი თრთის კოროლის წინაშე და თქვენს ნაბათთან მისი ზარის ხმა სწყდება. ეტნას ძირიდან მოყოლებული ინდუსტრიანი ნაპირებამდისინ თქვენი დროშები ფრიალებენ და გარდა ამისა თქვენ ხელთ არის კორდუანის გონზალვი.<sup>16)</sup> მაგრამ რა, თქვენ მარტო, სხვის დაუხმარებლად იგებთ ხოლმე ომის ბრძოლას. თქვენ ყმაწვილი ჰმეფობთ სხვა კოროლებზედ, ვითომც და მათი წინაპარი იყვეთ; რომიც კი, თავის განრისხვაში მარტო ბუტბუტებს, როცა ჰელავს, რომ მისი სასულიერო წოდების წარმომადგენელი მის მაგიერ იბრძვის თქვენს კატორლის მუშაობაზედ. ოჰ, მეფევ, ტოროს<sup>17)</sup> დამმარცხებელო! თქვენს წინაშე ვვრძნობ, რომ ყოველი ჩემი სიტყვა ფუჭია. თქვენა ხართ—თვით

<sup>13)</sup> ნეაპოლი,—სახელი დიდი ქალაქისა იტალიაში.

<sup>14)</sup> სოსსა.

<sup>15)</sup> ნავარრა,—უწინდელი დიდი მაზრა ისპანიაში, ახლა საფრანგეთს ეკუთვნის.

<sup>16)</sup> გონზალვი,—სახელი მეომარი კაცისა, რომელიც ისპანიის სამეფო ტახტის მაძიებლობის დროს განდევნილი იყო საფრანგეთში.

<sup>17)</sup> ტორო,—სახელი ისპანიის მიზრისა.

უუძლიერესობა, მე კი—თქვენი მტვერი. მე თქვენი ერთგული ვარ, მეფევ!

**ქორთლი.** სიცრუვეა!

**მარგაზ.** მეფევ!...

**ქორთლი.** შენის ერთგულებით, გთხოვ, ნუ შემაწუხებ. მე შენ-  
თვის ბნელი ვარ—შენ კი ჩემთვის—უუბნელესი. მე  
შენი ბატონი ვარ, შენ კი ჩემი მონა; მაგრამ ერთმა-  
ნერთი კი არ გვიყვარს; მე მრცხვენია ჩემი მონისა,  
შენ კი გძულს შენი მეფე შენ, თუ შეგეძლოს,  
მომკლავდი; და მე კი—იქნება როდისმე გავსცე ბრძა-  
ნება, რომ თავი მოგკვეთონ; მაგრამ, ამასობაში,  
მაინც მეგობრები ვართ მე და შენ (მარგაზს რიღა-  
სიც თქმა უნდა). ცბიერო, შეაჩერე შენი ენა! მე  
გძულვარ, შენც მძულხარ! ჩემში სიწყვდიადეა, შენ-  
ში ბნელი გულის-თქმა, ავხორცობა და ორივეს  
ჩვენს გულში ღიღი უფსკრულია. (მარგაზმ, კიდევ  
რაღაცა უნდა სთქვას, მაგრამ მეფე უშლის). კარგათა  
ვსცნობთ ჩვენ ერთმანერთს. ჩვენ ერთმანერთს თვალს  
ვადევნებთ და ამითი ჩვენვე ვხედავთ ჩვენს ავგუ-  
ლობას. შენს სიყვარულს, შენს ერთგულებას მე  
დავსცინი, ძველო მოლალატევ! მანამდისინ შენ გექ-  
ნება ძალა და ღონე, რომ ჩემის ჯიბიღან ზიღო აქ-  
როები, მანამდისინ შენი ანგარიში, ყოვლად სა-  
ფუძლიანი მე და შენ გვაერთებს; მე ვისარგებლებ,  
მარკიზო, შენის რჩევით, თუმცა კი ვიცი, რომ რაც  
უფრო მეტად იქნები გააფთრებული, მით უფრო  
ერთგულად მემსახურები. კმარა, მოიხსეინი პირ-ბადე!  
მეც ჩემსას მოვიხსნი! ასე მირჩევნია! მართლის  
თქმა.—ეს არის სხვისი შეურაცყოფა, რომელსაც მე  
ვერ მიბედავენ და მე კი ყველას ვეუბნები; როცა  
მოწმად გაიძვერა მოწამე მყავს, მაშინ მე გულ-წრ-  
ფელობა მირჩევნია. მეფის წინაშე თუ ჭეშმარიტებას  
არა აქვს აღვილი, მაშინ თვითონ მეფის ბაგეს აკე-

რია ჭეშმარიტება. და შენც, შენის მზაკვრულის ტრინით დაამტკიცებ, რომ მე, კოროლი, გულ-წრფელი ვარ და შენ კი, მსახურო ჩემო—ცრუ და მატყუარა ხარ! ახლა კი მოვილაპარაკოთ.

**მარჯვე.** მაგრამ....

**კოროლი.** მეფედ ყოფნა!—რა სამძიმოა! მე ვარ ყმაწვილი კაცი, აღსავსე სიმძაფრით, სიმძულვარით, გრძნობების აღიაქოთით, ცოცხალი, მდუღარე, ფიცხი, დამცინავი, აღსავსე ვნებით, ყმაწვილი კაცი, რომელშიაც არეულია სხვა და სხვა სისხლი, ცეცხლი, ჟინი, თითქოს ელვარების შეკრული კონა იყოს, რომელსაც სურს ყოველიფრის გარდატანა, ყოველისფერის გაპილწება, ყოველისფრის დამონავება, ქალების მწყურვალი, სიამოვნების მაძიებელი, უმანკოების ხილვას მოკლებული, ნადავლის მაშოვარი, გარყვნილების მიმდევარი, გულისა, კვნეტის და ფხრეწას გამოუცდელი; ვგრძნობდე თავით-ფეხამდის, რომ მე ვარ ნაყოფი აღამიანის თესლისა და ღამისა სიწყვდიადეში, ამ ჩინებულს ჯოჯოხეთში, მუდამ მეს-მოდეს ხმა, რომელიც მეუბნებოდეს: იყავ ოცნება, იყავ მოჩვენება!.. ოჰ!.. კოროლათაც რომ არ ვიყო, ოჰ, რა საშინელებაა! მარტო სახელმწიფო ყოფნა! ვგრძნობდე, რომ ყოველი ჩემი სურვილი, ყოველი ჩემი მისწრაფებანი, ჩემი ბუნებითი მიღრეკილება არის მხოლოდ რაღაც უსაშინელესი შემახორციელებელი სხვა-და-სხვა ქალაქებისა და სახელმწიფოებისა; ვგრძნობდე, რომ ქვით-კირის კედლები და მაზრები ირევიან ჩემს გულში, როგორც ნასკვი რისამე და ვეტყვი ჩემ თავს, როცა რუკასა ვხედავ: აი ეს—მე ვარ ქერონა<sup>18)</sup> —ფეხებათა მაქვს და თავის მაგიერად—ალკალა!<sup>19)</sup> ჰქედავდე შენს ჭკუაში, რომელიც ყოველ

<sup>18)</sup> ქერონა,—ერთი ქალაქია და მაზრაც საფრანგეთში.

<sup>19)</sup> ალკალა,—სახელი ერთის ქალაქისა ისპანიაში.



დღე თან და თან მცირდება, იცვლება, იმპერიის  
ფორმას; გრძნობდე, რომ შენს ტანზედ წყლები  
მიმდინარეობენ. ჰედავდე—რომ ზღვები, თავისის  
მრისხანე ზეირთებით, მიმარტოვებენ ლრმა სიწყვდი-  
ადეში! იხრჩობოდე და ჰქრებოდე, როგორც ალი  
წყლის ქვეშ და გრძნობდე, რომ შენს გულ-გვამში  
გამოევანავდეს მთელი ქვეყანა! ჩემი ცოლი კი რა-  
ლაც უგრძნობი ვეშაპია! მე ვარ მონა მისის დღისა,  
ტანჯული მისის ღამისა. მარტონი ვართ ამ უსაზო-  
მო სიწყდიადეში და მძლავრნი და მჭმუნვარნი ერ-  
თადა ვდგევართ. ურთი-ერთის შეხებით ჩვენ სიცი-  
ვესა ვგრძნობთ. უსაზომო სიმაღლეზედ, არაგონას,<sup>20)</sup>  
უაენას,<sup>21)</sup> ალგავრას<sup>22)</sup> ბურგოსისა,<sup>23)</sup> ლეონას<sup>24)</sup> და  
კასტილიაზედ უფრო მაღლა ღმერთმა დააყენა ორი  
მწერი, ორი მცბიერობა, ორი მრისხანე სიმცირე—  
კოროლი და კოროლევა; ის არის—საშინელება,  
მე კი ვარ—ზარი, ელდა! აბა, რასაკვირველია, ამის  
სააწინააღმდეგოთ ვინ რას იტყვის? კოროლად ყო-  
ფნა კარგი იქნებოდა, თუ რომ მტარვალზედ არ  
ყოფილიყო მძლავრი მტარვალობა! მაგრამ, მუდამ  
თვალის-დევნა თავის-თავზედ, მუდამ თვალთ-მაქუო-  
ბა, უნდა წარმოვადგინოთ ორი უფერული სახე,  
ორი მდუმარება, თავის დღეში არ ვიცოდეთ არც  
სიცილი და არც ტირილი!.. ჩემ ცოლში სცოცხ-  
ლობს ინეცა,<sup>25)</sup> ჩემში მოჩანს ალონზო;<sup>26)</sup> მარმარი-

<sup>20)</sup> არაგონა,—მაზრა ისპანიაში.

<sup>21)</sup> უაენა.

<sup>22)</sup> ალგავრა,—მაზრა პორტუგალიაში, რომელიც ეკუთვნოდა მავ-  
რებს.

<sup>23)</sup> ბურგოსი,—იკიონე „კასტილია“.

<sup>24)</sup> ლეონა,—მაზრა ისპანიაში.

<sup>25)</sup> ინეცა,—ქალის სახელია. ისპანიის მეფის დონ-პედროს მეუღლის  
თანამხლებლად იყო, და როცა დონ-პედრო დაქვრივდა, ინეცაშეირთო და  
მერე შემთხვევის მოთხოვნილებით ინეცა დე-კასტრო მოკლულ იქმნა.

<sup>26)</sup> ალონზო.



ლოს კაცი გვერდით უდგას სპილენძის ქალს. ხალ-  
 ხნი, თავ-დახრილნი ჩვენ თაყვანსა გვცემენ და იმ  
 წამს, როცა ჩვენ გვლოცავენ, ჩვენს გულში მაშინ  
 ვგრძნობთ წყევლას. მათი გუნდრუკის კმევა ჩვენამ-  
 დინ თრთოლვით ამოდის და სიწყვდიადეში კი კერპი  
 ჭერდინანდი უერთდება კერპს იზაბელლას. სამეფოს  
 ჩვენი ორი ტახტი, ეს ტყუპი, ერთმენერთის სიე-  
 ლვარეს უქრობენ ისე, რომ ჩვენ ერთმანერთს ვერ  
 ვამჩნევთ ხოლმე, და თუ დავილაპარაკეთ, გვგონია,  
 რომ თვით საფლავმა დააღო ჩვენთვის პირი. მე ჯე-  
 რაც არა ვარ დარწმუნებული, მოკვდა თუ არა?  
 ისეთი რამ მძოვრია, როგორც მტარვალი და მეც  
 ავათრთოლებ ხოლმე, როცა სკიპტრის მოვჭიდებთ  
 ხოლმე ხელსა, ვითომც ღმერთს შეერთებინოს მუ-  
 მიას ხელი-ჩონჩხის ხელთან. მაგრამ, მე ვცოცხლობ!  
 ეს ჩინებული მოჩვენება, ეს ლანდი მე არა ვარ,  
 არა და არა! და ამიტომაც, როცა შევიძლებ ხოლ-  
 მე, უკუვაქცევ იმ დიდებულებას, რომელიც ვალათა  
 გვდევს,—მე ვიძრობ მეუფების წასახვევს და რო-  
 გორც ვეშაპი, მზის შუქისაგან გალვიძებული, ვგრ-  
 ძნობ გამოლვიძების სიტკბოებას. როგორც გიჟი, რო-  
 გორც ქარიშხალი, მე, სამეფო ტახტის მონა—გავრ-  
 ბივარ მიუხედავად! არ მინდა უდელი! როგორც  
 მთვრალი, ვესწრაფი ბოროტებას და ბედნიერებას  
 ერთის აზრით გატაცებული, რომ დავრჩე მხოლოდ  
 პირუტყვად; ჩემისვე ფეხითა ვქელავ ჩემს მეფობის  
 პორტირს; გული ჩემი მზათ არის შეითვისოს ყო-  
 ველი სისაძაგლე, მე, მეფე, მონა და წვალებული,  
 ვხედავ როგორც მეზრდება ჩემი ბრჭყალები. ქალი  
 თავისის მორცხვობით და ეპისკოპოზი თავისის ყავარ-  
 ჯნით მეტის-მეტად მაბრაზებენ, ისე, რომ ხან სიმ-  
 ხიარულეს ვეძლევი, ხან სიბრაზეს და ის გრძნობა  
 ადამიანობისა, რომელიც ჩემში ღვივის, მაიძულებს



მე შურიანობას, დემონად ქცეულს! (ჩაფიქრდეს). ხვალ კი ხელ-ახლად აჩრდილად უნდა გარდვიცე, ლანდათ! (მარჯიზე). იოტისათვის—კოლოსი გაუგებარია, და შენც ვერ განსჯი იმას, თუ მე რათ ვამბობ ჩემ თავზედ იმას, რაც ეხლა ვსთქვი, ამ ხალხის წინაშე; მაგრამ მე კარგათ ვიცი, რომ, როცა მე გულ-ახსნით ვამბობ რასმე, ესენი ჩემზედ უფრო მფრთხალები არიან ისე, როგორც მე ამათზედ მეტად უსირცხვო ვარ; და მიხარიან, როცა ვხედავ თქვენ შორის მოცინარს, როცა მე ბოროტად გეჩვენებით და ამითი დამტირებულსა ვხედავთ. როცა ფეხითა ვქელავ ყოველს პატივის-ცემას და დიდებას, როცა გადავიძრობ ამ აღვირს, მე, კოროლად ნამყოფი, მაშინა ვგრძნობ ჩემს სრულს თავისუფლებას! ეს გრძნობა შენ არ გესმის? შენა თრთი გაოცებული? მით უკეთესი! ხვალ, როცა დაინახავ ჩემს მრისხანებას, შენ უფრო მეტად ითრთოლებ შიშისაგან, რომელიც სიზმრად მოგეჩვენება! (აიდებს სეღში დაცვანს) ახლა კი ჩვენი ლოცვა დავასრლოთ.

**გუბი** (იქით, წარბ შეკრული კოროლს შეჲურებს). მშვენივრათა სჯი! ილოცე!

**კოროლი.** ლოცვის შემდეგ, ამ ბერს ჩვენებას ჩამოვარომევ. (სეღში აიდებს კრიალისანს).

**გუბი** (იქით, კოროლს თვალს ადევნებს). ორპირო!—ბოლო ცუდი ექნება ამ კოროლს. ულმობელი და უკეთური არა ჰრწამს-რა! რა უთავბოლო გრძნობებით აქვს სავსე გული! „მამაოჩვენოს“ კითხვის დროს—უგრძნობლად იქცევა; მაშინ მზათ არის პაპს დაემორჩილოს და სობოროს თაყვანი სცეს. მღვდელს რომ დაადგამს ფეხს, მაინც ეშინიან მისი; მის ფეხის მტვრად მიაჩნია თავისი თავი (ზირჯვერს გადიწერს). კარგი, აგრე იყოს! გარყვნილი, ცრუ, უკეთური, ბრუ-

დე, ულმობელი, ყოვლად მურტალი, ატეისტია<sup>27)</sup>) და  
მასთანვე ნამდვილი კათოლიკე. რასაკვირველია, შემ-  
დეგში სწორეთ ასრე დაარქევენ. (მეტე ჯიბეში ჩა-  
დებს კრიალფისას და ხელით ანიშნებს ბერს, რომ მაუახ-  
დოვდეს).

**კოროლი** (ბერს). აქ მოდი! (ბერი მაუახდოვდება, გულ-ხელ და-  
კრეფილი და თავ-ჩაღუნელი) ვაი შენ, თუ ყველაფერი  
გულ-ახსნით არ მომახსენე! (ბერი, თანხმობის ნიშნად  
თავს მოიდრებს) მართალი სთქვი! მიტრთხილდი! (კი-  
დევ თავს მოიდრებს თანხმობის ნიშნად. რამდენიმე სანა,  
რაც ისევ ის მოხუცი ბერი საფლავების წინ მუხლებს  
მოიდრებს და ჩუმათ დოცვებს ამბობს. კოროლი დაინა-  
ხავს ამ ბერს და იმაზედ უჩვენებს) ჯერ ერთი ეს მით-  
ხარი: ეს დაღვრემილი ბერი ვინ არის? შენსავით არ  
აცვია და ყოველს საფლავთან მუხლებს რად იდ-  
რეცს?

**ბერი.** ჰეკუაზედ შემცდარია!

**კოროლი.** ფერ წასულია!

**ბერი.** არა სძინავს; მარხულობს. თავის სხეულსა სტანჯავს;  
თავის-თავად ლაპარაკობს; მზეზედ თავ-შიშველა და-  
დის და სულ იმასა ჰბოდავს, რომ პაპასთან უნდა  
წავიდე რომშიო, რომ მუხლ-მოდრეკით ავუჩსნა  
მოძლვრის მოვალეობაო. როცა ჩვენ წინ გამოივ-  
ლის, ჩვენ ჩუმად უნდა ვიყოთ ხოლმე; ამ მონას-  
ტერს არ ეკუთვნის; აქ ეს გახლავთ მხედველობის  
ქვეშ. ჩვენ მონასტერში შეამწყვდევენ ხოლმე ისეთს  
სასულიერო პირებს, რომელიც სოფლებში ჰქადა-  
გებენ ისპანის ეკლესის ნება-დაურთველად.

**კოროლი.** რაზედ არის შემცდარი?

27) ატეისტი,—სახელი იმ კაცისა, რომელსაც არა სწამს ღმერთი.  
ატეიზმი—სახელი იმ შემეცნებისა, რომლითაც ამტკიცებენ, რომ ღმერთი  
ვითომც არა ჰსუფეს.

- ბერი.** ცეცხლზედ! ეზმანება ჯოჯოხეთი; სატანა. დიდი ხანი არ არის, რაც აქ გიახლათ.
- ქორილები.** მოხუცებულია.
- ბერი.** ვგონებ სიკვდილს მაღვე მოესწროს. (მთხუცებული ბერი გაივლის, ჰერაკლის ვერ შეამჩნევს).
- გუჩი.** (იქით, თავის უდარუნებს უცქერის). ორი ელარუნა შაქვს; ერთი—სპილენძისაა, მეორე—ოქროსი! ერთსა ჰქვიან —ბოროტება, მეორესა—სიკეთე, ორივე ერთნაირათ მიყვარს. არაფრობა—ჩემი მიზანია. (უცქერის ბაჭახს საფლავთნ) აქ ყვავილებია, იქ გამხმარი ბალახი.
- ქორილები (ბერი).** ბერო, თქვენს მონასტერში სასტიკობა და-ირლგა!
- ბერი.** მეუფეო....
- ქორილები.** ამ მონასტერში ბევრჯელ ქალები უნახავთ.
- ბერი.** ეს მონასტერი ურსულინის<sup>28)</sup> საქალებო მონასტრის მახლობლად არის; ის მონასტერი ამას ექვემდება-რება და ჩვენ....
- ქორილები.** თქვენ თხები ხართ და ცხვრებს აძოვებთ!
- ბერი** (თავის დახვრით). მეუფეო....
- გუჩი.** (იქით). ყოველი მონასტერი—მოძღვარია საქალებო მონასტრისა; ცოდვას თვითონ ჩადის და თვითონვე მამობრულად მიუტევებენ ცოდვას. ქალებს იმონა-ვებენ, სიკეთეს უსპობენ და თვითონვე ქალ-წულო-ბას უბრუნებენ. ორი სასწაული ერთად; განდობის საიდუმლო.
- ბერი** (ქორილები). მეუფეო, ძენი ლევიტის<sup>29)</sup> და ასულნი სიონისა...<sup>30)</sup>

<sup>28)</sup> ურსულინის—საქალებო მონასტერი, რომლის წეს-დებულება ვალად სდებს ღარიბთა და ავად-მყოფთა პატრონობა-მოვლას და გასა-თხოვარ ქალების სწავლა-განათლებას.

<sup>29)</sup> ლევიტი,—არის ღიაკვნის წოდება ისპანიაში.

<sup>30)</sup> სიონი,—ერთ-ერთი პატარა მთა, რომელზედაც გაშენებულია იერუსალიმი.

**კოროლი.** სცხოვრობენ თანხმობაში. მე ბოლოს მოგიღებთ ისე, რომ რომიც კი შეიტყობს.

**ბერი** (თავ-დახრით). მეუფეო....

**გუჩი** (იქით). როცა ამისთანა მონასტრის ალაყაფის კარებში, სადაც თავდება იქსოს მფლობელობა, ძველი წარმართების ღმერთი კუპიდონი<sup>31)</sup> დაარახუნებს, მაშინ თვით პაპა სიკატი,<sup>32)</sup> ქალ-წულისაგან ორი ბიჭის შემძენი, ვერ დაიწყებს ლანძღვას, თუ გაუღეს კარები.

**კოროლი** (ბერს). რომი დასასჯელად მზათ არის და, როგორც ვატყობ, დროც არის (ბერს დააცემერდება). ურგელის<sup>33)</sup> ეპისკოპოზი თქვენთან არის, მე ვიცი კარგათ. (ბერი თავს იხრის) თქვენი დასჯის დიდი უფლება აქვს!

**ბერი** (თავის დახრით). მეუფეო, მხოლოდ სჯულ-დებულების კანონებში აქვს დასჯის ნება, სხვა არაფერი.

**მარგაზი** (მეუეს უურში). თქვენ უფრო კარგათა ხელავთ, თქვენივე თვალით.

**კოროლი** (მარქიზი, დაბლა). მიუვარს ცქერა, დაკვირვება. (კოროლი დააგვირდება ახლად ამთხხრილს საფლავს) ეს რა არის?

**ბერი.** ახლად გათხრილი საფლავი.

**კოროლი.** ახდილია?

**ბერი.** დიახ, მეუფეო!

**კოროლი.** მერე, ვისთვის?

**ბერი.** მხოლოდ მაღალმა ღმერთმა იცის, ვინ როდის უნდა მოკვდეს.

<sup>31)</sup> კუპიდონი, —სიყვარულის ღმერთი; ასე უწოდებენ რომაელები.

<sup>32)</sup> პაპა — სიკატი; — პაპა არის წოდება უმფროსის ეპისკოპოზისა ქალაქს რამშე, რომელსაც ყოველისფერი ემორჩილება, რაიცა რომ საკათოლიკო ეკლესიას შეეხება. სიკატი — სახელია ერთის ეპისკოპოზისა, რომელმაც პაპას წოდება მიიღო.

<sup>33)</sup> ურგელის ეპისკოპოზი, —ისპანიის ერთი მონასტრის სახელია, რომლის წინამდღვარს ასე ეძახიან.



**კოროლი.** ეს საფლავი ვისთვის არის მომზადებული? (ზერი წეუ  
მად არის) ეხლავე მითხარი, სთქვი, მიპასუხე!

**ბეჭი.** არ ვიცი. იქნება (ცოტას შეწერდება) მე მელის ეს  
საფლავი; იქნება თქვენ გელოდესთ.

**მარგაზ.** (შევეს უურში). როცა მონასტერში რომელიმე ბერი  
თავისს ამხანაგებზედ ამაღლებას მოიწადინებს, მაშინ  
იმას დასჯიან ხოლმე.

**კოროლი** (ხმა დაბლა). დიახ, კარგი საშუალებაა სიკვდილი  
მოწინააღმდეგე ამხანაგისა.

**მარგაზ.** არა, მეუფეო, ეკლესიას სისხლი სძულს; იმისთანა  
მოწინააღმდეგეს ცოცხლივა ჰმარხვენ.

**კოროლი** ჰმ! მესმის!

**მარგაზ.** ეს ადგილი—უდაბურია. რამდენიც უნდა იყვიროს  
კაცმა, ვერავის ვერ გააგონებს; რომ ეწინააღმდე-  
გოს—ვერავინ ვერ უშველის, გამვლელ-გამომვლე  
ლი არავინ არის. (უჩვენებს საფლავზე და მერე საფ-  
ლავის კაბეზედ) აქ, კაცი ჩადის ამ კიბის საფეხურე-  
ბით და, სულ ძირამდინ რომ ჩავა, ამ ქვას ზედ თავ-  
ზედ გადააფარებენ ხოლმე; სიწყვდიადე თვალებს  
საუკუნოდ დაახუჭვინებს და ტყე და ხალხი, წყალი  
და ქარი, ზეცა—ეს სულ საფლავის გარედან იქნება.  
ამ რიგათ ცოცხალი....

**კოროლი.** ცოცხალი ადამიანი—მკვდრად იქცევა. დიახ, ეს  
ძალიან ადვილია.

**მარგაზ.** ამ რიგად თუ უნდა, ასე კვდება; ეკლესია კი სი-  
სხლს არ ანთხევინებს ადამიანს. (კოროლი თავის ქნე-  
ვით თანხმითას უცხადებს).

**კოროლი** (ხმა შადლა). რაც უნდა სთქვას ამ ბერმა, ქალები  
კი...

**ბერი.** აქ არ შემოდიან.

**კოროლი** (შარგაზს). როგორა სტყუის! აგერ, ერთ ქალსა ვხე-  
დავ! (ბადის სიღრმეში აცქერდება) და იმასთან, ერთს

ჩინებულს ყმაწვილ-კაცსაც; უწვერ-ულვაშოა, შავ-  
შვესა ჰგავს, ლამაზი ტანისა....

**ბერი.** მეუფეო, ეგ პრინცესსა გახლავსთ.

**ქოროლი.** ყმაწვილი კაცი ვიღაა?

**ბერი.** მეუფეო, ის პრინცი გახლავსთ.

**ქოროლი** (შარკიზს დაბლა). მაშ კარგათ მოვიქეცი, რომ აქ შემო-  
ვედი.

**ბერი.** წესდებულების ძალით... (ქოროლს თავს მოუდრებს)  
ჩვენ ვართ ქვეშევრდომნი ვიკონტ დ'ორტეცისა

**ქოროლი.** და ჩემიც!

**ბერი** (განაგრძელებს). ჩვენ, მეუფეო, ჩვენ შორის ვიფა-  
რავთ უუბრწყინვალე პირებს.

**ქოროლი.** ერთის მაგიერად — ორსა; დედალსა და მამალს.

**ბერი.** (თავს იქითვენ მიისრის, საითვენაც ქოროლი თითით ანი-  
შნებს) გრაფინა!

**მარგაზ** (ხმა დაბლა ქოროლს). როგორც ფრანციის კოროლს,  
რომელიც ეპისკოპოზად ითვლება გარეშე ქვეყნებ-  
ში, ვიკონტ დ'ორტეცი, <sup>34)</sup> დაქსი <sup>35)</sup> და კაპოსი, <sup>36)</sup> ერ-  
თსა და იმავე დროს არიან საერო პრინცი და სამ-  
ფლდელოს წარმომადგენელნიც; ამ მონასტრის უმ-  
ფროსს წინამდლვრად ირიცხება ვიკონტ დ'ორტე-  
ცი.

**ქოროლი** (სიცილით). მეომარი ჭრანციაში და ხუცესი ისპანიაში!

**მარგაზ.** (ქოროლს იქით უჩენებს, საითვენაც შეამჩნიეს თრი ემა-  
წვილა კაცი). თუ იმ ყმაწვილმა აქ თავისი ცხოვრების  
თანამოზიარე მოიპოვა, რასაკვირველია, ამ ბერმა,  
რაიმე ანგარიშისა გამო, შეამწივდია აქა, ამ ყვავი-  
ლებში ორი ახალგაზდა სულიერი მაღულად....

<sup>34)</sup> ორტეცი, — მაზრის სახელი ისპანიაში.

<sup>35)</sup> დაქსი, — ქალაქია საფრანგეთში, რომელსაც ჰქონდა დიდი გაჭრო-  
ბა ისპანიასთან.

<sup>36)</sup> კაპოსი.

**ქორთლი** (მრისხანეთ). რაიმე ანგარაში-გამო! არა! ვიცი, რაც  
ანგარიშია. ჯვარის წერა. (ბერს) დიდი ხანია ეგენი  
აქ არიან?

**ბერი.** ბავშვობიდამ.

**ქორთლი** (მარჯაზეს). ამ დახშულ მონასტერში აღზრდილან.  
(ბერს) რა ჰქვიანთ?

**ბერი.** ინჭანტა-როზა დ'ორტეც.

**ქორთლი.** ყმაწვილ-კაცსა?

**ბერი.** სანჩიო დე-სალინას. (მარჯაზი გაკვირდება; მეტის-მეტის  
განცვიფრებით იუურება იქითგენ, სადაც ეს ბავშვები არიან.)

**ქორთლი** (თან და თან უფრო დადგრემილი). მემკვიდრეობით ამათ  
უნდა მიიღონ: ქალმა-ორტეცი და კაცმა—ბურგო-  
სი.

**ბერი** (თანხმობის ნიშნად თავს დაიქნები). დიახ, და ტაგოზე-  
დაცა აქვსთ უფლება.

**მარჯაზი** (იქით). სანჩიო დე-სალინას? ბურგოს? ნუ თუ მართა-  
ლია?

**ქორთლი** (ბერს). განაგრძე! დიახ, ეს საიდუმლო ცბიერობაა.  
ეს სანჩიო ჩემი ბიძაშვილია და მე კი ეს ყმაწვილი  
მკვდარი მეგონა.

**ბერი.** დონ სანჩიო აქ მალულად არის. ამ მონასტერში  
მიიღო სწავლა-განათლება ერთად ვიკონტის ძმის-  
წულთან.

**მარჯაზი** (იქით). მე კი ეგენი დახოცილნი მეგონა. რა გასა-  
კვირალი ამბავია; რა მელანდება? ეს დამალული  
ყმაწვილი, რასაკვირველია, ის უნდა იყოს. ვვრძნობ,  
როგორც მიცემს გული. ყველა ეს ახალი ამბავია.

**ქორთლი** (მარჯაზეს). ეს მიყრუებული მონასტერი კარგათ არის  
ამორჩეული.

**ბერი.** ეს ქალი და ეს ყმაწვილი კაცი დიდი ხანია, რაც  
დანიშნულები არიან და მალე ამათი ჯვარის-წერაც  
უნდა მოხდეს. მაგათი წინაპარი ერთი და იგივე  
პირი იყო; ის პირი ის არის, რომელზედაც ჩვენ

აქა ვლოცულობთ. იმისი ძე—ლუპი ცენტული,<sup>37)</sup>  
გასკონის<sup>38)</sup> ჰერცოგი იყო; მერე—ბიგორის<sup>39)</sup> კო-  
როლი ლუპა და ბარეფის<sup>40)</sup> კოროლი ითანხე, შემდეგ  
ვიკონტი პიერ და ჰასტონ მეხუთე...

**კოროლი.** კარგი, შეამოკლე!

**ბერი.** ახლანდელი მფლობელი ვიკონტ-კარლინალი მოწა-  
დინებულია, რომ ამ მიყრუებულს მონასტერში უფ-  
რო მეტს ხანს უნდა იყვნენ ესენი დამალულნი.

**მარკიზ** (იქით). სანჩი!

**კოროლი** (მარკიზის). ხედამ! რა ლამაზია! (მარკიზი განცვიდურე-  
ბით უცეკვის სანჩის).

**ბერი** (ესეც იქითგენ იუურება). ამას უფლება აქვს ორმოც  
და ათი კაცის ამაღლა იყოლიოს, აბბატის განმგებ-  
ლობის ქვეშ. როცა ეკლესიაში არის—ამბიონზედ  
უნდა იდგეს. პენნიასერადა<sup>41)</sup> კი, მეუფეო, მისი სა-  
ტახტო ქალაქია. ალბათ, უბედურს ვარსკვლავზედ  
არის დაბადებული, რომ ჩემზედ მეტმა არავინ იცის,  
რომ ინფანტია და ტახტის მემკვიდრე; თვითონაც  
არ იცის თავისი ვინაობა და ამავე მიზეზით, ინფან-  
ტის ძმის-წულმაც, დონია როზამაც არ იცის, რომ  
პრინცესაა. სჩანს, რომ ამათ საქმეში ვიღასიც ეში-  
ნიანთ.

**კოროლი.** აი დალახვროს! რასაკვირველია, ჩემი ეშინიანთ,  
კოროლისა. არ მომწონს ეს ამბავი. (ბერის ეუბნება,  
მაგრამ ისევ იქითგენ იუურება) ამათაც თქვენსავით  
აცვიათ?

**ბერი.** ორივე წმიდა ქალ-წულ მარიამისათვის არიან შეწი-  
რულნი, უამისოთ ამ მონასტერში ვერ გავაჩერებ-

<sup>37)</sup> ცენტული—ლუპი.

<sup>38)</sup> გასკონა,—სახელი მაზრისა საფრანგეთში.

<sup>39)</sup> ბიგორ,—ჰატრა მაზრა ამ ზემო მოხსენებულს გასკონიაში.

<sup>40)</sup> ბარეფ,—სახელი საბანაო ადგილისა საფრანგეთში.

<sup>41)</sup> პენნიასერადა,



დით. ამ გამოცხადების დროს დამორჩილდნენ თქვენის ბედს.

**კოროლი.** ყმაწვილი ბერსა ჰგავს, ქალი კი—მოლოზანს.

**ბერი.** დიახ; მაგრამ ნება-დართვას და მიტევებას მიიღებენ ისე, როგორც ეძლევათ მეფეებს და მაშინ ჯვრის-წერის ნებაც მიეცემათ.

**კოროლი** (მარკიზი). მე მგელი ვარ და შემოვვარდი ცხვრის ფარაში! შემიძლიან ყველაფერი დავარღვიო! (ჩაფიქრდება და იქით) არა! არა! კარდინალ დ'ორტეც, გამოცდილო მაცდურო, მიურთხილდი, რომ ამ ორს ანგელოზს ერთადა ზრდი! ოჟ! იცოცხლეთ და გიყვარდესთ ერთმანერთი! ეს შეთქმულება ჩემ წინააღმდეგ, ჩემთვის სასარგებლოა. ვიკონტი, როცა მიათხოვებს თავის ძმის-წულს ჩემს ბიძაშვილს, მაშინ სალინასის<sup>42)</sup> დახმარებით ბურგოსი უნდა ჩამომართვას? კარგი, არ დაგიშლი; ჩვენი უფლება თანასწორია. მეც ისე, როგორც შენ, დავპახარდი და და დავჭკანკალებ ჩემს საკუთრებას. ორტეცის დახმარებით მე შენ ნავარრას ჩამოგართმევ. მაშ აგრე იყოს, მოხდეს ამათი ჯვარის-წერა. კარგი! დღეს იქორწილებენ, ხეალ კი ბრძოლაში დახსოვებიან! (იქითკენ იყურება, საითკენაც დონია როზა დგას) ინჭანტა ლამაზია! (ჩაფიქრდები) ბედნიერი მეფობა მაშინ არის, როცა თავს მოიმძინარებ და იმავე დროს შენი მტრის მანქანებას შენ სასარგებლოთა ხმარობდე! ამნაირად გადმობრუნებული ცბიერობა შენვე გშველის. იმას შენი მოკვლა უნდოდა, ხელი აუცდა; ხანჯლის დაკვრა გულში შეიძლება ეხლა მოხერხდეს, როცა გსურდეს და შენივე მკვლელი შენ მოსამსახურეთა ხდება. (ისევ იქი-

<sup>42)</sup> სალინას,— მაზრის სახელია, რომლის მფლობელნიც იწოდებენ ამ სახელს: გრაფ დე-სალინას.

თქენ მიძრუნდა) ნეტა, რას ლაპარაკობენ? აბა ერთი ყური დავუგდოთ. (სცენის სიღრმეში წავა და ხეებში მიეფარება).

**გური** (კოროლს თვალს გააუთლებს). უჰ! ჯაშუშო! (როცა კოროლი მიეფარება, მარკიზი ბერს ხელით ანიშნებს, რომ მიუახლოებეს).

### მ ე ს ა მ ე ს ა ხ ა გ ი

იგინივე, გარდა კოროლისა. მარკიზი და ბერი ერთად არაან სცენის პირველ პლანზე.

**მარკიზი.** მოძლვარო!

**ბერი** (მოწიწებით მიუახლოებება). თქვენი უმორჩილესი მონა და მოსამსახურე (დაბლა თავს დაუკრავს).

**მარკიზი.** შენ კოროლისათვის ცველაფერი არ გითქვამს!

**ბერი.** ჩვენი მბრძანებელი მხოლოდ ერთად-ერთი ღმერთია. რასაც მოძლვარი მრევლისაგან შეიტყობს, არავის არა უნდა უთხრას-რა.

**მარკიზი.** შემცდარი ხარ. გაჭირებულს მდგომარეობაში პავლე მოციქულმა ხომ მოვცა ნება ყოველისფრის აღსნისა. ვაი შენ, თუ მე არ დამიყაბულდი! კოროლი ჩემ ხელთ არის; ცველაფერი მითხარი!

**ბერი.** ცველაფერი რომ გითხრათ, შემომფიცავ კი, რომ საიდუმლოდ დარჩეს?

**მარკიზი.** ვფიცავ! მაგრამ, მოიცა, მიჩუქებია შენი ქალისათვის ოქროს შლაპა, რომელიც ასი მარკა<sup>43)</sup> ლირს, და ექვსი ვერცხლის დიდი ხომლი ამავე ფასისა.

**ბერი.** ცველაფერს მოგახსენებ! (დაბლის ხმით) როდესაც მე და თქვენ, ჩემო მბრძანებელო, ჯერ ყმაწვილები ვიყავით, მაშინ დონნა სანჩოს, ბურგოსის კორო-

<sup>43)</sup> მარკა,—ფულია; ერთი მარკა უდრის რუსულს კაპეიკის ერთს მე-40-დს.



ლის მეუღლეთ რომ ბრძანდებოდა, ერთი მსახური-საგან, სახელად გორგონ, მიეცა ვაჟი-შვილი. კო-როლს მეტად უყვარდა თავისი მეუღლე და ის შე-ძენილი შვილი იშვილა და ყოველივე თავისი ხარისხი მიანიჭა. ბავშვი საკოროლო ტახტი მიიღო მემკვიდ-რეობით და ამასთანავე ყველა მისი უფლება. მერე დაიწერა ჯვარი, შემდეგ გარდაიცვალა და დასტოვა ერთი ვაჟი; ეს ჯერ უსუსური მკვდრათ იცნეს, ვითომც და უცბათ მომკვდარიყოს. ეს ბავშვი კარ-დინალმა-ვიკონტმა მოიპარა სასახლიდან და კორო-ლი დონ-სანჩიო ამ მონასტერში დაპარა.

## მარგაზ

(იქთ). დიახ! მაშმე მივხვდი! (იქთკენ იუურება, საით გენაც ქორთლი დაიმალა და მანამდისინ ბერი ლოცვას ამზობდეს, თავის-თავად დაქართვადეს) ის ჩემი შვილია! შვილი ჩემის ღვიძლი შვილისა! ოჯ, არც კი მჯერა, რომ ეს ასრე იყოს! თითქოს ეხლა ჩემს გულსა ვგრძნობდე, რომელიც აქამდისინ ჯერ არ მიგრძნია. კურთხეულ იყავ მების დამცემო! მე, რომელსაც უველა მძულდა—ახლა ყველა მიყვარს! ოჯ, შვილო ჩემო! სიხარულით თავ-ბრუ მესამის, რომ მე მამა ვარ. ეხლა, მხოლოდ ეხლა ვარ სიცოცხლის ლირსი. ოჯ, რა სიხარულია! აქამდისინ ბოროტებისათვის ვცოცხლობდი, ახლა კი სიკეთისათვის ვიცოცხლებ! ჩემი შავი სვინიდისი აქამდისინ ძუ-მგელივითა ტან-ტალებდა ქვეყანაზედ. ჩემთვის ყველაფერი უწმინ-დური იყო. ოჯ, ზეცავ, ახლა ვპოვე მე ყველაფერი! მე ხომ მშობელი მამა ვარ, პაპა ვარ! ოჯ, ახლა, მხოლოდ ახლა მაქვს სიხარული. მალულად მაინც შემიძლიან ახლა მაღლა აემართო ჩემი თვალი, სა-დაც ჩემის თესლიდან აღმონაცენი მშვენიერი ნა-ყოფი იხეირებს და შრომანასავით ჩინებულათ აყვავ-დება. ვინ იტყოდა, რომ ეს ჩემი შვილია, რომ მე აღვსდექი მკვდრეთით! აბა ვსცადოთ! ვგრძნობ, რომ

ეს უმანკო ბავშვი თავისის სხივით ანათებს ჩემს  
ბნელს გულსა,—ვგრძნობ, რომ ამ უმანკო სულმა  
მთლად მიიპყრო ჩემი ძველი და ცდომილი გული  
ისე, რომ სრულიად დამიმონავა და შემდეგ ამისა  
ჩემს ლამპრად უნდა გადაიქცეს. ახლა სულ სხვა  
ქმნილებად გადავიქცე, მე ვსტირი, მე მიყვარს და  
მაცდური ჩემი ლამე ჰქედავს თავის ცისკარს. მოდი,  
მოდი ჩემს კენ ცისკარო! მოდი, მოდი, უმანკოების  
ნაყოფო! ოჯ, ღმერთო! შენ, უცნობო და შეუგნე-  
ბელო, რათა ხარ ჩემი მწყალობელი? მე, ამ კოროლის  
თანამოგზაური, ჩვენგან დახოცილს ლეშედ ფეხის  
გადამდგმელი, მე—მის ბოროტების ელვარების, მის  
ავ-საქციელობის თაყვანის მცემელს, ვგრძნობ, რომ  
ნაზი უხილავი ხელი მშველის და მამხნევებს. ოჯ!  
მე, საშინელის ტვირთის მზიდველს, ახლა შემიძლიან  
თავისუფალი სუნთქვა. ოჯ, ღმერთო! მარტოდ აღა-  
რა ვარ, მე ვცოცხლობ, მე მიყვარს! ჩემზედ მეტი  
არავინა ჰყავს და მეც მარტო ეგა მყავს. მის გარს  
რა დიდი უფსკრულია! უზომო ტანჯვა! დიახ, ეს  
ასეა, მე არა მძინავს, არა, არა ვბოდავ. (ჩაფიქრდება)  
ნათელო ცისაო, გზა მიუნათე, მე კი—სიბნელე! ისევ  
ის უნდა დავრჩე, რაც აქამდისინ ვიყავი. მამას თუ  
მიაგნეს—შვილი დაიღუპება (ბერს შეუახლოედება).

**ბერი** (ხმა დაბლა). თქვენ დამპირდით, რომ საიდუმლოდ  
შეინახავთ ყველაფერს.

**მარგაზ.** მაგისი ფიქრი ნუ გაქვს. როდის უნდა გავიდეს  
აქედან დონ-სანჩო?

**ბერი.** ის ბავშვი, რომელიც მკვდრად ირიცხება, ახლა ვაფ-  
კაცია; როცა ჩვენი ბატონი, ვიკონტ-აბბატი, თავის  
ძმის-წულზედ ჯვარს დასწერს, მაშინ გამოაცხადე-  
ბენ, რომ ამას გრაჭის უფლება მიენიჭება, კორო-  
ლისა და უუბრწყინვალესის ჰერცოგისა (იქით მიი-

სედავს და დაინახავს მომავალს კოროლი). კოროლი შობრძანდება.

**მარგაზ.** კოროლი! (იქით თავის-თავად) აბა, მოხუცო, ეცადე რომ ამ კოროლმა ვერ შეამჩნიოს შენი გულის გამხიარულება.

**ბერი** (ხმა დაბლა). დაგვიფარეთ მაგის მრისხანებისაგან.

**მარგაზ** (იქით). წადი, შე მაცდურო მსახიობო, წადი და ხელ-ახლად აიღე ხელში შენი პირ-ბადე და ისე იმოქმედე, რომ შურმა, მძულვარებამ და სირცხვილმა ისევ უგრძნობლადა გყოს, როგორც აქამდისინ იყვი და სახე შენი მუდამ შესცინოდეს შენს მდგომარეობას.

**ბერი.** თქვენო მბრწყინვალებავ, ფიცი არ დაივიწყოთ, საიდუმლოდ იქონიეთ ყველაფერი.

**მარგაზ.** აბა, რასაკვირველია! (ბერს) ნუ გეშინიან!

## მეოთხე სანახაზი

ივინივე და კოროლი.

**კოროლი** (იქით). სხვისი საიდუმლო ლაპარაკის ჩუმად ყურის გდება ჩემთვის სასიამოვნოა. (იქით გადავიდა, საიდანაც გამოვიდა). აი ისინიც, ახლა კმარა!

**მარგაზ.** როგორ გადასწყვიტეთ, მეფევ?

**კოროლი.** გადავსწყვიტე—მაგათოვის ბედნიერება. მინდა ჯვარი გადავსწერო.

**მარგაზ.** ლრმა ფიქრია!

**კოროლი.** ისპანია თან და თან ნაბიჯ-ნაბიჯ იქცევა, ირლვევა. ამათი ქორწინება მე ხელს მომცემს. კარლინალ დ'ორტეცს ამ შემთხვევაში მე მოვეხმარები და მომავალში მე დავიპყრობ დაკარგი და ბაიონნას.<sup>44)</sup>

<sup>44)</sup> ბაიონნა,—ქალაქია ისპანიაში.

**მარკიზ.** (იქთ) ოჯ, გულო ჩემო, გამხეცებულო და გაშავებულო, გაბრწყინდი! ჩემი შვილი—კოროლი იქნება! (კოროლის ნიშნით მთელი აქალა და საფლათები გავლენ გადავნის ნანგრევიდან. ბერი მიუახლოედება კოროლს, გულ-ხელ დაჭრეთილი დაბლა თავს მოუხრის).

**კოროლი.** ვითომც აქ არა ვყოფილვარ, გესძის?...

**ბერი.** (თავის დახრით). მეფევ....

**კოროლი.** ვითომც თავის დღეშიაც არ გინახიგარ!

**ბერი.** მეფევ....

**კოროლი.** თვალ-ყურს ვადევნებ ამ მონასტერს.

**ბერი.** მორჩილება ჩვენი მოვალეობაა. (იქთ) წყეული იყავ შენ, კოროლო!

**კოროლი.** შენი მეფე საფრანგეთშია.

**ბერი.** დიახ, მეფევ!

**კოროლი.** მაგრამ ახლა აქა სცხოვრობს ურგელის ეპისკოპოზი.

**ბერი.** იმდენად მწყალობელია, რომ თავისი სტუმრობა გვალირსა.

**კოროლი.** რაც ახლა აქ მოხდა, არა უნდა იცოდეს-რა! (მარკიზს) წავიდეთ ჩქარა! (დონ-სანჩო და დონნა-როზა გამოჩნდებიან სცენის სიღრმეში. ქსენი ვერთვერს ამჩნევენ, რაც სცენაზედ ხდება. კოროლი მარკიზს ანიშნებს, რომ იქითვენ შეიხედოს, მერე მივა ჰედლის ნანგრევთან) წავიდეთ ჩქარა! (ბერი) თუ სიცოცხლე გინდა კიდევ—ჩუმად იყავი! (მარკიზს) წავიდეთ! (მეფე გადის, გუჩო მისდევს).

**მარკიზ** (დონ-სანჩოს შესცემის). რა მშვენიერია! ოჯ, ჩემო შვილო! (გადის).



მეცნიერება სანახავი

## დონ-სახელი, დონია-როზა

କୌଣସି. ଅନ୍ତର, ଅନ୍ତର, ହୃଦୟରେ, ଲାମଫ୍ଲେନ୍ଡ ଶ୍ରେଷ୍ଠମାନୀୟ.

**სახელი.** ვარდები მირჩევნია! (მთსწევებს რამდენიმე ვარდს და  
შიუმატებს თაიგულს). ოჰ, რა ბეღნიერი ვარ, როცა  
ამდენ შუვენიერებასა ვხედავ!

**დღის** (პეტელათი აღტაცებულია). უყურე! აი ეს სულ იმ ჩიგვს  
დაპირინავს!

**სინაზ.** ყველა სიკოცხლითა ხარობს.

**କଣ୍ଠୀ:** ମୁଦ୍ରି ଗାୟିପତଃ ଶେନ—ପ୍ରାଵିଲ୍ୟବୀ ଦା ମେ କି—ଶେଷ-  
ଲ୍ୟବୀ.

**სანჩი.** რაღაც სინაზე და სიმშვენიერე სუფევს გარშემო! (ევავილებს სწევეტავს თაიგულისათვის, რომა კი ჰეპ-ლებს იჭერს. უცქერის როზას) რომა!

**କୁଳ୍ପିତ** (ମନେରୁବ୍ଦର୍ଗେବୀ ଓ ଶ୍ଵେତପ୍ରେରଣିର ତାଙ୍ଗୁଣ୍ୟ). ଏହି ତାଙ୍ଗୁଣ୍ୟ ବୀଷତାରେ ଗୀନଦା?

Տանիք. ջամուկանո.

**କାହା:** କେମନ୍ତୁଗିଲି. (ବୀଜ ଶୈଖିଲୁଗିଲୁବେ ଦ୍ୱାରାଦୟକୁ, ମାଗରାଥ ପାଇଁ କୌଣସି; ଅମ୍ବାର୍ଥେ ଫାଵରକିଲୁବେ ଦ୍ୱାରା ଉପଦର୍ଶକ) ଠିକ୍ ମନମିଳନବାରତ ଦ୍ୱାରା  
ମିଲୁରିନ୍ତାଙ୍କୁ କେମିବାନ୍ତି? ରାତା, ରାତା?

**სანჩი.** როზა, ხელი თუ ახლე, თავის ფერს დაჰკარგავენ.  
(შესცემის მფრინავ პეტლებს). უგზო-უკვლოდ ჰფრი-  
ნავენ, როგორც კოცნა, რომელიც ლამაზ ტუჩებს  
ეძებს.

- როზა.** და პპოულობენ კიდეც ტუჩებს. მაგათი ტუჩები—  
ყვავილებია.
- სახელ.** და ამიტომაც, როზა, რაღგანაც თქვენ ყვავილი  
ხართ... (დაიჭერს, მოქევეება, როზა უარს არის, მაგრამ  
სახელ მაინც აკოცებს).
- როზა.** სინიორ, რასა შვრები, ეს არ ვარგა!
- სახელ.** ჩვენ ხომ ჯვარს დავიწერთ! (როზა თვალს ადევნებს  
ჰეპელას, რომელიც ვარდზედ დაფდა).
- როზა.** დაჯდა, დავიჭიროთ! (მიეპარება. სახელს) მოლი!
- სახელ.** შო! (სახელს ტუჩები და როზასი ერთმანერთს დაეკონე-  
ბიან, ჰეპელა გაფრინდება).
- როზა.** ახ! გიუო, რატომ ვერ დაიჭირე!
- სახელ.** ჰეპელას მაგიერად შენ გაკოცე.
- როზა.** დაჯდებიან, ვითომეც თავის საყვარლის წინ. რა  
კარგია! აი, ისევ გაფრინდნენ. ასე მალლა რათა  
ჰერინავენ, ასე შორს? რამდენი ფრთხები აქვთ!  
(სახელ უკანიდან მიეპარება, მოქევეება, როზა ხელსა ჰქონავს)  
ჯვარის წერამდისინ კოცნა როგორ შეიძლება,  
არა, არ მინდა, არ მინდა!
- სახელ.** მაშ დამიბრუნე.
- როზა.** (სიცილით) არა..!
- სახელ.** ჰო!
- როზა.** არა, მაგრამ მიყვარხარ! (ერთმანერთსა ჰქონდნიან; ერთ-  
ერთს საფლავზედ დასხდებიან; როზა თავს მხარზე  
დაადებს: ორივე განცვიფრებული შესცეკიან ჰეპელებს.)  
ოჳ! რა დაუსრულებელი და რა ნაზია მთელი ბუ-  
ნება! ყური მიგდე, რას გეტყვი. ზამთარში შეწუ-  
ხებული ზეცა დედა-მიწას თეთრს სუდარას გადა-  
აფარებს ხოლმე; მაგრამ აპრილი რომ დადგება,  
ამოვა ყვავილი, გრძელდება დღე და ბედნიერი  
დედა მიწა აძლევს თავის მფარველს—ზეცას მის  
თოვლს ამ ჰეპელებით; სიმწუხარე იცვლება დღე-  
სასწაულით და ყოველისფერი გარშემო გახარებუ-



ლია, მიჰქონდავს მაღლა, მაღლა ღმერთთან. სინე-  
ლიდამ ქარი ამოქერის. ზეცაში ღმერთი დაგვყუ-  
რებს და მხიარულებას გვინათებს და ყველაფერი,  
რაც მისგან გაჩენილია, ყველაფერი უზომოდ მშვე-  
ნიერია.

- როზა.** მაშ, ყური მიგდე; იცი? — მიყვარხარ.  
**სანჩო.** როზა!
- როზა** (დაინახავს შეპელას). ახ, რა მშვენიერია! მოდი, და-  
ვიჭიროთ, მოდი!
- სანჩო.** ღმერთმა უხვად დააჯილდოვა გაზაფხული, რომ შენ  
დასტკბე მისი კვრეტით. (შეპელა ჩირგვზედ დაჭდება).
- როზა** (ხელს გაიშვერს დასაჭრათ). მოუცა, წყნარად იყავ!  
(შეპელა გაფრინდება) უჰ, გაფრინდა! აი, ზამბახხედ  
დაჯდა! ჸა, აი, კიდევ გადაფრინდა.
- სანჩო.** ჩვენ ერთად შევზღილვართ, ოჰ, ჩემო საყვარელო  
მეუღლევ!
- როზა.** აი, პეპელამ დამინახა! (ასკილზედ დაჭდება შეპელა,  
როზა მიდის დასაჭრათ და ასკილზედ ხელს დაიჩხვდეტს)  
ოჰ! ხელი ვიჩვლიტე!
- სანჩო.** ოჰ, ეს ასკილი! ამასაც კი სწყურიან ანგელოზის  
სისხლი! (ბერი დომინიკანულის ანათერაში გამოჩნდება  
ხელს შეა, სათუდავებთან. ამათ ვერა ჭიედავს.)
- როზა.** (დაინახავს ბერს) ახ! აი ისევ ის ბერი, თავისი შესა-  
ზარის შეხედულობით. მეშინიან მაგისი. წავიდეთ  
აქედან. (იქთქენ მიდან, საითქმნაც ხშირი ტუქა, ბერი  
ნელა მოძრაობს, უკრაფერს უერ ამჩნევს. ბინდდება.)

### გევგვეს სანახავი.

- ბერი** (შარტა). ერთის მხრით—დედა-მიწა, თავისის ცოდ-  
ვებით, კაცობრიობით; მეორეს მხრით — მეფენი,  
თავით-ფეხამდის შემოსილნი მურტალის ცოდვებით,

უმეცარნი შეცნიერნი, გაუკურნებელნი ბრძნენი.  
სიმდიდრე, სიამაყე, სჯულის შეურაცხება, თავისი დუ-  
შის ამომფურთხავნი, სენნახერიბის<sup>45)</sup> მკვლელნი და მატ-  
უარა დალილა,<sup>46)</sup> ერეტიკოსნი,<sup>47)</sup> ვოდუანელები,<sup>48)</sup>  
ციფირების ებრაელები, მოზარაბები,<sup>49)</sup> გვებრები,<sup>50)</sup>  
ალექბრის საწყალნი მთვლელნი, ყველა, ყველა: ღიღი  
და პატარა თავისი წმიდა ბეჭდის შეურაცხმყოფნი, ხე-  
ლის ცეცებით მატანტალნი, ქრისტეს სჯულის უარ-  
მყოფნი, ყველა ცოდვის ჩამდენელი, პაპაც, კორო-  
ლიც, მინისტრიც ეფისკოპოსიც, ....სხვა მხრივ კი—  
თვალ-გაუწვდენელი ალი, ცეცხლი, ჯოჯოხეთი! აქ  
ადამიანს ყველა ავიწყდება, სკოცხლობს, საზრდოებს,  
სძინავს, ჰსიამოვნებს, იქა კი— უფსკრული საშინელის  
მდუღარე ცეცხლისა, ჯოჯოხეთი! ოჯ, თავ-დანებებუ-  
ლო კაცობრიობავ! ოჯ, ბრუნდე სასწორო ჩვენის ბე-  
დისავ! სიკვდილი და სიცოცხლე! სიცილი და საუკუნო  
გოდება! ჯოჯოხეთი! ოჯ! მოჩვენებავ! საფლავი,  
კლდეები, მთები! ჭებში-გაღუებული ნაკვერჩხალი,—  
მთებზედ კი—გოგირდი! გვირაბი ათასს-კბილოვანი!  
პირ-დაღებული უფსკრული! დაუბოლევებელ შურ-  
თან—დაუბოლოვებელი მსხვერპლი!, ერთს მხარეს—  
სიმხიარულე; მეორე მხარეს—მწუხარება! ყველა  
იწვის, ისმის ღრიალი: „ჩემო შვილო! დედა-ჩემო.“

<sup>45)</sup> სენნახერიბ.

<sup>46)</sup> დალილა.

<sup>47)</sup> ერეტიკა,—ერეტიკოსი, ანუ ერესი—ბერძნული სიტყვაა, რო-  
მელიც ნიშნავს: განყოფილებას, პარტიას, სეკტას; ისეთი სწავლაა, რო-  
მელიც არღვევს რაიმე ადამიანის სარწმუნოების წეს-წყობილებას.

<sup>48)</sup> ვოდუანელები,—ვონოან, სახელი ერთის ღმერთისა სკანდინა-  
ვიაში.

<sup>49)</sup> მოზარაბები,—ამ სახელით მავრები უწყოდებდნენ ისპანიის ქრის-  
ტიანებს, რომელნიც ამათ ქვეშევრდომათ სცხოვრობდნენ.

<sup>50)</sup> გვებრები,—ცეცხლის თაყვანის-მცემლები.

„მოგვიტევეთ, დაგვეხსენით“! მოჩანს, როგორც უცრუვდებათ ყველაფერი, ყოველი იმედი, ყოველი ნუგეში! პირის-სახე იცვლება საშინელის ცეცხლისა-გან. ხელ-მეორედ განხორციელდება და კიდევ იცვ-ლება! ცოცხალს თავის-სარქველზედ ესხმის აღუღე-ბული ტყვია. ოცნების ქვეყანა! აწვალებს და თითო-ნაც წვალებულია; ჭერის მაგიერად—უსაშინელესი და უსაზარლესი ძირი საფლავისა, სადაც ადამიანის სული და გული კოტრიალობს ცეცხლთან ერთად! სიწყვდიადე, ბნელი ლამე, და ვაება! დალალულ ქარიშხალს ამოაქვს ცეცხლის ალი, დაუქრობელი; ცეცხლის ნაკადული იბერება, იზვირთება და ავსებს ქვეყანას, მაშინ ზეცა გაიძახის: „არას დროს“ და ჯოჯოხეთი კი პასუხს აძლევს: „ყოველთვის“! და ყოველი სულ-დგმული, ყოველი მოძრავი არსება, ყოველი მცხოვრებელი დედა-მიწაზედ, რომელსაც ოდესმე უზარმაცნია თავის გახრმწნილობით, უმრუშ-ნია, უცოდვილნია, ყველა, სულ ყოველი იქ არის, იწვის, იდაგვის იფუფქება; გარდაწყვეტილია ყოვე-ლისფერი! უბსკრულია! იქ ეჭვი იღარ არის! რა არის აქ, ჩვენ თვალ წინ? ჯოჯოხეთი და ჯოჯო-ხეთი!

მისი დაშხამული სუნთქვა ჩვენ გაღმოგვედო! ვაალის<sup>51)</sup> კერის მახრჩობელი კომლი ზეცამდის ადის. ვეზუვი,<sup>52)</sup> ეტნა,<sup>53)</sup> ჰეკლა,<sup>54)</sup> სტრომბოლი!<sup>55)</sup> ნუ თუ

<sup>51)</sup> ვაალი,—ბალ, ბელ, სახელი ერთის ღმერთისა, რომელთაც ფი-ნიკიელები, ბაბილონელები, ქალდეელები და ისრაელები თაყვანსა სცემ-დნენ, ისე რომ ადამიანს მსხვერპლად სწირავდნენ დასაკლავად.

<sup>52)</sup> ვეზუვი,—ცეცხლ-მფრქვევი მთა ევროპაში, ნეაპოლის ვახლობ-ლად იტალიაში.

<sup>53)</sup> ეტნა,—ამისთანავე მთა სიცილიაში.

<sup>54)</sup> ჰეკლა,—ამისთანავე მთა ცსლანდიაში.

<sup>55)</sup> სტრომბოლი,—ამისთანავე მთა კუნძულზედ, სახელად ლიპარ.; მთა აფრიკეეს ცეცხლს და მოწითლო კომლს.

სხვა რაზედმე უნდა იფიქროს ადამიანშა? ჩვენ წინ უსა-  
შინელესი საიდუმლოა, საიდუმლო დედა-მიწისა,  
რომლითაც გვიფენს სიკვდილს, სიწყვდიადეს! შე-  
გვიძლიან დავიხაროთ თავი და შიგ ჩავიხედოთ.  
დავინახავთ, რომ განწირულნი საუკუნო საწვალებ-  
ლად ნაპერწკლებსავით გარბიან და გამორბიან, და-  
ეცემიან და ცეცხლი მათ ფრთებს ედება. აჲა! ვაგ-  
ლახ! შველა არსაიდამ, გაქცევა არ შეიძლება.  
უკუ-იქეც! დაბრუნდით თქვენს საპყრობილები,  
ნაკვერჩხალივით გახურებულში! ხელ-ახლად ცეც-  
ხლის ზვირთებათ გარდიქეცით! სატანა დაგცინის  
და ხარხარებს თავისს საწყვდიადეში! ხელებს იმტვ-  
რევს, მაგრამ ცეცხლი კი თავისი გრძელი ენებით  
ჰლოკავს! ზეთი მათ ხრაკავს, ტყვია მათ სდაგავს,  
ფისი მათ ახრჩობს. ამას ბოლო არა აქვს; ადამია-  
ნობა დაბრმავებულია. ამ ალიაქოთში ისმის მხო-  
ლოდ ორი საშინელი სიტყვა:— „არას დროს“—  
„ყოველ დროს“! ოჲ! ღმერთო! ვის შესტკივა იმათ-  
ზედ გული?.. მე!.. მე მოვედი, რომ დავიხსნა  
ადამიანი! დიახ, ადამიანი—ცოდვილი! ეს ფიქრი  
არა მშორდება. ჩემში გაღვიძებულია უზენაესი  
სიყვარული! და მეც გადავივლი ყოველს უფს  
კრულს. რაც დომინიკან<sup>56)</sup> დაიწყო— შე შევასრუ-  
ლებ! ჯოჯოხეთი! როგორ აიტანოს ადამიანმა რკი-  
ნის თავსახური? როგორ გაჩერდეს ამ საშინელს  
თავ-დაღმართზედ ადამიანი? ოჲ, რომი!<sup>57)</sup> ოჲ, იესო!  
ადამიანის დაცემა შევაჩერო?! მე ვიპოვე საშუალე-  
ბა! ეს საშუალება, ჩემს გარდა, წმიდა პავლე მო-

<sup>56)</sup> დომინიკ,—იყო ბერი, რომელმაც ტულუზაში დააარსა თავისი მონასტერი, სახელად დომინიკანელის მონასტერი.

<sup>57)</sup> რომი,— იტალიის უპირველესი სატახტო-დედა-ქალაქი.



ციქულმაც გვიჩვენა. ორწივი ყველაფერსა ჰედავს, მითი გახარებულია, რომ ყველას მიაგნებს და ამაშია მისი გახარებული სიამაყე მისის მაღლა ფრენითა. რა უნდა, რომ ჯოჯოხეთი გაუქმდეს და ზეცა გაირვეს? ჯოჯოხეთი ცეცხლით უნდა გადაიწვას. ერთმა წუთმა—საუკუნოს უნდა აჯობოს. მცირედმა ტანჯვამ აუარებელს წვალებას უნდა აჯობოს! ცეცხლ-წაკიდებული დედა-მიწა გააქრობს საშინელს ჯოჯოხეთს!. ჯოჯოხეთის ერთი საათი - გააუქმებს საუკუნო ჯოჯოხეთს! ყოველი ცოდვა დაიწვის და სული განწმენდილი იქნება, განსპეტაკებული გამოვა ალიდამ, რადგანაც წყალი განბანს სხეულს და ცეცხლი განბანს სულს. სხეული არის—ჭუჭყი, სული კი არის—სინათლე! ოჭ, უკვდავო სულო, მე შემომიწირავს შენთვის ჩემი თავი! სად არის ის მამა, რომელიც ამას არ იზამდა? სად არის ის დედა, რომელიც ჰედავს თავის ბავშვს ცეცხლისა და ჯოჯოხეთს შეუ და არ მიისწრაფვის მის დასახსნელად, არ იკისრებს მისთვის დამსხნელ ანგელოზად ყოფნას? აი ეს არის თვით დახსნა! საუკუნო გომორრა, <sup>58)</sup> საუკუნო სიონი! თვით ღმერთი გვაძლევს დახსნის ნებას. კმარა, აღარავინ არის განწირული საწვალებლად! ზეცა გვაკურთხებს! დიახ, მოვიდა დრო! ვაი, რომ სუფევს ქვეყნიერობის სიავე! იქსო ხელ-მეორეთ ანთხევს სისხლს; ყველა ავია, ყველა უვარგისია, ყველა დაცემულია! ყოველ წამს იზრდება ტოტი ცოდვისა, ხე-ცდომილისა, ის ტოტი, რომე-

<sup>58)</sup> გომორრა,—ერთი ოთხ-ქალაქთაგანი, რომელნიც გაშენებულნი იყვნენ სოდომის ველზედ და ციდან ვნელნის ცეცხლით გადაიწვა ეს ქალაქი; აქ იყო ოთხი ქალაქი: სოდომი, გომორრა, ადამა და სევომი; ახლა იქ, სადაც ეს ქალაქები იყო აბრაამის დროს—ზღვა არის, რომელსაც „მკვდარ-ზღვას“ ეძახიან.

ლიც ღმერთს თან აჰეთნდა, მაგრამ, ვაი, რომ ევამ ადამიანის ბავეს გადაუსწია! სარწმუნოება აღარ არის! იუდეი<sup>59)</sup> ერეტიკოსობენ, ბერები აღთქმას არღვევენ, მოლოზნები თმას არ იკრეპავენ! ერთი ჰელეჯს ჯვარსა, შეორე ჰპილწავს წმიდა სხეულს! როგორც ჭინჭარ მორეული ზამბახი ჭკნება, ისე ქარწყლდება სარწმუნოება ცდომილ მორეული. პაპა მუხლ-მოდრეკილია. ვის წინაშე? ღმერთის წინაშე? ოჸ, არა! ადამიანის წინაშე. კეისრის<sup>60)</sup> წინაშე—ისა თრთის. მეფეებმა რომი სრულიად დაიპყრეს, მაღა ნინევიის<sup>61)</sup> მოახლეთაც გახდება. ერთი ნაბიჯი კი-დევ—და ქვეყანა დაღუპული იქნება! მაგრამ, მე მოვედი. მე, აქა ვარ! ჩემი სული აღსავსეა გულ-მოდგინეობით. ამ აზრით გატაცებული, მე ვარ აქა, რომ გავაღვივო ცეცხლი. ოჸ, დედა-მი-წავ, შენი სხეულის ცოდვებით მე მოვედი, რომ განვკურნო შენი სული. მე მომაქვს შენი განთავი-სუფლება, მე მომაქვს შენი ნუგეში. დიდება უზენაესსა! გახარება ყველასა! ქვეყნიერობას მე ცეცხლით მოვფენ! მეც ვიტყვი ბიბლიის სიტყვით: „იყოს სინთლე“! და დაინახვენ მაშინ ყველანი გა-ჩაღებულს საქვეყნო ცეცხლს! მოვფენ დედა-მიწას ნაკვერჩხლებით, გარდავიტან ცეცხლებს ქალაქებში, წავუკიდებ საყოველთავო აუტოდაჭეს,<sup>62)</sup> უზენაეს,

<sup>59)</sup> იუდეი,—ეს სახელი დაერქვა ისრაელებს ბაბილონის ტყვეობის შემდეგ.

<sup>60)</sup> კეისრი,—არის სახელი რომის დიკტატორისა, რომელიც შემ-დევ ხელმწიფედ გახდა.

<sup>61)</sup> ნინევია,—უპირველესი ქალაქი იყო ასირიელების მეფეებისა.

<sup>62)</sup> აუტოდაჭე,—აღზნებული ცეცხლი, რომელშიაც რამე უნდა გადაიწვან.

ცოცხალს, მხიარულს! ოჰ! აღამიანო—რა რიგ მი-  
ყვარხარ!.... (თვალებს ზეცაში ასეურობს გულ-ხელ  
დაკრეფილი და ამ ადშვილთებულს მდგრადადაში შეჩერ-  
დება. იმის უპან, სცენის სიღრმიდან გამოდის ერთი ბე-  
რი, გულ-ხელ დაკრეფილი, თავზედ კაბიშონ ჩამოფარგებუ-  
ლი ისე, რომ თვალებსაც ჭირავს. მერე გამოვა მეორე  
ბერი, მესამე; ეს ბერები ავგუსტინების ანათლერებში  
არიან ჩამუჯნი, ხმა-ამთაულებლივ მიუახლოვდებიან დო-  
მინიკანელს და მის უპან დადგებიან, ისე, რომ ეს ვერა-  
ფერს ვერ შეამჩნევს. სწორეთ ამ რიგათ სხვა ბერებიც  
სათათოვთ გამოდიან; ჩუმად, წენარად და ისევ ისე  
დადგებიან, ერთი მეორეს გვერდით. სუევედას სელები  
გულზედ აქვთ დაკრეფილი და კაბიშონები პირის-სახე-  
ზედ ჩამოშვებული. თვალების მეტი არა უჩანსთ რა, ისე  
უნდა იყოს გამოჭრილი კაბიშონები სათვალეებით; პირის-  
სახე არც ერთს არ უჩანს. ეს ბერები ისე უნდა დადგნენ,  
რომ ირგვლივ შემოერტყენენ დომინიკანელს. გამოვა  
ურგების ეპისკოპოზი, საეკლესია მანტიაში, ხელში  
გავარჯენი უჭირავს, თავზედ მატრა ხერავს და ამას  
შემოჰუვება როდ არი არი-დიაკონი; ეპისკოპოზი ნელა და  
დანჯათ მოდის. ბერები გზას მისცემენ და ისევ შეუერთ-  
დებიან ერთმანერთს. ამას მოჰუვება მონასტრის უფრო-  
სი წინამდგრადი, რომელსაც პირის-სახე ახდილი აქვს,  
კაბიშონ ჩამოუტარებული, სხვას კი უველას კაბიშონები  
ჩამოფარებული აქვთ. ეპისკოპოზი ბერების წინ დადგე-  
ბა; ეს სცენა ისე უნდა მოხდეს, რომ დომინიკელმა,  
რომელსაც ზეცისაქენ მიუპერია თვალები და ამ დროს  
აუანსცენაზედა სდგის, არა შემჩნიოს რა, რომ მის გარ-  
შემო ამდენი ბერები მოძრაობენ. სცენაზედ თან და თან  
ბნელდება. ბერები ცცამდისინ უნდა იუვნენ).

მეშვიდე სანახავი

დომინიკანელი, ურგელის ეპასკოპოზი, მონსტრის  
წინამდღვარი და 20. ბერი

**ურგელის ეპასკოპოზი.** იყავით მოწმად, რომ მე, ითანხმე  
ეპისკოპოზი მოვედი აქ ამ კაცის დასასჯელად,  
დამნაშავე არის თუ არა, სულ ერთია. ჯერ უნდა  
გამოვჰკითხო და ჩვენება ჩამოვართვა, რადგან კანო-  
ნით, რომლითაც დაისჯება კაცი, საჭირო არის გა-  
მოეცხადოს ბრალდებულს კანონის გარდაწყვეტი-  
ლება. (დომინიკანელი მიიხედას; უკეთას გულ-ციფად  
შესცემის; არავითარს მდელოვარებას; არ იჩვენებს; შემუ-  
რებს ეპისკოპოზს). ვინა ხარ?

დომინიკანელი ბერი. ბერი დომინიკანელი.

ურგელის ეპასკოპოზი. რა გქვიან?

დომინიკანელი ბერი. ტორკვემადა!<sup>63)</sup>

ურგელის ეპისკოპოზი. ამბობენ, რომ შენ ბავშვობიდანვე ხარ  
აღსავსე ავი სულითა და საზარელი ოცნებებით ხარ  
შეჭრულვილი. მართალია თუ არა?

ტორგეგმადა. მე ყველაფერს ისე ჰქედავ, როგორც ჩემი თვა-  
ლი მიჩვენებს.

ურგ. ეპისკოპოზი. მოჩვენებასა ჰქედავ!

<sup>63)</sup> ტორკვემადა,—იყო ბერი. ისპანიის პირველი ლენერალ-ინკვი-  
ზიტორი იყო, 1483 წლიდან სიკვდილამდე შესანიშნავი კაცი თავისის  
მძვინვარებით, რის მიზანითაც ხალხს ათასობითა ჰეზავნიდა ცეცხლში  
დასაწვავად; ტორკვემადა დაიბადა 1420 წ. და გარდაიცვალა 1498 წელს.  
ტორკვემადამ განდევნა ებრაელები ისპანიიდან. ამან დაამტკიცა გარდა-  
წყვეტილება 8,800 კაცის სიკვდილით დასჯისა, 100,000 კაცი სამუდა-  
მოდ დაპატიმრებისა, კატორლაში გაგზავნისა, გადასახლებისა, წვალებისა,  
და სხვ. ვიქტორ ჰიუგომ ამ დრამაში ჩინებულად წარმოგვიდგინა საშინე-  
ლი ხასიათი და გავლენა ამ ტორკვემადასი და იმ დროისა, როცა ეს  
კაცი არსებობდა დედა-მიწის ზურგზედ.

**ტორგემადა.** რაც გინდათ ის დაარქვით, რასაც მე ვხედავ. ძე  
ვხედავ ღმერთს! (შექსედავს ფქროს ჯვარს, რომელიც  
გადასწის პედელზე ურჩევა) ღმერთო, რა გინდა  
ჩვენგან? რა შეგვიძლიან ჩვენ, შენ მსახურთა, შენს  
წინაშე? რომ ვხედვიდეთ მარტო ერთს შენს მცნე-  
ბასა, და მეტს არასფერს გარსა მისსა—ოჲ, საშინე-  
ლებაა; მაგრამ მე, ღმერთო, მე რა შემიძლიან?

**ურგ.** ებისკობასი. მიპასუხე! ამბობენ, ვითომც შენ ამტკიცე-  
ბდე, რომ ჩვენ, მწავლულნი შემცდარნი ვართ, რომ  
ურწმუნო გვძულს, ვითარცა გველი?

**ტორგემადა.** თქვენ შემცდარნი ხართ, მამანო-ებისკოპოზ-  
ნო!

**ურგ.** ებისკობასი. ჭია!..

**ტორგემადა.** ურწმუნო უნდა გიყვარდეთ და მერე შველა  
მისცეთ!

**ურგ.** ებისკობაზი. ამბობენ, რომ შენ ცრუ-შემეცნებაშ გაგი-  
ტაცა, რომლის მიზეზით დაიღუპა დიდიე<sup>64)</sup> ლომ-  
ბარდელი და შენის ფუჭის ფიქრით დარწმუნებით  
ამტკიცებდე, რომ ჯოჯოხეთი ჰქრება და იწვის  
ცეცხლში და რომ ცეცხლში დამწვარი სული ზეცას  
ადის და ამისათვის ამბობ, რომ ყოველი სხეული  
უნდა დაიწვას.

**ტორგემადა.** დიახ, ეგ ჰეშმარიტია!

**ურგ.** ებისკობაზი. უგუნურო! დაბრმავებულხარ შენის შეც-  
დომილებით. მაგრამ ეგ არის ხე-მწუხრისა, და ფეხო  
მისი არის—შეცდომილება.

**ტორგემადა.** სულსა სძულს სხეულის შეხება, ამ მაცთურ-  
თანა-მგზავრისა. ყოველი დამწვარი—განწმენდილია!

**ურგ.** ებისკობაზი. შესაზარი სწავლა-ქადაგებაა!

**ტორგემადა.** ოჲ, არა!

**ურგ.** ებისკობაზი. ტყუილია!

<sup>64)</sup> დიდიე-ლომბარდელი,—ისპანიის ეკლესიის ერთი წმიდათაგანი.

ტორეგემადა. არა, ჰეშმარიტია! და მეც ასე ვმოქმედობ.

ურგ. ებისკობოზი. ოჯ, გველო!

ტორეგემადა. მრწამს იგი! დიახ!

ურგ. ებისკობოზი. უკუაგდე, თორემ... გაფთხილდი! მე, შენი მეუფე, გიბრძანებ მოინანიე ყველაფერი და უკუაგდე ცრუ-რწმუნება.

ტორეგემადა. შენი მორჩილი მოწაფე ვარ,—ტყუილი არ შე-  
მიძლიან, მტკიცეთა მრწამს ყოველისფერი!

ურგ. ებისკობოზი. წინააღმდეგი ხარ!

ტორეგემადა. ლატრანის<sup>65)</sup> სობორო და პაპა ინოკენტი მესამე  
ჩემს მხარეზედ არიან!

ურგ. ებისკობოზი. უკუაგდე სწავლა შენი! ბრუნო ანუერე-  
ლმა<sup>66)</sup> მოინანია ყველა ცოდვა, რომ დიდებულება  
დამსახურებინა.

ტორეგემადა. დიდებულება მე არ მინდა!... უმცირესობა მინ-  
და!

ურგ. ებისკობოზი. ამპარტავანო!

ტორეგემადა. არა, რწმუნებული ვარ!

ურგ. ებისკობოზი. მაშ სთქვი, რა გწადიან?

ტორეგემადა. მწადიან ფეხ-შიშველა რომში წასვლა, რომ  
კურთხეულს წმიდა მამას ვაცნობო...

ურგ. ებისკობოზი. იმის ბრძანებითა გსჯი მე ახლა, ძალლო!

ტორეგემადა. ძალლი თავისის ყეფით მწყემსს აღვიძებს; მე  
გავაღვიძებ რომის პაპას. მე უნდა მომისმინოს!

ურგ. ებისკობოზი (უჩვენებს ამ ბერზე იქ მდგრად ბერებს). შვილ-  
ნო ჩემნო, ჰედავთ რა აფთარია ეს ადამიანი!

ტორეგემადა. დიახ, იმიტომ რომ მწყალობელია ის! (შადლა  
ცას სეჭს გაუწვდენს) „სარწმუნოება სიყვარულით  
ინთება“, სთქვა ყოვლად წმიდა პავლემ.

ურგ. ებისკობოზი. შემცდარი ხარ, რომ ეს სიტყვა მოგყავს.  
მთელს ქვეყანაზედ დიდათ პატივცემული მამა-მოძ-

<sup>65)</sup> ლატრანის სობორო,—უძველესი მონასტერი ისპანიაში.

<sup>66)</sup> ბრუნო-ანუერელი—იყო დამინიკანელი ბერი; ინკვიზიციამ შე-  
იძყრო და ცეცხლში დასწვა 1600 წელს, როგორც ერთი უმთავრესი  
ერეტიკოსთაგანი.

ღვარი სიკსტი<sup>67)</sup>) მეოთხე ეძებს საკურთხეველს არა  
მძაფრს და არა სასტიქს. მისი მოწყალებითი მიხედვა  
აგრეთვე უდიდესია, როგორც სიწმიდე. იმას უნდა,  
რომ ფარ-ხმლად ჰეშმარიტებამ ღვთის მოტევება  
იქონიოს. წმიდა მწვალებელთა სისხლის სამართალი  
მოლობა. პაპა თავის მარჯვენას უფრო ხშირად აღა-  
პყრობს მისთვის, რომ აკურთხოს და არა მის-  
თვის, რომ დასაჯოს. ცეცხლში გადაწვა ახლა იშვი-  
ათია.

**ტორგეგემადა.** ეს სისუსტე ზარ-დამცემია. ჯოჯოხეთის ალი  
უფრო მაღლა აღის და უფრო ძრიელია, ვიდრე ალი  
ცეცხლისა.

**ურგ. ეპისკოპოზი.** უბედურო, გაშავებულო სულო! მაშ რა  
გინდა?

**ტორგეგემადა.** ქვეყნის დახსნა.

**ურგ. ეპისკოპოზი.** რა საშუალებით?

**ტორგეგემადა.** ცეცხლითა და ალით!

**ურგ. ეპისკოპოზი.** ითრთოლე! ეგ საშუალება საშინელია!

**ტორგეგემადა.** თვითან დამსხნელი ვერ ირჩევს საშუალებას.

**ურგ. ეპისკოპოზი.** მაშ სთქვი, რის იმედი გაქვს?

**ტორგეგემადა.** გამარჯვებისა, თუ ღმერთი შემეწევა.

**ურგ. ეპისკოპოზი.** ვნახოთ! (უჩვენებს ტორგეგემადას ახლად გა-  
თხრილს საფლავს) შიგ ჩადი!

**ტორგეგემადა.** ეს რა არის?

**ურგ. ეპისკოპოზი.** საფლავი.

**ტორგეგემადა.** კარგი! (მიდის საფლავთან.)

**ურგ. ეპისკოპოზი.** გაჩერდი! დრო კიდევა გაქვს!

**ტორგეგემადა.** (საფლავთან მიახლოვებული) introjbo.

**ურგ. ეპისკოპოზი.** მოიფიქრე!

<sup>67)</sup> სიკსტი მეოთხე,— რომის პაპა იყო, რომელმაც შემოილო ინკვი-  
ზიცია ისპანიაში.

**ტორგეგემადა.** (ზეცას აღაშერთას თვალებს) ოჰ, ღმერთო, ღასა-  
ჯე შენი საკურთხევლის მსახური და წინასწარმე-  
ტყველი შენი და აღსრულდეს ნება შენი. (მივა  
საფლავის პირთან და გაჩერდება).

**ურგ.** ეპისკოპოზი. შენი ეპისკოპოზის მორჩილი უნდა იყო.  
მონასტერში ამაყი თავი არის შეურაცხება მონას-  
ტრისა. ეკლესიის ვალია დაპმარხოს ის, ვინც  
არღვევს იმის კანონს.

**ტორგეგემადა** (საფლავის ნაპირასა დგას). ამინ!

**ურგ.** ეპისკოპოზი. დაგვმორჩილდი, ბერო! გიბრძანებ მორ-  
ჩილებას!

**ტორგეგემადა.** არა!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ჩაღი ერთს საფეხურზედ! (ტორგეგემადა  
ჩავა ერთს საფეხურზედ.) ქრისტეს გულისათვის უკუ-  
აგდე ცველაფერი!

**ტორგეგემადა.** არა!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ჩაღი! (ჩავა მეორე საფეხურზედ.) უკუაგდე!

**ტორგეგემადა.** არა!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ჩაღი! (მესამე საფურზედ ჩავა) მე, ეპისკო-  
პოზი და მსაჯული შენი გიბრძანებ უკუაგდო შენი  
საზარელი და მატყუარა სწავლა-ქადაგება!

**ტორგეგემადა.** არა, ქეშმარიტია!

**ურგ.** ეპისკოპოზი. პატივი მეცი!

**ტორგეგემადა.** არა!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ჩაღი! (ტორგეგემადა ჩადის. ტანი მისი ნახევ-  
რამდინა სჩანს. ეპისკოპოზი მიუხსდოვდება და უჩვენებს  
საფლავზედ.) ჰედავ, მანდ ჯამში წყალია; ის—ჟუ-  
რია ქერისა. მზის სინათლეს ველარ ელირსები;  
ვარსკვლავი და ცისკარი განქრება შენთვის საუკუ-  
ნოდ!

**ტორგეგმადა.** იყოს ნება ღვთისა!

**ურგ.** ეპისკოპოზა. ჩადი! (ჩავა; მარტო იმისი თავი-და სჩანს საფლავიდან.) გირჩევ, მოიფიქრო! მანდ შენ უჟაეროდ განქრები, ვითა მაშალა! შიმშილი, წყურვილი, სიკვდილი, საშინელება!

**ტორგეგმადა.** მშვენიერება!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ჩადი! (ტორგეგმადა საფლავიდან აღარ ჩანს).

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). სულ ძირსა ვდგევარ.

**ურგ.** ეპისკოპოზი. დაათარეთ ქვა!

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). აღასრულეთ! (ეპისკოპოზი სელით ანიშნებს და ორი ბერი საფლავს ქვას დადებენ ისე, რომ პატარა და დარჩეს; მოშორდებიან. ეპისკოპოზი დაიზნიქება და საფლავში ჩასძინის)

**ურგ.** ეპისკოპოზი. იესო ქრისტეს სახელით! ერთს წამს უკან გვიან-და იქნება! შენ გელის სიწყვდიადე! უკუაგდებთუ არა?

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). არა!

**ურგ.** ეპისკოპოზი მაშ განისვენე საუკუნოდ! (ორივე ბერი დაათარებენ ქვას და დაგდისავენ.) აბა, ძმანო, ახლა ვიღოოცოთ! (ჟველანი სელებს გულზედ დაერევენ; ბერები წევილ-წევილად დადგებიან და ისე გადიან სცენიდან, ნელა, დინჭათ; ეპისკოპოზი ჟველაზე ბოლოს. ისმის ამათი გლოგის გალობა; გალობა თან და თან მისწერება).

**გაღმის სმა** De profundis ad te clamavi, Domine. (ღრმად აღმოღადად გეავ შენდამი უფალო!)

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). ღმერთო, შეიცოდე საცოდავი ქვეყანა!

გადობის ხმა. Libera nos (გვიხსენ ჩვენ უფალო!)  
ტორგეგმადა (საფლავიდან). ღმერთო ჩემო, მისენ მე!

### მირზე სანახავი

ტორგეგმადა (საფლავში) დონ სანჩით და დონნა-როზა.

(დონ-სანჩით და დონნა-როზა კამთველები ბალიდან; ჰატარა ხანს შეჩერდებიან; ერთმანერთს დაცერდებიან და აქეთ-იქით იუუ-რებიან. სიჩუმეა; შეა დაშეა).

**სანჩით.** ხედავ, რადგანაც ჩვენ ერთმანერთი გვიყვარს სიყრმი-დანვე, ჩემი ხელი შენ გეძებს, რომ ჩემსკენ მოგი-ყვანოს და არ მესმის კი: შენ გეძახის ჩემი გული—თუ შენ უძახი ჩემ გულს? როზა, ჩვენ თავზედ რა-ლაც საიდუმლოება ტრიალებს; ხან და ხან დამაფიქ-რებს ხოლმე ეს საიდუმლო; ამ მონასტერში ჩვენ ერთადა გვზრდიან; მაგრამ ჩვენ ვინა ვართ, რა ვართ? შენ არ იცი, აქ რათა ვართ დამწყვდეული? ეჭ, ჩემთვის სულ ერთია, შენ სიყვარულს არავინ მიშლის; მე რაინდი ვარ, შენ კი ჩემი მანდილოსანი. ჩემს სულზედ რათ ვამბობ, არ ვიცი; ჩემი გული და სული შენი ტკბილი სუნთქვაა; სუნთქვა და ზე-ცის ალი გამოდის შენის პირიდან და ბრჭყვინავს შენს თვალებში. როცა შენ ჩემთან არა ხარ, მე ჩემს გულს ვეღარა ვგრძნობ ხოლმე. შენი პირ-ბადე მიშ-ლის. ერთი მაკოცე!

**როზა.** არა! (ლოკაზე აკოცნინებს და სანჩითს შეჯავზედ დაეჭრდნთას და თითით ზეცაში გარსკვლავს უჩვენებს). აი იმ ვარსკვ-ლავსა ჰედავ?

ტორგეგმადა (საფლავიდან). ღმერთო! დაიხსენ ქვეყანა!  
გადობის ხმა. Jte, pax seculeris!

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). უფალო შემიწყალე!

**როზა.** გესმის—გალობა?

**სანჩო.** არა! რაღაც გოდება მესმის.

**გაღობის ხს.** (თან-და-თან შესწევება). Onus grave super caput.

**როზა.** გესმის—გალობენ!... ღამე გალობა, უპ რა კარგია. გალობა, ეს ხმა რომ ზეცას შეპხარის; დედა-მიწა აღსავსეა სიყვარულით. მაშ, ჩვენც გვიყვარდეს ერთ-მანერით.

**გაღობის ხმა.** Miserere! (მიწალე მე ღმერთი).

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). Miserere! (მიწალე მე ღმერთი).

**სანჩო.** არა, მეთქი, ეს გოდება! ვიღაც იძახის. შემცდარი არა ვარ. საიდან ისმის ეს გოდება?

**როზა.** ეკლესიიდან. ეს საღამოს ლოცვა!

**სანჩო.** არა! არა!

**როზა.** ბნელა, არა ჩანს-რა!

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). იესო ქრისტე!

**სანჩო** (შეამჩნევს ქვას, რომელიც საფლავს აივარია). აი, აქ არის, აქა!

**როზა.** მეშინიან!

**სანჩო.** შიგ ვიღაცა არის!

**როზა.** მკვდარი ლაპარაკობს!..

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). ოპ, ღმერთო! მამაო ჩვენო!

**სანჩო.** ცოცხალი კაცია დამარხული ამ ქვის ქვეშ!

**როზა.** არ მიეკარო! მოჩვენება! მკვდარი გამოვა მანდე-დან!

**სანჩო** (სასტიკად). მოდი მიშველე! (დაიჩქებს და ქვის დაძრასა სცდილობს; როზა შველის). თუ ვინმე დამნაშავე არის

აქ ჩაფლული, შენგან იქნება განთავისუფლებული.  
(ქვის უკანს დაადებს და ჩაძისხებს) მანდ ვინა ხარ?

**ტორგემადა** (საფლავიდან). მიშველეთ!

**სახეო.** მოითმინე! (თრივენი ქვის აწევას სცდილობენ) ვერ  
დავსძრავთ ამ ქვასა! ნეტავი რითიმე მაინც ავსწიოთ.  
(უცებ შეამნებეს ერთს საფლავზედ გადაფნის შახლობ-  
ლად რკინის ჯვარს). აი, ჯვარი! (ადგება და ჯვართან  
მიდის).

**როზა.** (შეასჩერებს). მოიცადე, მოიცადე!

**სახეო.** (საფლავის კენ მიიხედავს). ოჰ, უბედური!

**როზა.** მეშინიან, ჯვარს ხელი არ ახლო, ცოდვაა; არ იქ-  
ნება!

**სახეო.** ცოდვა იქნებოდა, რომ ხელი არ მეხლო, თუ კაცს  
უშველის. ვიღებ! ღმერთი შემიწყალებს. (ამთაძრობს  
რკინის ჯვარს).

**როზა.** (რკინის ჯვართან შირ-ჯვარს იწერს). O crux, ave!

**სახეო.** (შინჯავს ჯვარს). კარგი ბერ-კეტია! აბა, ახლა მიშვე-  
ლე! (მიიღანს საფლავთან ერთს ქვას, ზედ ჯვარს და-  
სურდობს და საფლავის ქვაში შესწევს ჯვარს და თრივე-  
ნი ზედ დააწეპიან) დიახ, სიკვდილი აღვილად  
თვალს არ გაახელს; ძნელი ყოფილა! (ცოტას შეი-  
სებნებენ). საკვირველი აღგილია მონასტერი! ხან და  
ხან საოცარი საქმეები ხდება ხოლმე აქა.

**როზა.** ღმერთო! მეშინიან ვთროთ!

**სახეო.** რა მძიმე ქვაა!

**როზა.** აპა, დაინძრა, დაინძრა! (ქვის დაანძრევს).

**სახეო.** მოდი, მომეხმარე! (როზა დააწეპება ჯვარს, სახეო მეო-  
რე ქვას ახლო მისწევს და ახდის საფლავს).

**როზა.** (სისარულით ტაშს უკრავს). ახ, რა მიხარიან!

**სახეო.** (ჩახედავს საფლავში). ოჰ, რა საშინელი და ბნელი  
აკლდამა! (ტორგემადა აშოგა საფლავიდან წენარად.  
დაცემერდება ხან სახეოს, ხან როზას).



**რთაზა:** ცოცხალია, ცოცხალი! ეს ბერია, მოხუცი! ას რა  
ბეღნიერებაა, რომ აქ ვიყავით და ამისი ხმა გავი-  
გონეთ.

ტორქებმადა. ოქვენ მე ახლა სიკვდილიდან დამისენით; გე-  
ფიცებით, ჩემო შვილებო, რომ მე მაგიერს გადა-  
გიხდით!

## კოტე უიფიანი.

(შემდეგი იქნება)

# შინაპრეზის თაყვანის-ცემა

## პატარელუგზი

პროფ. მ. მ. კოვალევსკისა

(თარგმანი)

სხვა და სხვა სარწმუნოებრივ ჩვეულებათა შორის, რომ-  
 ლებიც დღემდის დარჩენილა კავკასიაში, ყველაზედ უფრო  
 გავრცელებულია წინაპრეზის თაყვანის-ცემა. ეს კულტი არსე-  
 ბობს როგორც არიელ-ოსებში, ისე ქართველ-ფშაველებში,  
 ხევსურებში და თუშებში, როგორც ქრისტეს მიმდევარ ხალ-  
 ხებში, ისე მაჰმადიანებში. წინაპრეზის თაყვანის-ცემის კულტს  
 იმდენად ღრმად აქვს ფეხი გადგმული, რომ ქრისტიანობამ  
 არამც თუ ვერ განდევნა იგი, არამედ თვითონ მიიღო ზოგი-  
 ერთი ფორმა ამ კულტისა. მაგალითად, ფშაველების და ხევ-  
 სურების მთელი ქრისტეანობა არის მხოლოდ მფარველ-ანგე-  
 ლოსების თაყვანის-ცემა, განსაკუთრებით გაბრიელ და მიქელ  
 მთავარ-ანგელოსებისა. ისინი წარმოიდგენენ ანგელოსებს ოჯა-  
 ხის მფარველ-სულებად; ყოველს ოჯახს თავისი ანგელოსი  
 თუ წმინდა სული (ხატი) ჰყავს, რომელიც არის მფარველი  
 მხოლოდ ამ ოჯახის, მონაწილე მისი სიხარულის და მწუხარე-  
 ბისა, მონაწილეობას იღებს ამ ოჯახის სხვა ოჯახთან ბრძო-  
 ლაში.

ხშირად გაგვიგონია ჩვენ ფშაველებში: „ჩვენმა გვარმა  
 გაიმარჯვა ბრძოლაში, თუმცა მათი მფარველი-ანგელოსი (ხატი)



ჩვენსაზე უფრო ძლიერია და „შემძლებელიო“ . ანგელოსების თაყვანისას ნის-ცემა იმდენად განვითარებულია ფშაველებში, რომ არამკურ-ქრისტეანულ სარწმუნოებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ ქრისტეს ცხოვრება და სხვა ქრისტეანული ქრისტე-ბანი უცხოა მათვის; ისინი დიდებულია და უქმობენ გაბრიელ და მიქელ ანგელოსების დღესასწაულებს, აგრეთვე საოჯახო და ადგილობრივ მფარველ სულების დღეებს და სრულიად ყურადღებას არ აქცევენ შობას და აღდგომას.

მაჰმადის სარწმუნოება ყოველთვის უფრო სასტიკად ეპყრობა ძველ, წინანდელ სარწმუნოების ჩვეულებებს. მაჰმად-მა სრულიად აღუკრძალა არაბებს ძველი მკვდრებისათვის მსხვერპლის შეწირვის ჩვეულება. ამიტომაცაა, აღბად, რომ კავკა-სის იმ ნაწილებში, სადაც მაჰმადიანობა უფრო დამკვიდრებულია, როგორც მაგალითად, დაღესტანსა და აღმოსავლეთ პროვინციებში (კასპიის ზღვის ნაპირას) წინაპარების თაყვანის-ცემა სრულიად გაღავარდნილა და ერთად-ერთი ნაშთი, დარჩენილი ამ ძველის ჩვეულებისაგან, არის მცხოვრებლების პატივის-ცემა მართლმორწმუნეთა საფლავებისადმი. მაგრამ სულ სხვაა დასავლეთ ადგილებში, სადაც მაჰმადიანობამ ასის წლით შემდეგ განდევნა ქრისტეს სარწმუნოება და დაიკავა მისი ადგილი, მაგრამ სადაც მაჰმადიანობა დღესაც მხოლოდ გარეგნულიად არის აღსარებული. აქ მტკიცედ არის დაცული წინაპრების თაყვანის-ცემა როგორც მაჰმადიანებში, ისე ქრისტეანებში; ორივენი ერთნაირის სისწორით და წესიერად ასრულებენ ამ კულტის ლოცვებს.

ზემო ნათქვამიდან სჩანს, რომ წინაპრების თაყვანის-ცემის კულტი საზოგადო თვისებაა კავკასელ ტომებისა, რომ მისი წარმოშობა ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც არამც თუ მაჰმადიანობა, ქრისტეანობაც არ იყო გავრცელებული, ყოველ შემთხვევაში მესამე საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ, ესე იგი იმ დროს, როდესაც ქართველები და ის ტომები, რომ-ლებიც სცხოვრობდნენ საქართველოში, ისიც იყო იწყებდნენ ქრისტეს სარწმუნოების მიღებას.



ქვემო მოყვანილი დაწვრილებითი ცნობები შევტრიბუ  
პირადად ჩემის სამის მოგზაურობის დროს კავკასიის მთებში;  
მე ვმოგზაურობდი ფილოლოვ V. Möller-თან და ოდგილობ-  
რივ მცხოვრებ ოსებთან და ქართველებთან ერთად, რომლე-  
ბის წინად ჩემი შაგირდები იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტში,  
და აგრეთვე ქართველ და ოსის მღვდლებთან ერთად, რომლე-  
ბიც დახმარება განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩემთვის, რადგან  
მათ კარგად იციან თავიანთი მხარე და თავისუფლად ლაპარა-  
კობენ რუსულ ენაზე.

ვბინავდებოდი ჩემის წინანდელ შაგირდების ან მასწავ-  
ლებლების და მღვდლების სახლებში და თავისუფლად ვიკვ-  
ლევდი ოდგილობრივ ზნე-ჩვეულებათ. ხშირად ვესწრებოდი  
მამასახლისების კრებებს და ოდგილობრივ მკვიდრთა შემწეო-  
ბით ვკრებდი ცნობებს; საყურადღებო ცნობებს მაძლევდა სხვა  
და სხვა ოქები და განაჩენები, რომლებიც ზოგიერთ ალაგას  
რუსულად იყო შედგენილი, ზოგან კი ქ.როულად ან არა-  
ბულად. მე საკუთარის ხარჯით ვათარგმნინებდი ამ ქალალდებს  
მოხელეებს, მასწავლებლებს, უფრო ხშირად კი საოლქო სამარ-  
როველოების მდივნებს. დაუფასებელი სამსახური გამიწია თა-  
ვად ურუზმარევის დახმარებამ, ამ ურუზმიევისა, რომელიც ამ  
24 წლის წინად თან ახლდა ცნობილს მეცნიერს ლიბის მისს  
იალბუზის გარშემო მოგზაურობის დროს. თავადი ურუზმიევი  
ჩემთანაც მოგზაურობდა კავკასიის ქედზე, გამაცნო შიგნითა  
ნაწილი იალბუზისა, აგრე წოდებული ბალქარია ან სათათრო  
ნაწილი, გამაცნო აგრეთვე სვანეთი და იქ-ური თავადები და-  
დიშქელიანები, რომლებმაც თავის მხრივ ბევრი ცნობა და  
განმარტება შემძინეს.

ჩემის მესამე და უკანასკნელის მოგზაურობის დროს, რო-  
მლის საგანი იყო ფშავეთის და ხევსურეთის მოვლა, მეტად  
საიმედო ხელმძღვანელობა გამიწია ბ. შატილოვმა, ს.სამართლოს  
თავმჯდომარემ, რომელმაც კარგათ იცოდა ქართული ენა.

უოველისავე ამის გადმოცემა საჭიროდ დავინახე, რომ  
ჩემმა ცნობებმა მეტი ნდობა დაიმსახურონ, ვიღრე ეს მიღე

ბულია მგზავრების შენიშვნების შესახებ. მე სწორედ მცყარება  
ლობდა ბედი, რომ ყოველთვის მყავდა თან ისეთი სანდო  
კაცი, რომელმაც იცოდა ადგილობრივი ენა, ზნე-ჩვეულებანი  
და შეეძლო ჩემ მიერ შეკრებილის ცნობების შემოწმება.

ახლა გადავიდეთ პირდაპირ წერილის საგანზე, მაგრამ  
ჯერ მოკლედ გაგაცნობთ მკითხველს იმ ტომების სოციალურ წეს-  
წყობილებას, რომლებში დღემდის დარჩენილი წინაპრების თა-  
ყვანისცემა. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ წინაპრების თა-  
ყვანისცემის კულტი არის უმთავრესად საოჯახო კულტი,  
ამიტომ თუ არ გავიცნობთ ამ ტომების საოჯახო წეს-წყობი-  
ლებას, საოჯახო კერის ორგანიზაციის საფუძველებს, ვერ ვი-  
ქნიებთ ჭეშმარიტს წარმოდგენას ხესნებულ კულტის შესა-  
ხებაც.

ყველაზედ უწინარეს უნდა შენიშნოთ, რომ კავკასიელ  
მთიულების საზოგადობრივი წეს-წყობილება არის საოჯახო—  
სათემო ტიპისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთის საზო-  
გადო წინაპრისაგან წარმოშობა, ერთობა მიწა-წყლისა და მის  
შემოსავლისა.

ეს თემები შესდგებიან 30 ან 40 კაცისაგან, სცხოვრო-  
ბენ ერთად ერთს ეზოში, ერთად უძღვებიან მეურნეობას,  
ერთად განავებენ თავიანთ საქმეებს და საერთო ბელლებში ინა-  
ხავენ საზრდოს.

იშვიათად შეხვდება ადამიანი ამ თემების სახლებზე უფრო  
თავისებურს შენობას. ეს სახლები აშეარად გიჩვევნებს, თუ  
როგორ შეუძლიანთ ერთად მოწყობა და ცხოვრება ათს თუ  
მეტს ცოლ-ქმარს. როგორც ყველაზედ უფრო ტიპიურს მე  
ავიღებ ოსურს სახლს.

ოსური სახლი შესდგება რამდენისამე შენობისაგან. შეა-  
დგილი უკავია აგრე წოდებულს კხადცარს. კხადცარი წარ-  
მოადგენს დიდის ზალის მსგავსს სამზარეულოს. ოთახის შეა-  
ში მოთავსებულია კერა და ზევით სახურავში დატოვებულია  
კვამლის გასასვლელი ადგილი. სახურავის კოჭზე ჩამოკიდებუ-  
ლი რკინის ჯაჭვი (ნაჭა) — „რაკეისი“, რომელიც ჩამოდის კე-

რამდის. ამ ჯაჭვზე პკიდებენ დიდი ქვაბს, რომელშიაც ყოველ დღე საღილს ამზადებენ მთელის ოჯახისათვის. კერის მარჯვნივ სდგას დიდი ხის სკამი, რომელზედაც სადილობის დროს შეუძლიანთ დაჯდენ მხოლოდ მამაკაცებს. მარცხნივ სდგას საქალებო სკამი.

კხადცარის, როგორც ვსთქვით, ცენტრალური ადგილი უკავია და ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ოსის სახლში. კხადცარის ორსავე მხარეზე მოთავსებულია თვითონეულის ცოლ-ქმრისათვის ცალკე დასაძინებელი სადგომი; ამ სადგომებს „ვატებს“ ეძახიან. მდიდარ სახლებში გარდა ამისა არის სტუმრებისათვის (კუნაკებისათვის) განსაკუთრებული სადგომი—„საკუნაკო“, რომელიც პირდაპირ შეერთებული არ არის ოჯახის სადგომთან. ამგვარად ყველა ცოლიან კაცს აქვს თავისი დასაძინებელი ოთახი; უცოლონი იძინებენ ერთად ან კხადცარში ან საკუნაკოში, ანა და კიდევ ზაფხულში სრულიად გარედ. ბევრს ოსურს სახლს გაკეთებული აქვს კხადცარის ზევით მჩგვალი ან ოთხ-კუთხიანი კოშკი. ასეთს კოშკებს წინად ხშირად შეხვდებოდა ადამიანი. მაგრამ რუსეთის მთავრობამ უბრძანა ოსებს მათი დანგრევა: ამით უნდოდათ საგვართაშორისო ბრძოლების მოსპობა, რომლებიც ამ 30 წლის წინად ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთიელებში. ასეთი კოშკი ბევრია სვანეთში; სვანეთის სოფელი პირველ შეხედვაზე ცოტათი საშუალო საუკუნოების ბოლონიას მოაგონებს კაცს, ან დღევანდელს სიენას და ფლორენციას.

ამ აწერის შემდეგ მივმართოთ პირდაპირ ჩვენს საგანს.

ყველგან, საღაც არსებობს წინაპრების თაყვანის-ცემის კულტი, იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ერთის მხრით საოჯახო კერის კულტთან, მეორეს მხრით ხალხის წარმოდგენასთან საიქიო ცხოვრების შესახებ. კავკასიაში დღემდის დარჩენილი რელიგიური ცერემონიები და რწმენანი სრულიად ეთანხმებიან იმ დასკვნათ, რომელთაც დაადგნენ ფუსტელ დე-კულანუი და სხვები აღმოსავლეთის სამღრთო წიგნების და უძველეს საისტორიო მწერლების და ფილოსოფოსების შესწავლის დროს.



უპირველესად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გზრე-  
მოებას, რომ მთელებისათვის კერა და ოჯახი ერთი და იგი-  
ვეა. უმძიმესი შეურაცხყოფა ოსისათვის იქნება ის, რომ უსურ-  
ვოთ: „სამუდამოდ ჩატერეს შენს კერაში ცეცხლითქვა“. ეს  
მისთვის იგივეა, რომ მთელის ოჯახის დაღუპვა უსურვოთ.  
მაგრამ მარტო კერა არ არის განსაკუთრებული საგანი კულ-  
ტისა; ასეთივე ნივთია ქვაბი, ნაჭა და სხ., ყველაფერი, რაც-  
კი დაკავშირებულია კერასთან და საჭიროა საჭმელის მოსამზა-  
დებლად. არც ერთი ოჯახი, რაც უნდა გაჭირვებული იყოს,  
არ გაჰყიდის არც ერთს ამ ნივთთაგანს, რადგან ყოველი  
მათაგანი იმგვარადვე წმინდა მისთვის, როგორც წინაპრის  
საფლავი. ამ ნივთებს ადგილობრივ მკვიდრთათვის extra co-  
mmercium-ის \*) მნიშვნელობა აქვს. ოსის ოჯახი უფრო ადვი-  
ლად გაჰყიდის მიწას, ვიდრე თავისს წმინდა ნივთებს; მისის  
შეხედულობით ნაჭის მოპარვა ყველაფერზე უმძიმესი დანაშა-  
ულობაა. თვით კაცის მოკვლაც უფრო იოლი დანაშაულობა,  
რადგან ამ დანაშაულობის გამოყიდვა შეიძლება ფულით ან  
საქონლით, „რაკნისის“ ქურდი-კი მხოლოდ სისხლით გა-  
მოიყიდის თავს. ყოველი მნიშვნელობიანი და დიდებული  
მოვლენა ოსის ცხოვრებაში ხდება კერის ახლო, ამიტომა აქვს  
მოპოვებული დიდი პატივისცემა ნაჭას.

თვით სიკვდილით დასასჯელისათვისაც საიმედო თავშესა-  
ფარია კხად ირი ანუ შეუა ნაწილი ოსის სახლისა. როგორც  
კი შევა იგი შიგ, მაშინვე ხელს წავლებს ნაჭას. ამით დამნა-  
შავე აქადებს თავის თავს საოჯახო კერის მფარველობის ქვეშ;  
რაკი ეს მოასწრო, იგი თავისუფალია სასჯელისაგან, თუმცა  
ამ ოჯახის რომელისამე წევრის მკვლელიც იყოს. ოსურ ლე-  
გენდებში, რომლებიც შეკერიბეს ბოლო დროს ჩემმა შაგირ-  
დებმა და გამოსცა ჩემის წინადადებით მოსკოვის საეთნოგრა-  
ფიო საზოგადოებამ, არა ერთი და ორი ამბავი შეგხვდებათ

\*) ე. ი. ეს ნივთები გაჭრობის (კოშერციის) გარეშეა, მათი არც  
გაყიდვა შეიძლება, არც ყიდვა. მთარ.



ცერემონიებს ეკუთვნის. ამგვარს დღესასწაულს ესწრება ქველია  
ახლო-მახლო ადგილების მცხოვრები. დღესასწაულისათვის  
ჰქონია მთელს ფარას ცხორისას, აგრეთვე ხარებს და ძრო-  
ხებს და ასეთი დღესასწაული ხშირად ჯდება რამდენიმე ათი-  
ათასი (?) მანეთი, რაც სრულიად აღატაკებს ოჯახს.

რაც შეეხება იმ აღაპებს, რომლებსაც იხდის მარტო ოჯა-  
ხი გარდაცვალებულისა, ისინი გაცილებით იაფად ჯდება, ამათ  
ხშირადაც ჰმართავენ. ყოველ პარასკევს გარდაცვალებულის  
ქვრივი ცოლი უმზადებს მას განსაკუთრებულს საჭმელს. ამ  
საჭმელის ნაწილს ცეცხლს შესწირავენ და კერაში აგდებენ.

დიდს მარხვაში ყოველი ოსის ოჯახი იხსენებს გარდა-  
ცვალებულთ. წლის განმავლობაში გარდაცვალებულის ტანი-  
სამოსს აცვამენ განგებ გაკეთებულს მანეკენს, აჯენენ მას სა-  
პატიო ადგილზე; როდესაც სხვები სვამენ, მას აძლევენ საჭ-  
მელს და სასმელს პატარა მრგვალ სტოლზე, რომელსაც „ფინგს“  
ეძახიან. ამ წვრილმანებს იმიტომ ავლნიშნავ, რომ ასეთს სტო-  
ლებს ჰპოულობენ ძველის საფლავების გათხრის დროს ოსე-  
თში

შვიდჯერ ჰმართავენ კიდევ წელიწადში სადილებს რო-  
გორც ამ წლის განმავლობაში, ისე წინად გარდაცვალებულ  
ნათესავების მოსახსენებლად. საკურთხებსა და აღაპებში მონა-  
წილეობას ღებულობს ყველა ნათესავი აუცილებლივ. ამგვარ  
სადილებზე სჭამენ ჩვეულებრივზე გაცილებით მეტს იმ იმე-  
დით, რომ თუ ჩვენ კარგად ვჭამთ, კარგად სჭამენ და სვამენ  
გარდაცვალებული ნათესავებიც.

რომ ქეშმარიტი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ,  
თუ საიდან წარმოსდგა ასეთი ჩვეულებანი, უნდა ვიცოდეთ  
ხალხის წარმოდგენა საიქიო ცხოვრების შესახებ. ეს წარმო-  
დგენა საზოგადოთ ერთნაირი აქვს ყველა კავკასიის ხალხს.  
კავკასელები უარპყოფენ ადამიანის არსების სრულს მოსპობას  
და ჰფიქრობენ, რომ საიქიო ცხოვრება არის მხოლოდ გაგრძე-  
ლება იმისა, რაც ხდება სააქაო ცხოვრებაში. ამიტომ გარდა-  
ცვალებულის სულს იმგვარადვე ესაჭიროება საჭმელი, სითბო,

სინათლე, როგორც ცოცხალს ადამიანებს. ეს გარემოება ავალებს გარდაცვალებულის ნათესავებს, იზრუნონ, რომ მკვდარს არ შემოაკლდეს საქმელი და სასმელი, არ შესცივდეს ან არ დარჩეს ბნელაში. ამით აიხსნება ის ჩვეულება, რომ გარდაცვალებულის ქვრივი ყოველ პარასკევს უმზადებს მას ცალკე საჭმელს; მთელის ღამის განმავლობაში არ აქრობს სანთელს, რაღან ჰუიქრობს, რომ ქმარი მოვა მასთან დასაწოლად. ამავე შეხედულობით აიხსნება ის ჩვეულებაც, რომ გარდაცვალებულის საფლავზე ხაჭაპურები მიაქვთ და იქ სტოვებენ არაუს ბოთლში.

თუ ყველაფერი ეს შესრულებული არ იქმნა, გარდაცვალებული დარჩება უსაჭმელოდ და დაიტანჯება სიცივისა და სიბნელისაგან. რაღან საჭმელს და სხვა საჭირო ნივთებს გარდაცვალებულს უმზადებენ მისი პირდაპირი მემკვიდრეები, ამიტომ მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია უცოლოდ და უშვილოდ გარდაცვლილი, რომელსაც არ რჩება პირდაპირი მემკვიდრეები და ამის გამო საუკუნო ტანჯვაში ვარდება.

კავკასელ ხალხებს სწამთ მომავალი ცხოვრება, რომელიც მათთვის იმ გვარივეა, როგორც დღევანდელი ცხოვრება. ეს რწმენა აშკარად გამოიხატება დასაფლავების ცერემონიებში. ფშაველებს დღემდის ერთი საყურადღებო ჩვეულება აქვთ: ტირილის დროს ნათესავები ამბობენ, ვითომც განსვენებული საკუთარის ნებით გაემგზავრა საიქიოს. რომ საიქიოს მისი ყოფა ბედნიერი იყოს, მას თან უნდა ჰქონდეს ყველაფერი, რაც ბედნიერებას შეადგენს აქ დედამიწაზედაც. მხოლოდ სრულიად საჭირო არ არის, რომ ცოლმა ქმრის გულისათვის თავი მოიკლას. საკმარისია, თუ იგი თმას მოიქრის და ფეხებში დაუდებს გარდაცვალებულს ქმარს. სრულიად საჭირო არ არის განსვენებულის ცხენის მოკვლაც. ცხენს წაიყვანებენ კუბოს წინ და ხმამალლა წარმოსთქვამენ ლოცვას, რომ ამ ცხენში ბედნიერად მიიყვანოს გარდაცვალებული პატრონი საუკუნო განსვენების ადგილზე.

ამას წინად ფშავეთში და ოსეთში გათხრილი საფლავები ცხადად ამტკიცებენ, რომ დღევანდველის მსგავსი ჩვეულებანი არსებობდნენ ძველს დროშიც. ოსურს საფლავებში იპოვეს იარაღები, სამკაულები და პირუტყვების ძვლები, რომლებიც მსხვერპლად იყვნენ შეწირულნი და აღამიანებთან ერთად და-მარხულნი.

რამდენად ცოცხლები გულმოდგინედ ზრუნავენ გარდა-ცვლილ წინაპრებისათვის, იმდენად ეს უკანასკნელნი არიან თავიანთ ნათესავების მფარველები და დამცველი სულები. ისინი მონაწილეობას ღებულობენ, ხალხის შეხედულობით, ცოცხლების სიხარულსა და მწუხარებაში და ეხმარებიან მათ მტრებთან ბრძოლაში. ოსურს ლეგენდებში ხშირად შეხვდება აღამიანი ამბავს იმის შესახებ, რომ ამა და ამ წელს კარგი მოსავალი ამა და ამ გარდაცვალებულის შემწეობით იყოო, ან ამა და ამ ბრძოლაში ოსებმა ამა და ამ სულების შემწეობით გაიმარჯვეს.

მაგრამ წინაპარი შეიძლება უსაშინელესი მტერიც იქმნეს თავის გვარის და ბევრი უბედურება მიაყენოს თავის ნათესა-ვებს: ავადმყოფობა, საქონლის ჭირი და სხ. ამისათვის სრუ-ლიად საკმარისია დაარსებულის კულტის რომელისამე წესის არ შესრულება, მსხვერპლის არ-შეწირვა და სხვ. იმდენად ეშინიათ ფშავლებს და ხევსურებს; არაფერი დავაკლოთ წინა-პრებსო, რომ შემდეგის ლოცვით მიმართავენ ხშირად მათ: „დეირფასნო გარდაცვალებულნო, გვაპატიეთ, თუ რამ დაგვა-ვიწყდა უნებლიეთ; ნუ გვავნებთ, თუ რომელსამე თქვენგანს შესაფერი მსხვერპლი ვერ მოგართვითო!“

ასეთია საზოგადოთ დღეს წინაპრების კულტი კავკასიის ხალხებში.

ახლა უნდა გამოვიკვლიოთ მისი დასაბამი. ის ხალხი, რომლის სარწმუნოებრივი ჩვეულებანი ავწერე მე ზემოთ, არის ძველი ხალხი. ჰეროდოტე, სტრაბონი და ძველის დროის ისტორიკოსები გადმოგვცემენ მის შესახებ ცნობებს. დღევან-დელი სვანები არიან სტრაბონის სვანები, ფშაველები—იმავე

მწერლის ფშოველები, ოსები—ძველი „ასი“ და რუსების შე-  
მატიანეთა „ოსი“. უეჭველია, რომ წინაპრების კულტის დასა-  
ბამი უნდა ვეძიოთ უძველეს დროში. ამ მოსაზრებას ეთანხმება  
ოსურის ენის შესახებ უკანასკნელი ფილოლოგიური გამოკვ-  
ლევანი. სანსკრიტულის ენის ცნობილი მცოდნე ეს. მიოღე-  
რი, რომელმაც განავრძო შეგრენის გამოკვლევანი, იმ დასკვნას  
დაადგა, რომ ოსები შეადგენენ ცალკე შტოს იმ ტომისას, რო-  
მელსაც ეკუთვნოდნენ კიროსის დროის სპარსები და სხვა ხალ-  
ხები ძველის ირანისა, და აგრეთვე, რომ ოსური ენა არისულ  
ჩამომავლობისაა და უახლოვდება ზენდ·ავესტის ენას. ეს დასკვნა  
მით უფრო საინტერესოა, რომ ერთმა მწერალმა, რომელმაც  
შეისწავლა ბერძნული წარწერები ხერსონესსა და შავის ზღვის  
პირის სხვა ახალშენებში. დაამტკიცა, რომ ირანის ტომები  
და განსაკუთრებით ოსები გავრცელებულნი იყვნენ მთელს  
სამხრეთ რუსეთში და მათ დიდი კვალი დასტოვეს წარწერე-  
ბში, რომლების წაკითხვა და გაგება შეიძლება მხოლოდ ოსუ-  
რის და სხვა ირანულის ენების შემწეობით. ამ წარწერებში  
ყველაზედ უფრო ხშირად შეგვხდებათ ოსური სახელები და ამ  
სახელებს თან ახლავს ასეთი ქების ეპიტეტები, როგორც დი-  
დებული, მაღალი, ბრწყინვალე და სხ.

ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ ხალხურის გადმოცემის  
და არაბთა მემატიიანების თანახმად კავკასელ ხალხთა შორის  
ისლამის გავრცელებამდის კერპთთაყვანის მცემლობა იყო დამ-  
კვიდრებული და ეს კერპთთაყვანის მცემლობა იყო ესიდების  
კერპთთაყვანის მცემლობის მსგავსი. ესიდების რელიგიას-კი,  
როგორც ეს დაამტკიცა ნათლად ბ. ეგიაზაროვმა, ჩემ შაგირ-  
დად ყოფილმა, ყაზანის პროფესორმა, რომელიც ჩამომავლო-  
ბით ქურთია და ზედმიწევნით იცის ესიდების ენა-ქურთულის  
ენის ღიალექტი, ესიდების რელიგიას ღრმად ამჩნევია კვალი  
ორმუზდის კულტისა, ესე იგი ზენდ-ავესტის კულტისა.

კველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ ზენდ-ავესტაში უნდა ვეძიოთ დასაბამი ოჯახის კულტისა, რომელიც დღემდის დარჩენილა კავკასელ ხალხებში და განსაკუთრებით ოსებში. რამდე-



ნად მაღლა აყენებს ამ კულტს ავესტა, ეს ცველამ ჩცის. ამიტომ საჭირო არ არის იმის აღნიშვნა, რომ ზენდ-ავესტის „ფრავასხისი“ ოსების „სულების“ მსგავსია, რომ წინაპრებისათვის შეწირულს მსხვერპლს ირანის სამღრთო წიგნში იმ-გვარივე სარწნუნოებრივი ხასიათი აქვს, როგორიც დღეს აქვს ოსებში, რომ მკვდრების და ცოცხლების ურთიერთობა ზენდ-ავესტის შეხედულობით იმგვარივეა, როგორიც დღეს არსებობს ოსებში.

მაგრამ თუ ზენდ-ავესტაა წყარო ისების დღევანდელ ჩვეულებათა, საიდან გაჩნდა იგივე ჩვეულებანი ფშავლებსა და ხევსურებში?

ეს უკანასკნელნი ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ და მათ განსაკუთრებული აღგილი უკავიათ. ესენი ეროვნობით განსხვავდებიან ოსებისაგან, ტანისამოსზე ხშირად იკიდებენ ჯვრებს, სრულიად შეიარაღებულნი დადიან, ატარებენ საგულეებს და სწორს მახვილებს, ლათინურის წარწერებით შემკულს, —ყველაფერი უფრო ეს ევროპიულის კულტურის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე აზიურისას. საკვირველიც არ არის ამიტომ, რომ ზოგიერთა მეცნიერები, როგორც, მაგალითად, ლიონელი შანტრი, ხევსურებს ძველ ჯვაროსნების ჩამომავლებად სთვლიან, იმ ჯვაროსნებისა, რომლებიც საქართველოზე მოგზაურობის დროს დაითანარენ კავკასიის მთებში.

თუ შევუდარებთ ამ ჯერ ცოტად ცნობილის ხალხის სარწმუნოებრივს წესებს და ჩვეულებათ ამგვარ ჩვეულებებს ზენდ-ავესტაში, აღვილად დავადგებით იმ აზრს, რომ ამ ხალხის ცივილიზაციის ნამდვილი წყარო ირანული კულტურაა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ფშავ-ხევსურების ხალხურ გადმოცემებში კიდევ დარჩენილა ქრისტიანობაზედ უძველესის კულტის ხსოვნა, სახელდობრ ორმუზდის კულტისა, რომელსაც აღგილობრივ არმაზს უწოდობენ. ამ გადმოცემებში დღემდის დაცულია ბრძოლა ბოროტ სულებთან, რომლებსაც იგივე სახელი ჰქვია, როგორც ზენდ-ავესტაში — „დევები“. ფშავ-ხევსურეთში მღვდელს „დასტურს“ ეძახიან; ეს სახლწოდება ზენდ-

ავესტაშია, სადაც ამ სახელით უწოდებენ სამღვდელოების დაბალ ხარისხის წევრებს. ამ ხალხის შეხედულება სხეულის სიჭმინდისა და იმის შესახებ, თუ როგორ ჰკარგავს ადამიანი ამ სიჭმინდეს, მკვდარს თუ შეეხო ან ქალთან დაწვა ზოგიერთა შემთხვევებში, განსაკუთრებით, როდესაც ქალი ფეხ-მძიმეთ არის, სრულიად ემსგავსება ზენდ-ავესტის შეხედულობას. ამგარადვე ემსგავსება ზენდ-ავესტის წესებს ხევსურების წესები დაბალ წოდების მკვდრების დასაფლავების შესახებ.

მკვდრების მაღლობზე დამარხვა (ეს ჩვეულება წინად იმიტომ არსებობდა, რომ მკვდარს გარეულ ფრინველებს აძლევდნენ შესაჭმელად) სრულიად ეთანხმება ზენდ-ავესტის პრძნებას და იმ ჩვეულებას, რომელსაც შეხვდენ მეჩვიდმეტე საუკუნის მოგზაურნი ხირონი და ხარდინი ინდოეთ სპარსელებში, რომლებიც ფაქტიურად ორმუზდის საჩწმუნოების მიმდევარნი არიან. ჩემის მოგზაურობის დროს მე ბევრი საფლავი დავათვალიერე და საკუთარის თვალებით დავრწმუნდი, რომ ეს საფლავები სრულიად ემსგავსება ხარდინის მიერ აწერილ სპარსელების „დაკმეებს“. აკალდამა-საფლავი ოთხ-კუთხიანია, აშენებულია ქვისაგან; შიგნით სდებენ მკვდარს, გარედან ხვრელები აქვს დატოვებული ფრინველების შესასვლელად. აკალდამაში შიგნით დალაგებულია სკამები, რომლებზედაც ან აწვენენ ან აჯენენ მკვდრებს; როდესაც მკვდრებისაგან მხოლოდ ძვლები დარჩება, ძვლებს შეჰკრებენ და ჰყრიან საერთო საფლავში; განთავისუფლებულ აკალდამაში-კი ასვენებენ ახალს მკვდრებს. ასეთი ჩვეულება აქვთ ხევსურებს; ასეთი ჩვეულება ჰქონდათ, მეჩვიდმეტე საუკუნის მწერლების აწერით, სპარსელებსაც.

რაც შეეხება ფშაველების და ხევსურების წარმოდგენას სამოთხის და ჯოჯოხეთის შესახებ, იგი სრულიად ეთანხმება ზენდ-ავესტის წარმოდგენას. პატარა ბეწვის ხიდით—ხინვათით (ამ სახელწოდებას ხმარობს ზენდ-ავესტაც) არის გაყოფილი სამოთხე და ჯოჯოხეთი. მხოლოდ ღირსეულთ შეუძლიანთ გავიდნენ ამ ხიდზე და მიაღწიონ ნეტარების საღვომს. ვინც

მიწიერ ცხოვრების დროს მძიმე ცოდვები ჩაიღინა, იგი შუდაშ ჯოჯოხეთში იქნება.

მთელი ეს ანალოგია, რომელიც ზემოთ აღვწერე და რომელიც უფრო ვრცლად განვმარტე ამას წინად ინგლისურ ურნალში English archaeological Review-ში, მარწმუნებს, რომ ფშაველების და ხევსურების კულტურას დღესაც ამჩნევია ზენდ-ავესტის კვალი. აქედან ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ზენდ-ავესტაში და განსაკუთრებით „ფრაგასხისში“ აღვიაროთ დასაბამი წინაპრების თაყვანის-ცემის კულტისა, რომელის მაგალითებს დღესაც ვხდავთ ფშავ-ხევსურებში და აგრეთვე ოსებში.

ყველა ზემონათქვემიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ აუცილებლივ საჭიროა კავკასიის ხალხის ეთნოგრაფიულად შესწავლა, რომელიც ბევრის ახალის ცოდნით შეავსებს ჩვენს სამეცნიერო სალაროს. ამით გავინათლდება ჩვენ ახლი მხარე ორმუზდის თაყვანის მცემლებისა და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნება, რაღაც დღეს ზენდ ავესტის ნაწყვეტნაწყვეტობისა გამო ჩვენ ვიცით და ისიც არა სავსებით მხოლოდ ერთი მხარე ამ მეტად საინტერესო და საყურადღებო კულტურისა. კავკასიის ხალხის კულტურის თანამედროვე განვითარების შესწავლა და აგრეთვე ძველის კულტურის ნაშთებისა შეავსებს დანაკლისს იმ ცოდნისას, რომელიც გვაქვს დღეს ძველი სპარსელების და სხვა ირანულ ტომების კულტურის შესახებ. \*).

— 5.

\*) ჩვენი ზნე-ჩვეულებანი, ხალხური ლოცვები, გადმოცემანი, ლეგენდები, არაკები და სხვა-და-სხვა მეტად მდიდარს და ჯერ კიდევ ხელუხლებელს სოციოლოგიურს მასალას წარმოადგენს. შესწავლას ვინ სჩივა, საუბრულოდ, ჯერ თითქმის არაფერი შეგვიკრებია სხვა-და-სხვა მხარეში გაბნეულ მასალისა...

საყურადღებოა ცნობილი მეცნიერის მოსაზრებანი ზოგიერთა ჩვენის ჩვეულებათა (ეს ჩვეულებანი მარტო მთიელებში არ დარჩენილა) შესახებ, თუმცა მას შეიძლება დაკვირვების და შესწავლის დროს რამე ფაქტიური შეცდომა მოუვიდა; ამიტომ კარგი იქნებოდა ავტორის მიერ მოყვანილის ფაქტების შემოწმება, რასაც უმარტივია არ დაიზარებენ ჩვენი გარალებული მთიელები.

# უცხოეთის მიმოხილვა

1. აგრარული კითხვა იტალიაში.—2. მფარველობითი სისტემა (პროტექციონისმი) ინგლისში.—3. სპარსეთი და რუსეთი.—4. საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნები.—5. კათოლიკური პარტია (ცენტრი) გერმანიაში და პოლონელები; პოლონელი წარმომადგენლები პრუსიის ზემო პალატაში.

„Latifundia perdidere Italiam (დიდ მამულებმა დაღუპეს იტალია)“ სოქვა ჯერ კიდევ უფროსმა პლინიუსმა. ორიათასმა წელმა განვლო მას შემდეგ და იტალია, პრუსიის არ იყოს, განსაკუთრებით ჩრდილოეთი იტალია და სიცილია, მსხვილ მემამულეების ქვეყანაა და ამიტომ აგრარული კითხვა ისევე მწვავე და მეტად სერიოზული კითხვაა, როგორც ეს გრაკების დროს იყო მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე.

იტალიაში დიდძალი სოფლის პროლეტარიატია. სოფლელ მუშის მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია და აგრარული კითხვა იტალიაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქალაქელ მუშების კითხვა.

თუ რამდენად აუტანელია უმიწაწყლო სოფლელ მუშის მდგომარეობა იქიდან სჩანს, რომ სამღვდელოების ზოგი წარმომდგენელიც მუშების მხარეს იჭერს და დიდ მემამულეების, იტალიის არისტოკრატიის, წინააღმდეგ მოქმედობს.

კრემონის ეპისკოპოსმა მონსინორ ბონომელიმ (კნობილია, როგორც მწერალი) შედევის შინაარსის მიმართვა გაუგზავნა იტალიის მემამულეებს: „მიწის მფლობელო! მოი-



სმინქთ, რასაც გეტყვით ადამიანობის, სამართლიანობის, ღვთისა  
და ოქვენ მატერიალურ ინტერესების გულისათვის. ოქვენ მე-  
ტად ცუდათ ეპყრობით ოქვენ მუშებს. ოქვენი ქცევა გქმნისთ  
ოქვენ დანაშაულად და ამწვავებს ბრძოლას ოქვენ კლასსა და  
ოქვენგან დამოკიდებულ მუშებ შორის. მიწის მფლობელნო!  
მიეცით ოქვენ გლოხებსა და მუშებს, რის პირობაც მიგიციათ  
(მემამულენი ხშირად იმ მცირე ქირასაც არ იძლევიან, რო-  
მელსაც იღებს საზოგადოთ იტალიელი სოფლის მუშა) და რა-  
საც სამართლიანად თხოულობენ: იმათაც აქვთ უფლება იცხოვ-  
რონ პატიოსნად თავიანთ შრომის ნაყოფით. რათ ედავებით  
მუშას ორიოდ გროვის გულისათვის, ოქვენ, რომელნიც ათა-  
სობით ხარჯავთ უაზრო ჟინის მოსაკლავად და სიამოვნების  
მისაღებად? ნუ ჰქანცავთ ოქვენ მუშებს, განსაკუთრებით ქა-  
ლებსა და ბავშვებს, აუტანელ შრომით. უსამართლობაა განსა-  
ცდელში აგდებდეთ მათ ძალლონეს, ჯანმრთელობას, სიცოც-  
ხლეს; ისინი მონები როდი არიან, არამედ თავისუფალი მოქა-  
ლაქენი, მართალია დამოკიდებულნი, მაგრამ ღირსნი ყოველ  
გვარ პატივისცემისა. ოქვენ მეტად უსამართლოდ და შეუბრალებ  
ლად იქცევით, როცა მუშებს დანიშნულ ვადაზე არ აძლევთ  
ქირას და გაფუჭებულის პურით კვებავთ მათ; უსამართლოდ  
და შეუბრალებლად იქცევით, როცა მუშებს აყენებთ ვიწრო,  
ბნელ, ნოტიო და ჰაერს მოკლებულ სადგომებში და ქალებსა  
და ვაჟებს ერთად ათავსებთ. რასაც ზოგიერთი მღვდელი მატყო-  
ბინებს სოფლის მუშების სადგომებზე სიბრალულსა და აღშფო-  
თებას მიღმრავს. უპატიოსნობაა, როცა ოქვენ იმ მიზნით, რომ  
მუშას პირობა არ შეუსრულოთ, გაგდების ემუქრებით მას და  
ასეთ ალტერნატივას უყენებთ წინ: დასთანხმდი აუტანელ პი-  
რობას ან და ადგილს გამოეთხვევო. კიდევ ბევრ უსამართ-  
ლობისა და შეუბრალებლობის მაგალითი შემიძლია მოვიყვა-  
ნო დიდ მემამულეთა და მსხვილ არენდატორების მოქმედე-  
ბიდან! გონს მოდით, რადგან მეტად სერიოზული დრო დად-  
გა; უნდა მოსპოთ ყველაფერი, რაც ამართლებს სოფლელ მუ-  
შების ჩივილსა და განრისხებას, იმ სოფლელ მუშების, რომელ-

ნიც მეტად გულ-კეთილი, შრომის მოყვარე და ოქვენის სიმ-დიდრის შემქნელი არიან“.

მონსინიორ ბონომელი არ ეკუთვნის იმ პოლიტიკ კლე-რიკალებს, რომელნიც ხალხის თვალის ასახვევად, მის მოსა-ტყვილებლად და გულის მოსაგებად დემაგოგობას იწყებენ. ყოველი მისი სიტყვა გადუჭარბებელი სინამდვილეა და რა გა-საკვირველი უნდა იყოს, რომ იტალიის სოფლელ მუშებ შორის, რომელნიც ასეთ აუტანელ პირობებში სცხოვრობენ, დიდი და გამწვავებული უკმაყოფილება არსებობდეს. მაგრამ საკვირველი და საგულისხმიერო ის არის, რომ ამ უკმაყოფილე-ბამ ისეთი ფორმა მიიღო, რომელიც მოსალოდნელი არ იყო სოფლელ მუშებისაგან, გლეხებისაგან.

ყოველ ქვეყნის გლეხი ცნობილია როგორც მეტად კონ-სერვატიული ელემენტი, რომელიც უფრთხის ყოველ ახალ სა-ქმეს, ახალ მოძრაობას და ჩასჭიდებია მამა-პაპათა წესსა და რჯულს. ქალაქელი მუშა უფრო განვითარებულია, მან ადრე შეიგნო თვისი ინტერესები და იდრევე შეუდგა თავის მდგო-მარეობის გაუმჯობესებას. ქალაქელ მუშების მოძრაობას მოე-ლი ისტორია აქვს და ეხლა ეს მოძრაობა ისეთ საზრიან გზას ადგია, რომ შეუფერხებლად ვითარდება და აუცილებ-ლად თავის მიზანს მიაღწევს.

სულ სხვაა სოფლის მუშის მდგომარეობა. თუმცა აგრა-რული მოძრაობა ისტორიულად ბევრად უფრო ძველია ქალა-ქის პროლეტარიატის მოძრაობაზე, მაგრამ მან აქამდე ვერ მიიღო ისეთი საზრიანი ფორმა, როგორც მეორეს აქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ირლანდიელების აგრარულ მო-ძრაობას. თუ ირლანდიაში ამ მოვლენამ განსხვავებული სახე მიიღო და თავის ფორმით (შინაარსი ხომ იგივეა) არ ჩამო-რჩება დაწინაურებულ მუშების მწყობრ მოქმედებას, ეს აიხ-სნება იმ გარემოებით, რომ ირლანდიაში აგრარულ კითხვებს ზედ-ერთვის ეროვნულ-პოლიტიკურიც.

იტალიელ გლეხების მოძრაობა მით არის საყურადღებო და საგულისხმიერო, რომ სწორედ ისეთი ხასიათი აქვს, როგო-



რიც დიდი ხანია მიიღო დაწინაურებულ სახელმწიფოების შეუძლის მოძრაობამ. იტალიელი გლეხი მიახვდრა მის გაჭირვებულ მდგომარეობამ, რომ ხსნას იგი მარტო თავის თავიდან უნდა მოელოდეს, რომ ერთად ერთი საშუალება აუტანელ მდგომარეობიდან გამოსვლისა არის განცალკევებულ ძალთა შეერთება, თანა მოძმის ტკივილის თვისად მიჩნევა, ერთის სიტყვით, ყველა გაჭირვებულების მტკიცე ორგანიზაცია. იტალიელი სოფლელი იმდენად გათვითუნობიერდა, რომ, ქალაქელ მუშებსავით, თავის გაჭირვების მონაწილეებს შეუერთდა და შეერთებულის ძალით თავის ექსპლოატატორს, დიდ-მემამულეს, ომი გამოუცხადა.

პირველი ნიშნები უმიწაწყლო და პატარა მიწის პატრონ გლეხების ორგანიზაციისა ოცის წლის წინათ იყო, მაგრამ სერიოზული და დიდ-მნიშვნელოვანი ხასიათი სოფლელ მუშების მოძრაობამ მხოლოდ ამ ორ-სამ წელიწადში მიიღო. სოფლელებმა შექმნეს ეგრედ წოდებული „გაუმჯობესების ლიგები“ (კავშირები), რომელთაც უფრო ხშირად „წინააღმდეგობის“ ლიგებს ეძახიან. ასეთი ორგანიზაცია პირველად მანტუის პროვინციაში გაჩნდა, მაგრამ მაღე იგი მთელ იტალიას მოედო. ეხლა შვიდასზე მეტი ლიგა არსებობს იტალიაში და მთელ ორგანიზაციას ას ორგოცდა-ათი ათასზე მეტი წევრი ჰყავს. ყველა ლიგა გაერთიანებულია და ერთ დიდ კავშირს წარმოადგენს, რომელსაც „წინააღმდეგობის ლიგების ნაციონალური ფედერაცია“ ჰქვია. ფედერაციის მთავარი გამგეობა ქ. ბოლონიაში იმყოფება. ეს გამგეობა დიდის ხელოვნებით ხელმძღვანელობს გლეხების კავშირს, და გლეხებიც იმდენად გათვითუნობიერებულან, რომ ძალდაუტანებელ დისკიპლინას აღვილად ემორჩილებიან და თავგამოდებული იბრძვიან საერთო ინტერესებისათვის. ბრძოლის იარაღი მუშაობის აკვეთა და გაფიცვაა, რაც კანონით აკრძალული არ არის.

სოფლელი მუშა ჯერ იმასვე თხოულობს, რასაც ქალაქელი—შრომის პირობების გაუმჯობესობას: ქირის მომატებას, სამუშაო დღის შემოკლებას, ქალებისა და ბავშვების მუშაო-

ბის მოწესრიგებას, წვრილ არენდის პირობების შეცვლას და სხვ.

გლეხების ასეთმა მოძრაობამ მეტად ააშფოთა მემამულენი, განსაკუთრებით მსხვილ-მსხვილი მემამულენი, და ორც გასა-კვირველია ეს აშფოთება: თუ აქამდე მსხვილ მემამულეს კარგი შემოსავალი ჰქონდა, ეს იმის შედეგი იყო, რომ მუშა მეტად იაფი იყო და საარენდო პირობები ისეთი, რომ ნამდვიური ეკონომიური ბატონყმობა არსებობდა. მემამულე სრულებით არ ჰქიქრობდა თავის მამულის გაუმჯობესობას, რადგან გაუმჯობესობა ფულს იხოულობს და რად დაეხარჯა ეს ფული, როცა უამისოდაც ადვილად მიღიოდა იაფის მუშითა და გაჭირვებულ არენდატორის წყალობით.

მემამულეებმა ყოველი ღონე იღონეს სოფლელების მოძრაობა დაწყებისთანავე ჩაეკლათ, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ: სინამდვილეში არსებულ პირობებით გამოწვეული მოძრაობა ეგრე ადვილი დასაძლევი არ არის და გარდა ამისა იტალიის ეხლანდელი სამინისტრო აღარ არის მაძლართა მორჩილი მონა. ცანარდელ-ჯიოლიტის სამინისტრომ გადაჭრილი უარი უთხრა მემამულეთ სოფლელ მუშების წინააღმდეგ ენერგიულ სამხედრო ზომების მიღებაზე. ორივე მინისტრმა გამოაცხადა პარლამენტში, რომ ისინი პრინციპიალურად თანაუგრძნობენ მუშების ორგანიზაციას, რმოელიც „სცდილობს კანონიერის საშუალებით, მაგალითად, მუშაობის აკვეთით და გაფიცვით, გააუმჯობესოს მშრომელ კლასის არსებობის მატერიალური და ზნეობრივი პირობები“. ცანარდელის სიტყვით, „მუშების ორგანიზაცია მშვიდობინ პროგრესის კულტურული იარაღია“. ჯიოლოტის შეხედულებით, მუშების ორგანიზაცია ერთად-ერთი საშუალებაა, რომ შრომისა და კაპიტალის ბრძოლა უკიდურესობამდე არ მივიღეს. გარდა ამისა ჯიოლიტი ამტკიცებდა, რომ მუშების მოთხოვნათა დაკმაყოფილება სასარგებლოა თვით ეროვნულ ეკონომიკისათვის: „მუშის ქირის აწევა ნიშანია ერის ეკონომიურ პროგრესისა და ეხლანდელ პირობებში იტალიელ გლეხების მოძრაობა მარტო მუშების მატერიალურ



და ზნეობრივ მდგომარეობას როდი გააუმჯობესებს, იგი აი-  
ძულებს მიწის მფლობელთ გააძლიერონ მამულის შემოსავა-  
ლი მუშების უწყალო ექსპლოატაციით კი არა, არამედ მიწის  
მწარმოებელ ძალთა გაუმჯობესებით. ამისათვის პირველად  
ყოვლისა საჭიროა, რომ მამულის მეპატრონე მამულშივე სცხოვ-  
რებდეს და შეუდგეს რაციონალურ მეურნეობას, რომელსაც  
თხოულობს ეხლანდელი ცხოვრების პირობები“.

როგორც ისმის, იტალიის ახალგაზდა მეფეც თავის მი-  
ნისტრების თანამოაზრეა. ასე რომ იტალიელ მემამულებს არა-  
ვითარი იმედი ეხლანდელ მთავრობის საქმეში ჩარევისა არ  
დარჩენიათ; სამხედრო ძალა და სასტიკი ღონისძიებანი დღეს  
მათ აკლიათ. ამიტომაც შარშან ისინი იძულებული შეიქნენ  
ბევრ ადგილას დაეთმოთ გაფიცულ გლეხებისათვის. წელს კი  
სხვა გზას ადგანან. მემამულეთა უმრავლესობამ გადასწყვიტა  
სასტიკი ბრძოლა გამართოს მუშების კავშირებთან; მემამულე-  
ნიც თავისებურად გაიფიცნენ და გადასწყვიტეს სრულებით  
დაუმუშავებელი დასტოვონ თავიანთი ადგილები, სანამ გა-  
ჭირვებული გლეხები უარს არ იტყვიან თავიანთ მოთხოვ-  
ნაზე.

მიწის მფლობელნი იმით იმართლებენ თავს, რომ მეტის  
დათმობა მუშებისათვის მათ ალარ შეუძლიათ, რადგან, თუ და-  
ვუთმეთ, სულ ერთიან გავკოტრდებითო. მსხვილი მრეწველე-  
ბიც ხომ ამას ამბობენ — საქმე პატარა შემოსავალს იძლევა და  
საიდან შეგვიძლია მუშებს ქირა მოვუმატოთ ან სამუშაო დღე  
შევუმოკლოთო. მაგრამ ორივენი ტყუილს ამბობენ. როგორც  
კაპიტალისტების, ისე მსხვილ მემამულეთა ასეთ მოძრაობას  
წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს და მისი მიზანია მოსპოს  
მუშების ორგანიზაცია იმის მიუხედავათ, თუ რამდენად შესა-  
ძლებელია ეკონომიკურად ამ ორგანიზაციის მოთხოვნათა დაკმა-  
ყოფილება.

რომ ეს ასეა, ბევრის საბუთებით მტკიცდება: მემამულე,  
რომელიც ორგანიზაციაში მონაწილე გლეხს არ უმატებს ქი-  
რას, დიდ ჯამაგირს აძლევს ისეთ მუშას, რომელიც ორგანი-

ზაციის გარეშე სდგას. მეორე, ბევრი საშუალო მემამულები საკუთხევლებით კანონიერად სთვლის მუშების ორგანიზაციის მოთხოვნათ და აკმაყოფილებს კიდეც მათ, რაც მათ სრულებით არ აღატაკებს. გარდა ამისა, ყოველი ამისთანა შეგნებული მემამულე ამტკიცებს, რომ იმ მუშების შრომა, რომელნიც ორგანიზაციის ეკეთვნიან, ბევრად უფრო ნაყოფიერია და უკეთესი, ვიდრე სხვა მუშებისა. მესამე: ეხლანდელი სამინისტრო სტატისტიკურ ცნობებით ამტკიცებს, რომ იტალიელ გლეხების პატარა მოთხოვნათა დაკმაყოფილება ადვილად შეუძლია მემამულეს, თუ იგი რიგიანად უვლის თავის მამულს. და თუ ზოგიერთ შემთხვევაში მუშების მოთხოვნათა დაკმაყოფილება მემამულეთ გააკოტრებს, ამისი მიზეზი თვითვე არიან: არ იციან ან არ სურთ მოუარონ მამულს. ყოველ შემთხვევაში მთელი ერის მეურნეობა მოგებული იქნება ასეთ მიწის მეპატრონეთა გაკოტრებით — მათი მამული უფრო მცირდნე კაცის ხელში გადავა და გაუმჯობესდება.

დიდ მამულების არ დამუშავება დიდ ძალ მუშას დატოვებს უსაქმოდ და ულუქმა-პუროდ და ამას კი შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს საზოგადო მშვიდობიანობისათვის. ბევრი დააფიქრა ამ გარემოებამ და საკითხი ილიძრა: აქვთ თუ არა უფლება მემამულეთ ასე მოიქცენ? ეხლანდელი კანონები ფორმალურად, რასაკვირველია, ვერ აუკრძალავენ მესაკუთრეს არ დაიმუშავოს თავის საკუთრება. მაგრამ, თუ პურის დამზადება და საქონლის გადატან-გადმოტანა საზოგადო საქმეებად ითვლება და როგორც საზოგადო საქმეები სახელმწიფოსა და ქალაქის კანტროლს ექვემდებარება, რატომ მიწის დამუშავება არ უნდა ითვლებოდეს ასეთივე საზოგადო საქმედ, რატომ იგი არ უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო კანტროლს? იტალიის საზოგადოების დაწინაურებულ ნაწილს განზრახვა აქვს შემოილოს ისეთი კანონი, რომელიც სავალდებულოდ გახდის ყველასათვის მამულების დამუშავებას.

განზრახული კანონი სარგებლობას მოუტანს მუშებსა და საზოგადოთ ეროვნულ მეურნეობის, მაგრამ აგრარულ კითხვას



იგი ვერ გადასწყვეტს. ესპანიის სახელმწიფო ქანებათა შინის-ტრის კანალების არ იყოს, ერთად ერთი საშუალება აგრა-რულ კითხვის გადასწყვეტისა ყველგან, სადაც კი ეს კითხვა მომწიფდა, არის ლატიფუნდიების (დიდ მამულების) ექსპრო-პრიაცია (ძალდატანებით გამოყიდვა სახელმწიფოს მიერ), პა-ტარ-პატარა ნაჭრებად დაჟყოფა და გლეხებზე გაყიდვა იაფ-ფასიან სახელმწიფო კრედიტის საშუალებით.

\* \* \*

ინგლისი თავისუფალ ვაჭრობის კლასიკური ქვეყანაა. წარ-მოებაში დახელოვნებული და ენერგიით აღსავს ინგლისელი გაბედულად უცქეროდა ვაჭრობაში და მრეწველობაში მოცილეს, მას არავისი ეშინოდა და ამიტომ მის ეკონომიკურ სარწმუნოების სიმბოლოს უმთავრესი წევრი თავისუფალი ვაჭრობა იყო. იმ დროს, როცა კონტინენტის სახელმწიფოები და ამერიკა დიდ ბაჟებს ახდევინებდნენ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს, რათა საკუთარ შინაურ ვაჭრობა-მრეწველობისათვის მფარვე-ლობა გაეწია, ინგლისი არავის მაგიერს არ უხდიდა, მისი ბა-ზარი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, მის ვაჭრობა-მრეწვე-ლობას მთავრობის დახმარება და პროტეკციონისმი (მფარვე-ლობითი სისტემა) არ ეჭირვებოდა.

მაგრამ ამ ბოლოს დროს პირობები შესამჩნევად შეიცვა-ლა და ინგლისიც ემზადება ამ ახალ პირობებს შეუფარდოს და შეუხაპოს თავისი სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკაც.

გერმანიისა და ამერიკის აუვავებული მრეწველობა, იმ გერმანიისა და ამერიკის, რომელიც სხვა სახელმწიფოებზე უფრო მისდევდნენ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე მა-ლალ ბაჟების დადებას და ამით შინაურ მრეწველობის დაფარ-ვას კონკურენციისაგან, საშიში მეტოქე შეიქნა ინგლისის ერთ დროს უცალო მრეწველობისა. თვით ინგლისის ახალ შენებშიაც ისინი უფრო დაწინაურებული და მდიდარი აღმოჩნდნენ, რო-მელნიც კონტინენტალურ სახელმწიფოებს ბაზავდნენ და მფარ-ვლობით სისტემას მისდევდნენ.

თუ რამდენად საშიში შეიქნა, მაგალითად, ამერიკის მრეწველობა ინგლისისათვის, სჩანს შემდეგის ფაქტებიდან: ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში ამერიკელებმა ხელში ჩაიგდეს რკინეულობის მთელი წარმოება. ამერიკელებს შემოაქვთ ინგლისში ყველა ელექტრონული მაშინები; მათი მონაპოლიაა სტამბების მრეწველობა; ისინი ჰყიდიან ინგლისში იმდენ მოტორებს, რამდენსაც ვერ ჰყიდის ვერც ერთი ინგლისელი ფირმა. ინგლისის რკინის გზებისთვის ლოკომოტივებს ამერიკიდან იწერენ. მაგრამ ამერიკელები ამით არ კმაყოფილდებიან, მათი განზრახვაა ხელში იგდონ ინგლისის მთელი მრეწველობა. ცნობილ ფინანსისტმა და მილიარდერმა მორგანმა იყიდა ინგლისელებისაგან ატლანტიკის ოკეანეზე მიმომავალი გემები. ამერიკელების სინდიკატის ხელში გადავიდა ბრაიანტისა და მეის ცნობილ ფირმის სასპიჩო ქარხანა და აი როგორ: პირველად ყოვლისა ამერიკელებმა შეიძინეს გამომგონებლებისაგან საუკეთესო სასპიჩო მაშინების პატენტები; ასე რომ მათ სპიჩის წარმოება სამჯერ უფრო იაფად უჯდებოდათ, ვიდრე ინგლისელებს, რომელთაც სხვა მაშინები ჰქონდათ. პატენტების ყიდვის შემდეგ ამერიკელებმა შემდეგი ულტიმატუმი შეუთვალეს ბრაიანტისა და მეის—თუ არ მოგიყიდნიათ ჩვენთვის თქვენი ფირმა, კონკურენციას დაგიწყებთ და გაგაუორებთთო. ინგლისელი მრეწველები დარწმუნდნენ, რომ კონკურენტებს მუქარის ასრულება შეუძლიათ, და იძულებული შეიქნენ დაეთმოთ თავიანთი საქმე ამერიკელებისათვის. ამ გვარად ამერიკულმა ტრესტმა ხელში იგდონ სპიჩის მთელი წარმოება ინგლისში.

კიდევ უფრო დამახასიათებელია ამერიკელებისა და ინგლისელების სამრეწველო ბრძოლის მეორე მაგალითი.

ამერიკელების ერთმა სინდიკატმა, რომელმაც ხელში იგდოთამბაქოს მთელი მრეწველობა კანადაში, გადასწყვიტა ინგლისის იმავე მრეწველობის შეძენაც. ინგლისის ნიადაგზე ფეხის მოსამაგრებლად სინდიკატმა შეიძინა ინგლისურ ერთ ფირმისაგან თამბაქოს ერთი დიდი ფაბრიკა. ინგლისის მეორე ფირმა მიხვდა,



თუ რას ნიშნავდა ამერიკელების ეს პირველი ნაბიჯი და ამის  
ტომ იგი საბრძოლველად მოემზადა. მალე ბრძოლაც გაჩაღდა: ა-  
ორივე მხარე იმას სცდილობდა, რომ წვრილი მოვაჭრენი მიემ-  
ხრო. ინგლისელების სინდიკატმა მიმართა 34,000 წვრილ მო-  
ვაჭრეს და უმტკიცებდა მათ, რომ ბოიკოტი უნდა გამოუცხა-  
დონ ამერიკელებს და არ იყიდონ მათგან საქონელი. სამაგიფ-  
როდ სინდიკატი აძლევდა წვრილ მოვაჭრეთ 500.000 მანეთს  
და წლიურ შემოსავლიდან ოც პროცენტს. ამერიკელების  
სინდიკატმა კიდევ უფრო ხელსაყრელი წინადადება მისცა წვ-  
რილ ვაჭრებს: ორი მილიონი წლიურად ოთხის წლის განმავ-  
ლობაში და სინდიკატის მთელი შემოსავალი ამავე ხნის გან-  
მავლობაში. ერთის სიტყვით, ამერიკელები აძლევდნენ თავიანთ  
კლიენტებს 115.000.000 მანეთს. ამასთან ისინი მოცილეების  
საქონლის ბოიკოტს როდი თხოულობდნენ, წვრილ ვაჭრისა-  
თვის საკმარისი იყო უარი ეთქვა ინგლისლების წინადადების  
ზემოხსენებულ წინადადებაზედ. რასაკირველია, გამარჯვება  
ამ „თამბაქოს ომში“ ამერიკელების იქნება.

ამიტომაც არის, რომ ბოლოს დროს ინგლისშიაც იჩინა  
თავი პროტეკციონისმა აზრებმა: ამერიკელები და გერმანე-  
ლები ჰკლავენ ჩვენ ვაჭრობასა და მრეწველობას, ამერიკელები  
და გერმანელები პროტეკციონისტები არიან; თუ გვინდა, რომ  
შევიტონთ ჩვენი მრეწველური უპირატესობა, ჩვენც უნდა  
დავუბრუნდეთ პროტეკციონისმს, გაიძახიან ინგლისელი პრო-  
ტეკციონისტები.

ახალ ინგლისურ პროტეკციონისმს მხარს აძლევს ახალი  
იმპერიალისმი. ჩემბერლენისა და მის თანამოაზრების სურვი-  
ლია, როგორც ვიცით, ინგლისის იმპერიის უფრო მტკიცე  
ორგანიზაცია, ახალშენების მეტი დაკავშირება მეტროპოლია-  
სთან. ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ამ მიზნის მისაღწევად  
იმპერიალისტებს ეგრედ წოდებული „ცოლფერაინი“ მიაჩინათ:  
გერმანიის იმპერიის ეხლანდელ გაერთიანებას წინ უძლოდა გერ-  
მანიის სამთავროების „საღამოუნო კავშირი“ (Zollverein); პო-  
ლიტიკურ გაერთიანებამდე გერმანია გაერთიანდა სავაჭრო-სამ-

რეწველო პოლიტიკის მხრივ: სამთავროებს ერთმანერთში თავისუფალი ვაჭრობა ჰქონდათ, უცხოელებთან კი საღამოენო ტარიფი შემოიღეს. ჩემბერლენის მიზანია ესევე პოლიტიკა განახორციელოს დიდ ბრიტანიის ყველა ნაწილების შესახებ.

ინგლისის მეფის გვირგვინის კურთხევის გამო ლონდონში თავს მოიყრიან ბრიტანიის ყველა ახალ-შენების წარმომადგენელნი. სხვათა შორის, ამ წარმომადგენელთა თათბირზე ლაბარაკი იქნება დიდ ბრიტანიის იმპერიის „უოლ-ფერაინ“ზე-დაც. „ცხადია, ინგლისის დაბრუნება პროტეკციონისმის გზაზე, პროტექციონისში მიუხედავათ დიდ სიძნელეთა, აკადემიურიდან გახდა წმინდა პრაკტიკული პრობლემა, რომლის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება („პეტ. ვედ.“).

\* \* \*

არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი იმ ბრძოლასა და მეტოქეობაზე, რომელიც არსებობს ინგლისსა და რუსეთს შუა ჩვენ მეზობელ სახელმწიფო სპარსეთის გამო. ინგლისი სცდილობს სპარსეთის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გამოწევას, რუსეთი—ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. თუ ინგლისის გავლენა სამხრეთ სპარსეთში უცილობელი და უმეტოქო, ესევე ითქმის რუსეთის გავლენაზე ჩრდილოეთ სპარსეთში. მაგრამ ამ გავლენათა ხასიათი სულ სხვა და სხვაა.

პრაკტიკულმა და ანგარიშიანმა ინგლისმა არ იცის რა არის ხელოვნება ხელოვნებისათვის, გავლენა გავლენისათვის. როცა ინგლისი რომელიმე ტერიტორიაზე შედის და სცდილობს გავლენის მოპოებას, ამას იმიტომ შერება, რომ მისი მატერიალური ინტერესი მოითხოვს: ინგლისელ ვაჭარსა და მრეწველს ბაზარი და მყიდველი უნდა. ხშირად ეს პირ და პირ და ყველასათვის თვალსაჩინოდ არა სჩანს ინგლისელ პოლიტიკოსების მოქმედებიდან. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ინგლისს „პრესტიუს“ აღსაღვენად ან გასაძლიერებლად დიდი აურ-ზაური აუტეხნია, მაგრამ ეს „პრესტიუს“-ი მისთვის ცალიერი სიტყვა როდი ყოფილა, მას ყოველთვის თან



შოსდეველი ინგლისელ საქონლის ბაზრის გაფართოვება ან შექმენილის შერჩენა, როცა ვინმე სცდილობდა მის წართმევას.

ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში ასეთ რეალურ ნიაღაზეა დამყარებული და ამიტომაც იგი ასე სასარგებლოა ინგლისელისათვის. ინგლისს დიდ-ძალი მატერიალური ინტერესები აქვს სპარსეთში და ეს დიდ სიმტკიცეს აძლევს მის ამ ქვეყანაში მდგომარეობას.

სულ სხვაა რუსეთის მდგომარეობა. რუსეთმაც სცადა ინგლისის პოლიტიკის გზაზე დადგომა: რუსეთისა და სპარსეთის ვაჭრობის გასაძლიერებლად ჯერ აკრძალა უცხოელი საქონლის ტრანზიტი სპარსეთში ამიერ კავკასიის გზით, მაგრამ რადგან ამ უცხოელ საქონელს სპარსეთის ყურედანაც შეუძლია, სპარსეთში შემოსვლა და შემოღის კიდეც, იხმარა მეორე ღონისძიებაც, რომელიც მას ერთობ ძვირად უჯდება: ინგლისის საქონელი უფრო იაფია, თვისებითაც უკეთესი, გამყიდველიც მოხერხებული და გამოცდილი ჰყავს, რუსული საქონელი ყველას ამას მოკლებულია და ამიტომ ერთობ ძნელია რომ მან კონკურენცია გაუწიოს მეტოქეს და ბაზარი დაიკავოს. რუსეთის ვაჭარსა და მწერველს არ შეუძლია თავის ღონით ებრძოლოს უცხოელს. მთავრობა ამას ხედავს და დიდ დახმარებას უწევს მას. რუსეთს შეაქვს სპარსეთში შვიდი მილიონი ფუთი საქონელი. 90 პროცენტს ამ საქონლისას მთავრობა ან პრემიას აძლევს ან აქციზს არ ახდევინებს, რაც მას წლიურად ათი მილიონი მანეთი უჯდება. მიზანი ასეთ დიდ მსხვერპლისა მთავრობის მხრივ ის არის, რომ გააიაფოს სპარსეთის ბაზარზე რუსული საქონელი და ამით შეუქნას რუს მწარმოებელს მუდმივი მყიდველი. და მერე რა შედეგი აქვს მთავრობის ასეთ ცდასა და მსხვერპლს? პატარა სპარსეთს, რომელსაც არც ფაბრიკა-ქარხნები აქვს, არც რკინის გზები და არც ბანკები, იმდენივე შემოაქვს ვრცელ და განუზომელ რუსეთში, რამდენიც ამას სპარსეთში. ეს კიდევ ცოტაა. სპარსელი, რომელსაც თავისი მთავრობა არა თუ ხელს უწყობს, პირიქით, მეტად ავიწროებს, თვითონ მოაქვს თავისი საქონე-

ლი რუსეთში, თვითონვე ჰყიდის. რუსული საქონელი, რომელიც სპარსეთში მიღის, დაჯილდოვებულია მთავრობისაგან ან აქციზისაგან განთავისუფლებული, რუსი მრეწველი მაინც არ იძერის ადგილიდგან, იგი თავის სახლშივე ჰყიდის საქონელს და სხვას მიაქვს იგი სპარსეთში, რომ იქ ისე გაპყიდოს იგი, როგორც მოახერხებს. „ჯერ არ ყოფილა შემთხვევაო, სწერს ერთი რუსული გაზეთი, რომ რუსი ვაჭარი წასულიყოს სპარსეთში, ადგილობრივ ეყიდოს საქონელი მოსაგებ ფასებში, როგორც ამას სპარსელები სჩადიან რუსულ საქონლის შესახებ, და თვითონ მოეტანოს გასასყიდათ“.

იმის უფრო თვალსაჩინობისათვის, თუ რა განსხვავებაა ინგლისისა და რუსეთის გავლენათა შორის, მოვიყვან ინგლისის ნიჭიერ და მიმხვედრ მოწაფის იაპონიის მაგალითს. გერმანიის კონსულის მოხსენებიდან სჩანს, რომ იაპონიის საქმე დიდათ დაწინაურებულია კორეაში, სადაც მას მეტოქედ რუსეთი ჰყავს. იაპონია ცდილობს პირველი ადგილი დაიკავოს მისთვის ასეთ დასამხარ და საჭირო ქვეყანაში და, როგორც სჩანს, აღწევს კიდეც მიზანს. რკინის გზა, რომელიც აერთებს სეულსა და ნავსადგურ ჩამულპოს, იაპონელებმა გაიყვანეს და მისი გამგეებიც იაპონელები არიან. იმ რკინის გზის გაყვანა, რომელმაც სეული ფუზანს უნდა შეუერთოს, იაპონელ აქციონერულ საზოგადოების ხელშია. კორეის ვაჭრობა სულ იაპონელ ვაჭრების ხელშია; ფოსტაც თითქმის მათ ვანკარგულებაშია. ერთის სიტყვით, კორეა ჯერ ეხლაც იაპონიის სრულ ეკონომიკურ დამოკიდებულებაშია.

ინგლისმა და იაპონიამ კარგად იციან, როგორ მოიპოვნ გავლენა და რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დამოკიდებულებაში. მარტო ჯარის საშუალებით რეალურ გავლენის მოპოვება უნიადაგო ოცნებაა.

\* \* \*

დასრულდა საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნები და ეხლა შესაძლებელია გამოვიანგარიშოთ ვინ გაიმარჯვა მებრ-



ლის შეუღლეთ რომ ბრძანდებოდა, ერთი მსახური-საგან, სახელად გორვონ, მიეცა ვაჟი-შვილი. კო-როლს მეტად უყვარდა თავისი მეუღლე და ის შე-ძენილი შვილი იშვილა და ყოველივე თავისი ხარისხი, მიანიჭა. ბავშვა საკოროლო ტახტი მიიღო მემკვიდ-რეობით და ამასთანავე ყველა მისი უფლება. მერე დაიწერა ჯვარი, შემდეგ გარდაიცვალა და დასტოვა ერთი ვაჟი; ეს ჯერ უსუსური მკვდრათ იცნეს, ვითომც და უცბათ მომკვდარიყოს. ეს ბავშვი კარ-დინალმა-ვიკონტმა მოიპარა სასახლიდან და კორო-ლი დონ-სანჩიო ამ მონასტერში დაჰმალა.

## მარგაზ

(იქით). დიახ! მაშმე მიეხვდი! (იქითკენ იუჟება, საით კენაც ქოროფი დაიმალა და მანამდისინ ბერი დოცვას მშობდეს, თავის-თავად დაპარაკდეს) ის ჩემი შვილია! შვილი ჩემის ღვიძლი შვილისა! ოჯ, არც კი მჯერა, რომ ეს ასრე იყოს! თითქოს ეხლა ჩემს გულსა ვგრძნობდე, რომელიც აქამდისინ ჯერ არ მიგრძნია. კურთხეულ იყავ მეხის დამცემო! მე, რომელსაც ყველა მძულდა—ახლა ყველა მიყვარს! ოჯ, შვილო ჩემო! სიხარულით თავ-ბრუ მესამის, რომ მე მამა ვარ. ეხლა, მხოლოდ ეხლა ვარ სიცოცხლის ლირის. ოჯ, რა სიხარულია! აქამდისინ ბოროტებისათვის ვცოცხლობდი, ახლა კი სიკეთისათვის ვიცოცხლებ! ჩემი შავი სვინიდისი იქამდისინ ძუ-მგელივითა ტან-ტალებდა ქვეყანაზედ. ჩემთვის ყველაფერი უწმინ-დური იყო. ოჯ, ზეცავ, ახლა ვპოვე მე ყველაფერი! მე ხომ მშობელი მამა ვარ, პაპა ვარ! ოჯ, ახლა, მხოლოდ ახლა მაქვს სიხარული. მალულიად მაინც შემიძლიან ახლა მაღლა ავმართო ჩემი თვალი, სა-დაც ჩემის თესლიდან აღმონაცენი მშვენიერი ნა-ყოფი იხეირებს და შროშანასავით ჩინებულათ აყვავ-დება. ვინ იტყოდა, რომ ეს ჩემი შვილია, რომ მე აღვსდექი მკვდრეთით! აბა ვსცადოთ! ვგრძნობ, რომ

ეს უმანკო ბავშვი თავისის სხივით ანათებს ჩემს  
ბნელს გულსა,—ვგრძნობ, რომ ამ უმანკო სულმა  
მთლად მიიპყრო ჩემი ძველი და ცდომილი გული  
ისე, რომ სრულიად დამიმონავა და შემდეგ ამისა  
ჩემს ლამპრად უნდა გადაიქცეს. ახლა სულ სხვა  
ქმნილებად გადავიქცეცი, მე ვსტირი, მე მიყვარს და  
მაცდური ჩემი ლამე ჰქედავს თავის ცისკარს. მოდი,  
მოდი ჩემსკენ ცისკარო! მოდი, მოდი, უმანკოების  
ნაყოფო! ოჯ, ღმერთო! შენ, უცნობო და შეუგნე-  
ბელო, რათა ხარ ჩემი მწყალობელი? მე, ამ კოროლის  
თანამოგზაური, ჩვენგან დახოცილს ლეშედ ფეხის  
გადამდგმელი, მე—მის ბოროტების ელვარების, მის  
ავ-საქციელობის თაყვანის მცემელს, ვგრძნობ, რომ  
ნაზი უხილავი ხელი მშველის და მამხნევებს. ოჯ!  
მე, საშინელის ტვირთის მზიდველს, ახლა შემიძლიან  
თავისუფალი სუნთქვა. ოჯ, ღმერთო! მარტოდ აღა-  
რა ვარ, მე ვცოცხლობ, მე მიყვარს! ჩემზედ მეტი  
არავინა ჰყავს და მეც მარტო ეგა მყავს. მის გარს  
რა დიდი უფსკრულია! უზომო ტანჯვა! დიახ, ეს  
ასეა, მე არა მძინავს, არა, არა ვბოდავ. (ჩაფიქრდება)  
ნათელო ცისაო, გზა მიუნათე, მე კი—სიბნელე! ისევ  
ის უნდა დავრჩე, რაც აქამდისინ ვიყავი. მამას თუ  
მიაგნეს—შვილი დაიღუპება (ბერს მაუსლენდება).

**ბერი** (ხმა დაბლა). ოქვენ დამპირდით, რომ საიდუმლოდ  
შეინახავთ ყველაფერს.

**მარგიზ.** მაგისი ფიქრი ნუ გაქვს. როდის უნდა გავიდეს აქეცან დონ-სანჩო?

**ბერთ.** ის ბავშვი, რომელიც მკვდრად ირიცხება, ახლა ვაუ-  
კაცია; როცა ჩვენი ბატონი, ვიკონტ-აბბატი, თავის  
ძმის-წულზედ ჯვარს დასწერს, მაშინ გამოაცხადე-  
ბენ, რომ ამას გრაჯის უფლება მიენიჭება, კორო-  
ლისა და უუბრწყინვალესის ჰერცოგისა (იქთ მია-

ხედავს და დაინახავს მომავალს კოროლის). კოროლი მომანდება.

**მარგაზ.** კოროლი! (იქთ თავის-თავად) აბა, მოხუცო, ეცადე რომ ამ კოროლმა ვერ შეამჩნიოს შენი გულის გამხიარულება.

**ბერი.** (ჩხა დაბჯა). დაგვიფარეთ მაგის მრისხანებისაგან.

**მარგაზ.** (იქთ). წალი, შე მაცდურო მსახიობო, წალი და ხელ-ახლად აიღე ხელში შენი პირ-ბადე და ისე იმოქმედე, რომ შურმა, მძულვარებამ და სირცხვილმა ისევ უგრძნობლადა გყოს, როგორც აქამდი-სინ იყავი და სახე შენი მუდამ შესცინოდეს შენს მდგომარეობას.

**ბერი.** თქვენო მბრწყინვალებავ, ფიცი არ დაივიწყოთ, საიდუმლოდ იქონიეთ ყველაფერი.

**მარგაზ.** აბა, რასაკვირველია! (ბერს) ნუ გეშინიან!

### მეოთხე სანახაზი

იგინივე და ქორთლი.

**კოროლი** (იქთ). სხვისი საიდუმლო ლაპარაკის ჩუმად ყურის გდება ჩემთვის სასიამოვნოა. (იქთკენ შიიხედავს, საიდანაც გამოვიდა). აი ისინიც, ახლა კმარა!

**მარგაზ.** როგორ გადასწყვიტეთ, მეფევ?

**კოროლი.** გადავსწყვიტე—მაგათოვის ბედნიერება. მინდა ჯვარი გადავსწერო.

**მარგაზ.** ღრმა ფიქრია!

**კოროლი.** ისპანია თან და თან ნაბიჯ-ნაბიჯ იქცევა, ირლვევა. ამათი ქორწინება მე ხელს მომცემს. კარდინალ დ'ორტეცს ამ შემთხვევაში მე მოვეხმარები და მომავალში მე დავიპყრობ დაქსა და ბაიონნას.<sup>44)</sup>

<sup>44)</sup> ბაიონნა,—ქალაქია ისპანიაში.

## ବ୍ରାହ୍ମକଙ୍ଗଳର ମହାଦା

**ମହାକବୀ.** (ଠିକାଟ) ଓଡ଼ି, ଗୁଣିଲ ହେମ, ଗାମିକ୍ରେପ୍ରେମୁଣ୍ଡି ଓ ଗାମ୍ବିକ୍ରେ-  
ମୁଣ୍ଡି, ଗାଦରିଷ୍ୟିନିଦି! ହେମି ଶ୍ଵାଲି—କୁରାନିଲି ଠିକା-  
ବା! (ଫରନିଲିର ନିମ୍ନିତ ଥିଲେଇ ଆମାଦା ଓ ନେଇଦାତାବିଦି  
ଗାନ୍ଧିଜ ଗାନ୍ଧାରୀର ନାନ୍ଦଗାନ୍ଧାରିନ୍). ଦେଇ ଥିଲାକେଇତୁବୁଦ୍ଧି  
କରିଲା, ଗୁଣ-କ୍ଷେତ୍ର ରାଜକ୍ଷେତ୍ରିର ରେଖା ତାଙ୍କ ମନ୍ଦିରରିଲା).

**କରନ୍ତିଲାଲ** (ଦେଇ). ବିତନମ୍ବି ଏ ଏହା ବ୍ୟାପିଲାକାର, ଗୈଲିଲି?...  
**ଦେଇ.** (ତାଙ୍କିଲା ଦେଇଲାକାର). ମେଜ୍ଜେବ....

**କରନ୍ତିଲାଲ**. ବିତନମ୍ବି ତାଙ୍କିଲା ଲାଗେଶିଲାପ ଏହା ଗିନାବିଗାର!  
**ଦେଇ.** ମେଜ୍ଜେବ....

**କରନ୍ତିଲାଲ**. ତବାଲ-ପୁରୀ ବାଲ୍ଲେବନ୍ଦୀ ଏହା ମନାସିର୍ଯ୍ୟରିଲା.

**ଦେଇ.** ମନରହିଲେବା ହେବନି ମନ୍ଦିରାଲେବାବା. (ଠିକାଟ) ଚିପ୍ପୁଣ୍ଡି ନ୍ୟାତ  
ଶେବ, କୁରାନିଲା!

**କରନ୍ତିଲାଲ**. ଶେବି ମେଜ୍ଜେ ସାଫରାନଗ୍ରେଟିଶିଆ.

**ଦେଇ.** ଦୋକ, ମେଜ୍ଜେବ!

**କରନ୍ତିଲାଲ**. ମାଗରାମ ଏହିଲା ଏହା ସକ୍ରିୟାବଳୀର ଉର୍ଧ୍ଵଗ୍ରେଲିଲା ଏହିକୁଳିତିଥିଲା.

**ଦେଇ.** ମିଦେବାଦ ମିଧ୍ୟାଲୋବେଲିଲା, ଏହିମା ତାଙ୍କିଲା ସତ୍ୟମରିବା  
ଗ୍ରାହିଲାରୀବା.

**କରନ୍ତିଲାଲ**. ଏହି ଏହିଲା ଏହା ମନ୍ଦିରା, ଏହା ଉନ୍ଦିରା ଏପାଦ୍ୟେ-ରା! (ମାହି-  
କାରୀଟ) ଚାକିଲେତ ହେବାରା! (ଫନ୍ଦ-କାନ୍ଦିକ ଓ ରକନ୍ଦି-ରକହି)  
ଗାମିକ୍ରେପ୍ରେମୁଣ୍ଡିର ଶ୍ଵାଲିର ନିମ୍ନିତ ଥିଲେଇ ଶ୍ଵାଲିର ନିମ୍ନିତ  
ଶ୍ଵାଲି, ରାତ୍ରି ଶ୍ଵାଲିର କାହିଁବା. କରନ୍ତିଲାର ମହାକାରିଶ ନିମ୍ନିତ,  
ରକମ ଏହିକାହିଁ ଶ୍ଵାଲିରକାର, ମେରୁ ମିଳା କ୍ଷେତ୍ରର ନାନ୍ଦଗାନ୍ଧାରିନ୍)  
ଚାକିଲେତ ହେବାରା! (ଦେଇ) ତାହା ସିପାହିଲେ ଗିନିରା କି-  
ଦେବ—ହୁମାଦ ନ୍ୟାତି! (ମାହିକାରୀଟ) ଚାକିଲେତ! (ମେଜ୍ଜେ ଗାନ୍ଧାରି,  
ଦେଇକାରୀଟ ମିଳିଲେବା).

**ମହାକବୀ** (ଫନ୍ଦ-କାନ୍ଦିକର ଶ୍ଵାଲିରକାର). ଏହା ମହାକବୀରିଲା! ଓଡ଼ି, ହେମ  
ଶ୍ଵାଲି! (ଗାନ୍ଧାରିଲା).

## მთაბეჭერი სანახავი

## დონ-სახელი, დონია-როზა

(ორივეს აცვიათ მონასტრის მოწაფის ტანისამთხის; სახელს თეთრი კაპიშტონი, როზას-თეთრი თავ-სახელევი, დარბიან, იცინიან, მხიარულიბენ ხეებს შეა. როზა 16 წლისაა. სონჩო 17 წლისა. ერთმანერთს გამოუყიდებიან დასაჭერად. როზა შეპელებს დასდევს. სახელ უვავილებსა ჰქონეთავს. უვავილების თაიგულს შეჭირავს.)

**როზა.** აქეთ, აქეთ, უყურე, რამდენი პეპელაა.

**სახელი.** ვარდები მირჩევნია! (მოსწევტის რამდენიმე ვარდს და მთუმატებს თაიგულს). ოპ, რა ბეღნიერი ვარ, როცა ამდენ მშვენიერებასა ვხედავ!

**როზა.** (შეპელათი აღტაცებულია). უყურე! იი ეს სულ იმ ჩიგვს დაპირინავს!

**სახელი.** ყველა სიცოცხლითა ხარობს.

**როზა.** მოდი გავიყოთ: შენ—ყვავილები და მე კი—პეპელები.

**სახელი.** რაღაც სინაზე და სიმშვენიერე სუფევს გარშემო! (უვავილებს სწევეტავს თაიგულისათვის, როზა კი შეპელებს იჭერს. უცქერის როზას) როზა!

**როზა.** (მობრუნდება და შესცქერის თაიგულს). ეგ თაიგული ვისთვის გინდა?

**სახელი.** გამოიცანი.

**როზა.** ჩემთვის. (ისევ შეპელებს დასდევს, მაგრამ ვერ იძერს; ამაზედ ჯავრობს და უუბნება) ისე მომწონხართ და მითრინავთ ჩემგან? რათა, რათა?

**სახელი.** როზა, ხელი თუ ახლე, თავის ფერს დაპკარგავენ. (შესცქერის მფრინავ შეპლებს). უგზო-უკვლოდ პფრინავენ, როგორც კოცნა, რომელიც ლამაზ ტუჩებს ეძებს.

- როზა.** და პპოულობენ კიდევ ტუჩებს. მაგათი ტუჩები—  
ყვავილებია.
- სახელ.** და ამიტომაც, როზა, რადგანაც თქვენ ყვავილი  
ხართ... (დაიჭერს, მოეხვევა, როზა უარს არის, მაგრამ  
სანჩი მაინც აკოცებს).
- როზა.** სინიორ, რასა შვრები, ეს არ ვარგა!
- სახელ.** ჩვენ ხომ ჯვარს დავიწერთ! (როზა თვალს ადევნებს  
ჰეჭელას, რომელიც ვარდზედ დაჭდა).
- როზა.** დაჯდა, დავიჭიროთ! (მიეპარება. სანჩის) მოდი!
- სახელ.** შო! (სანჩის ტუჩები და როზასი ერთმანერთს დაეკანე-  
ბიან, ჰეჭელა გაფრინდება).
- როზა.** ახ! გიუო, რატომ ვერ დაიჭირე!
- სახელ.** ჰეჭელას მაგიერად შენ გაკოცე.
- როზა.** დაჯდებიან, ვითომეც თავის საყვარლის წინ. რა  
კარგია! აი, ისევ გაფრინდნენ. ასე მაღლა რათა  
ჰეჭრინავენ, ასე შორს? რამდენი ფრთხები აქვსთ!  
(სანჩი უკანიდან მიეპარება, მოეხვევა, როზა ჩელსა ჰეჭრავს)  
ჯვარის წერამდისინ კოცნა როგორ შეიძლება,  
არა, არ მინდა, არ მინდა!
- სახელ.** მაშ დამიბრუნე.
- როზა.** (სიცილით) არა!.
- სახელ.** ჰო!
- როზა.** არა, მაგრამ მიყვარხარ! (ერთმანერთსა ჰეჭრნიან; ერთ-  
ერთს საფლავზედ დასხდებიან; როზა თავს მხარზე  
დაადებს: ორივე განცვითრებული შესცემიან ჰეჭელებს.)  
ოჳ! რა დაუსრულებელი და რა ნაზია მოელი ბუ-  
ნება! ყური მიგდე, რას გეტყვი. ზამთარში შეწუ-  
ხებული ზეცა დედა-მიწას თეორს სუდარას გადა-  
აფარებს ხოლმე; მაგრამ პრილი რომ დადგება,  
ამოვა ყვავილი, გრძელდება დღე და ბედნიერი  
დედა მიწა აძლევს თავის მფარველს—ზეცას მის  
თოვლს ამ ჰეჭელებით; სიმწუხარე იცვლება დღე-  
სასწაულით და ყოველისფერი გარშემო გახარებუ-



ლია, მიჰთონავს მაღლა, მაღლა ღმერთან. ასებუ-  
ლიდამ ქარი ამოჰქრის. ზეცაში ღმერთი დაგვყუ-  
რებს და მხიარულებას გვინათებს და ყველაფერი,  
რაც მისგან გაჩენილია, ყველაფერი უზომოდ მშვე-  
ნიერია.

- რთა 4.** მაშ, ყური მიგდე; იცი?—მიყვარხარ.  
**სახჩო.** როზა!
- რთა 5.** (დაინახავს შეპელას). ახ, რა მშვენიერია! მოდი, და-  
ვიჭიროთ, მოდი!
- სახჩო.** ღმერთმა უხვად დააჯილდოვა გაზაფხული, რომ შენ  
დასტკე მისი პერეტით. (შეპელა ჩირგვზედ დაჭდება).
- რთა 6.** (სელს გაიშვერს დასაჭრათ). მოკა, წყნარად იყავ!  
(შეპელა გაფრინდება) უმ, გაფრინდა! აი, ზამბახზედ  
დაჯდა! ჰა, აი, კიდევ გადაფრინდა.
- სახჩო.** ჩვენ ერთად შევზღილვართ, ოჰ, ჩემთ საყვარელო  
მეულევ!
- რთა 7.** აი, პეპელამ დამინახა! (ასკილზედ დაჭდება შეპელა,  
რთა 5 მიდის დასაჭრათ და ასკილზედ სელს დაიჩხვლეტს)  
ოჰ! ხელი ვიჩხვლიტე!
- სახჩო.** ოჰ, ეს ასკილი! ამასაც კი სწყურიან ანგელოზის  
სისხლი! (ბერი დოშინიკანელის ანაფრაში გამოჩნდება  
ხელის შეა, საფლავებთან. ამათ ვერა ქსედავს.)
- რთა 8.** (დაინახავს ბერს) ახ! აი ისევ ის ბერი, თავისი შესა-  
ზარის შეხედულობით. მეშინიან მაგისი. წავიდეთ  
აქედან. (იქითვენ მიდიან, საითვენაც ხშირი ტუა, ბერი  
ნელა მოძრაობს, ვერაფერს ვერ ამჩნევს. ბინდდება.)

### გევგევსე სანახავი.

- ბერი** (შარტო). ერთის მხრით—დედა-მიწა, თავისის ცოდ-  
ვებით, კაცობრიობით; მეორეს მხრით—მეფენი,  
თავით-ფეხამდის შემოსილნი მურტალის ცოდვებით,

უმეცარნი მეცნიერნი, გაუკურნებელნი ბრძნინი.  
 სიმდიდრე, სიამაყე, სჯულის შეურაცხება, თავისი დუ-  
 შის ამომფურთხავნი, სენნახერიბის<sup>45)</sup> მკვლელნი და მატ-  
 ყუარა დალილა,<sup>46)</sup> ერეტიკოსნი,<sup>47)</sup> ვოდუანელები,<sup>48)</sup>  
 ციფირების ებრაელები, მოზარაბები,<sup>49)</sup> გვებრები,<sup>50)</sup>  
 ალექსანდრის საწყალნი მთვლელნი, ყველა, ყველა: დიდი  
 და პატარა თავისი წმიდა ბეჭდის შეურაცხმყოფნი, ხე-  
 ლის ცეცებით მატანტალნი, ქრისტეს სჯულის უარ-  
 მყოფნი, ყველა ცოდვის ჩამდენელი, პაპაც, კორო-  
 ლიც, მინისტრიც ეფისკოპოსიც, ....სხვა მხრივ კი—  
 თვალ-გაუწვდენელი ალი, ცეცხლი, ჯოჯოხეთი! აქ  
 ადამიანს ყველა ავიწყდება, სცოცხლობს, საზრდოებს,  
 სძინავს, ჰსიამოვნებს, იქა კი—უფსკრული საშინელის  
 მდუღარე ცეცხლისა, ჯოჯოხეთი! ოჭ, თავ-დანებებუ-  
 ლო კაცობრიობავ! ოჭ, ბრუნდე სასწორო ჩვენის ბე-  
 დისავ! სიკვდილი და სიცოცხლე! სიცილი და საუკუნო  
 გოდება! ჯოჯოხეთი! ოჭ! მოჩვენებავ! საფლავი,  
 კლდეები, მთები! ჭებში-გაღუებული ნაკვერჩხალი,—  
 მთებზედ კი—გოგირდი! გვირაბი ათასს-კბილოვანი!  
 პირ-დაღებული უფსკრული! დაუბოლევებელ შურ-  
 თან—დაუბოლოვებელი მსხვერპლი!<sup>51)</sup> ერთს მხარეს—  
 სიმხიარულე; მეორე მხარეს—მწუხარება! ყველა  
 იწვის, ისმის ღრიალი: „ჩემო შვილო! დედა-ჩემო.“

45) სენნახერიბ.

46) დალილა.

47) ერეტიკა,—ერეტიკოსი, ანუ ერესი—ბერძნული სიტყვაა, რო-  
 მელიც ნიშნავს: განყოფილებას, პარტიას, სეკტას; ისეთი სწავლაა, რო-  
 მელიც არღვევს რაიმე ადამიანის სარწმუნოების წეს-წყობილებას.

48) ვოდუანელები,—ვონოან, სახელი ერთის ღმერთისა სკანდინა-  
 ვიაში.

49) მოზარაბები,—ამ სახელით მავრები უწოდებდნენ ისპანიის ქრის-  
 ტიანებს, რომელნიც ამათ ქვეშევრდომათ სცხოვრობდნენ.

50) გვებრები,—ცეცხლის თაყვანის-მცემლები.

„მოგვიტევეთ, დაგვეხსენით“! მოჩანს, როგორც უცრუვდებათ ყველაფერი, ყოველი იმედი, ყოველი ნუგეში! პირის-სახე იცვლება საშინელის ცეცხლისაგან. ხელ-მეორედ განხორციელდება და კიდევ იცვლება! ცოცხალს თავის-სარქველზედ ესხმის აღუღებული ტყეია. ოცნების ქვეყანა! აწვალებს და თითონაც წვალებულია; ჭერის მაგიერად — უსაშინელესი და უსაზარლესი ძირი საფლავისა, საღაც ადამიანის სული და გული კოტრიალობს ცეცხლთან ერთად! სიწყვდიადე, ბნელი ღამე, და ვაება! დაღალულ ქარიშხალს ამოაქვს ცეცხლის ალი, დაუქრობელი; ცეცხლის ნაკადული იბერება, იზვირთება და ავსებს ქვეყანას, მაშინ ზეცა გაიძახის: „არას დროს“ და ჯოჯოხეთი კი პასუხს აძლევს: „ყოველთვის“! და ყოველი სულ-დგმული, ყოველი მოძრავი არსება, ყოველი მცხოვრებელი დედა-მიწაზედ, რომელსაც ოდესმე უზარმაცნია თავის გახრწნილობით, უმრუშნია, უცოდვილნია, ყველა, სულ ყოველი იქ არის, იწვის, იდაგვის იფუფქება; გარდაწყვეტილია ყოველისფერი! უბსკრულია! აქ ეჭვი აღარ არის! რა არის აქ, ჩვენ თვალ წინ? ჯოჯოხეთი და ჯოჯოხეთი!

მისი დაშხამული სუნთქვა ჩვენ გადმოგვედო! ვალის<sup>51)</sup> კერის მახრინბელი კომლი ზეცამდის აღის. ვეზუვი,<sup>52)</sup> ეტნა,<sup>53)</sup> ჰეკლა,<sup>54)</sup> სტრომბოლი!<sup>55)</sup> ნუ თუ

<sup>51)</sup> გაალი, — ბალ, ბელ, სახელი ერთის ღმერთისა, რომელთაც ფინიკიელები, ბაბილონელები, ქალდეელები და ისრაელები თაყვანსა სცემდნენ, ისე რომ ადამიანს მსხვერპლად სწირავდნენ დასაკლავად.

<sup>52)</sup> ვეზუვი, — ცეცხლ-მფრქვევი მთა ევროპაში, ნეაპოლის ვახლობლად იტალიაში.

<sup>53)</sup> ეტნა, — ამისთანავე მთა სიცილიაში.

<sup>54)</sup> ჰეკლა, — ამისთანავე მთა ცსლანდიაში.

<sup>55)</sup> სტრომბოლი, — ამისთანავე მთა კუნძულზედ, სახელად ლიპარი; მთა აფრქვევს ცეცხლს და მოწითლო კომლს.

სხვა რაზედმე უნდა იფიქროს ადამიანშა? ჩვენ წინ უსა-  
შინელები საიდუმლოა, საიდუმლო დედა-მიწისა,  
რომლითაც გვიფენს სიკვდილს, სიწყვდიადეს! შე-  
გვიძლიან დავიხაროთ თავი და შიგ ჩავიხდოთ.  
დავინახავთ, რომ განწირულნი საუკუნო საწვალებ-  
ლად ნაპერწკლებსავით გარბიან და გამორბიან, და-  
ეცემიან და ცეცხლი მათ ფრთებს ედება. აჲ! ვაგ-  
ლახ! შველა არსაიდამ, გაქცევა არ შეიძლება.  
უკუ-იქეც! დაბრუნდით ოქვენს საპყრობილები,  
ნაკვერჩხალივით გახურებულში! ხელ-ახლად ცეც-  
ხლის ზვირთებათ გარდიქეცით! სატანა დაგცინის  
და ხარხარებს თავისს საწყვდიადეში! ხელებს იმტვ-  
რებს, მაგრამ ცეცხლი კი თავისი გრძელი ენებით  
ჰლოკავს! ზეთი მათ ხრაკავს, ტყვია მათ სდაგავს,  
ფისი მათ ახრჩობს. ამას ბოლო არა აქვს; ადამია-  
ნობა დაბრმავებულია. ამ ალიაქოთში ისმის მხო-  
ლოდ ორი საშინელი სიტყვა: — „არას დროს“ —  
„ყოველ დროს“! ოჲ! ღმერთო! ვის შესტკივა იმათ-  
ზედ გული?.. მე!.. მე მოვედი, რომ დავიხსნა  
ადამიანი! დიახ, ადამიანი — ცოდვილი! ეს ფიქრი  
არა მშორდება. ჩემში გაღვიძებულია უზენაესი  
სიყვარული! და მეც გადავივლი ყოველს უფს  
კრულს. რაც დომინიქმა<sup>56)</sup> დაიწყო — ეს შევასრუ-  
ლებ! ჯოჯოხეთი! როგორ აიტანოს ადამიანშა რკი-  
ნის თავსახური? როგორ გაჩერდეს ამ საშინელს  
თავ-დაღმართზედ ადამიანი? ოჲ, რომი!<sup>57)</sup> ოჲ, იქსო!  
ადამიანის დაცემა შევაჩერო?! მე ვიპოვე საშუალე-  
ბა! ეს საშუალება, ჩემს გარდა, წმიდა პავლე მო-

<sup>56)</sup> დომინიქი, — იყო ბერი, რომელმაც ტულუზაში დაარსა თავისი  
მონასტერი, სახელად დომინიკანელის მონასტერი.

<sup>57)</sup> რომი, — იტალიის უპირველები სატახტო-დედა-ქალაქი.

ციქულმაც გვიჩვენა. ოწივი ყველაფერსა ჰხედავს, მითი გახარებულია, რომ ყველას მიაგნებს და ამაშია მისი გახარებული სიამაყე მისის მაღლა ფრენითა. რა უნდა, რომ ჯოჯოხეთი გაუქმდეს და ზეცა გაირლვეს? ჯოჯოხეთი ცეცხლით უნდა გადაიწვას. ერთმა წუთმა— საუკუნოს უნდა აჯობოს. მცირედმა ტანჯვამ აუარებელს წვალებას უნდა აჯობოს! ცეცხლ-წაკიდებული დედა-მიწა გააქრობს საშინელს ჯოჯოხეთ!. ჯოჯოხეთის ერთი საათი - გააუქმებს საუკუნო ჯოჯოხეთს! ყოველი ცოდვა დაიწვის და სული განწმენდილი იქნება, განსპეტაკებული გამოვა ალიდამ, რადგანაც წყალი განბანს სხეულს და ცეცხლი განბანს სულს. სხეული არის—ჭუჭყი, სული კი არის—სინათლე! ოჟ, უკვდავო სულო, მე შემომიწირავს შენთვის ჩემი თავი! სად არის ის მამა, რომელიც ამას არ იზამდა? სად არის ის დედა, რომელიც ჰედავს თავის ბაჟვს ცეცხლსა და ჯოჯოხეთს შუა და არ მიისწრაფვის მის დასახსნელად, არ იკისრებს მისთვის დამსხნელ ანგელოზად ყოფნას? აი ეს არის თვით დახსნა! საუკუნო გომორრა, 58) საუკუნო სიონი! თვით ღმერთი გვაძლევს დახსნის ნებას. კმარა, ალარავინ არის განწირული საწვალებლად! ზეცა გვაკურთხებს! დიახ, მოვიდა დრო! ვაი, რომ სუფევს ქვეყნიერობის სიავე! იქსო ხელ-მეორეთ ანთხევს სისხლს; ყველა ავია, ყველა უვარგისია, ყველა დაცემულია! ყოველ წამს იზრდება ტოტი ცოდვისა, ხე-ცდომილისა, ის ტოტი, რომე-

58) გომორრა,—ერთი ოთხ-ქალაქთაგანი, რომელიც გაშენებული იყვნენ სოდომის ველზედ და ციდან ენელნის ცეცხლით გადაიწვა ეს ქალაქი; აქ იყო ოთხი ქალაქი: სოდომი, გომორრა, ადამა და სევოიმი; ახლა იქ, სადაც ეს ქალაქები იყო აბრაამის დროს—ზღვა არის, რომელსაც „მკვდარ-ზღვას“ ეძახიან.

ლიც ღმერთს თან აჰეთნდა, მაგრამ, ვაი, რომ ევამ ადამიანის ბაგეს გადაუსწია! საჩწმუნოება აღარ არის! იუდეი<sup>59)</sup> ერეტიკოსობენ, ბერები აღთქმას არღვევენ, მოლოზნები თმას არ იკრეპავენ! ერთი ჰგლეჯს ჯვარსა, მეორე ჰპილწავს წმიდა სხეულს! როგორც ჭინჭარ მორეული ზამბაზი ჭკნება, ისე ქარწყლდება საჩწმუნოება ცდომილ მორეული. პაპა მუხლმოდრეკილია. ვის წინაშე? ღმერთის წინაშე? ოჰ, არა! ადამიანის წინაშე. კეისრის<sup>60)</sup> წინაშე—ისა თრთის. მეფეებმა რომი სრულიად დაიპყრეს, მალე ნინევის<sup>61)</sup> მოახლეთაც გახდება. ერთი ნაბიჯი კიდევ—და ქვეყანა დაღუპული იქნება! მაგრამ, მე მოვედი. მე, აქა ვარ! ჩემი სული აღსავსეა გულმოდგინეობით. ამ აზრით გატაცებული, მე ვარ აქა, რომ გავაღვივო ცეცხლი. ოჰ, დედა-მიწავ, შენი სხეულის ცოდვებით მე მოვედი, რომ განვკურნო შენი სული. მე მომაქვს შენი განთავისუფლება, მე მომაქვს შენი ნუგეში. დიდება უზენაესსა! გახარება ყველასა! ქვეყნიერობას მე ცეცხლით მოვფენ! მეც ვიტყვი ბიბლიის სიტყვით: „იყოს სინთლე“! და დაინახვენ მაშინ ყველანი გაჩაღებულს საქვეყნო ცეცხლს! მოვფენ დედა-მიწას ნაკვერჩხლებით, გარდავიტან ცეცხლებს ქალაქებში, წავუკიდებ საყოველთავო აუტოდაჭეს,<sup>62)</sup> უზენაეს,

<sup>59)</sup> იუდეი,—ეს სახელი დაერქვა ისრაელებს ბაბილონის ტყვეობის შემდეგ.

<sup>60)</sup> კეისარი,—არის სახელი რომის დიკტატორისა, რომელიც შემდეგ ხელშითვედ გახდა.

<sup>61)</sup> ნინევია,—უპირველესი ქალაქი იყო ასსირიელების მეფეებისა.

<sup>62)</sup> აუტოდაჭე,—აღგზნებული ცეცხლი, რომელშიაც რაიმე უნდა გადაიწვას.

ცოცხალს, მხიარულს! ოჰ! ადამიანო—რა რიგ მი-  
ყვარხარ!.... (თვალებს ზეცაში აიშეთქმის გულ-ხელ  
დაკრეფილი და ამ აღშეფერებულს მდგრამარქობაში შეწერ-  
დება. იმის უპან, სცენის სიღრმიდან გამოდის ერთი ბე-  
რი, გულ-ხელ დაკრეფილი, თავზედ კაპიშონ ჩამოიფარებუ-  
ლი ისე, რომ თვალებსაც ჭიათავს. მერე გამოვა მეორე  
ბერი, მესამე; ეს ბერები ავტუსტინების ანაფორებში  
არიან ჩატულნი, სმა-ამოულებლივ მიუახლოვდებიან დო-  
მინიკნებს და მის უპან დადგებიან, ისე, რომ ეს ვერა-  
ფერს ვერ შეამჩნევს. სწორეთ ამ რიგათ სხვა ბერებიც  
სათითოვთ გამოდიან; ჩუმად, წენარად და ისევ ისე  
დადგებიან, ერთი მეორეს გვერდით. სუმეღე ას ხელები  
გულზედ აქვსთ დაკრეფილი და კაპიშონები შირის-სახე-  
ზედ ჩამოშვებული. თვალების შეტი არა უჩანსთ რა, ისე  
უნდა იქას გამოჭრილი კაპიშონები სათვალეებით; შირის-  
სახე არც ერთს არ უჩანს. ეს ბერები ისე უნდა დადგნენ,  
რომ ირგვლივ შემოერტყენენ დომინიკანებს. გამოვა  
ურგელის ეპისკოპოზი, საეპისკოპოზი მანუაში, ხელში  
გავარჯენი უჭირავს, თავზედ შატრა ხურავს და ამას  
შემოჰევება არი არსი-დიაკონი; ეპისკოპოზი ნელა და  
დანჯათ მოდის. ბერები გზას მისცემენ და ისევ შეუერთ-  
დებიან ერთმანერთს. ამას მოჰევება მონასტრის უფრო-  
სი წინძმდებარი, რომელსაც შირის-სახე ახდილი აქვს,  
კაპიშონ ჩამოუფარებული, სხვას კი უველას კაპიშონები  
ჩამოიფარებული აქვსთ. ეპისკოპოზი ბერების წინ დადგე-  
ბა; ეს სცენა ისე უნდა მოხდეს, რომ დომინიკანებიმა,  
რომელსაც ზეცისაკენ მიუპერია თვალები და ამ დროს  
აგანსცენაზედა სდგას, არა შემჩნილს რა, რომ მის გარ-  
შემო ამდენი ბერები მოძრაობენ. სცენაზედ თან და თან  
ბეჭდება. ბერები თცამდისინ უნდა იყვნენ.).

მეცნიერება სანახავი

დომინიკანელი, უგეგვის ეპისკოპოზი, მონასტრის  
წინამდგრადი და 20 ბერი

**უ „გელის ეპისკოპოზი.** იყავით მოწმად, რომ მე, ითანხმების კოპოზი მოვედი აქ ამ კაცის დასასჯელად, დამნაშავე არის თუ არა, სულ ერთია. ჯერ უნდა გამოვტკითხო და ჩვენება ჩამოვართვა, რადგან კანონით, რომლითაც დაისჯება კაცი, საჭირო არის გამოეცხადოს ბრალდებულს კანონის გარდაწყვეტილება. (დომინიკანელი შიისტეავს; ევალეს გულ-ციფად შესცემის; ათავითას შეცემარებას არ იჩვენებს; შექვერებს ეპისკოპოზს). ვინა ხარ?

დომინაკნელი ბერი. ბერი დომინიკანელი.

ურგელის ეპასკობაზე. რა გქვიან?

ଫଳମନ୍ଦିରଙ୍କାନ୍ତରେ ପ୍ରକଟିତ ହେଲା।<sup>63)</sup>

ურგელის ებისკობოზი. მმობენ, რომ შენ ბავშვობიდანვე ხარ  
აღსავს ავი სულითა და საზარელი ოცნებებით ხარ  
შექურვილი. მართალია თუ არა?

**ტონბგმდა.** მე ყველაფერს ისე კხედავ, როგორც ჩემი თვა-  
ლი მიჩვენებს.

ურგ. ებისქამთზ. მოჩვენებასა ჰედავ!

63) ტორკვემადა,—იყო ბერი. ისპანიის პირველი ლენერალ-ინკვი-  
ზიტორი იყო, 1483 წლიდგან სიკვდილამდე შესანიშნავი კაცი თავისის  
მძვინვარებით, რის მიზეზითაც ხალხს ათასობითა ჰეზავნიდა ცეცხლში  
დასაწვავად; ტორკვემადა დაიბადა 1420 წ. და გარდაიცვალა 1498 წელს.  
ტორკვემადამ განდევნა ებრაელები ისპანიიდან. ამან დაამტკიცა გარდა-  
წყვეტილება 8,800 კაცის სიკვდილით დასჯისა, 100,000 კაცი სამუდა-  
მოდ დაპატიმრებისა, კატორლაში გაგზავნისა, გადასახლებისა, წვალებისა,  
და სხვ. ვიკტორ პიუვომ ამ დრამაში ჩინებულად წარმოგვიდგინა საშინე-  
ლი ხასიათი და გავლენა ამ ტორკვემადასი და იმ დროისა, როცა ქს  
კაცი არსებობდა დედა-მიწის ზურგზედ.



**ტორგემადა.** რაც გინდათ ის დაარქვით, რასაც მე ვხედავ. შე ვხედავ ლმერთს! (შეჭიდაგს თქროს ჯვარს, რომელიც გალავნის პედეზზედ უწევია) ლმერთო, რა გინდა ჩვენგან? რა შეგვიძლიან ჩვენ, შენ მსახურთა, შენს წინაშე? რომ ვხედვიდეთ მარტო ერთს შენს მცნებასა, და მეტს არასფერს გარსა მისსა—ოჲ, საშინელებაა; მაგრამ მე, ლმერთო, მე რა შემიძლიან?

**ურგ.** ეპისკოპოზით. მიპასუხე! ამბობენ, ვითომც შენ ამტკიცებდე, რომ ჩვენ, მსწავლულნი შემცდარნი ვართ, რომ ურწმუნო გვძულს, ვითარცა გველი?

**ტორგემადა.** თქვენ შემცდარნი ხართ, მამანო-ეპისკოპოზნო!

**ურგ.** ეპისკოპოზით. ჭია!..

**ტორგემადა.** ურწმუნო უნდა გიყვარდეთ და მერე შველა მისცეთ!

**ურგ.** ეპისკოპოზით. ამბობენ, რომ შენ ცრუ-შემეცნებამ გაგიტაცა, რომლის მიზეზით დაიღუპა ღიღიე<sup>64)</sup> ლომბარდელი და შენის ფუჭის ფიქრით დარწმუნებით ამტკიცებდე, რომ ჯოჯოხეთი ჰქრება და იწვის ცეცხლში და რომ ცეცხლში დამწვარი სული ზეცას ადის და ამისათვის ამბობ, რომ ყოველი სხეული უნდა დაიწვას.

**ტორგემადა.** დიახ, ეგ ჭეშმარიტია!

**ურგ.** ეპისკოპოზით. უგუნურო! დაბრმავებულხარ შენის შეცდომილებით. მაგრამ ეგ არის ხე-მწუხრისა, და ფესო მისი არის—შეცდომილება.

**ტორგემადა.** სულსა სძულს სხეულის შეხება, ამ მაცოურ თანა-მგზავრისა. ყოველი დამწვარი—განწმენდილია!

**ურგ.** ეპისკოპოზით. შესაზარი სწავლა-ქადაგებაა!

**ტორგემადა.** ოჲ, არა!

**ურგ.** ეპისკოპოზით. ტყუილია!

<sup>64)</sup> ღიღიე—ლომბარდელი,—ისპანიის ეკლესიის ერთი წმიდათაგანი.

ტორგვემადა. ორა, კეშმარიტია! და მეც ასე ვმოქმედობ.

ურგ. ეპისკოპოზი. ოჰ, გველო!

ტორგვემადა. მრწამს იგი! დიახ!

ურგ. ეპისკოპოზი. უკუაგდე, თორემ... გაფთხილდი! მე,

შენი მეუფე, გიბრძანებ მოინანიე ყველაფერი და  
უკუაგდე ცრუ-რწმუნება.

ტორგვემადა. შენი მორჩილი მოწაფე ვარ,—ტყუილი არ შე-  
მიძლიან, მტკიცეთა მრწამს ყოველისფერი!

ურგ. ეპიზკოპოზი. წინააღმდეგი ხარ!

ტორგვემადა. ლატრანის<sup>65)</sup> სობორო და პაპა ინოკენტი მესამე  
ჩემს მხარეზედ არიან!

ურგ. ეპისკოპოზი. უკუაგდე სწავლა შენი! ბრუნო ანუერე-  
ლმა<sup>66)</sup> მოინანია ყველა ცოდვა, რომ დიდებულება  
დაემსახურებინა.

ტორგვემადა. დიდებულება მე არ მინდა!... უმცირესობა მინ-  
და!

ურგ. ეპიზკოპოზი. ამპარტავანო!

ტორგვემადა. არა, რწმუნებული ვარ!

ურგ. ეპისკოპოზი. მაშ სთქიო, რა გწადიან?

ტორგვემადა. მწადიან ფეხ-შიშველა რომში წასვლა, რომ  
კურთხეულს წმიდა მამას ვაცნობო...

ურგ. ეპისკოპოზი. იმის ბრძანებითა გსჯი მე ახლა, ძალლო!

ტორგვემადა. ძალლი თავისის ყეფით მწყემსს აღვიძებს; მე  
გავაღვიძებ რომის პაპას. მე უნდა მომისმინოს!

ურგ. ეპისკოპოზი (უჩვენებს ამ ბერზე იქ მდგრმ ბერებს). შვილ-  
ნო ჩემნო, ჰედავთ რა აფთარია ეს ადამიანი!

ტორგვემადა. დიახ, იმიტომ რომ მწყალობელია ის! (მაღლა  
ცას სეჭს გაუწვდებს) „სარწმუნოება სიყვარულით  
ინთება“, სთქვა ყოვლად წმიდა პავლემ.

ურგ. ეპისკოპოზი. შემცდარი ხარ, რომ ეს სიტყვა მოგყავს.  
მთელს ქვეყანაზედ დიდათ პატივცემული მამა-მოძ-

<sup>65)</sup> ლატრანის სობორო,—უძველესი მონასტერი ისპანიაში.

<sup>66)</sup> ბრუნო-ანუერელი—იყო დომინიკანელი ბერი; ინკვიზიციაში შე-  
იძყრო და ცეცხლში დასწვა 1600 წელს, როგორც ერთი უმთავრესი  
ერეტიკოსთაგანი.

ლვარი სიკსტი<sup>67)</sup>) მეოთხე ეძებს საკურთხეველს არა  
მათრს და არა სასტიკს. მისი მოწყალებითი მიხედვა  
აგრეთვე უდიდესია, როგორც სიწმიდე. იმას უნდა,  
რომ ფარ-ხმლად ჭეშმარიტებამ ღვთის მოტევება  
იქონიოს. წმიდა მწვალებელთა სისხლის სამართალი  
მოლბა. პაპა თავის მარჯვენას უფრო ხშირად აღა-  
პყრობს მისთვის, რომ აკურთხოს და არა მის-  
თვის, რომ დასაჯოს. ცეცხლში გადაწვა ახლა იშვი-  
ათია.

**ტორგეგმადა.** ეს სისუსტე ზარ-დამცემია. ჯოჯოხეთის ალი  
უფრო მაღლა აღის და უფრო ძრიელია, ვიდრე ალი  
ცეცხლისა.

**ურგ.** ეპისკოპოზი. უბედურო, გაშავებულო სულო! მაშ რა  
გინდა?

**ტორგეგმადა.** ქვეყნის დახსნა.

**ურგ.** ეპისკოპოზი. რა საშუალებით?

**ტორგეგმადა.** ცეცხლითა და ალით!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ითრთოლე! ეგ საშუალება საშინელია!

**ტორგეგმადა.** თვითან დამსხნელი ვერ ირჩევს საშუალებას.

**ურგ.** ეპისკოპოზი. მაშ სთქვი, რის იმედი გაქვს?

**ტორგეგმადა.** გამარჯვებისა, თუ ღმერთი შემეწევა.

**ურგ.** ეპისკოპოზი. ვნახოთ! (უჩვენებს ტორგეგმადას ახლად გა-  
თხრილს საფლაკს) შიგ ჩადი!

**ტორგეგმადა.** ეს რა არის?

**ურგ.** ეპისკოპოზი. საფლავი.

**ტორგეგმადა.** კარგი! (მიდის საფლავთან.)

**ურგ.** ეპისკოპოზი. გაჩერდი! დრო კიდევა გაქვს!

**ტორგეგმადა.** (საფლავთან მასშლოვებული) introjbo.

**ურგ.** ეპისკოპოზი. მოიფიქრე!

67) სიკსტი მეოთხე,— რომის პაპა იყო, რომელმაც შემოიღო ინკვი-  
შიცია ისპანიაში.

**ტორგვემადა.** (ზეცას ადაპერთბის თვალებს) ოჲ, ღმერთო, დასა-  
ჯე შენი საკურთხევლის მსახური და წინასწარმე-  
ტყველი შენი და აღსრულდეს ნება შენი. (მივა  
საფლავის შირთან და გაჩერდება).

**ურგ.** ებისკობოზი. შენი ეპისკოპოზის მორჩილი უნდა იყო.  
მონასტერში ამაყი თავი არის შეურაცხება მონას-  
ტრისა. ეკლესიის ვალია დაჭმარხოს ის, ვინც  
არღვევს იმის კანონს.

**ტორგვემადა** (საფლავის ნაბირასა დგას). ამინ!

**ურგ.** ებისკობოზი. დაგვმორჩილდი, ბერო! გიბრძანებ მორ-  
ჩილებას!

**ტორგვემადა.** არა!

**ურგ.** ებისკობოზი. ჩადი ერთს საფეხურზედ! (ტორგვემადა  
ჩავა ერთს საფეხურზედ.) ქრისტეს გულისათვის უკუ-  
აღდე ყველაფერი!

**ტორგვემადა.** არა!

**ურგ.** ებისკობოზი. ჩადი! (ჩავა მეორე საფეხურზედ.) უკუაგდე!  
**ტორგვემადა.** არა!

**ურგ.** ებისკობოზი. ჩადი! (მესამე საფურზედ ჩავა) მე, ეპისკო-  
პოზი და მსაჯული შენი გიბრძანებ უკუაგდო შენი  
საზარელი და მატყუარა სწავლა-ქადაგება!

**ტორგვემადა.** არა, ჰეშმარიტია!

**ურგ.** ებისკობოზი. პატივი მეცი!

**ტორგვემადა.** არა!

**ურგ.** ებისკობოზი. ჩადი! (ტორგვემადა ჩადის. ტანი მისი ნახევ-  
რამდინა სჩანს. ებისკობოზი მიუახლოვდება და უჩვენებს  
საფლავზედ.) ჰედავ, მანდ ჯამში წყალია; ის—პუ-  
რია ქერისა. მზის სინათლეს ვეღარ ეღირსები;  
ვარსკვლავი და ცისკარი განქრება შენთვის საუკუ-  
ნოდ!

**ტორგეგემადა.** იყოს ნება ღვთისა!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ჩადი! (ჩავა; მარტო იმისი თავი-და სჩანს საფლავიდან.) გირჩევ, მოიფიქრო! მანდ შენ უპატ-როდ გან ქრები, ვითა მაშალა! შიმშილი, წყურვი-ლი, სიკვდილი, საშინელებაა!

**ტორგეგემადა.** მშვენიერებაა!

**ურგ.** ეპისკოპოზი. ჩადი! (ტორგეგემადა საფლავიდან ადარს ჩანს).

**ტორგეგემადა** (საფლავიდან). სულ ძირსა ვდგევარ.

**ურგ.** ეპისკოპოზი. დაათარეთ ქვა!

**ტორგეგემადა** (საფლავიდან). ალასრულეთ! (ეპისკოპოზი ხელით ანიშნებს და თრი ბერი საფლავს ქვას დაადებენ ისე, რომ პატარა დაა დარჩეს; მოშორდებიან. ეპისკოპოზი დაიზნიება და საფლავში ჩასძისის)

**ურგ.** ეპისკოპოზი. იესო ქრისტეს სახელით! ერთს წამს უკან გვიან-ლა იქნება! შენ გელის სიწყვდიადე! უკუაგდებ თუ არა?

**ტორგეგემადა** (საფლავიდან). არა!

**ურგ.** ეპისკოპოზი. მაშ განისვენე საუკუნოდ! (ორიგე ბერი დაათვარებენ ქვას და დაგლისავენ.) აბა, ძმანო, ახლა ვილოუოთ! (უველანი ხელებს გულზედ დაკრევებ; ბერები წევაღ-წევილად დადგებიან და ისე გადიან სცე-ნიდან, ნელა, დინჭათ; ეპისკოპოზი უველაზე ბოლოს. ისმის პათი გაფოის გაფობა; გაფობა თან და თან მისწედება).

**გადაბის სმა** De profundis ad te clamavi, Domine. (დრმად აღმოდადად გვავ შენდამი უფალო!)

**ტორგეგემადა** (საფლავიდან). ღმერთო, შეიცოდე საცოდავი ქვე-ყანა!

გადაბის ხმა. Libera nos (გვიხსენ ჩვენ უფალა!)  
ტორკეგმადა (საფლავიდან). ღმერთო ჩემო, მიხსენ მე!

## მერვე საცხავი

ტორკეგმადა (საფლავში) დან საწმო და დონნა-როზა.

(დონ-საწმო და დონნა-როზა გამოყდენ ბადიდან; შატარი საწმ  
შეჩერდებიან; ერთმანერთს დაცერდებიან და აქეთ-იქით იუჟ-  
რებიან. სიჩუმეა; შეა დამეა).

**საწმო.** ხელავ, რადგანაც ჩვენ ერთმანერთი გვიყვარს სიყრმი-  
დანვე, ჩემი ხელი შენ გეძებს, რომ ჩემსკენ მოგი-  
ყვანოს და არ მესმის კი: შენ გეძახის ჩემი გული—  
თუ შენ უძახი ჩემ გულს? როზა, ჩვენ თავზედ რა-  
ღაც საიდუმლოება ტრიალებს; ხან და ხან დამატიქ-  
რებს ხოლმე ეს საიდუმლო; ამ მონასტერში ჩვენ  
ერთადა გვზრდიან; მაგრამ ჩვენ ვინა ვართ, რა  
ვართ? შენ არ იცი, აქ რათა ვართ დამწყვდეული?  
ეჭ, ჩემთვის სულ ერთია, შენ სიყვარულს არავინ  
მიშლის; მე რაინდი ვარ, შენ კი ჩემი მანდილოსანი.  
ჩემს სულზედ რათ ვამბობ, არ ვიცი; ჩემი გული  
და სული შენი ტკბილი სუნთქვაა; სუნთქვა და ზე-  
ცის ალი გამოდის შენის პირიდან და ბრჭყვინავს  
შენს თვალებში. როცა შენ ჩემთან არა ხარ, მე ჩემს  
გულს ვეღარა ვგრძნობ ხოლმე. შენი პირ-ბალე მიშ-  
ლის. ერთი მაკოცე!

**როზა.** არა! (ლოჟაზედ აკოცნიებს და საწმოს მკლავზედ დაეკრდნობა  
და თითოთ ზეცაში გარსევდავს უჩვენებს). აი იმ ვარსკვ-  
ლავსა პხედავ?

ტორკეგმადა (საფლავიდან). ღმერთო! დაიხსენ ქვეყანა!  
გადაბის ხმა. Jte, pax sepuleris!

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). უფალო შემიწყალე!

**როზა.** გესმის—გალობა?

**სანჩი.** არა! რაღაც გოდება მესმის.

**გაღობის ხე.** (თან-და-თან შესწევება). Onus grave super caput.

**როზა.** გესმის—გალობენ!... ლამე გალობა, უჯ რა კარგია. გალობა, ეს ხმა რომ ზეცას შეჰარის; დედა-მიწა აღსავსეა სიყვარულით. მაშ, ჩვენც გვიყვარდეს ერთ-მანერო.

**გაღობის ხმა.** Miserere! (მიწალე მე ღმერთო).

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). Miserere! (მიწალე მე ღმერთო).

**სანჩი.** არა, მეთქი, ეს გოდება! ვიღაც იძახის. შემცდარი არა ვარ. საიდან ისმის ეს გოდება?

**როზა.** ეკლესიდან. ეს სალამოს ლოცვაა!

**სანჩი.** არა! არა!

**როზა.** ბნელა, არა ჩანს-რა!

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). იესო ქრისტე!

**სანჩი** (შეაჩნევს ქას, რომელიც საფლავს აფარია). ი, აქ არის, აქა!

**როზა.** მეშინიან!

**სანჩი.** შიგ ვიღაცა არის!

**როზა.** მკვდარი ლაპარაკობს!..

**ტორგეგმადა** (საფლავიდან). ოჯ, ღმერთო! მამაო ჩვენო!

**სანჩი.** ცოცხალი კაცია დამარხული ამ ქვის ქვეშ!

**როზა.** არ მიეკარო! მოჩვენებაა! მკვდარი გამოვა მანდე-დან!

**სანჩი** (სასტიკად). მოდი მიშველე! (დაიჩვებს და ქვის დაძრასა სცდილობს; როზა შეელის). თუ ვინმე დამნაშავე არის

აქ ჩაფლული, შენგან იქნება განთავისუფლებული.  
(ქვას ფერს დადგებს და ჩაძახებს) მანდ ვინა ხარ?

**ტორგვემადა** (საფლავიდან). მიშველეთ!

**სახელ.** მოითმინე! (ორივენი ქვის აწევასა სცდილობენ) ვერ  
დავსძრავთ ამ ქვასა! ნეტავი რითიმე მაინც ავსწიოთ.  
(უცებ შეამნებეს ქრთს საფლავზედ გაჭავნის მახდობ-  
ლად რკინის ჯვარს). აი, ჯვარი! (ადგება და ჯვართან  
მიდის).

**როზა** (შეაჩერებს). მოიცადე, მოიცადე!

**სახელ** (საფლავის ქენ მიიხედავს). ოჰ, უბედური!

**როზა.** მეშინიან, ჯვარს ხელი არ ახლო, ცოდვაა; არ იქ-  
ნება!

**სახელ.** ცოდვა იქნებოდა, რომ ხელი არ მეხლო, თუ კაცს  
უშველის. ვიღებ! ღმერთი შემიწყალებს. (ამოაძრობს  
რკინის ჯვარს).

**როზა** (რკინის ჯვართან შირ-ჯვარს იწერს). O crux, ave!

**სახელ** (შინჯავს ჯვარს). კარგი ბერ-კეტია! აბა, ახლა მიშვე-  
ლე! (მიიტანს საფლავთან ქრთს ქვას, ზედ ჯვარს და-  
აურდობს და საფლავის ქვაში შესწევს ჯვარს და ფრივე-  
ნი ზედ დაწებიან) დიახ, სიკვდილი ადვილად  
თვალს არ გაახელს; ძნელი ყოფილა! (ტოტას შეი-  
სვენებენ). საკვირველი ადგილია მონასტერი! ხან და  
ხან საოცარი საქმეები ხდება ხოლმე აქა.

**როზა.** ღმერთო! მეშინიან ვთრთო!

**სახელ.** რა მძიმე ქვაა!

**როზა.** აჳა, დაინძრა, დაინძრა! (ქვას დანძრებეს).

**სახელ.** მოდი, მომეხმარე! (როზა დაწებდა ჯვარს, სახელ მეო-  
რე ქვას ახლო მისწევს და ახდის საფლავს).

**როზა** (სისარულით ტაშს უქრავს). ახ, რა მიხარიან!

**სახელ** (ჩახედავს საფლავში). ოჰ, რა საშინელი და ბნელი  
აკლდამა! (ტორგვემადა აშოგა საფლავიდან წენარად.  
დაცემდება ხან სახელს, ხან როზას).



**რთაზა:** ცოცხალია, ცოცხალი! ეს ბერია, მოხუცი! ას რა  
ბეღნიერებაა, რომ აქ ვიყავით და ამისი ხმა გავი-  
გონეთ.

**ტორპედადა.** ოქვენ მე ახლა სიკვდილიდან დამისენით; გე-  
ფიცებით, ჩემო შვილებო, რომ მე მაგიერს გადა-  
გიხდით!

კოტე უიფიანი.

(შემდეგი იქნება)

# შინაგანის თაყვანის-ცემა

## პატიჲსელები

პროფ. მ. მ. კოვალევსკისა

(თარგმანი)

სხვა და სხვა სარწმუნოებრივ ჩვეულებათა შორის, რომ-  
ლებიც დღემდის დარჩენილა კავკასიაში, ყველაზედ უფრო  
გავრცელებულია წინაპრების თაყვანის-ცემა. ეს კულტი არსე-  
ბობს როგორც არიელ-ოსებში, ისე ქართველ-ფშაველებში,  
ხევსურებში და თუშებში, როგორც ქრისტეს მიმდევარ ხალ-  
ხებში, ისე მაჭადიანებში. წინაპრების თაყვანის-ცემის კულტს  
იმდენად ღრმად აქვს ფეხი გადგმული, რომ ქრისტიანობამ  
არამც თუ ვერ განდევნა იგი, არამედ თვითონ მიიღო ზოგი-  
ერთი ფორმა ამ კულტისა. მაგალითად, ფშაველების და ხევ-  
სურების მთელი ქრისტეანობა არის მხოლოდ მფარველ-ანგე-  
ლოსების თაყვანის-ცემა, განსაკუთრებით გაბრიელ და მიქელ  
მთავარ-ანგელოსებისა. ისინი წარმოიდგენენ ანგელოსებს ოჯა-  
ხის მფარველ-სულებად; ყოველს ოჯახს თავისი ანგელოსი  
თუ წმინდა სული (ხატი) ჰყავს, რომელიც არის მფარველი  
მხოლოდ ამ ოჯახის, მონაწილე მისი სიხარულის და მწუხარე-  
ბისა, მონაწილეობას იღებს ამ ოჯახის სხვა ოჯახთან ბრძო-  
ლაში.

ხშირად გაგვიგონია ჩვენ ფშაველებში: „ჩვენმა გვარმა  
გაიძარჯვა ბრძოლაში, თუმცა მათი მფარველი-ანგელოსი (ხატი)



ჩვენსაზე უფრო ძლიერია და „შემძლებელიო“. ანგელოსების თავისუალის-ცემა იმდენად განვითარებულია ფშაველებში, რომ არამ ცოტუ-ქრისტეანულ სარწმუნოებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ ქრისტეს ცხოვრება და სხვა ქრისტეანული კეშმარიტე-ბანი უცხოა მათთვის; ისინი დიდებულად უქმობენ გაბრიელ და მიქელ ანგელოსების დღესასწაულებს, აგრეთვე საოჯახო და ადგილობრივ მფარველ სულების დღეებს და სრულიად ყურადღებას არ აქცევენ შობას და აღდგომას.

მაჰმადის სარწმუნოება ყოველთვის უფრო სასტიკად ეპყრობა ძველ, წინანდელ სარწმუნოების ჩვეულებებს. მაჰმადი სრულიად აღუკრძალა არაბებს ძველი მკვდრებისათვის მსხვერპლის შეწირვის ჩვეულება. ამიტომაცა, აღბად, რომ კავკა-სიის იმ ნაწილებში, სადაც მაჰმადიანობა უფრო დამკვიდრებულია, როგორც მაგალითად, დაღესტანსა და აღმოსავლეთ პროვინციებში (კასპიის ზღვის ნაპირის) წინაპარების თაყვანის-ცემა სრულიად გადავარდნილა და ერთად-ერთი ნაშთი, დარჩე-ნილი ამ ძველის ჩვეულებისაგან, არის მცხოვრებლების პატივის-ცემა მართლმორწმუნეთა საფლავებისადმი. მაგრამ სულ სხვაა დასავლეთ ადგილებში, სადაც მაჰმადიანობამ ასის წლით შემ-დეგ განდევნა ქრისტეს სარწმუნოება და დაიკავა მისი ადგილი, მაგრამ სადაც მაჰმადიანობა დღესაც მხოლოდ გარეგნულად არის აღსარებული. აქ მტკიცედ არის დაცული წინაპრების თაყვანის-ცემა როგორც მაჰმადიანებში, ისე ქრისტეანებში; ორივენი ერთნაირის სისწორით და წესიერად ასრულებენ ამ კულტის ლოცვებს.

ზემო ნათქვამიდან სჩანს, რომ წინაპრების თაყვანის-ცემის კულტი საზოგადო თვისებაა კავკასელ ტომებისა, რომ მისი წარმოშობა ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც არამც თუ მაჰმა-დიანობა, ქრისტეანობაც არ იყო გავრცელებული, ყოველ შემთხვევაში მესამე საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ, ესე იგი იმ დროს, როდესაც ქართველები და ის ტომები, რომ-ლებიც სცხოვრობდნენ საქართველოში, ისიც იყო იწყებდნენ ქრისტეს სარწმუნოების მიღებას.

ქვემო მოყვანილი დაწვრილებითი ცნობები შევკრიბები პირადად ჩემის სამის მოგზაურობის დროს კავკასიის მთებში; მე ვმოგზაურობდი ფილოლოგ V. Möller-თან და ადგილობრივ მცხოვრებ ოსებთან და ქართველებთან ერთად, რომლების წინად ჩემი შაგირდები იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტში, და აგრეთვე ქართველ და ოსის მღვდლებთან ერთად, რომლებიც დახმარება განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩემთვის, რადგან მათ კარგად იციან თავიანთი მხარე და თავისუფლად ლაპარაკობენ რუსულ ენაზე.

ვბინავდებოდი ჩემის წინანდელ შაგირდების ან მასწავლებლების და მღვდლების სახლებში და თავისუფლად ვკვლევდი ადგილობრივ ზე-ჩვეულებათ. ხშირად ვესწრებოდი მამასახლისების კრებებს და ადგილობრივ მკვიდრთა შემწეობით ვკრებდი ცნობებს; საყურადღებო ცნობებს მაძლევდა სხვა და სხვა ოქმები და განაჩენები, რომლებიც ზოგიერთ ალაგას რუსულად იყო შედგენილი, ზოგან კი ქ. რთულად ან არაბულად. მე საკუთარის ხარჯით ვათარგმნინებდი ამ ქალალდებს მოხელეებს, მასწავლებლებს, უფრო ხშირად კი საოლქო სამმარტველოების მდივნებს. დაუფასებელი სამსახური გამიწია თავად ურუზმიერის დახმარებამ, იმ ურუზმიერისა, რომელიც ამ 24 წლის წინად თან ახლდა ცნობილს მეცნიერს ლიბისს მისს იალბუზის გარშემო მოგზაურობის დროს. თავადი ურუზმიერი ჩემთანაც მოგზაურობდა კავკასიის ქედზე, გამაცნო შიგნითა ნაწილი იალბუზისა, აგრე წოდებული ბალქარია ან სათათრო ნაწილი, გამაცნო აგრეთვე სვანეთი და იქური თავადები დადიშქელიანები, რომლებმაც თავის მხრივ ბევრი ცნობა და განმარტება შემძინეს.

ჩემის მესამე და უკანასკნელის მოგზაურობის დროს, რომლის საგანი იყო ფშავეთის და ხევსურეთის მოვლა, მე ტად საიმედო ხელმძღვანელობა გამიწიაბ. შატისოემა, ს. სამართლოს თავმჯდომარემ, რომელმაც კარგათ იცოდა ქართული ენა.

ყოველისავე ამას გაღმოცემა საჭიროდ დავინახე, რომ ჩემმა ცნობებმა მეტი ნდობა დაიმსახურონ, ვიღრე ეს მიღე



ბულია მგზავრების შენიშვნების შესახებ. მე სწორედ მყავალობდა ბედი, რომ ყოველთვის მყავდა თან ისეთი სანდო კაცი, რომელმაც იცოდა აღგილობრივი ენა, ზე-ჩვეულებანი და შეეძლო ჩემ მიერ შეკრებილის ცნობების შემოწმება.

ახლა გადავიდეთ პირდაპირ წერილის საგანზე, მაგრამ ჯერ მოკლედ გაგაცნობთ მკითხველს იმ ტომების სოციალურ წეს-წყობილებას, რომლებში დღემდის დარჩენილა წინაპრების თა- ყვანისცემა. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ წინაპრების თაყვანისცემის კულტი არის უმთავრესად საოჯახო კულტი, ამიტომ თუ არ გავიცნობთ ამ ტომების საოჯახო წეს-წყობილებას, საოჯახო კერის ორგანიზაციის საფუძველებს, ვერ ვიქონიებთ ჰეშმარიტს წარმოდგენას ხსენებულ კულტის შესახებაც.

ყველაზედ უწინარეს უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიელ მთიულების საზოგადობრივი წეს-წყობილება არის საოჯახო— სათემო ტიპისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთის საზოგადო წინაპრისაგან წარმოშობა, ერთობა მიწა-წყლისა და მის შემოსავლისა.

ეს თემები შესდგებიან 30 ან 40 კაცისაგან, სცხოვრობენ ერთად ერთს ეზოში, ერთად უძლვებიან მეურნეობას, ერთად განაგებენ თავიანთ საქმეებს და საერთო ბელლებში ინახავენ საზრდოს.

იშვიათად შეხვდება ადამიანი ამ თემების სახლებზე უფრო თავისებურს შენობას. ეს სახლები აშკარად გიჩვეენებს, თუ როგორ შეუძლიანთ ერთად მოწყობა და ცხოვრება ათს თუ მეტს ცოლ-ქმარს. როგორც ყველაზედ უფრო ტიპიურს მე ავიღებ ოსურს სახლს.

ოსური სახლი შესდგება რამდენისამე შენობისაგან. შეუადგილი უკავია აგრე წოდებულს კხალცარს. კხალცარი წარმოადგენს დიდის ზალის მსგავსს სამზარეულოს. ოთახის შეუში მოთავსებულია კერა და ზევით სახურავში დატოვებულია კვამლის გასასვლელი ადგილი. სახურავის კოჭზე ჩამოკიდებული რკინის ჯაჭვი (ნაჭა) — „რაკხისი“, რომელიც ჩამოდის კე-

რამდის. ამ ჯაჭვზე ჰკიდებენ დიდს ქვაბს, რომელშიაც ყოველ დღე საღილს ამზადებენ მთელის ოჯახისათვის. კერის მარჯვნივ სდგას დიდი ხის სკამი, რომელზედაც საღილობის დროს შეუძლიანთ დაჯდენ მხოლოდ მამაკაცებს. მარცხნივ სდგას საქალებო სკამი.

კხადცარის, როგორც ვსთქვით, ცენტრალური ადგილი უკავია და ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ოსის სახლში. კხადცარის ორსავე მხარეზე მოთავსებულია თვითონეულის ცოლ-ქმრისათვის ცალკე დასაძინებელი სადგომი; ამ სადგომებს „ვატებს“ ეძახიან. მდიდარ სახლებში გარდა ამისა არის სტუმრებისათვის (კუნაკებისათვის) განსაკუთრებული სადგომი — „საკუნაკო“, რომელიც პირდაპირ შეერთებული არ არის ოჯახის სადგომთან. ამგვარად ყველა ცოლიან კაცს აქვს თავისი დასაძინებელი ოთახი; უცოლონი იძინებენ ერთად ან კხადცარში ან საკუნაკოში, ანა და კიდევ ზაფხულში სრულიად გარედ. ბევრს ოსურს სახლს გაკეთებული აქვს კხადცარის ზევით მრგვალი ან ოთხ-კუთხიანი კოშკი. ასეთს კოშკებს წინად ხშირად შეხვდებოდა ადამიანი. მაგრამ რუსეთის მთავრობამ უბრძანა ოსებს მათი დანგრევა: ამით უნდოდათ საგვართა შორისო ბრძოლების მოსპობა, რომლებიც ამ 30 წლის წინად ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთიელებში. ასეთი კოშკი ბევრია სვანეთში; სვანეთის სოფელი პირველ შეხედვაზე ცოტათი საშუალო საუკუნოების ბოლონიას მოაგონებს კაცს, ან დღევანდელს სიენას და ფლორენციას.

ამ აწერის შემდეგ მივმართოთ პირდაპირ ჩვენს საგანს.

ყველგან, საღაც არსებობს წინაპრების თაყვანის-ცემის კულტი, იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ერთის მხრით საოჯახო კერის კულტთან, მეორეს მხრით ხალხის წარმოდგენასთან საიქიო ცხოვრების შესახებ. კავკასიაში დღემდის დარჩენილი რელიგიური ცერემონიები და რწმენანი სრულიად ეთანხმებიან იმ დასკვნათ, რომელთაც დაადგნენ ფუსტელ დე-კულანუი და სხვები ძლიერდოს სამღრთო წიგნების და უძველეს საისტორიო მწერლების და ფილოსოფოსების შესწავლის დროს.



უპირველესად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გულტებას, რომ მთიელებისათვის კერა და ოჯახი ერთი და იგივეა. უმძიმესი შეურაცხყოფა ოსისათვის იქნება ის, რომ უსურვოთ: „სამუდამოდ ჩაჰქრეს შენს კერაში ცეცხლითქვა“. ეს მისთვის იგივეა, რომ მთელის ოჯახის დაღუპვა უსურვოთ. მაგრამ მარტო კერა არ არის განსაკუთრებული საგანი კულტისა; ასეთივე ნივთია ქვაბი, ნაჭა და სხ., ყველაფერი, რაც კი დაკავშირებულია კერასთან და საჭიროა საჭმელის მოსამზადებლად. არც ერთი ოჯახი, რაც უნდა გაჭირვებული იყოს, არ გაჰყიდის არც ერთს ამ ნივთთაგანს, რაღაც ყოველი მათაგანი იმგვარადვე წმინდა მისთვის, როგორც წინაპრის საფლავი. ამ ნივთებს ადგილობრივ მკვიდრთათვის extra commercium-ის \*) მნიშვნელობა აქვს. ოსის ოჯახი უფრო ადგილად გაჰყიდის მიწას, ვიდრე თავისს წმინდა ნივთებს; მისის შეხედულობით ნაჭის მოპარვა ყველაფერზე უმძიმესი დანაშაულობაა. თვით კაცის მოკვლაც უფრო იოლი დანაშაულობა, რაღაც ამ დანაშაულობის გამოყიდვა შეიძლება ფულით ან საქონლით, „რაკნისის“ ქურდი-კი მხოლოდ სისხლით გამოიყიდის თავს. ყოველი მნიშვნელობიანი და დიდებული მოვლენა ოსის ცხოვრებაში ხდება კერის ახლო, ამიტომა აქვს მოპოვებული დიდი პატივისცემა ნაჭას.

თვით სიკვდილით დასასჯელისათვისაც საიმედო თავშესაფარია კხად ირი ანუ შეა ნაწილი ოსის სახლისა. როგორც კი შევა იგი შიგ, მაშინვე ხელს წავლებს ნაჭას. ამით დამნაშავე აცხადებს თავის თავს საოჯახო კერის მფარველობის ქვეშ; რაკი ეს მოასწრო, იგი თავისუფალია სასჯელისაგან, თუმცა ამ ოჯახის რომელისამე წევრის მკვლელიც იყოს. ოსურ ლეგენდებში, რომლებიც შეჰქრიბეს ბოლო დროს ჩემმა შაგირდებმა და გამოსცა ჩემის წინადადებით მოსკოვის საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, არა ერთი და ორი ამბავი შეგხვდებათ

\*) ე. ი. ეს ნივთები ვაჭრობის (კოშერციის) გარეშეა, მათი არც გაყიდვა შეიძლება, არც ყიდვა. მთარ.

იმის შესახებ, თუ როგორ იცავს მოკლულის დედა მკვლელს მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელმა თავშესაფარი მოიპოვა მისს კხადცარში და ხელი შეავლო კერაზედ ზევით ჩამოკიდებულს ნაჭას.

ყველაზე უწმინდესი ფიცი ოსისა, ფშაველისა, იალბუზელ თათრისა ან ინგუშისათვის კავკავის ახლო-მახლო არის კერასთან თქმული ფიცი, როდესაც ფიცის მთქმელს ხელებში უჭერია ნაჭა და ამბობს: „ვფიცავ ნაჭას კერასთან“, ან „ვფიცავ ნაჭის უწმინდესს ოქროს“, ან აგრეთვე „ვფიცავ საფას“— ოსების ღმერთს, რომლის მუდმივი ატრიბუტია ნაჭა. ასეთს ფიცს ისეთივე ძალა აქვს ოსისა ან მთიულ-ქართველისათვის, როგორც წინაპრების საფლავის ფიცს, ან იმ ფიცს, როდესაც იგი ახსენებს რომლისამე წინაპრის სახელს და აცხადებს: თუ ეს ფიცი ტყუილი იყოს, ეს და ეს ჩემი წინაპარი საიქიოს თავის მტრების გვარს ემსახუროსო.

კერის და ნაჭის კულტს საპატიო ადგილი უკავია ოსის საქორწილო დღესასწაულში. ახლად ჯვარ-დაწერილი ქალი, როდესაც პირველად შედის თავის ქმრის სახლში, ვალდებულია ქმართან ერთად ირგვლივ შემოუაროს კერის. ქალის ძმადი უკან მიჰყება და ხანჯლით შეეხება ნაჭას. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახის ახალმა წევრმა უნდა მოიპოვოს ოჯახის კერის მფარველობა და ამ კერამ უნდა დაიცვას იგი.

კერასთან დაკავშირებულია გარდაცვალებულთა კულტი. კერასთან იმართება ალაპები მკვდრებისთვის. ეს ცერემონიები გრძელდება მთელის წლის განმავლობაში გარდაცვალებულის წევრის დასაფლავების შემდეგ. გარდა ამისა წელიწადში რამდენიმე დღე ყოველთვის დანიშნულია ყველა მკვდრის მოსახსენებლად.

ამ ცერემონიებს შორის ზოგიერთები მხოლოდ ოჯახის წევრების თანადასწრებით ხდება, ზოგიერთებს კი გარეშე პირებიც ესწრებიან, რომელთაც პატივი უნდათ სცენ განსვენებულს. დასაფლავება და წლის თავის ალაპი ამ უკანასკნელ



ცერემონიებს ეკუთვნის. ამგვარს დღესასწაულს ესწრება ყველა ახლო-მახლო ადგილების მცხოვრები. დღესასწაულისათვის ჰკლავენ მთელს ფარას ცხვრისას, აგრეთვე ხარებს და ძრო-ხებს და ასეთი დღესასწაული ხშირად ჯდება რამდენიმე ათი-ათასი (?) მანეთი, რაც სრულიად აღატაკებს ოჯახს.

რაც შეეხება იმ აღაპებს, რომლებსაც იხდის მარტო ოჯა-ხი გარდაცვალებულისა, ისინი გაცილებით იაფად ჯდება, ამათ ხშირადაც ჰმართავენ. ყოველ პარასკევს გარდაცვალებულის ქვრივი ცოლი უმზადებს მას განსაკუთრებულს საჭმელს. ამ საჭმელის ნაწილს ცეცხლს შესწირავენ და კერაში აგდებენ.

დიდს მარხვაში ყოველი ოსის ოჯახი იხსენებს გარდა-ცვალებულთ. წლის განმავლობაში გარდაცვალებულის ტანი-სამოსს აცვამენ განგებ გაკეთებულს მანეკენს, აჯენენ მას სა-პატიო ადგილზე; როდესაც სხვები სვამენ, მას აძლევენ საჭ-მელს და სასმელს პატარა მრგვალ სტოლზე, რომელსაც „ფინგს“ ეძახიან. ამ წვრილმანებს იმიტომ ავლნიშნავ, რომ ასეთს სტო-ლებს ჰპოულობენ ძველის საფლავების გათხრის დროს ოსე-თში

შვიდჯერ ჰმართავენ კიდევ წელიწადში საღილებს რო-გორც ამ წლის განმავლობაში, ისე წინად გარდაცვალებულ ნათესავების მოსახსენებლად. საკურთხებსა და აღაპებში მონა-წილეობას ღებულობს ყველა ნათესავი აუცილებლივ. ამგვარ საღილებზე სჭამენ ჩვეულებრივზე გაცილებით მეტს იმ იმე-დით, რომ თუ ჩვენ კარგად ვჭამთ, კარგად სჭამენ და სვამენ გარდაცვალებული ნათესავებიც.

რომ ჭეშმარიტი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ საიდან წარმოსდგა ასეთი ჩვეულებანი, უნდა ვიცოდეთ ხალხის წარმოდგენა საიქიო ცხოვრების შესახებ. ეს წარმო-დგენა საზოგადოთ ერთნაირი აქვს ყველა კავკასიის ხალხს. კავკასელები უარჲყოფენ ადამიანის არსების სრულს მოსპობას და ჰფიქრობენ, რომ საიქიო ცხოვრება არის მხოლოდ გაგრძე-ლება იმისა, რაც ხდება სააქაო ცხოვრებაში. ამიტომ გარდა-ცვალებულის სულს იმგვარადვე ესაჭიროება საჭმელი, სითბო,

სინათლე, როგორც ცოცხალს ადამიანებს. ეს გარემოება ავალებს გარდაცვალებულის ნათესავებს, იზრუნონ, რომ მკვდარს არ შემოაკლდეს საჭმელი და სასმელი, არ შესტივდეს ან არ დარჩეს ბნელაში. ამით აიხსნება ის ჩვეულება, რომ გარდაცვალებულის ქვრივი ყოველ პარასკევს უმზადებს მას ცალკე საჭმელს; მთელის ღამის განმავლობაში არ აქრობს სანთელს, რადგან ჰფიქრობს, რომ ქმარი მოვა მასთან დასაწოლად. ამავე შეხედულობით აიხსნება ის ჩვეულებაც, რომ გარდაცვალებულის საფლავზე ხაჭაპურები მიაქვთ და იქ სტოვებენ არაყს ბოთლში.

თუ ყველაფერი ეს შესრულებული არ იქმნა, გარდაცვალებული დარჩება უსაჭმელოდ და დაიტანჯება სიცივისა და სიბნელისაგან. რადგან საჭმელს და სხვა საჭირო ნივთებს გარდაცვალებულს უმზადებენ მისი პირდაპირი მემკვიდრეები, ამიტომ მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია უცოლოდ და უშვილოდ გარდაცვლილი, რომელსაც არ რჩება პირდაპირი მემკვიდრეები და ამის გამო საუკუნო ტანჯვაში ვარდება.

კავკასელ ხალხებს სწამთ მომავალი ცხოვრება, რომელიც მათთვის იმ გვარივეა, როგორც დღევანდელი ცხოვრება. ეს რწმენა აშკარად გამოიხატება დასაფლავების ცერემონიებში. ფშაველებს დღემდის ერთი საყურადღებო ჩვეულება აქვთ: ტირილის დროს ნათესავები ამბობენ, ვითომც განსვენებული საკუთარის ნებით გაემგზავრა საიქიოს. რომ საიქიოს მისი ყოფა ბეღნიერი იყოს, მას თან უნდა ჰქონდეს ყველაფერი, რაც ბეღნიერებას შეადგენს აქ დედამიწაზედაც. მხოლოდ სრულიად საჭირო არ არის, რომ ცოლმა ქმრის გულისათვის თავი მოიკლას. საქმარისია, თუ იგი თმას მოიკრის და ფეხებში დაუდებს გარდაცვალებულს ქმარს. სრულიად საჭირო არ არის განსვენებულის ცხენის მოკვლაც. ცხენს წაიყვანებენ კუბოს წინ და ხმამალლა წარმოსთქვამენ ლოცვას, რომ ამ ცხენმა ბეღნიერად მიიყვანოს გარდაცვალებული პატრონი საუკუნო განსვენების ადგილზე.

ამას წინად ფშავეთში და ოსეთში გათხრილი საფლავები ცხადად ამტკიცებენ, რომ დღევანდელის მსგავსი ჩვეულებანი არსებობდნენ ძველს დროშიც. ოსურს საფლავებში იპოვეს იარაღები, სამკაულები და პირუტყვების ძვლები, რომლებიც მსხვერპლად იყვნენ შეწირულნი და აღამიანებთან ერთად და-მარხულნი.

რამდენად ცოცხლები გულმოდგინედ ზრუნავენ გარდა-ცვლილ წინაპრებისათვის, იმდენად ეს უკანასკნელნი არიან თავიანთ ნათესავების მფარველები და დამცველი სულები. ისინი მონაწილეობას ღებულობენ, ხალხის შეხედულობით, ცოცხლების სიხარულსა და მწუხარებაში და ეხმარებიან მათ მტრებთან ბრძოლაში. ოსურს ლეგენდებში ხშირად შეხვდება აღამიანი ამბავს იმის შესახებ, რომ ამა და ამ წელს კარგი მოსავალი ამა და ამ გარდაცვალებულის შემწეობით იყოო, ან ამა და ამ ბრძოლაში ოსებმა ამა და ამ სულების შემწეობით გაიმარჯვეს.

მაგრამ წინაპარი შეიძლება უსაშინელესი მტერიც იქმნეს თავის გვარის და ბევრი უბედურება მიაყენოს თავის ნათესა-ვებს: ავადმყოფობა, საქონლის ჭირი და სხ. ამისათვის სრუ-ლიად საკმარისია დაარსებულის კულტის რომელისამე წესის არ შესრულება, მსხვერპლის არ-შეწირვა და სხვ. იმდენად ეშინიათ ფშავლებს და ხევსურებს; არაფერი დავაკლოთ წინა-პრებსო, რომ შემდევის ლოცვით მიმართავენ ხშირად მათ: „ძვირფასნო გარდაცვალებულნო, გვაპატიეთ, თუ რამ დაგვა-ვიწყდა უნებლიეთ; ნუ გვავნებთ, თუ რომელსამე თქვენგანს შესაფერი მსხვერპლი ვერ მოგართვითო!“

ასეთია საზოგადოთ დღეს წინაპრების კულტი კავკასიის ხალხებში.

ახლა უნდა გამოვიკვლიოთ მისი დასაბამი. ის ხალხი, რომლის სარწმუნოებრივი ჩვეულებანი ავწერე მე ზემოთ, არის ძველი ხალხი. ჰეროდოტე, სტრაბონი და ძველის დროის ისტორიკოსები გადმოგვცემენ მის შესახებ ცნობებს. დღევან-დელი სვანები არიან სტრაბონის სვანები, ფშაველები—იმავე

მწერლის ფშოველები, ოსები—ძველი „ასი“ და რუსების შემატიანეთა „ოსი“. უეჭველია, რომ წინაპრების კულტის დასაბამი უნდა ვეძიოთ უძველეს დროში. ამ მოსაზრებას ეთანხმება ოსურის ენის შესახებ უკანასკნელი ფილოლოგიური გამოკვლევანი. სანსკრიტულის ენის ცნობილი მცოდნე ეს. მიოლერი, რომელმაც განაცრით შეგრენის გამოკვლევანი, იმ დასკვნას დაადგა, რომ ოსები შეადგენენ ცალკე შტოს იმ ტომისას, რომელსაც ეკუთვნოდნენ კიროსის დროის სპარსები და სხვა ხალხები ძველის ირანისა, და აგრეთვე, რომ ოსური ენა არიულ ჩამომავლობისაა და უახლოვდება ზენდ-ავესტის ენას. ეს დასკვნა მით უფრო საინტერესოა, რომ ერთმა მწერალმა, რომელმაც შეისწავლა ბერძნული წარწერები ხერსონესა და შავის ზღვის პირის სხვა ახალშენებში. დაამტკიცა, რომ ირანის ტომები და განსაკუთრებით ოსები გავრცელებულნი იყვნენ მთელს სამხრეთ რუსეთში და მათ დიდი კვალი დასტოვეს წარწერებში, რომლების წაკითხვა და გაგება შეიძლება მნილოდ ოსურის და სხვა ირანულის ენების შემწეობით. ამ წარწერებში ყველაზედ უფრო ხშირად შეგვხდებათ ოსური სახელები და ამ სახელებს თან ახლავს ასეთი ქების ეპიტეტები, როგორც დიდებული, მაღალი, ბრწყინვალე და სხ.

ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ ხალხურის გადმოცემის და არაბთა მემატიიანების თანახმად კავკასელ ხალხთა შორის ისლამის გავრცელებამდის კერპთთაყვანის მცემლობა იყო დამკვიდრებული და ეს კერპთთაყვანის მცემლობა იყო ესიდების კერპთთაყვანის მცემლობის მსგავსი. ესიდების რელიგიას-კი, როგორც ეს დაამტკიცა ნათლად ბ. ეგიაზაროვმა, ჩემ შაგირდად ყოფილმა, ყაზანის პროფესორმა, რომელიც ჩამომავლობით ქურთია და ზედმიწევნით იცის ესიდების ენა-ქურთულის ენის დიალექტი, ესიდების რელიგიას ღრმად ამჩნევია კვალი ორმუზდის კულტისა, ესე იგი ზენდ-ავესტის კულტისა.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ ზენდ-ავესტაში უნდა ვეძიოთ დასაბამი ოჯახის კულტისა, რომელიც დღემდის დარჩენილა კავკასელ ხალხებში და განსაკუთრებით ოსებში. რამდე-



ნად მაღლა აყენებს ამ კულტს ავესტა, ეს ცველამ ზენდ-ავესტის „ფრაგასხისი“ ოსების „სულების“ მსგავსია, რომ წინაპრებისათვის შეწირულს მსხვერპლს ირანის სამღრთო წიგნში იმგვარივე სარწნუნოებრივი ხასიათი აქვს, როგორიც დღეს აქვს ოსებში, რომ მკვდრების და ცოცხლების ურთიერთობა ზენდ-ავესტის შეხედულობით იმგვარივეა, როგორიც დღეს არსებობს ოსეთში.

მაგრამ თუ ზენდ-ავესტაა წყარო ოსების დღევანდელ ჩვეულებათა, საიდან გაჩნდა იგივე ჩვეულებანი ფშავლებსა და ხევსურებში?

ეს უკანასკნელნი ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ და მათ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ესენი ეროვნობით განსხვავდებიან ოსებისაგან, ტანისამოსზე ხშირად იკიდებენ ჯვრებს, სრულიად შეიარაღებულნი დადიან, ატარებენ საგულეებს და სწორს მახვილებს, ლათინურის წარწერებით შემკულს, — ყველაფერი უფრო ეს ევროპიულის კულტურის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე აზიურისას. საკვირველიც არ არის ამიტომ, რომ ზოგიერთა მეცნიერები, როგორც, მაგალითად, ლიონელი შანტრი, ხევსურებს ძველ ჯვაროსნების ჩამომავლებად სთვლიან, იმ ჯვაროსნებისა, რომლებიც საქართველოზე მოგზაურობის დროს დაიფანტნენ კავკასიის მთებში.

თუ შევუდარებთ ამ ჯერ ცოტად ცნობილის ხალხის სარწმუნოებრივს წესებს და ჩვეულებათ ამგვარ ჩვეულებებს ზენდ-ავესტაში, ადვილად დავადგებით იმ აზრს, რომ ამ ხალხის ცივილიზაციის ნამდვილი წყარო ირანული კულტურაა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ფშავ-ხევსურების ხალხურ გაღმოცემებში კიდევ დარჩენილა ქრისტიანობაზედ უძველესის კულტის ხსოვნა, სახელდობრ ორმუზდის კულტისა, რომელსაც ადგილობრივ არმაზს უწოდობენ. ამ გაღმოცემებში დღემდის დაცულია ბრძოლა ბოროტ სულებთან, რომლებსაც იგივე სახელი ჰქვია, როგორც ზენდ-ავესტაში — „დევები“. ფშავ-ხევსურეთში მღვდელს „დასტურს“ ეძახიან; ეს სახლწოდება ზენდ-

# წინაპრების, თავგანას-ცემა კავშირებში

ავესტურშია, სადაც ამ სახელით უწოდებენ სამღვდელოების დაბალ ხარისხის წევრებს. ამ ხალხის შეხედულება სხეულის სიწმინდისა და იმის შესახებ, თუ როგორ ჰყარგავს აღამიანი ამ სიწმინდეს, მკვდარს თუ შეეხო ან ქალთან დაწვა ზოგიერთა შემთხვევებში, განსაკუთრებით, როდესაც ქალი ფეხ-მძიმეთ არის, სრულიად ემსგავსება ზენდ-ავესტის შეხედულობას. ამგარადვე ემსგავსება ზენდ-ავესტის წესებს ხევსურების წესები დაბალ წოდების მკვდრების დასაფლავების შესახებ.

მკვდრების მაღლობზე დამარხვა (ეს ჩვეულება წინად იმიტომ არსებობდა, რომ მკვდარს გარეულ ფრინველებს აძლევ-დნენ შესაჭმელად) სრულიად ეთანხმება ზენდ-ავესტის ბრძანებას და იმ ჩვეულებას, რომელსაც შეხვდენ მეჩვიდმეტე საუკუნის მოგზაურნი ხირონი და ხარდინი ინდოეთ სპარსელებში, რომლებიც ფაქტიურად ორმუზდის სარწმუნოების მიმდევარნი არიან. ჩემის მოგზაურობის დროს მე ბევრი საფლავი დავათვალიერე და საკუთარის თვალებით დავრწმუნდი, რომ ეს საფლავები სრულიად ემსგავსება ხარდინის მიერ აწერილ სპარსელების „დაკმეებს“. აკალდამა-საფლავი ოთხ-კუთხიანია, აშენებულია ქვისაგან; შიგნით სდებენ მკვდარს, გარედან ხვრელები აქვს დატოვებული ფრინველების შესასვლელად. აკალდამაში შიგნით დალაგებულია სკამები, რომლებზედაც ან აწვენენ ან აჯენენ მკვდრებს; როდესაც მკვდრებისაგან მხოლოდ ძვლები დარჩება, ძვლებს შეჰკრებენ და ჰყრიან საერთო საფლავში; განთავისუფლებულ აკალდამაში-კი ასვენებენ ახალს მკვდრებს. ასეთი ჩვეულება აქვთ ხევსურებს; ასეთი ჩვეულება ჰქონდათ, მეჩვიდმეტე საუკუნის მწერლების აწერით, სპარსელებსაც.

რაც შეეხება ფშაველების და ხევსურების წარმოდგენას სამოთხის და ჯოჯოხეთის შესახებ, იგი სრულიად ეთანხმება ზენდ-ავესტის წარმოდგენას. პატარა ბეწვის ხიდით—ხინვათით (ამ სახელწოდებას ხმარობს ზენდ-ავესტაც) არის გაყოფილი სამოთხე და ჯოჯოხეთი. მხოლოდ ღირსეულთ შეუძლიანთ გავიდნენ ამ ხიდზე და მიაღწიონ ნეტარების სადგომს. ვინც

მიწიერ ცხოვრების დროს მძიმე ცოდვები ჩაიღინა, იგი შუდაშ ჯოჯოხეთში იქნება.

მთელი ეს ანალოგია, რომელიც ზემოთ აღვწერე და რომელიც უფრო ვრცლად განვმარტე ამას წინად ინგლისურ ჟურნალში English archaeological Review-ში, მარწმუნებს, რომ ფშაველების და ხევსურების კულტურას დღესაც ამჩნევია ზენდ-ავესტის კვალი. აქედან ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ზენდ-ავესტაში და განსაკუთრებით „ფრავასხისში“ აღვიაროთ დასაბამი წინაპრების თაყვანის-ცემის კულტისა, რომელის მაგალითებს დღესაც ვხედავთ ფშავ-ხევსურებში და აგრეთვე ოსებში.

ყველა ზემონათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყენოთ, რომ აუცილებლივ საჭიროა კავკასიის ხალხის ეთნოგრაფიულად შესწავლა, რომელიც ბევრის ახალის ცოდნით შეავსებს ჩვენს სამეცნიერო სალაროს. ამით გაგვინათლდება ჩვენ ახლი მხარე ორმუზდის თაყვანის მცემლებისა და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან დღეს ზენდ ავესტის ნაწყვეტნაწყვეტობისა გამო ჩვენ ვიცით და ისიც არა სავსებით მხოლოდ ერთი მხარე ამ მეტად საინტერესო და საყურადღებო კულტურისა. კავკასიის ხალხის კულტურის თანამედროვე განვითარების შესწავლა და აგრეთვე ძევლის კულტურის ნაშთებისა შეავსებს დანაკლისს იმ ცოდნისას, რომელიც გვაქვს დღეს ძევლი სპარსელების და სხვა ირანულ ტომების კულტურის შესახებ. \*).

— 5.

\* ) ჩვენი ზენ-ჩვეულებანი, ხალხური ლოცვები, გადმოცემანი, ლეგენდები, არაკები და ცხა-და-სხვა მეტად მდიდარს და ჯერ კიდევ ხელუხლებელს სოციოლოგიურს მასალას წარმოადგენს. შესწავლას ვინ სჩივა, საუბრედუროდ, ჯერ თითქმის არაფერი შეგვიკრების სხვა-და-სხვა მხარეში გაბნეულ მასალისა...

საყურადღებოა ცნობილი მეცნიერის მოსაზრებანი ზოგიერთა ჩვენის ჩვეულებათა (ეს ჩვეულებანი მარტო მთიელებში არ დარჩენილა) შესახებ, თუმცა მას შეიძლება დაკვირვების და შესწავლის დროს რამე ფაქტიური შეცდომა მოვულია; ამიტომ კარგი იქნებოდა აეტორის მიერ მოყვანილის ფაქტების შემოწმება, რასაც უეჭველია არ დაიზარებენ ჩვენი გარათლებული მთიელები.

# უცხოეთის მიმღება

1. აგრარული კითხვა იტალიაში.—2. მფარველობითი სისტემა (პროტექციონისმი) ინგლისში.—3. სპარსეთი და რუსეთი.—4. საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნები.—5. კათოლიკური პარტია (ცენტრი) გერმანიაში და პოლონელები; პოლონელი წარმომადგენლები პრუსიის ზემო პალატაში.

„Latifundia perdidere Italiam (დიდ მამულებმა დაღუპეს იტალია)“ სოქვა ჯერ კიდევ უფროსმა პლინიუსმა. ორიათასმა წელმა განვლო მას შემდეგ და იტალია, პრუსიის არ იყოს, განსაკუთრებით ჩრდილოეთი იტალია და სიცილია, მსხვილ მემამულეების ქვეყანაა და ამიტომ აგრარული კითხვა ისევე მწვავე და მეტად სერიოზული კითხვაა, როგორც ეს გრაკების დროს იყო მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე.

იტალიაში დიდძალი სოფლის პროლეტარიატია. სოფლელ მუშის მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია და აგრარული კითხვა იტალიაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქალაქელ მუშების კითხვა.

თუ რამდენად აუტანელია უმიწაწყლო სოფლელ მუშის მდგომარეობა იქიდან სჩანს, რომ სამღვდელოების ზოგი წარმომდგენელიც მუშების მხარეს იჭერს და დიდ მემამულეების, იტალიის არისტოკრატიის, წინააღმდევ მოქმედობს.

კრემონის ეპისკოპოსმა მონსინიორ ბონომელიმ (ცნობილია, როგორც მწერალი) შემდეგის შინაარსის მიმართვა გაუგზავნა იტალიის მემამულეებს: „მიწის მფლობელი! მო-



სმინქთ, რასაც გეტყვით აღამიანობის, სამართლიანობის, ღვთისებური  
და თქვენ მატერიალურ ინტერესების გულისათვის. თქვენ მე-  
ტად ცუდათ ეპყრობით თქვენ მუშებს. თქვენი ქცევა გქმნისთ  
თქვენ დანაშაულად და ამწვავებს ბრძოლას თქვენ კლასსა და  
თქვენგან დამოკიდებულ მუშებ შორის. მიწის მფლობელნო!  
მიეცით თქვენ გლეხებსა და მუშებს, რის პირობაც მიგიციათ  
(მემამულენი ხშირად იმ მცირე ქირასაც არ იძლევიან, რო-  
მელსაც იღებს საზოგადოთ იტალიელი სოფლის მუშა) და რა-  
საც სამართლიანად თხოულობენ: იმათაც აქვთ უფლება იცხოვ-  
რონ პატიოსნად თავიანთ შრომის ნაყოფით. რათ ედავებით  
მუშას ორიოდ გროშის გულისათვის, თქვენ, რომელნიც ათა-  
სობით ხარჯავთ უაზრო ჟინის მოსაკლავად და სიამოვნების  
მისაღებად? ნუ ჰქანცავთ თქვენ მუშებს, განსაკუთრებით ქა-  
ლებსა და ბავშვებს, აუტანელ შრომით. უსამართლობაა განსა-  
ცდელში აგდებდეთ მათ ძალლონეს, ჯანმრთელობას, სიცოც-  
ხლეს; ისინი მონები როდი არიან, არამედ თავისუფალი მოქა-  
ლაქენი, მართალია დამოკიდებულნი, მაგრამ ღირსნი ყოველ  
გვარ პატივისცემისა. თქვენ მეტად უსამართლოდ და შეუბრალებ  
ლად იქცევით, როცა მუშებს დანიშნულ ვადაზე არ აძლევთ  
ქირას და გაფუჭებულის პურით კვებავთ მათ; უსამართლოდ  
და შეუბრალებლად იქცევით, როცა მუშებს აყენებთ ვიწრო,  
ბნელ, ნოტიო და ჰაერს მოკლებულ სადგომებში და ქალებსა  
და ვაეებს ერთად ათავსებთ. რასაც ზოგიერთი მღვდელი მატყო-  
ბინებს სოფლის მუშების სადგომებზე სიბრალულსა და აღშფო-  
თებას მიღმრავს. უპატიოსნობაა, როცა თქვენ იმ მიზნით, რომ  
მუშას პირობა არ შეუსრულოთ, გაგდებას ემუქრებით მას და  
ასეთ აღტერნატივას უყენებთ წინ: დასთანხმდი აუტანელ პი-  
რობას ან და ადგილს გამოეთხოვეთ. კიდევ ბევრ უსამართ-  
ლობისა და შეუბრალებლობის მაგალითი შემიძლია მოვიყვა-  
ნო დიდ მემამულეთა და მსხვილ არენდატორების მოქმედე-  
ბიდან! გონს მოდით, რადგან მეტად სერიოზული დრო დად-  
გა; უნდა მოსპოთ ყველაფერი, რაც ამართლებს სოფლელ მუ-  
შების ჩივილსა და განრისხებას, იმ სოფლელ მუშების, რომელ-

ნიც შეტად გულ-კეთილი, შრომის მოყვარე და ოქვენის სიც-ლიდრის შემქნელი არიან“.

მონსინიორ ბონომელი არ ეკუთვნის იმ პოლიტიკ კლე-რიკალებს, რომელნიც ხალხის თვალის ასახვევად, მის მოსა-ტყვილებლად და გულის მოსაგებად დემაგოგიბას იწყებენ. ყოველი მისი სიტყვა გადუჭარბებელი სინამდვილეა და რა გა-საკირველი უნდა იყოს, რომ იტალიის სოფლელ მუშებ შორის, რომელნიც ასეთ აუტანელ პირობებში სცხოვრობენ, დიდი და გამწვავებული უკმაყოფილება არსებობდეს. მაგრამ საკირველი და საგულისხმიერო ის არის, რომ ამ უკმაყოფილე-ბამ ისეთი ფორმა მიიღო, რომელიც მოსალოდნელი არ იყო სოფლელ მუშებისაგან, გლეხებისაგან.

ყოველ ქვეყნის გლეხი ცნობილია როგორც შეტად კონ-სერვატიული ელემენტი, რომელიც უფრთხის ყოველ ახალ სა-ქმებს, ახალ მოძრაობას და ჩასჭიდებია მამა-პაპათა წესსა და რჯულს. ქალაქელი მუშა უფრო განვითარებულია, მან აღრე შეიგნო თვისი ინტერესები და აღრევე შეუდგა თავის მდგო-მარეობის გაუმჯობესებას. ქალაქელ მუშების მოძრაობას მთე-ლი ისტორია აქვს და ეხლა ეს მოძრაობა ისეთ საზრიან გზას ადგია, რომ შეუფერხებლად ვითარდება და აუცილებ-ლად თავის მიზანს მიაღწევს.

სულ სხვაა სოფლის მუშის მდგომარეობა. თუმცა იგრა-რული მოძრაობა ისტორიულად ბევრად უფრო ძველია ქალა-ქის პროლეტარიატის მოძრაობაზე, მაგრამ მან აქამდე ვერ მიიღო ისეთი საზრიანი ფორმა, როგორც მეორეს აქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ირლანდიელების აგრარულ მო-ძრაობას. თუ ირლანდიაში ამ მოვლენამ განსხვავებული სახე მიიღო და თავის ფორმით (შინაარსი ხომ იგივე) არ ჩამო-რჩება დაწინაურებულ მუშების მწყობრ მოქმედებას, ეს აიხ-სნება იმ გარემოებით, რომ ირლანდიაში აგრარულ კითხვას ზედ-ერთვის ეროვნულ-პოლიტიკურიც.

იტალიელ გლეხების მოძრაობა მით არის საყრდენი და საგულისხმიერო, რომ სწორედ ისეთი ხასიათი აქვს, როგო-



რიც დიდი ხანია მიიღო დაწინაურებულ სახელმწიფოების „შე-  
შების მოძრაობაშ. იტალიელი გლეხი მიახვდერა მის გაჭირვე-  
ბულ მდგომარეობაშ, რომ ხსნას იგი მარტო თავის თავიდან  
უნდა მოელოდეს, რომ ერთად ერთი საშუალება აუტანელ  
მდგომარეობიდან გამოსვლისა არის განცალკევებულ ძალთა  
შეერთება, თანა მოძმის ტკიფილის თვისად მიჩნევა, ერთის  
სიტყვით, ყველა გაჭირვებულების მტკიცე ორგანიზაცია. იტა-  
ლიელი სოფლელი იმდენად გათვითცნობიერდა, რომ, ქალა-  
ქელ მუშებსავით, თავის გაჭირვების მონაწილეებს შეუერთდა  
და შეერთებულის ძალით თავის ექსპლოატატორს, დიდ-მემა-  
მულეს, ომი გამოუტანდა.

პირველი ნიშნები უმიწაწყლო და პატარა მიწის პატრონ  
გლეხების ორგანიზაციისა ოცის წლის წინათ იყო, მაგრამ  
სერიოზული და დიდ-მნიშვნელოვანი ხასიათი სოფლელ მუშე-  
ბის მოძრაობამ მხოლოდ ამ ორ-სამ წელიწადში მიიღო. სოფ-  
ლელებმა შეჯჭმნეს ეგრედ წოდებული „გაუმჯობესების ლიგე-  
ბი“ (კავშირები), რომელთაც უფრო ხშირად „წინააღმდეგო-  
ბის“ ლიგებს ეძახიან. ასეთი ორგანიზაცია პირველად მანტუის  
პროვინციაში გაჩნდა, მაგრამ მაღლ იგი მთელ იტალიას მოე-  
დო. ეხლა შეიდასზე მეტი ლიგა არსებობს იტალიაში და  
მთელ ორგანიზაციას ას ორბორდა-ათი ათასზე მეტი წევრი  
ჰყავს. ყველა ლიგა გაერთიანებულია და ერთ დიდ კავშირს  
წარმოადგენს, რომელსაც „წინააღმდეგობის ლიგების ნაციო-  
ნალური ფედერაცია“ ჰქვია. ფედერაციის მთავარი გამგეობა  
ქ. ბოლონიაში იმყოფება. ეს გამგეობა დიდის ხელოვნებით  
ხელმძღვანელობს გლეხების კავშირს, და გლეხებიც იმდენად  
გათვითცნობიერებულან, რომ ძალდაუტანებელ დისკიპლინას  
აღვილად ემორჩილებიან და თავგამოდებული იბრძვიან საერთო  
ინტერესებისათვის. ბრძოლის იარაღი შეუშაობის აკვეთა და  
გაფიცვაა, რაც კანონით აკრძალული არ არის.

სოფლელი მუშა ჯერ იმასვე თხოულობს, რასაც ქალაქე-  
ლი—შრომის პირობების გაუმჯობესობას: ქირის მომატებას,  
სამუშაო დღის შემოკლებას, ქალებისა და ბავშვების მუშაო-

ზის მოწესრიგებას, წერილ არენდის პირობების შეცვლას და სხვ.

გლეხების ასეთმა მოძრაობამ მეტად ააშფოთა მემამულენი, განსაკუთრებით მსხვილ-მსხვილი მემამულენი, და არც გასა-კვირველია ეს აშფოთება: თუ აქამდე მსხვილ მემამულეს კარგი შემოსავალი ჰქონდა, ეს იმის შედევგი იყო, რომ მუშა შეტად იაფი იყო და საარენდო პირობები ისეთი, რომ ნამდვიური ეკონომიური ბატონყმობა არსებობდა. მემამულე სრულებით არ ჰყოიქრობდა თავის მამულის გაუმჯობესობას, რადგან გაუმჯობესობა ფულს იხოულობს და რად დაეხარჯა ეს ფული, როცა უამისოდაც ადვილად მიღიოდა იაფის მუშითა და გაჭირვებულ არენდატორის წყალობით.

მემამულებმა ყოველი ღონე იღონეს სოფლელების მოძრაობა დაწყებისთანავე ჩაეკლათ, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ: სინამდვილეში არსებულ პირობებით გამოწვეული მოძრაობა ეგრე ადვილი დასაძლევი არ არის და გარდა ამისა იტალიის ეხლანდელი სამინისტრო აღარ არის მაძლართა მორჩილი მონა. ცანარდელ-ჯიოლიტის სამინისტრომ გადაჭრილი უარი უთხრა მემამულეთ სოფლელ მუშების წინააღმდეგ ენერგიულ სამხედრო ზომების მიღებაზე. ორივე მინისტრმა გამოაცხადა პარლამენტში, რომ ისინი პრინციპიალურად თანაუგრძნობენ მუშების ორგანიზაციას, რმოელიც „სცდილობს კანონიერის საშუალებით, მაგალითად, მუშაობის აკვეთით და გაფიცვით, გააუმჯობესოს მშრომელ კლასის არსებობის მატერიალური და ზნეობრივი პირობები“. ცანარდელის სიტყვით, „მუშების ორგანიზაცია მშვიდობინ პროგრესის კულტურული იარაღია“. ჯიოლოტის შეხედულებით, მუშების ორგანიზაცია ერთად-ერთი საშუალებაა, რომ შრომისა და კაპიტალის ბრძოლა უკიდურესობამდე არ მივიღეს. გარდა ამისა ჯიოლიტი ამტკიცებდა, რომ მუშების მოთხოვნათა დაკმაყოფილება სასარგებლოა თვით ეროვნულ ეკონომიკისათვის: „მუშის ქირის აწევა ნიშანია ერის ეკონომიურ პროგრესისა და ეხლანდელ პირობებში იტალიელ გლეხების მოძრაობა მარტო მუშების მატერიალურ

და ზნეობრივ შდგომარეობას როდი გააუმჯობესებს, იგი აი-  
ძულებს მიწის მფლობელთ გააძლიერონ მამულის შემოსავა-  
ლი მუშების უწყალო ექსპლოატაციით კი არა, არამედ მიწის  
მწარმოებელ ძალთა გაუმჯობესებით. ამისათვის პირველად  
ყოვლისა საჭიროა, რომ მამულის მეპატრონე მამულშივე სცხოვ-  
რებდეს და შეუდგეს რაციონალურ მეურნეობას, რომელსაც  
თხოულობს ეხლანდელი ცხოვრების პირობები“.

როგორც ისმის, იტალიის ახალგაზდა მეფეც თავის მი-  
ნისტრების თანამოაზრეა. ასე რომ იტალიელ მემამულებს არა-  
ვითარი იმედი ეხლანდელ მთავრობის საქმეში ჩარევისა არ  
დარჩენიათ; სამხედრო ძალა და სასტიკი ღონისძიებანი დღეს  
მათ აკლიათ. ამიტომაც შარშან ისინი იძულებული შეიქნენ  
ბევრ ადგილის დაეთმოთ გაფიცულ გლეხებისათვის. წელს კი  
სხვა გზას ადგანან. მემამულეთა უმრავლესობამ გადასწყვიტა  
სასტიკი ბრძოლა გამართოს მუშების კავშირებთან; მემამულე-  
ნიც თავისებურად გაიფიცნენ და გადასწყვიტეს სრულებით  
დაუმუშავებელი დასტოვონ თავიანთი ადგილები, სანამ გა-  
კირვებული გლეხები უარს არ იტყვიან თავიანთ მოთხოვ-  
ნაზე.

მიწის მფლობელნი იმით იმართლებენ თავს, რომ მეტის  
დათმობა მუშებისათვის მათ აღარ შეუძლიათ, რადგან, თუ და-  
ვუთმეთ, სულ ერთიან გავკოტრდებითო. მსხვილი მრეწველე-  
ბიც ხომ ამას ამბობენ—საქმე პატარა შემოსავალს იძლევა და  
საიდან შეგვიძლია მუშებს ქირა მოვუმატოთ ან სამუშაო დღე  
შევუმოკლოთო. მაგრამ ორივენი ტყუილს ამბობენ. როგორც  
კაპიტალისტების, ისე მსხვილ მემამულეთა ასეთ მოძრაობას  
წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს და მისი მიზანია მოსპოს  
მუშების ორგანიზაცია იმის მიუხედავათ, თუ რამდენად შესა-  
ძლებელია ეკონომიკურად ამ ორგანიზაციის მოთხოვნათა დაკმა-  
ყოფილება.

რომ ეს ასეა, ბევრის საბუთებით მტკიცდება: მემამულე,  
რომელიც ორგანიზაციაში მონაწილე გლეხს არ უმატებს ქი-  
რას, დიდ ჯამაგირს აძლევს ისეთ მუშას, რომელიც ორგანი-

ზაკის გარეშე სდგას. მეორე, ბევრი საშუალო მემამულე სტუ-  
ლებით კანონიერად სთვლის მუშების ორგანიზაციის მოთხოვ-  
ნათ და აკმაყოფილებს კიდეც მათ, რაც მათ სრულებით არ  
აღატაკებს. გარდა ამისა, ყოველი ამისთანა შეგნებული მემა-  
მულე ამტკიცებს, რომ იმ მუშების შრომა, რომელიც ორგანიზა-  
ციას ეკეთვნიან, ბევრად უფრო ნაყოფიერია და უკეთესი,  
ვიდრე სხვა მუშებისა. მესამე: ეხლანდელი სამინისტრო სტა-  
ტისტიკურ ცნობებით ამტკიცებს, რომ იტალიელ გლეხების  
პატირა მოთხოვნათა დაკმაყოფილება ადვილად შეუძლია მე-  
მამულეს, თუ იგი რიგიანად უვლის თავის მამულს. და თუ  
ზოგიერთ შემთხვევაში მუშების მოთხოვნათა დაკმაყოფილება  
მემამულეთ გააკოტრებს, ამისი მიზეზი თვითვე არიან: არ  
იციან ან არ სურთ მოუარონ მამულს. ყოველ შემთხვევაში  
მთელი ერის მეურნეობა მოგებული იქნება ასეთ მიწის მე-  
პატრონეთა გაკოტრებით — მათი მამული უფრო მცირნე კაცის  
ხელში გადავა და გაუმჯობესდებათ.

დიდ მამულების არ დამუშავება დიდ ძალ მუშას დატო-  
ვებს უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ და ამას კი შეიძლება ცუ-  
დი შედეგი მოჰყვეს საზოგადო მშვიდობიანობისათვის. ბევრი  
დააფიქრა ამ გარემოებამ და საკითხი აღიძრა: აქვთ თუ არა  
უფლება მემამულეთ ასე მოიქცენ? ეხლანდელი კანონები  
ფორმალურად, რასაკვირველია, ვერ აუკრძალავენ მესაკუთრეს  
არ დაიმუშავოს თავის საკუთრება. მაგრამ, თუ პურის დამ-  
ზადება და საქონლის გადატან-გაღმოტანა საზოგადო საქმეებად  
ითვლება და როგორც საზოგადო საქმეები სახელმწიფოსა და  
ქალაქის კანტროლს ექვემდებარება, რატომ მიწის დამუშავება  
არ უნდა ითვლებოდეს ასეთივე საზოგადო საქმედ, რატომ  
იგი არ უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო კანტროლს?  
იტალიის საზოგადოების დაწინაურებულ ნაწილს განზრახვა  
აქვს შემოიღოს ისეთი კანონი, რომელიც სავალდებულოდ  
გახდის კველასათვის მამულების დამუშავებას.

განზრახული კანონი სარგებლობას მოუტანს მუშებსა და  
საზოგადოთ ეროვნულ მეურნეობას, მაგრამ აგრარულ კითხვას

იგი ვერ გადასწყვეტს. ესპანიის სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კანალებასის არ იყოს, ერთად ერთი საშუალება აგრარულ კითხვის გადაწყვეტისა ყველგან, სადაც კი ეს კითხვა მომწიფდა, არის ლატიფუნდიების (დიდ მამულების) ექსპროპრიაცია (ძალდატანებით გამოყიდვა სახელმწიფოს მიერ), პატარ-პატარა ნაჭრებად დაჰყოფა და გლეხებზე გაყიდვა იაფ-ფასიან სახელმწიფო კრედიტის საშუალებით.

\* \* \*

ინგლისი თავისუფალ ვაჭრობის კლასიკური ქვეყანაა. წარ-მოებაში დახელოვნებული და ენერგიით აღსავს ინგლისელი გაბედულად უცქეროდა ვაჭრობაში და მრეწველობაში მოცილეს, მას არავისი ეშინოდა და ამიტომ მის ეკონომიკურ სარწმუნოების სიმბოლოს უმთავრესი წევრი თავისუფალი ვაჭრობა იყო. იმ დროს, როცა კონტინენტის სახელმწიფოები და ამერიკა დიდ ბაჟებს ახდევინებდნენ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს, რათა საკუთარ შინაურ ვაჭრობა-მრეწველობისათვის მფარვე-ლობა გაეწია, ინგლისი არავის მაგიერს არ უხდიდა, მისი ბა-ზარი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, მის ვაჭრობა-მრეწვე-ლობას მთავრობის დახმარება და პროტეკციონისმი (მფარვე-ლობითი სისტემა) არ ეჭირვებოდა.

მაგრამ ამ ბოლოს დროს პირობები შესამჩნევად შეიცვა-ლა და ინგლისიც ემზადება ამ ახალ პირობებს შეუფარდოს და შეუხასოს თავისი სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკაც.

გერმანიისა და ამერიკის აუგვებული მრეწველობა, იმ გერმანიისა და ამერიკის, რომელნიც სხვა სახელმწიფოებზე უფრო მისდევდნენ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე მა-ლალ ბაჟების დაღებას და ამით შინაურ მრეწველობის დაფარ-ვას კონკურენციისაგან, საშიში მეტოქე შეიქნა ინგლისის ერთ დროს უცალო მრეწველობისა. თვით ინგლისის ახალშენებშიაც ისინი უფრო დაწინაურებული და მდიდარი აღმოჩნდნენ, რო-მელნიც კონტინენტალურ სახელმწიფოებს ბაზავდნენ და მფარ-ელობით სისტემას მისდევდნენ.

თუ რამდენად საშიში შეიქნა, მაგალითად, ამერიკის მრეწველობა ინგლისისათვის, სჩანს შემდეგის ფაქტებიდან: ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში ამერიკელებმა ხელში ჩაიგდეს რკინეულობის მთელი წარმოება. ამერიკელებს შემოაქვთ ინგლისში ყველა ელექტრონული მაშინები; მათი მონოპოლიაა სტამბების მრეწველობა; ისინი ჰყიდიან ინგლისში იმდენ მოტორებს, რამდენსაც ვერ ჰყიდის ვერც ერთი ინგლისელი ფირმა. ინგლისის რკინის გზებისთვის ლოკომოტივებს ამერიკიდან იწერენ. მაგრამ ამერიკელები ამით არ კმაყოფილდებიან, მათი განზრახვაა ხელში იგდონ ინგლისის მთელი მრეწველობა. ცნობილ ფინანსისტმა და მილიარდერმა მორგანშა იყიდა ინგლისელებისაგან ატლანტიკის ოკეანეზე მიმომავალი გემები. ამერიკელების სინდიკატის ხელში გადავიდა ბრაიანტისა და მეის ცნობილ ფირმის სასპიჩკო ქარხანა და აი როგორ: პირველად ყოვლისა ამერიკელებმა შეიძინეს გამომგონებლებისაგან საუკეთესო სასპიჩკო მაშინების პატენტები; ასე რომ მათ სპიჩკის წარმოება სამჯერ უფრო იაფად უჯდებოდათ, ვიდრე ინგლისელებს, რომელთაც სხვა მაშინები ჰქონდათ. პატენტების ყიდვის შემდეგ ამერიკელებმა შემდეგი ულტიმატუმი შეუთვალეს ბრაიანტსა და მეის—თუ არ მოგიყიდნიათ ჩვენთვის თქვენი ფირმა, კონკურენციას დაგიწყებთ და გაგაკოტრებთ. ინგლისელი მრეწველები დარწმუნდნენ, რომ კონკურენტებს მუქარის ასრულება შეუძლიათ, და იძულებული შეიქნენ დაეთმოთ თავიანთი საქმე ამერიკელებისათვის. ამ გვარად ამერიკულმა ტრესტმა ხელში იგდო სპიჩკის მთელი წარმოება ინგლისში.

კიდევ უფრო დამახასიათებელია ამერიკელებისა და ინგლისელების სამრეწველო ბრძოლის მეორე მაგალითი.

ამერიკელების ერთმა სინდიკატმა, რომელმაც ხელში იგდო თამბაქოს მთელი მრეწველობა კანადაში, გადასწყვიტა ინგლისის იმავე მრეწველობის შექნაც. ინგლისის ნიადაგზე ფეხის მოსამაგრებლად სინდიკატმა შეიძინა ინგლისურ ერთ ფირმისაგან თამბაქოს ერთი დიდი ფაბრიკა. ინგლისის მეორე ფირმა მიხვდა,



თუ რას ნიშნავდა ამერიკელების ეს პირველი ნაბიჯი და მიმდინარეობა: ორივე მხარე იმას სცდილობდა, რომ წვრილი მოვაჭრენი მიემსრო. ინგლისელების სინდიკატმა მიმართა 34,000 წვრილ მოვაჭრეს და უმტკიცებდა მათ, რომ ბოკოტი უნდა გამოუცხადონ ამერიკელებს და არ იყიდონ მათვან საქონელი. სამაგიეროდ სინდიკატი აძლევდა წვრილ მოვაჭრეთ 500.000 მანეთს და წლიურ შემოსავლიდან ოც პროცენტს. ამერიკელების სინდიკატმა კიდევ უფრო ხელისაყრელი წინადადება მისცა წვრილ ვაჭრებს: ორი მილიონი წლიურად ოთხის წლის განმავლობაში და სინდიკატის მთელი შემოსავალი ამავე ხნის განმავლობაში. ერთის სიტყვით, ამერიკელები აძლევდნენ თავიანთ კლიენტებს 115.000.000 მანეთს. ამასთან ისინი მოკილეების საქონლის ბოკოტს როდი თხოულობდნენ, წვრილ ვაჭრისათვის საკმარისი იყო უარი ეთქვა ინგლისლების წინადადების ზემოხსენებულ წინადადებაზედ. რასაკვირველია, გამარჯვება ამ „თამბაქოს ომში“ ამერიკელების იქნება.

ამიტომაც არის, რომ ბოლოს ღრმოს ინგლისშიაც იჩინა თავი პროტეკციონის აზრებმა: ამერიკელები და გერმანელები ჰკლავენ ჩვენ ვაჭრობასა და მრეწველობას, ამერიკელები და გერმანელები პროტეკციონისტები არიან; თუ გვინდა, რომ შევიჩინოთ ჩვენი მრეწველური უპირატესობა, ჩვენც უნდა დაუბრუნდეთ პროტეკციონისმო, გაიძახიან ინგლისელი პროტეკციონისტები.

ახალ ინგლისურ პროტეკციონისმს მხარს აძლევს ახალი იმპერიალისმი. ჩემბერლენისა და მის თანამოაზრების სურვილია, როგორც ვიცით, ინგლისის იმპერიის უფრო მტკიცეორებანიზაცია, ახალშენების მეტი დაკავშირება მეტროპოლისთან. ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ამ მიზნის მისაღწევად იმპერიალისტებს ეგრედ წოდებული „ცოლფერაინი“ მიაჩინიათ: გერმანიის იმპერიის ეხლანდელ გაერთიანებას წინ უძლოდა გერმანიის სამთავროების „სადამოუნო კავშირი“ (Zollverein); პოლიტიკურ გაერთიანებამდე გერმანია გაერთიანდა სავაჭრო-სამ-

რეწველობ პოლიტიკის მხრივ: სამთავროებს ერთმანერთში თავისუფალი ვაჭრობა ჰქონდათ, უცხოელებთან კი სადამოუნო ტარიფი შემოიღეს. ჩემბერლენის მიზანია ესევე პოლიტიკა განახორციელოს დიდ ბრიტანიის ყველა ნაწილების შესახებ.

ინგლისის მეფის გვირგვინის კურთხევის გამო ლონდონში თავს მოიყრიან ბრიტანიის ყველა ახალ-შენების წარმომადგენელნი. სხვათა შორის, ამ წარმომადგენელთა თათბირზე ლაბარაკი იქნება დიდ ბრიტანიის იმპერიის „ცოლ-ფერან“ზე-დაც. „ცხადია, ინგლისის დაბრუნება პროტეკციონისმის გზაზე, პროტექციონისში მიუხედავათ დიდ სიძნელეთა, აკადემიურიდან გახდა წმინდა პრაკტიკული პრობლემა, რომლის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება („პეტ. ვედ.“).

\* \* \*

არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი იმ ბრძოლასა და მეტოქეობაზე, რომელიც არსებობს ინგლისსა და რუსეთს შეუჩენ მეზობელ სახელმწიფო სპარსეთის გამო. ინგლისი სცდილობს სპარსეთის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გამოწევას, რუსეთი—ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. თუ ინგლისის გავლენა სამხრეთ სპარსეთში უცილობელი და უმეტოქოა, ესევე ითქმის რუსეთის გავლენაზე ჩრდილოეთ სპარსეთში. მაგრამ ამ გავლენათა ხასიათი სულ სხვა და სხვაა.

პრაკტიკულმა და ანგარიშიანმა ინგლისმა არ იცის რა არის ხელოვნება ხელოვნებისათვის, გავლენა გავლენისათვის. როცა ინგლისი რომელიმე ტერიტორიაზე შედის და სცდილობს გავლენის მოპოვებას, ამას იმიტომ შერება, რომ მისი მატერიალური ინტერესი მოითხოვს: ინგლისელ ვაჭარსა და მრეწველს ბაზარი და მყიდველი უნდა. ხშირად ეს პირ და პირ და ყველასათვის თვალსაჩინოდ არა სჩანს ინგლისელ პოლიტიკოსების მოქმედებიდან. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ინგლისს „პრესტიუს“ აღსაღვენად ან გისაძლიერებლად დიდი აურ-ზაური აუტეხნია, მაგრამ ეს „პრესტიუს“-ი მისთვის ცალიერი სიტყვა როდი ყოფილა, მას ყოველთვის თან

შოსდევდა ინგლისელ საქონლის ბაზრის გაფართოვება ან შექც-ნილის შეჩენა, როცა ვინმე სცდილობდა მის წართმევას.

ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში ასეთ რეალურ ნიადაგ-ზეა დამყარებული და ამიტომაც იგი ასე სასარგებლოა ინგლი-სელისათვის. ინგლისს დიდ-ძალი მატერიალური ინტერესები აქვს სპარსეთში და ეს დიდ სიმტკიცეს აძლევს მის ამ ქვეყა-ნაში მდგომარეობას.

სულ სხვაა რუსეთის მდგომარეობა. რუსეთმაც სცადა ინგლისის პოლიტიკის გზაზე დადგომა: რუსეთისა და სპარსე-თის ვაჭრობის გასაძლიერებლად ჯერ აკრძალა უცხოელი საქონლის ტრანზიტი სპარსეთში ამიერ კავკასიის გზით, მაგრამ რაღაც ამ უცხოელ საქონელს სპარსეთის ყურედანაც შეუ-ძლია, სპარსეთში შემოსვლა და შემოდის კიდეც, იხმარა მეო-რე ლონისძიებაც, რომელიც მას ერთობ ძვირად უჯდება: ინგლისის საქონელი უფრო იაფია, თვისებითაც უკეთესი, გამყიდველიც მოხერხებული და გამოცდილი ჰყავს, რუსული საქონელი ყველას ამას მოკლებულია და ამიტომ ერთობ ძნე-ლია რომ მან კონკურენცია გაუწიოს მეტოქეს და ბაზარი დაიკავოს. რუსეთის ვაჭარსა და მწერებელს არ შეუძლია თავის ლონით ებრძოლოს უცხოელს. მთავრობა ამას ხედავს და დიდ დახმარებას უწევს მას. რუსეთს შეაქვს სპარსეთში შვიდი მილიონი ფუთი საქონელი. 90 პროცენტს ამ საქონლისას მთავრობა ან პრემიას აძლევს ან აქციზს არ ახდევინებს, რაც მას წლიურად ათი მილიონი მანეთი უჯდება. მიზანი ასეთ დიდ მსხვერპლისა მთავრობის მხრივ ის არის, რომ გააითოს სპარსეთის ბაზარზე რუსული საქონელი და ამით შეუქნას რუს მწარმოებელს მუდმივი მყიდველი. და მერე რა შედეგი აქვს მთავრობის ასეთ ცდასა და მსხვერპლს? პატარა სპარსეთს, რო-მელსაც არც ფაბრიკა-ქარხნები აქვს, არც რკინის გზები და არც ბანკები, იმდენივე შემოაქვს ვრცელ და განუზომელ რუ-სეთში, რამდენიც ამას სპარსეთში. ეს კიდევ ცოტა. სპარ-სელი, რომელსაც თავისი მთავრობა არა თუ ხელს უწყობს, პირიქით, მეტად ავიწროებს, თვითონ მოაქვს თავისი საქონე-

ლი რუსეთში, თვითონვე ჰყიდის. რუსული საქონელი, რომელიც სპარსეთში მიღის, დაჯილდოვებულია მთავრობისაგან ან აქციზისაგან განთავისუფლებული, რუსი მრეწველი მაინც არ იძვრის ადგილიდგან, იგი თავის სახლშივე ჰყიდის საქონელს და სხვას მიაქვს იგი სპარსეთში, რომ იქ ისე გაპყიდოს იგი, როგორც მოახერხებს. „ჯერ არ ყოფილა შემთხვევაო, სწერს ერთი რუსული გაზეთი, რომ რუსი ვაჭარი წასულიყოს სპარსეთში, ადგილობრივ ეყიდოს საქონელი მოსაგებ ფასებში, როგორც ამას სპარსელები სჩადიან რუსულ საქონლის შესახებ, და თვითონ მოეტანოს გასასყიდათ“.

იმის უფრო თვალსაჩინობისათვის, თუ რა განსხვავებაა ინგლისისა და რუსეთის გავლენათა შორის, მოვიყვან ინგლისის ნიჭიერ და მიმხვედრ მოწაფის იაპონიის მაგალითს. გერმანიის კონსულის მოხსენებიდან სჩანს, რომ იაპონიის საქმე დიდათ დაწინაურებულია კორეაში, სადაც მას მეტოქედ რუსეთი ჰყავს. იაპონია ცდილობს პირველი ადგილი დაიკავოს მისთვის ასეთ დასამხარ და საჭირო ქვეყანაში და, როგორც სჩანს, აღწევს კიდეც მიზანს. რკინის გზა, რომელიც აერთებს სეულსა და ნავსადგურ ჩამულპოს, იაპონელებმა გაიყვანეს და მისი გამგეებიც იაპონელები არიან. იმ რკინის გზის გაყვანა, რომელმაც სეული ფუზანს უნდა შეუერთოს, იაპონელ აქციონერულ საზოგადოების ხელშია. კორეის ვაჭრობა სულ იაპონელ ვაჭრების ხელშია; ფოსტაც თითქმის მათ განკარგულებაშია. ერთის სიტყვით, კორეა ჯერ ეხლაც იაპონიის სრულ ეკონომიურ დამოკიდებულებაშია.

ინგლისმა და იაპონიამ კარგად იციან, როგორ მოიპოვონ გავლენა და რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დამოკიდებულებაში. მარტო ჯარის საშუალებით რეალურ გავლენის მოპოვება უნიადაგო ოცნებაა.

\*  
\* \*

დასრულდა საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნები და ეხლა შესაძლებელია გამოვიანგარიშოთ ვინ გაიმარჯვა მებრ-

ძოლ პარტიათა შორის და ვინ დამარცხდა. პირველად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა რესპუბლიკა. რესპუბლიკის სრული გამარჯვება გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ რესპუბლიკელ დეპუტატების რიცხვი ახლად არჩეულ პარლამენტში მეტი იქნება, ვიდრე წინანდელში იყო, არამედ იმაშიაც, რომ არჩევნების გათავებამდე ვერც ერთი კანდიდატი რეაქციონერებისა ვერ ბედავდა აშკარად ეთქვა ამომრჩევლებისათვის თავისი ნამდვილი ვინაობა—ყველა ვითომ რესპუბლიკელი იყო, ყველა რესპუბლიკის დროშას ამოეფარა. ასეთი მოვლენა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში იმის უეპველი ნიშანია, რომ რესპუბლიკა საბოლოოდ განმტკიცდა და გამაგრდა, რომ სხვა-და-სხვა პრეტენზენტების პრეტენზიები „საფრანგეთის ტახტზე“ ფუჭი, უნიადაგო ოცნებაა, რომ დიდ ერსაც შეიძლებია რესპუბლიკურ წეს-წყობილების შეოვისება წინააღმდეგ იმ პოლიტიკოსების აზრისა, რომელნიც დღესაც ამტკიცებენ, თუ გულში ჰდიექრობენ, რომ რესპუბლიკა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პატარა ერის პატარა ტერიტორიაზე და რომ დიდი ხალხის რესპუბლიკა აუცილებლად ცეზარისმით თავდება. პოლიტიკურ ცხოვრების სინამდვილე, როგორც ვხედავთ, სულ წინააღმდეგს ამტკიცებს.

მეორე დიდ-მნიშვნელოვანი და საგულისხმიერო მოვლენა ახალი საპარლამენტო არჩევნებისა ის არის, რომ გამარჯვებულ რესპუბლიკელთა შორის უფრო გამარჯვებული რადიკალური ელემენტები არიან — რესპუბლიკა მარცხნით, ხალხისაკენ გაიწია.

1893 წლამდე თან-და-თან იზრდებოდა და ძლიერდებოდა აბსოლუტურადაც და შედარებითაც ზომიერ რესპუბლიკელთა დასი. რამდენად ეს დასი ძლიერდებოდა, იმდენად სუსტდებოდა რეაქციონერების ძალა: თუ ზომიერი რესპუბლიკელი იმარჯვებდა, იგი იმარჯვებდა კონსერვატურთან ბრძოლაში. ზომიერები დაწინაურდნენ ისეთ ჩამორჩენილ მხარეებშიაც, როგორც ბრეტანი, ნორმანდია და ვანდეა არის.

1893 წლიდან კი ზომიერ რესპუბლიკელთა დასი თან-და-თან სუსტდება საფრანგეთში. ამომრჩევლები ვერ კმაყოს ფილდებიან ზომიერის პროგრამით და ამიტომ უფრო რაღიკა-ლურ დასებისაკენ მიიწვევენ. რაღიკალებისა და რაღიკალ-სო-ციალისტების რიცხვი 1889 წლის პარლამენტში სულ 98 იყო, 1898-ში კი 180, მუშათა წარმომადგენელი 1889-ში იყო 17, 1898-ში კი 57. ზომიერების რიცხვი ამავე ხნის განმავლობა-ში შემცირდა ოცდა ათით, მაგრამ თუ ამომრჩევლების რაო-დენობას მივიღებთ მხედველობაში, ზომიერების დასუსტება ბევრად უფრო შესამჩნევი იქნება. რაღიკალური ელემენტები იმარჯვებდნენ ზომიერებზე, რომელნიც თავის მხრივ ამარცხ-ებდნენ რეაქციონერებს. ამ უკანასკნელების რიცხვი 1889-ში იყო 177 და 1898 კი მხოლოდ 65. საფრანგეთის რესპუბლი-კის ასეთ ევოლუციის საუკეთესო დამატეკიცებელია ეხლან-დელი არჩევნები. გაზეთი „მატენ“-ის გამოანგარიშებით ახალ პალატაში იქნება: 43 სოციალისტი (სოციალისტის რიცხვის შემცირება წინანდელთან შედარებით, აიხსნება უმთავრესად იმ გარემოებით, რომ დიდი უთანხმოება იყო სოციალისტების სხვა-და-სხვა ჯგუფებ შორის. განსაკუთრებულის შეურიგებლო-ბითა და უტაქტობით ეგრედ წოდებული გედისტები იქცეო-დნენ), 233 რაღიკალი და რაღიკალ-სოციალისტი, 62 ეხლან-დელ მთავრობის მომხრე რესპუბლიკელი, 127 „პროგრესისტი“ (მელინისტი), 35 „შერიგებული“ (რესპუბლიკასთან), 5 მთავ-რობის წინააღმდეგი რაღიკალი, 43 ნაციონალისტი და 41, „რეაქციონერი“ (მონარხისტი). ამ გვარად ზომიერების რიცხვი, რომელიც 1898-ში 235 იყო, ეხლა 189-ია, თუ ეხლანდელ მთავრობის 62 რესპუბლიკელსა და 127 „პროგრესისტს“ შე-ვაერთებთ. რაღიკალური დასი კი 180-იდან 233-მდე ავიდა!

რაც შეეხება ვალდეკ-რუსოს სამინისტროს მდგომარეო-ბას, მის მომხრეების რიცხვი ახალ პალატაში, იმავე „მატენ“-ის გამოანგარიშებით იქნება 338 255-ის წინააღმდეგ, ესე იგი სამინისტროს ეყოლება 87 ხმით მეტი მოწინააღმდეგებზე.

ეხლანდელ არჩევნებიდან ასეთი დასკვნა გამოკვავთ ფრან-გულ შურნალ-გაზეთებს: 1) ვალდეკ-რუსოს სამინისტრომ გა-

იმარჯვა; 2) ნაციონალისტები მოტყუდნენ, რადგან თუ შეა  
დეპუტატების რიცხვი ეხლა მეტია, ეს იმიტომ კი არა, რომ  
მთავრობის მომხრეებზე გაიმარჯვეს, არამედ იმიტომ, მელი-  
ნისტებს, თავიანთ მოკავშირეებს წარატვეს მანდატები, 3) მე-  
ლინის პარტია (ზომიერები) დამარცხდა, 4) ვალდეკ-რუსოს  
სამინისტროს უმრავლესობის ცენტრი მარცხნით, რადიკალურ  
ელემენტისაკენ, გადაიწია.

მოიხსოვს თუ არა ახალი პირობები ვალდეკ-რუსოს სა-  
მინისტროს გადადგომას? როგორც ვიცით, ეს სამინისტრო  
შესდგა სამის წლის წინეთ უმთავრესად დრეიფუსის საქმის  
საბოლოო გადასაწყვეტად და თავაღებულ და გალაღებულ  
რეაქციონერებთან საბრძოლველად. ეხლა დრეიფუსის საქმე  
სრულებით მივიწყებულია და რეაქციონერები სასტიკად და-  
მარცხებული. რესპუბლიკა უზრუნველყოფილია, მის მტრების  
სიურპრიზებისაგან. ეხლა საჭიროა, რომ ახალი პალატა შე-  
უდგეს დემოკრატიულ რეფორმების განხორციელებას. ამ და-  
ნიშნულებისათვის კი ვალდეკ-რუსოს სამინისტრო მეტად ჰე-  
ტეროგენულია: იგი სხვა-და-სხვა მიმართულების წარმომადგე-  
ნელთაგან შესდგება. დემოკრატიულ რეფორმების განხორციე-  
ლებას კი უფრო ერთ გვარი სამინისტრო ეჭირვება. ამიტომ  
მოსალოდნელია, რომ ვალდეკ-რუსოს სამინისტრო გადადგეს და  
შესდგეს ახალი, უფრო ერთგვარი ელემენტებისაგან შემდგარი.  
თუ რომელ ელემენტებისაგან იქნება შემდგარი ახალი სამინის-  
ტრო, ამის მაჩვენებელი თვით ახალი პალატა იქნება: რადგან  
შველაზე მეტად რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა  
გაიმარჯვეს, ამიტომ ახალი სამინისტროც მათგან უნდა იქმნეს  
შემდგარი. გაზეთები ასახელებენ პირებს, რომელნიც მათის აზ-  
რით, უნდა იქმნენ ახალ სამინისტროს სულის ჩამდგმელნი; ეს  
პირები სხვათა, შორის, ბურჟუა, ბროსონი და დუმერი უნდა  
იყვნენ.

\* \* \*

ამ მოკლე ხანში გერმანიის კათოლიკების (ცენტრი) წლი-  
ური კრება მოხდა. მოწვეულთა შორის, ჩვეულებრივ, პოლო-

<sup>1)</sup> „ცნობის ფურცელი“ № 1799 და 1801.

ნელების კლუბის წარმომადგენლებიც იყვნენ: თ. ფერდინანდ რაძივილი, ქამერჰერი ცეგოლსკი და დოკტორი კომეროვსკი, სულ ისეთი პირები, რომელთაც, მიუხედავათ პოზნანელების სასტიკ დევნისა, დიდი კავშირი აქვთ სასახლის წრეებთან, რა-საც სხვათა შორის ცეგოლსკის კამერჰერობაც ამტკიცებს. ბან-კეტის დროს კათოლიკების პარტიის წარმომადგენელმა ციკ-ლერმა (ბავარიელია) დალია სადღეგრძელო პოლონელების კლუბისა და, სხვათა შორის, სთქვა: „თუ დღეს შესაძლებელია ვილაპარაკოთ ჩვენის პარტიის დიდ გამარჯვებებზე, ეს უმთავ-რესად მიეწერება იმ გარემოებას, რომ პარტია ხელმძღვანელობდა პრინციპით — „სიმართლის, თავისუფლებისა და კანონისათვის.““ ცენტრი ყოველთვის იმას სცდილობდა, თავისუფლება და უფ-ლებები შეეძინა ყველასათვის გერმანიის იმპერიაში. რადგანაც პოლონელების კლუბსაც იგივე პრინციპები აქვს, ცენტრი მით უფრო მეტის გულმოდებით მუშაობს მასთან ერთად. ყველა აქ დამსწრეთ სურვილია, რომ ეს მეგობრული კავშირი შემ-დევშიაც დარჩეს“.

საპასუხო სიტყვაში თ. რაძივილმა მადლობა გადაუხადა ორატორს სადღეგრძელოსათვის და სთქვა, რომ ცენტრსა და პოლონელების კლუბს აერთებს ხანგრძლივი მეგობრობა. ამ უკანასკნელ დროს სცდილობენ ჩვენს წაჩერებასო, მაგრამ, იმედია, ეს ცდა უნაყოფოდ ჩაივლისო. არც ერთ ფაკტს ისე არ უტკენია გული ორატორისათვის, როგორც ცენტრსა და პოლონელებ შორის ჩამოვარდნილ გულ-გრილობას. მაგრამ მას იმედი აქვს, რომ ძველი მეგობრობა არ დაირღვევა და ორივე დასი ერთად განაგრძობს ბრძოლას სიმართლის, თავი-სუფლებისა და უფლებისათვის.

გერმანელი კლერიკალები, როგორც ფრანგებიც, ეხლა თავისუფლებისა და სიმართლის დამცველები გამოდიან მხო-ლოდ იმიტომ, რომ ცბიერობით მთავრობა ხელში იგდონ და შემდეგ ბოლო მოუღონ თავისუფლებასაც და უფლებასაც. კლერიკალებს თავისუფლება და უფლება მარტო თავისთვის სურთ; სხვები კი მათ კატეხისმის მიხედვით უნდა სცხოვრობ-დნენ და ფიქრობდნენ.



ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომ საზოგადოების დაწერილი ნაწილი, რომელიც მართლა ემსახურება თავისუფლებისა და უფლების განმტკიცების საქმეს, ყოველთვის ებრძის კლერიკალებს. და თუ პოლონელების კლუბს აქამდე კავშირი ჰქონია მასთან, ეს იმიტომ მოხდა, რომ, ჯერ ერთი, კათოლიკები პოლონელების ეროვნულ სარწმუნოებას იცავენ პრუსიაში გაბატონებულ მეომარ პროტესტანტისმის წინააღმდეგ და მეორეც პოლონელების კლუბი თვითონ რეტროგრადული და ნამდვილ თავისუფლება-უფლების წინააღმდეგია. თ. რაძივილი, კამერჰერი ცეკვოლსკი და ამათი დამქაშნი ისეთი ხალხია, რომ პოლონელ ხალხის ყოვლად უსამართლო დევნა და შევიწროება მათ სრულებით ხელს არ უშლის პრუსიის მთავრობასთან კარგ განწყობილებაში იყვნენ და მათგან ჩინები და ორდენები მიიღონ. იმას ვერ ვიტყვით, რომ ეს პირები მოკლებული იყვნენ ეროვნულ გრძნობას: ეს გრძნობა იმდენად ძლიერია ყოველ ადამიანში, რომ ერთი-ორი თუ გამოერევა ხალხში ისეთი მახინჯი, რომელსაც ეს გრძნობა აკლია. მაგრამ ამ „უგოდოვანც“-ებში ეს გრძნობა იმდენად ძლიერი არ არის, რომ პირდაპირ გაჭირვებულთა შეარეს გადავიდნენ და მათ რაზმში ჩამდგარნ მტერს მტრულად დაუხვდნენ. ამიტომაც არის, რომ პოლონელი დეპუტატების მოღვაწეობა პრუსიის ლანდტაგში ყოვლად უფერული და უღონოა.

მეორე მიზეზი პოლონელ დეპუტატების ულონობისა ცენტრთან კავშირია. ცენტრი, როგორც ნათქვამი იყო, იმდენათ ემხრობა პოლონელებს, რამდენათ პოლონელები კათოლიკებია. მაგრამ ამასთანავე ცენტრი გერმანული პარტიაა და, როგორც ეგეთი, იგი წინააღმდეგია პოლონელების ეროვნულ მისწავლებათა. რაძივილებსა და ცეკვოლსკებს, რომელთა ეროვნული იდეალი მეტად ვიწრო ფარგლისაა, ეს არ სჯეროდათ და ცენტრს ყოველთვის გვერდში უდგნენ.

თუ პოლონეთის ასეთ მამულის შვილებს ჭკუის სწავლა შეუძლიათ, ცენტრმა საუკეთესო მაგალითი მისცა მათ თავიანთ მეგობრულ განწყობალებისა პოლონელებისადმი.

სსენებულ ბანკეტის რამდენიმე დღის შემდევ პრუსის ჰემო პალატაში ცენტრის წარმომადგენელმა გრ. გენსბერხბა აღნიშნა ის გარემოება, რომ ვესტფალიის პოლონელ მუშებს შორის მეტად ვრცელდება სოციალისტური ქადაგება, და მორთხოვა, რომ მთავრობამ გაგზავნოს ამ მხარეში კათოლიკე მღვდლები და ჯამაგირი დაუნიშნოს მათ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალისტების პროპაგანდას. მაგრამ გრაფმა ამასთანავე მოითხოვა, რომ არას გზით მღვდლები პოლონელები არ იქნენ, რადგან ესენი იქ პოლონურ აგიტაციას გადაიტანენ. გრ. გენსბერხმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: „ჩვენ, გერმანელ კათოლიკებს, გვაერთებს პოლონელებთან ეკლესია, მაგრამ პოლიტიკაში კი მე აუცილებელ საჭიროებათ მიმაჩნია ჩვენი ინტერესების განცალკევება, სანამ პოლონელების პოლიტიკური გრძნობა ჩვენსას არ დაემზადება“.

დანარჩენი გერმანელები, რასაკვირველია, აღტაცებით მიეგებნენ ცენტრის წარმომადგენელის ასეთ განცხადებას.

ისწავლიან კი ჭკუას რაძივილები და ცეგოლსკები?

თ. რაძივილისა და მის ამხანაგების ებლანდელ მოქმედებაზე საინტერესო კორესპონდენციაა დაბეჭილი „რუსსკია ვედომოსტ“-ში. მოგვიავს ეს კორესპონდენცია ცოტა შემოკლებით: „ისე არაფრისათვის ვმადლობ შემოქმედს, როგორც იმისათვის, რომ მე დევნილთა მხარეს ვეკუთვნი და არა მდევნელებს“. ასეთი სიტყვები თავის დღეში არ გაუგონია პრუსის ზემოპალატის დარბაზს. პრეზიდენტ მანტეიფელმა შენიშვნა მისცა ამ სიტყვების მთქმელს.

ვინ არის ეს გაბედული ორატორი? რამდენიმე წლის წინად რომ ეწინასწარმეტყველებიათ მისთვის, რომ იგი ოდესმე ამისთანა სიტყვებს იტყოდა, ხუმრობად ან შეურაცხოფად მიიღებდა. პოლონელ არისტოკრატს კოსტუმსკის აღმირალსკი დაარქვეს, ისეთის გატაცებით იცავდა ვილპელმ მეორის პროექტს გერმანიის ფლოტის გაძლიერების შესახებ. ბევრი გაკვირვებული იყო კოსტუმსკის ასეთ უცნაურ ქცევით, თვითონ კოსტუმსკი კი დარწმუნებული იყო, რომ მეტად საზრიან



პოლიტიკას ადგია: ვიღებელმ მეორემ 90-იან წლებში ერთობ დაიახლოვა პოლონელი არისტოკრატები და კოსცელსკიც და მის თანამოზრებიც ამის მსურველი იყვნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ამ გზით თავიდან ააცდენდნენ პოზნანელ პოლონელებს ეროვნულ დევნას. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პრუსის მთავრობამ სრულებით არაფრად მიიჩნია პოლონელ არისტოკრატების პოლიტიკა და პოლონელებს სასტიკი დევნა დაუწყო. დევნამ, რასაკვირველია, ყველა დევნულების დაახლოება გამოიწვია: რადიკალები და არისტოკრატები და თვით ხალხი, ყველა გრძნობს, რომ ისინი ერთის ერთს შვილები არიან და რომ გერმანელები მათი საერთო მტერია. როცა პოლონელი მაგნატი თავადი ფერდინანდ რაძივილი ლაპარაკობდა პრუსის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ყველა გრძნობდა, რომ მასში ძლიერი ეროვნული ინსტიქტი მოქმედებდა. თ. რაძივილები სულ იმის ცდაში იყვნენ პოპენცოლერნებთან კარგი განწყობილება ჰქონდათ, მაგრამ შეუბრალებელმა დევნამ ამათაც-კი მოაგონა, რომ ისინი პირველად ყოვლისა პოლონელები არიან. „ჩვენ ერს თქვენ ვერ მოსპობთ, რაც უნდა გვკბინოთო“, უთხრა თავადმა გერმანელებს. თ. რაძივილი მტკიცე ხასიათის კაცია, იგი უბრალოდ გრძნობას არ გამოამუდავნებს, მაგრამ, როცა გერმანელებმა მიაძახეს—პოლონელებს პრუსიელ მუშტის სიძლიერე უნდა ვუჩვენოთო, ცრემლები მოადგა თვალებზე და გამწარებულმა სთქვა: „სამართლისა და სიმართლის ასეთი დამახინჯება ჩემს დღეში არ მინახავს“-ო. პრეზიდენტი რაძივილსაც შენიშვნას აძლევს.

რაძივილებს ერთი-ლა დარჩენიათ—უარპუნ თავიანთი შემცდარი პოლიტიკა, შეუერთდნენ ხალხს და ეროვნულ საქმისათვის თავდადებულ მებრძოლებს გვერდში ამოუდგნენ.



როგორც ყველა გმირები, ბელეროფონტიც ბედის-წერა  
რის მსხვერპლია: განმარტოვებული და ნაღვლიანი დადის.  
იგი ისჯება მისთვის, რომ მოინდომა თავის ფრთიან მე-  
რანით ციურ სადგომებამდე ასვლა; ამ კადნიერებით გაბრაზე-  
ბულმა ძევსმა ესროლა მას მეხი და ძირს ჩამოაგდო (პინდა-  
რი).

**5. თების მეფის ედიპოსის თავგადასხვადი.** ცოდვის გამო-  
სყვიდვის აზრი, შურის მაძიებელი ბედის-წერა, რომელიც ეგრე  
სასტიკდა სჯის გმირებს ყოველ დანაშაულისათვის, ისე ცხადად  
და საგრძნობლად არსად არ არის გამოხატული, როგორც  
ედიპის ისტორიაში. არასოდეს არ მომხდარა საბერძნეთის მო-  
ლიმარე ცის ქვეშ ასეთი შავბნელი დრამა. ედიპოსი თების მე-  
ფის ლაიონის და ოკეასტის შვილია, დაბადებილანვე აღ-  
ნიშნული ბედის-წერის ბეჭდით. ერთმა მისანმა იწინასწარმე-  
ტყველა, რომ ედიპოსი თავის მამის მკვლელი შეიქნება. შე-  
შინებული ლაიონი კითერონზე დააგდებინებს თავის ჩვილ შვილს.  
აქ იგი ნახა ერთმა მწყემსმა და წაიყვანა კორინთის მეფის სასა-  
ხლეში, სადაც იგი გაიზარდა როგორც ნამდვილი შვილი მა-  
მობილისა. ედიპი დარწმუნებული იყო, რომ კორინთის  
მეფის შვილია. მაგრამ ბედის-წერამ მაინც თავისი გაიტანა. აქ  
დავუთმოთ სიტყვა თვით ედიპს, რომელიც სოფოკლესის უშე-  
სანიშნავესს დრამაში — „მეფე-ედიპოსი“ — ეგრე მოგვითხრობს თა-  
ვის უბედურ თავგადასავალს.

„ერთ ლხინის დროს ერთმა დამთვრალმა მიწვევულთაგან-  
მა მითხრა, რომ მე კორინთის მეფის შვილი არა ვარ. ამ შე-  
ურაცხყოფამ მეტის-მეტად გამაბრაზა და საღამომდის ძლივს  
შევიმაგრე თავი. მეორე დღეს დედ-მამისაკენ წავედი და ვკი-  
თხე, თუ რას ნიშნავდა იმ კაცის ნათქვამი. ისინიც საშინლად  
ჯავრობდნენ ჩემ შეურაცხმყოფელზე და ამითი დამამშვიდეს.  
მაგრამ გული მაინც დაჯერებული არ მქონდა და მშობლების  
ჩუმად დელფის მისნისაკენ გავსწიე. მისანმა ჩემ კითხვებზე  
არაფერი პასუხი არ მომცა, სამაგიეროდ შესაზარი რამ შემა-  
ტყობინა: მე უნდა გავმხდარიყავ მამის მკვლელი, დედის ცო-  
5



ლად შემრთველი და ჩემი ჩამომავლობა ყველასათვის საძულველი უნდა გამხდარიყო. ამ სიტყვების მოსმენისათანავე მე მოვშორდი კორინთის სამეფოს და გავსწიე შორს, რათა არ ასრულებულიყო მისნის საშინელი წინასწავლებულება!“

აი აქ იჩენს თავს ბედის-წერის სასოწარმკვეთი ძალა ერთის მხრივ და ადამიანის გონიერების ამაოება და მისი ნების სრული უძლურება, მეორე მხრივ! მართლაც: ლაიონს უნდოდა შვილის დაღუპვა და ვერ მიაღწია თავისს მიზანს; ედიპოსი გარბის კორინთიდან, რათა არ ასრულდეს მისნის წინასწარმეტყველება, და ის კი არ იცის, რომ თითოეული მისი ნაბიჯი, რომელიც მას კორინთს აშორებს, უახლოვებს ბედის-წერის აღსრულებას. ერთ გზა-ჯვარედინზე იგი შეხვდება ეტლით მომავალ უცნობ მოხუცს. მეეტლე და მოხუცი უზრდელად ეპყრობიან ედიპოსს და უნდათ გზიდან ჩამოაყენონ იგი; ედიპოსი წინააღმდეგობას უწევს მათ, სცემს მეეტლეს და როცა მოხუცის მათრახი მოხვდება, ჰკლავს მას. ეს უცნობი მოხუცი მისი მამა ლაიონია; ამ გვარად წინასწარმეტყველება ნახევრად ასრულდა; ეხლა მხოლოდ ის დარჩა, რომ ედიპოსი დედის ქმარი გახდეს და შემდეგ გამოიყიდოს ეს ორი ცოდვა, რომელიც მან ჩაიდინა, მაგრამ რომელთა ჩადენაში თვითონ უბრალოა. ედიპოსი განაგრძობს გზავრობას და მოდის თებაში, სადაც სწორედ ამ დროს გამოჩენილიყო რაღაც საშინელი ცხოველი სფინქსი: სახე ქალისა ჰქონდა, ფრთები ფრინველისა, ტანი და კუდი კი ლომის. ეს საშინელება დამდგარი იყო ფიკიონის მთაზე, აძლევდა გამოცანებს თებელებს და ვინც ვერ გამოიცნობდა, სჭამდა. ახალგაზრდა და გაბედული ედიპოსი მიდის ამ სფინქსთან და ელის კითხვას. „რა არსებაა ის არსება, რომელსაც ჯერ ოთხი ფეხი აქვს, შემდეგ ორი და ბოლოს სამი?“ ეკითხება სფინქსი. „ეს არსება აღმიანია, უპასუხებს ედიპოსი; პატარაობისას იგი ოთხ ფეხზე დადის; როცა დავაუკაცდები ორ ფეხს ხმარობს და სიბერის დროს მესამე ფეხად ჯოხს ხმარობს!“ დამარცხებული სფინქსი გადაიკარგება თების მიღამოებიდან, ედიპოსი კი მახვილგონიერებისა და მამაცობისათვის თების მეფედ ხდება და ირთავს

დაქვრივებულ იოკასტას. რა იცის უბედურმა, რომ იოკასტა  
მისი დედაა. ამ გვარად გმირის დიდ-სულოვნობა და ღვაწლი  
მასვე ღუპავს. ცოდვების გამოსყიდვის დროც მოახლოვდა: ღმერ-  
თები გზავნიან თებაში შავ ჭირს, რომელიც მუსრს ავლებს კადმის  
ქალაქს. არა თუ ადამიანები, საქონლის ჯოვები და ხეხილიც კი  
როგვებოდა. ქალაქი დაცალიერდა და შავი ჰადესი გამდიდრდა  
თებელების ოხვრითა და ცრემლით. ამ შავიჭირის აწერით  
იწყება სოფოკლესის ტრაგედია-მეფე-ედიპოსი. ძევსის მთავარი  
ქურუმი, სხვა ქურუმები, ბავშვებიც კი მოდიან ედიპოსის სასახ-  
ლეში და საკურთხევლის წინ გართხმულნი შეჰვედრიან ღმერ-  
თებს ხსნას. ედიპოსის გული სიბრალულით ივსება და ერთხელ  
კიდევ ეს კეთილშობილური გრძნობა აჩქარებს მის დაღუპვას:  
ბედის-წერის მსხვერპლი როგორც სასაკლაო ცხვარი, თავს  
ვერ იხსნის მის კრანქებისაგან. ედიპოსი მიმართავს აპოლონის  
მისანს და ღმერთი უპასუხებს, რომ მიზეზი ღმერთების რის-  
ხვისა ლაიოსის მკვლელობა არისო. ედიპოსი რომელმაც ჯერ  
არ იცის თუ თვითონ არის მკვლელი, საშინელ წყევა-კრულ-  
ვას უგზავნის მას და ეს წყევა-კრულვა მასვე უბრუნდება,  
როდესაც იგი იგებს მისან ტირეზიასაგან, რომ დამნაშავე  
თვითონ იგია. საბრალო ედიპოსი — მამის მკვლელი და დედის  
ქმარი — გონებას ჰყარგავს, იოკასტა თავს იქლავს; ამდენ უბე-  
დურების მიზეზი გმირი გლეჯს იოკასტას მოსახურავს ოქროს  
შესაკრავს და მითი თვალებს ითხრის. „ისინი ვეღარ დაინახვენ  
ვერც ჩემ უბედურებას და ვერც ჩემ ჩანადენს, ამბობს უბე-  
დური ედიპოსი, ბნელით მოცულნი ვერ დაინახვენ ვერც იმათ,  
ვიც მძულს და მეზარება, და ვერც იმათ, ვისიც დანახვა მესია-  
მოვნება“.

ყველასაგან შეჩვენებული, ხალხის ზიზლის სიმძიმის ქვეშ  
ქედ-მოხრილი ედიპოსი, ბრძა და დაგლახვებული შორდება  
თებას. მაგრამ ბერძნთა ფანტაზიამ ადგილი მისცა ამ საშინელ  
დრამაში ერთ გულის მოსაფონებელ ეპიზოდს. ედიპოსი მარ-  
ტო არ არის: ნაზ ხელს უკავია მისი ხელი, მზრუნველი თვა-  
ლები მხედველობენ მის მაგიერ და აშორებენ უსწორ-მასწორ

გზასა და ქვას. მამის უბედურების მონაწილე გახდა წეტაში, ანტიგონა, უწმინდესი და უნაზესი ქალის ტიპი იმ ტიპთა შორის, რომელიც კი ბერძნულ ლეგენდას შეუქმნია. სოციკლესის მეორე ტრაგედიაში—ედიპოსი კოლონაში—მოთხოვილია უბედურის ბოლო: საშინელი დამნაშავე მოხუცი და უმწიკვლო ბავშვი მოდიან ათინის ტერიტორიაზე; აქ, ევმენიდების წმინდა ტყეში, თეზეოსის თანადასწრებით და თავის ორის შვილის დწყევლის შემდეგ, ჰერება იგი ელვა-გრგვინვში.

**6. გადამტერებული შეგება და შევიდნი თებას წინ.** აქ დრამა უნდა გათავებულიყო, მაგრამ ბედის-წერა მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, როცა არც ერთი ედიპოსის ჩამომავალი არ იქნება ქვეყანაზედ. გმირის ორი შვილი მამის მემკვიდრეობაზედ ცილობენ. გამარჯვებული ეთეოკლესი რჩება და მეფობს თებაში; პოლინიკი გარბის არგოსის მეფე ადრასტან, ცოლადირთავს მის ქალს და სიმამრს ძმასთან ბრძოლაში ჩაიტრევს. შეგროვდა შვიდი მთავარი და გასწიეს თების წინააღმდეგ, სადაც ისინი გამოიჩენენ პირვანდელ ადამიანის ველურობას და სიმხეცეს; აი როგორ აგვიწერს ესხილოსი ამ ომს ერთ თავის ტრაგედიაში: „შვიდნი მთავარნი, ფიცხელი მეომარნი, ჰკულავენ სამსხვერპლო ხარს; მსხვერპლის სისხლი უავ ფარში ჩაასხეს; ყველამ ჩაჰყო შიგ ხელი, ყველა ფიცავს არესის, ბელლონას (არესის და) და ულეტის მოყვარულ ტერორს“ ის (საშინელება) სახელებს: ან ქვა-ქვაზედ არ დარჩება კადმის ქალაქში ან და თვითონ დაიღუპებიან და მორწყავენ თავიანთ სისხლით თების ნიადაგს“.

ბრაზორეული მხედართმთავარნი იერიშს იწყებენ. თათეულ მათგანს თავისი ადგილი აქვს მიჩნილი. საშინელი ტიდეოსი შიშის ზარსა ჰგვრიდა ყველას თავის ჩაფხუტის სქელთმიან ჯილით და ზარებიანის თარით; სასიკვდილოდ დაჭრილსაც კი იმდენი მხეცური ძალა შერჩენოდა, რომ ერთ-ერთ თავის მოპირდაპირეს თავის ქალა გაუღლრნა. გამხეცებული კაპანეოსი ლანძღვით იხსენიებდა ღმერთებს და როდესაც მეხი დაეცა, სიკვდილის უაშაც კი საშინლად გმობდა მათ. თითქოს სურათის დასას-

რულებლად, ეთეოკლესი მმას იწვევს საბრძოლველად. „შეზრის  
ძრწოლა მოგვდის, ამბობს ტრაგედიაში ხორო, დამხობის ქალ-  
ღმერთმა, რომელსაც სხვა ღმერთებთან საერთო არა აქვს-რა,  
გავაგონა თავისი ხმა. ეს სასტიკი, შეუბრალებელი და აუცი-  
ლებელ უბედურების მომავლინებელი ფურიაა; ეს ერინიაა,  
რომელსაც მოუწოდა ჯავრით დაბრმავებულმა მამამ (ედიპოსმა)  
და რომელიც შურისძიების შესრულებას იჩქარის. ედიპოსის შვი-  
ლები სიკვდილისაკენ მიისწრაფიან“. ერთმანერთის სიძულილით  
მთვრალი ძმები ეცნენ ერთმანერთს და ორივე დაიღუპა. ჯერ  
კიდევ არ გათავებულა ეს უბედურებით აღსავსე ისტორია;  
ათის წლის შემდევ დალუბულ შვიდ-მთავართა შვილებმა, ეპი-  
გონებმა, თავიანთ მამების სისხლი აიღეს ქ. თების აოხრებით.  
ღმერთების შურის ძიება და კმაყოფილებული იქმნა და ბედის-  
წერის დადგენილება აღსრულებული.

7. ბერძენთა საერთო ექსპედიციები. არგონიაგრების მო-  
გზაურებაა. აქრის მაცუდასანი ცხვარი. ააზონი და მედე. საბერძნეთის პირვანდელი გმირები უფრო ხშირად თვის-თვისად  
მოქმედებდნენ; შემდეგ ხანის გმირები კი ერთად მოქმედებას  
ამჯობინებენ, რაღაც ცალ-ცალკე მათი ძალა სუსტია. ერ-  
თი მაგალითი ამ გვარ საერთო მოქმედებისა ჩვენ კიდევ ვნა-  
ხეთ: ეს იყო შვიდ-მთავართა გალაშქრება თების წინააღმდეგ.  
მეორე მაგალითი არგონიაგრების მოგზაურობაა.

არგონიაგრების ექსპედიცია პირველი მაგალითია ზღვით  
შორს მოგზაურობისა. იგი გვიმტკიცებს, რომ მომხიბლველ  
და საიდუმლოებით აღსავსე ზღვას ცნობის-მოყვარეობა გაუ-  
ლიდებია ბერძენთა შორის. ამ ლეგენდაში ბერძნებმა თავისე-  
ბურად წარმოგვიდგინეს პირველი მათი ცდა გემებით შორს  
გამგზავრებისა. ექსპედიციის მიზანი იყო—დაბრუნება ოქროს  
მატყლისა, რომელიც კოლხიდის მეფეს აეტეს ჩაგარდნოდა  
ხელში და რომლის დარაჯობა ფრთხილ ვეშაპს ჰქონდა მინ-  
დობილი. ეს ოქროს მატყლი ესხა ერთ ვერძს, რომლის მსგავ-  
სი ეხლა აღარ მოიპოვება: მას აღამიანის ენა ჰქონდა და ფრე-  
ნა შეეძლო. ეს საკვირველი ვერძი აჩუქა ჰერმესმა ორხომენის

(ბეოტიაში) მეფის ათამასის ცოლს. ერთის მისნის წინასწარმეტყველების გამო ათამასმა განიზრახა თავის შვილის ფრიქსის მოკვლა. დედამ გაუგო ეს განზრახვა, შესვა ვერძე ფრიქსი, უკან პატარა და ჰელა მოუსვა და ვერძეს წასვლა უბრძანა. ვერძი აფრინდა ჰაერში და აღმოსავლეთისაკენ გასწია. პატარა მხედრები მაღვე დამშვიდდნენ და სიამოვნებით და ცნობის-მოყვარეობით ათვალიერებდნენ მათ ფეხ ქვეშ გაფენილ სურათს. საუბედუროდ პატარა ჰელა ძირს ჩამოვარდა და დაიღუპა სწორედ იმ დროს, როცა გადადიოდნენ ეგვის ზღვისა და პროპონტიდის შემაერთებელ სრუტეს, რომელსაც საბრალო ქალის სახელი დაერქვა შემდეგში (ჰელესპონტი—ჰელის ზღვა). მარტოდ დარჩენილი ფრიქსი კოლხიდაში მივიდა, დაჰკულა ვერძი (როგორც ვხედავთ მეტად ცუდად დაჯილდოვებული თავის სამსიხურისათვის) და ოქროს მატყლი მისცა კოლხიდის მეფეს, რომლის სიძე იგი შეიქნა.

არგონავტების ლეგენდა იწყება ამ მომენტიდან. უნდა წაერთვას ბარბაროსებს ის საუნჯე, რომელიც წინად ბერძნების საკუთრება იყო. ამ საქმის შესრულება იტვირთა მეფის ჰელიასის ძმისწულმა თესალიელმა იაზონმა. ჰელიასი მეფე იყო, მაგრამ ერთობ ეშინოდა სამეფოს დაკარგვისა. როგორც ჩვეულება იყო, ჰელიასი დაეკითხა მისანს თავის მეფობის ხანგრძლივობის შესახებ. „უფრთხილდი ცალ-ქალამნიან კაცსაო“, ურჩია მისანმა. სწორედ ამ ცოტა გაუგებარ რჩევის შემდეგ ჰელიასთან მოვიდა იაზონი სწორედ ცალის ქალამნით, რადგანაც მეორე წყალზე გადასვლის დროს დაჰკარგოდა. ჰელიასმა მიმართა იაზონს შემდეგის კითხვით: „რას იზამდი, რომ შენთვის ეწინასწარმეტყველებიათ: ელოდე სიკვდილს შენის ნათესავისაგანო“. — ოქროს მატყლის საძებრად გავგზავნიდიო, უპასუხა იაზონმა, და ამ გვარად თავისი ბედი თვითონვე გადასწყვიტა. ჰელიასი ტახტის დათმობას დაჰპირდა იაზონს, როგორც კი იგი ძვირფასის საუნჯით დაბრუნდებოდა სახლში. ახალგაზდა იაზონი სიამოვნებით დასთანახდმა წინადადებას და შეუდგა სამზადისს; მოიწვია საბერძნეთის საუკეთესო მეორე-

ბი—ჰერკულესი, თეზეოსი, ტელამონი, ჰელეოსი, კასტონი და პოლუქესი, მელეაგრი, ამფიარაოსი, განთქმული და მკერელი ორფეოსი, ესკულაპი, ლაერტოსი და ბეკრი სხვანი, რომელთა ჩამოთვლა ერთობ ძნელია, რაღაც არ დარჩენილა საბერძნეთში ისეთი ქალაქი, რომ თავისი გმირი არ მოეთავსებიოს არგონავტების სიაში; ჩასხდნენ გემში, რომელსაც სახელიად არგო ერქვა, და გაემგზავრნენ. გაიარეს ლემნოსი, ევროპასა და აზიას შუა მდებარე სრუტეები, პონტ-ევქსინის (შავი ზღვა) შესავალი, სადაც ბედნიერათ გადურჩნენ სიმპლეგადის კლდეებს, რომელნიც ისეთის სისწრაფით ეჯახებიან და შორდებიან ერთმანეთს, რომ ჩიტაც კი გაუჭირდება უხიფათოდ მათ შორის გაფრენა. შემდეგ გასცურეს შავი ზღვა და მიადგნენ ფაზისის შესართავს, კოლხიდის სამეფოში. ექსპედიციის მიზნის შესრულების სიძნელე აქ იჩენს თავს.

როდესაც იაზონმა მოსთხოვა კოლხიდის მეფეს ოქროს მატყულის დაბრუნება, ეატესი იმითი ფიქრობდა მის თავიდან მოშორებას, რომ ძნელად ასასრულებელ პირობებს უდებდა. მაგ. გმირს უნდა გაეხედნა ორი სპილენძ-ფეხებიანი და ცეცხლის მფრქვეველი ხარი, დაეხნა მათის საშუალებით არესის მინდორი და დაეთესა ვეშაპის კბილები. იაზონმა იკისრა ამ პირობების შესრულება და დაილუპებოდა კიდეც, რომ მას არ დახმარებოდა მეფის ქალი მშვენიერი მედეა, რომელიც შესანიშნავი მისანი იყო. მედეამ გახადა იაზონის სხეული იარაღის მიუკარებელი, დაეხმარა გმირს ხარების გახედნაში, ვეშაპის კბილებიდან ამოსული მეომრები მოაშორებინა თავიდან იმ საშუალებით, რომელიც ერთ დროს კადმოსმა იხმარა იმავე მიზნისათვის და საძილო წამლით დააძინა მოდარაჯე ვეშაპი. ეხლა ადვილი შეიქნა იაზონის წადილის ასრულება: სიჩქარით დაავლო ხელი ოქროს მატყულს, მედეაც თან წამოიყვანა და გამოსწია საბერძნეთისაკენ. მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის მშვიდობიანად საქმის გათავება. მედეამ მდევართა შესაჩერებლად ნაკუშ-ნაკუშად დასჭრა თავის პატარა ძმა და ეს ნაჭრები გზა-გზა დააბნა, რათა მათ თავის მოყრაში



მდევრბეს დრო დაეკარგათ. ამ საშინელ საქმის ჩადენით მეტად დემ ბევრი ახალი განსაცდელი გაუჩინა თავის თავსაც და თანამოგზაურებსაც. ბევრი იხტიალეს იაზონმა და მისმა ამხანაგებმა და ბევრის გასაჭირის შემდეგ დაბრუნდნენ სახლში. მაგრამ ჯერ კიდევ საქმარისად არ გამოუყიდნიათ ჩადენილი ავკაცობა. მედემ, რომელიც იაზონის ცოლი, გახდა, გაიგო, რომ მისი ქმარი სხვა ქალის შერთვას აპირებდა. იქვიანობით და სიბრაზით გონება დაკარგულმა კოლხიდელმა ქალმა მოჰკლა თავის მეტოქე ქალი, დაჰკლა საკუთარი შვილები, რომელნიც იაზონისაგან ჰყავდა, და გაიქცა ეტლით, რომელშიაც ფრთიანი ვეშაპები ჰყავდა გაბმული.

8. ბერძენ-ტრაინეფთა ომის დეგენდა: მნიშვნელობა ამ დეგენდისა სელეგნებისათვას. ყველა აქმდე მოთხრობილი ამბები ფანტასტიურია, და თუ რომელიმე მათგანს ნამდვილად მომხდარი რამ უდევს სარჩულად, მისი ეხლა გამოცნობა ყოვლად შეუძლებელია, რაღვანაც იგი მეტად მოქარგულ-გამშვენიერებულია ზღაპრულ ეპიზოდებით. რას არ შეხვდება კაცი ამ ლეგენდებში: არა ჩევეულებრივ ძალის პატრონ გოლიათებს, შესანიშნავ მისნებს, მოლაპარაკე უსულო საგნებს, საკირველ ფორმის ცხოველებს, რომელნიც წასულ ხანის მოგონებანი უნდა იყვნენ. მთელი ეს საკირველი და სასწაულებრივი ქვეყანა, სადაც ყოველ წაში ბუნების კანონი ირლვევა, სადაც ყოვლად შეუძლებელი იდვილათ ასასრულებელი გამხდარა, ხიბლავდა ჯერ კიდევ ასაკში არ-მოსულ ბერძნის ხალხს. ბერძენ-ტრაინელთა ომით ახალი ხანა უნდა იწყებოდეს; აქ ისტორიულ სინამდვილესთან ახლო უნდა ვიყოთ. ეს უშველებელი ეპოპეაც ლეგენდაა; ლეროები აქაც ჩამოდიან ციდან და იღებენ ყოველ-გვარ მონაწილეობას ადამიანების საქმეებში; მაგრამ ლეგენდასთან ისტორიაც არის: ტრაი ნამდვილად არსებობდა; ისიც საფიქრებელია, რომ იგი მართლა ბერძნებმა დაანგრიეს, და ამ შემთხვევაში შესაძლებელია მივიღოთ თუკიდიდეს აზრი, რომელიც ამბობს, რომ ტრაია აღება პირველი საქმეა, რომელიც ბერძენთა საუკეთესო თემე-



გმა ერთად შეასრულესო. \*) როგორის აზრისაც უნდა ვიყვაროთ, ერთი გმრემოებაა ცხადზე უცხადესი: ბერძენ-ტროანელთა ომიანობამ თავის ურიცხვ ეპიზოდებით და მოულოდნელ შემთხვევებით, როგორც მაგ. ტროას ათის წლის ალყა (გარემოცვა), ქალაქის აღება, სამშობლოდან გაქცეულ ტროანელების და სამშობლოში მიმავალ ბერძენების თავგადასავალი და სხვა, მეტად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. რამდენი უკვდავი ხელოვნური ნაწარმოები, გარდა ილიადისა და ოდისეისა, მომდინარეობს ამ მდიდარ და დაუშრეტელ წყაროდან! ამიტომაც ბერძენ-ტროანელთა ომს თავის მიზეზებით და შედეგებით აღილი უნდა ჰქონდეს საბერძნეთის ისტორიის შესავალში; ამიტომაც საკიროა მისი ცოდნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთვის გაუგებარი დარჩება საუკეთესო ხელოვნური ნაწარმოებნი, რომელიც ამ ლეგენდის ნიაღაზედ აღმოცენდნენ.

ერთ დროს ფრიგიაში იყო მეფე ტანტალოსი, მეტად მდიდარი და მასთან ბედნიერიც. ღმერთებსაც ძალიან უყვარდათ იგი და ხშირად ესტუმრებოდნენ კიდეც. ერთ ამისთანა დღეს ტანტალოსს მოუვიდა კადნიერი სურვილი-გაეგო, თუ საღამდის მიღიოდა ღმერთების გემოვნების სიმახვილე. ამ მიზნისათვის მან დაჰკლა საკუთარი შვილი ჰელოპსი და ხელოვნურად მომზადებული ღმერთებს მოართვა. რასაკვირველია, ღმერთები კბილის პირველ შეხებისათანავე მიხვდნენ მას-პინძლის საშინელ დაცინვას; მხოლოდ მარტო დემეტრამ, რომელსაც გონება დაბნეული ჰქონდა შვილის დაკარგვით შესჭამა მხრის ნაჯერი. შეურაცხყოფილი ღმერთები მაშინვე წამოდგნენ სუფრიდან და გააცოცხლეს ჰელოპსი, რომელსაც შექმულ მხარის მაგიერ სილოს ძვალი გაუკეთეს.

\*) შლიმანმა არქეოლოგიურად გამოიკვლია ის ადგილი, სადაც ძველი ტროა იყო (სოფ. ისარლიკის ახლო) და ნახა სხვა და სხვა დროს ერთი ერთმანერთზე ნაშენი ქალაქები. მისის აზრით უძველესი ხანის ნანგრევები პრიამის დროის ტროა უნდა იყოს. ეს აზრი საეჭვოდ არის მიაჩნდული.



ტანტალოსმა კი დამსახურებული სასჯელი მიიღო: იგი ჩამართავდა  
 დეს ჯოჯოხეთში და ჩააყენეს ყელამდე წყალში, რომელსაც  
 მშვენიერ ხეხილიანი ხეები ჩრდილავდნენ; როგორც კი ტან-  
 ტალოსი დაიხრებოდა წყლის დასალევად, წყალიც დაიწევდა;  
 როგორც ხილის მოკრეფას დააპირებდა, ხის ტოტები ზევით  
 აიწეოდნენ. პელოპსი საბერძნეთში გადასახლდა. ამ დროს  
 პიზაში (ოლიმპიის ახლო) მეფობდა ენომაოსი, მამა მშვენიერ  
 ჰიპოდამიასი. ერთის მისნის წინასწარმეტყველებით, ენომაოსი  
 უნდა გამხდარიყო თავის სიძის მსხვერპლი და ამიტომაც იგი  
 სცდილობდა ქალი არ გაეთხოვებინა. მეფემ გამოაცხადა, რომ  
 მხოლოდ ის შეიქნება ჰიპოდამიას ქმარი, ვისიც ეტლი მის  
 ეტლს გაუსწრობს; დოლის მანძილი იყო ძევსის ტაძრიდან  
 ოლიმპიაში პოსეიდონის ტაძრამდე კორინთის ყელზე. ენო-  
 მაოსს სრული იმედი ჰქონდა თავის ცხენების საკვირველ სის-  
 ტრაფისა და მეეტლე მირტილოსის სიმარჯვისა. დამარცხებულ  
 სასიძოს მეფე შეუბრალებლად ჰკლავდა თავის შუბით. პელოპსი  
 არ შეუშინდა თავის წინამორბედების ბედს და განაცხადა  
 სურვილი ჰიპოდამიას შერთვისა. პოსეიდონმა, რომელთანაც  
 ახალგაზდა გმირი შეხვეწილი იყო, მისცა მას ოქროს ეტლი  
 და დაუღალავ-ფეხებიანი მარდი ცხენები. გარდა ამისა, შეყვა-  
 რებულმა ჰიპოდამიამ შეისყიდა მეეტლე მირტილოსი, რომელმაც  
 გამგზავრების წინ ხრახნილები (ვინტები) დააძრო ეტლს. რასა-  
 კვირველია, დახსნილი ეტლი მაღლ სრულებით დაინგრა, ენო-  
 მაოსი გადმოვარდა და მოკვდა; გამარჯვებულმა პელოპსმა კი  
 ჰიპოდამია შეირთო. მეეტლე მირტილოსმა, რომელიც ჯილ-  
 დოს მოელოდა თავის სამსახურისათვის, მაღლ გაიგო, რომ  
 ყოველი მოღალატე თავისზე უარსს მოღალატეს შეხვდება:  
 პელოპსის ბრძანებით, იგი გადაისროლეს ზღვაში, რომელსაც  
 მისი სახელი დაერქვა. სიკვდილის წინ იგი შეევედრა თავის მამას  
 ჰერმესს, მის დამღუპველისათვის მაგიერი გადაეხადნა. მამაშ  
 შეისმინა შვილის ვედრება და შურის მაძიებელი ფურიები  
 მიუსია პელოპსის მოდგმას, რომელსაც ტანტალოსის ჯერ კიდევ  
 გაზოუსყიდველი ავკაცია ემართა. როგორც ედიპოსის ლეგენ-

დაში, ისე აქაც ბედის-წერა სდევნის პელოპსის ოჯახს და მას უკარისი გადასაცემას მას, სანამ იგი სრულებით არ ამოწყდა. პელოპსის ორი შვილი ჰყავდა—ატრეოსი და თიესტოსი; მათ შორის საშინელი მძულვარება არსებობდა. თიესტოსმა მოპარა ატრეოსს ოქროს ბატყანი, რომელიც მას ჰერმესმა აჩუქა; სამაგიეროდ ატრეოსი, შერიგების გამო მომხდარ წვეულების დროს, გაუმასპინძლდა ძმას თავის შვილების ხორცით. თიესტოსი წამოვარდება სუფრიდან, წინამდებრივ მაგიდას გადააბრუნებს და წარმოსთქვამს უსაშინელესს წყევა-კრულვას. „ამ გვარადო, ამბობს ესხილოსი, ავკაცობას ავკაცობა მოსდევს, მკვლელობა მკვლელობით ისჯება, სისხლი სისხლით“. მტრობა და შურისძიება გაძლიერდა პელოპსის მოდგმაში. თიესტოსის შვილი ეგისთოსი, რომელიც ერთიღა გადარჩენოდა სიკვდილს, ჰკლავს ატრეოსის შვილს აგამემნოს; სამაგიეროდ აგამემნონის შვილი ორესტოსი მამის სისხლს იძიება და ჰკლავს ეგისთოსს. მაგრამ სანამ ეს საშინელი ამბები მოხდებოდა, ბევრი მწარე განსაცდელი ნახა ამ უბედურმა მოდგმამ; ამასთანავე დრამის ასპარეზი ვრცელდება და ბოლოს იგი მთელ საბერძნეს მოედება. ატრეოსის ორმა შვილმა—აგამემნონმა, რომელიც მიკენის მეფე იყო, და მენელაოსმა, რომელიც სპარტაში მეფობდა, ცოლებად შეირთეს, თვისდა საუბედუროთ, ტინდაროსისა და ლედას ქალები. აგამენონის ცოლი იყო კლიტემნესტრა; ამან მოკულა თავისი ქმარი, როგორც კი იგი ტროადან დაბრუნდა; მენელაოსის ცოლი მშვენიერი ელენე გაიტაცა ტროას მეფის პრიაშოსის შვილმა პარისმა, რომელსაც აგრეთვე ალექსანდრესაც ეძახოდნენ. ეს ის პარისია, რომელიც ჰერამ, ათინამ და აფროდიტამ ამოირჩიეს იდის მთაზედ იმის მსაჯულად, თუ ვინ უფრო ლამაზია მათ შორის. ნებით გაყვა ელენე პარისს, თუ ძალით იყო წაყვანილი, არავინ იცის. სპარტაში დიდხანს უჩვენებდნენ ერთ ადგილს, საღაც ელენე უნდა ცდილიყოს პარისის ხელიდან გამოსხლეტას და საღაც მას ქალამანი უნდა დავარდნოდეს. მენელაოსი მშვიდობიანობის მოყვარე კაცი იყო და ამიტომ, შეიძლება, უდავიდარაბოთ გადაეტანა ეს

შეურაცხყოფა, მაგრამ თავმოყვარე აგამემნონმა პირად შეურაცხყოფად მიიღო რძლის მოტაცება. თავი მოუყარა ყველა იმათ, რომელთაც ერთ დროს უნდოდათ ელენეს შერთვა, გაახსენა მათ ფიცი, რომელიც მათ დასდვეს — მეგობრები და მცველები შევიქნებით იმისი, ვისაც ელენე ქმრად აირჩევსო, და ზედ თავისი გავლენიანი ხმაც დაუმატა. ზოგიერთი ღმერთებიც კი, განსაკუთრებით ჰერა, ეხმარებოდნენ აგამემნონს ბერძნების ამგვარად შეგულიანებაში. ეს ის ღმერთები იყვნენ, რომელთაც რამე მიხეზის გამო მტრობა ჰქონდათ ტროანელებისა. ამ გვარად აგამემნონმა თავი მოუყარა ავლიდაში (ბეოტია) დიდ ჯარსა და ფლოტს. ჯარის მეთაურ გმირების სახელი, ჰომიროსის წყალობით, ჯერაც არ წარხოცილან ადამიანთა მახსოვრობიდან. უმთავრესი მათგანი იყვნენ: მეფეთ-მეფე აგამემნონი და მისი ძმა მენელაოსი, ტიდეოსის შვილი დიომედოსი, ორი აიაქსი, იდომენეოს კრიტელი, ბრძენი ნესტორი, რომელიც მეოთხე მოდგმის მომსწრე იყო, პატროკლოსი, ფილოკტეტესი, ჰერკულესის მშვილდისრის პატრონი მემკვიდრეობით, პალამედესი, მაქაონი და პოდალირი, ყველაზე უმა-მაცესი და უმარდესი აქილესი, მირმიდონელთა მეფე და შვილი თეტიდისა და პელეოსისა, ცბიერი მეფე იტაკისა-ულისი (ოდისევსი), რომელიც თავის ხერხიანის ჭკუით და ნაკლებად ფაქიზ სინიდისით ბერძნის პრაკტიკულ ნიჭის წარმომადგენელია. დიდხანს უცდიდა ავლიდაში ბერძენთა ჯარი მარჯვე ქარის ამოსვლას. ბოლოს აგამემნონი იძულებული შეიქნა არტემიდის რისხვის დასამშვიდებლად შეეწირა მსხვერპლად თავის საკუთარი ქალი ითვივნია. როგორც იქნა, ბერძენთა ფლოტი დაიძრა და მშვიდობით მიადგა ტროას ნაპირებს. ტროას დამცველები იყვნენ პრიამოსის შვილები, რომელთა შორის ბრწყინვადა დიდ-სულოვანი ჰეკტორი.

მთელი ათი წელი იდგნენ პირის-პირ ეს ორი ხალხი. ბერძნები სცდილობდნენ ქალაქის აღებას, ტროანელები ეძებდნენ მარჯვე შემთხვევას, გამოსულიყვნენ ქალაქიდან და ძალზე შეეწუხებინათ ბერძნები. ტროას გარემოცვა

არ იყო ნამდვილი ალყის შემორტყმა; ეს სამხედრო ხელოვანება ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო; ამიტომაც ტროას ხშირად მოდიოდა გარედან დახმარება. ეს გაუთავებელი ბრძოლა მეტად მდიდარია ეპიზოდებით, რომელებშიაც შესანიშნავ მამაცობას იჩენდნენ რიგ-რიგზე ბერძნები და ტროანელები. ამ ეპიზოდებში ყველაზედ ცნობილი და სახელ-განთქმულია ის ეპიზოდი, რომელიც იღიადის სიუჟეტი შეიქნა აქილესი, განრისხებული აგამემნონზე, რომელმაც მას ტყვე ქალი ბრიზეიდა წართვა, ბრძოლის თავს ანგებს და მეთაურების უთანხმოების მსხვერპლი ბერძნები სწყდებიან. ჰეკტორი სარგებლობს თავის საშინელ მოწინააღმდეგის ბერძნთა ჯარში არ ყოფნით და იერიშით მიღის მტრას ბანაკზე: ვერც ტელა-მონის შვილმა აიაქსმა, რომლის კოშკის ძხვავსი ფარი შვიდის ხარის ტყავით იყო გადაკრული, ვერც ლვთავებრივშა დიომედოსმა, ვერც ცბიერმა ულისმა და ვერც თვითონ აგამემნონმა, მდიდარ მიკენის მეფემ, ვერ შეაჩერეს ეს ბერძნთა მომსვრელი ლვთის რისხვა. ტროანელები შეცვინდნენ თვით ბანაკში და ეს დღე ცუდად დაუღამდებოდა ბერძნებს, რომ აქილესი თავის აბჯრით გამოწყობილი პატროკლესი არ გამოეგზავნა მათ და საშველად. პატროკლესმა ისახელა თავი, მაგრამ იგი შეიქნა მსხვერპლი პრიამოსის სახელოვან შვილისა. ამ ამბის გაგონებაზედ მეგობრის დაკარგვით გულმოკლული აქილესი საშინლად კვნესის; დედა-მისი ვერცხლ-ფეხებიანი ლვთავებრივი თეტიდა ტყვილა სცდილობს მის ნუგეშს: პასუხად გმირის მწარე ჩივილისა და მრისხანე შურის ძიების სიტყვები გაისმის. აქაც გმირის ცხოვრების სრული მეუფე შეუბრალებელი ბედის-წერაა. „წავიდეთ, ამბობს გმირი, მოესძებნოთ ჰეკტორი, მკვლელი ძვირფასის მეგობრისა. შემდეგ ჩვენც მოვკვდებით, როცა ეს ძევსს და სხვა უკვდავ ლმერთებს ენებებათ. განა მამაცმა ჰერკულესმა, რომელიც ძვირფასი იყო თვით უკვდავთა მეფისათვის, მოიშორა თავიდან ბედის-წერა? არა, პარკამ და ჰერას სიძულილმა აჯობეს მას. მეც ეგრე მომივიდეს, თუ ეგეთია ჩემი ბედი. თუ უნდა დავიღუბო, ბარემც მალე მომელოს ბოლო.

ეხლა ვიფიქროთ მხოლოდ დიდებულ სახელის მოხვევაზედ.  
 ტროანელი ქალნი, დარღანის ტან-წერწეტა ქალიშვილები  
 მზად იყვნენ მოსაწმენდად ცრემლებისა, რომელნიც მალე  
 დაიწყებენ დენას მათ თვალთაგან; მე მათ მალე ავაკვნესებ.  
 გაიგონ, რომ ჩემი მკლავი დიდიხანია დასვენებულია. და შენ,  
 ჩემთ დედავ, ტყვილა ნუ სცდილობ ბრძოლას მომაშორო,  
 ვერ დამიყოლიებ.“ აქილესი, ჰეფსეტოსის მიერ გაკეთებულ  
 იარაღში ჩასმული, მიისწრაფის ომის ველისაკენ; ვინც კი  
 შეხვდება, ყველა გარბის. მხოლოდ ჰეკტორი სცდილობს  
 მის შეჩერებას, მაგრამ აქილესი ჰკლავს მას. იგი შეურაცხ-  
 ყოფს მტრის გვამს და მხოლოდ ღმერთების ბრძანებით უბრუნებს  
 მას მოხუც პრიამს. ამითი თავდება ილიადა. მაგრამ ბერძენთა  
 მგოსნებმა (რაფსოდებმა), რომელნიც სოფლიდან სოფელს  
 დადიოდნენ და ადიდებდნენ სახელოვან გმირების სახელებს,  
 ბევრი საკვირველი ამბები იცოდნენ ამ გმირებზედ. აქილესი,  
 როგორც თვითონვე წინად-იგრძნო, კვდება პარისის ხელით;  
 ომიანობის მეათე წელს ბერძნები, ცბიერ ულისის რჩევით,  
 აკეთებენ ხის დიდ ცხენს, სტოვებენ მას ნაპირზე და თვითონ,  
 ვითომდა თავი დაანებეს ტროას, ნავებში ჩასხდნენ. ლაოკო-  
 ონის რჩევის წინააღმდეგ, ტროანელებს მიჰყავთ ხის ცხენი  
 შიგ ქალაქში. ცხენის მუცელში დამალული მეომრები გამო-  
 დიან ლამე და აღებენ ქალაქის კარებს. ქალაქი მალე აიღეს  
 ბერძნებმა, პრიამოსი და თითქმის ყველა მისი შვილები და-  
 ხოცეს, ჰეკტორის შვილი ასტიანაქსიც მოჰკლეს; გმირის ქვრი-  
 ვი ანდრომახა აქილესის შვილის ნეოპტოლემის (იგივე პი-  
 როსი) მონა გახდა. მარტო ანტენორი და ენეასი გადურჩნენ  
 სიკედილსა და მონობას. ისინი იტალიაში წავიდნენ და იქ და-  
 სახლდნენ, ანტენორი პადუაში და ენეასი ლაციუმში; ენეა-  
 სის ჩამომავლობა ერთ დროს რომის მეფენი შეიქმნენ.

ტროას დანგრევა არ არის უკანასკნელი ეპიზოდი ამ  
 ომიანობისა. ბერძენთა ეპოპეები მოგვითხრობენ სამშობლო-  
 ში მიმავალ გმირების თავ-გადასავალს. ყველაზედ ცნობილია  
 ულისის დაბრუნების ისტორია, რომელიც იმავე ჰომიროსმა

შოგვითხრო თავის „ოდისეაში“. ბევრი განსაცდელი გამოიარა მგზავრობაში ცბიერმა ულისმა, რადგანაც მასაც ღმერთების რისხვა სდევნის. ბოლოს მაინც მშვიდობით ბრუნდება იტაკა-ში. აქ იგი დაჭხოცს ყველა იმათ, რომელნიც მის მეუღლეს სათნო პენელოპას ძალით შერთვას უპირებდნენ. ამითი თავდება ოდისეა. თითეულ გმირს ჰქონდა თავისი თავ-გადასავალი, თავისი ოდისეა, ხშირად ბევრად უფრო დრამატიული და უბედური. ნესტორი, იდომენეოსი და ფილოკტეტესი იტალიაში წავიდნენ. ოილეოსის შვილს აიაქსს მეხი დაეცა; მენელაოსი, ხანგრძლივ ხეტიალის შემდეგ, სახლში დაბრუნდა. მეფეთ-შეფე აგამენონი სახლში მშვიდობით დაბრუნდა, მაგრამ ეგის-თოსმა და აგამენონის ცოლმა კლიტემნესტრამ დაჭკლეს იგი, როგორც ხარი ბაგაში. მისმა შვილმა ორესტოსმა ასაკში მოსვლისათანავე მოჰკვდა სამაგიეროთ ევისთოსი და დედა კლიტემნესტრა, რისთვისაც მას არ ასვენებდნენ შურის მაძიებელი ფურიები, სანამ ათინა არ დაეხმარა და არ დაწყნარა ეს საშინელი ღმერთები. ბოლოს, როგორც იქნა, ღმერთების შურისძიება დაკმაყოფილებულ იქნა.

---



σ 530 V

အမိန့်အသေချွဲ ဖြစ်အပေါ် သာမျှဖြစ်၏။

**სარჩევი:** — 1. პირვენდელ საბერძნეთის მდგომარეობა. — 2. პიმი-  
როსის ღროის მართებლობის ფორმა. — 3. მეფე და მეფის უფლება-  
ნი. — 4. ქურუმი. — 5. თივისუფალი და მონა. — 6. პირვენდელ  
ზე-ჩვეულებათა სიტლანქე და სიმკაცრე. — 8. სასოფლო მეურნეო-  
ბის მნიშვნელობა ამ ხანაში. — 9. ზღვოსნობისა და ვაჭრობის  
მდგომარეობა. — 10. ბერძნეთა პირვენდელი ხელოფნება: პელაზგიუ-  
რი და ციკლოპიური ნაშეფი.

1. ჰირგვანდებელ ბეჭმენთა მდგრადი მარკეობა.—ჰომიროსის წინა დროების ბერძნებს ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ. თვითონ ჰომიროსის ხანის შესახებ ერთი კითხვა ჯერაც გადაუწყვეტელია; სახელდობრ—არ ვიცით რომელ საუკუნეს ვაკუოვნოთ იგი—მე-XI-ს, მე-X-ეს თუ მე-IX-ეს ქრისტეს დაბადებამდე. ამ ხანაში ბერძნებს ჯერ საერთო სახელი არა აქვთ. ჰომიროსის ხესნიებს უმთავრეს თემების სახელებს და როდესაც საზოგადოთ ბერძნებზე ლაპარაკობს, იგი ხმარობს სახელს—„აქეელნი“. სახელწოდება „ჰელინი“ ჯერ კიდევ თესალის ერთის პატარა თემის საკუთრებაა. მიუხედავად ამისა ბერძნულ თემთა შორის არსებობს ერთგვარი ერთობა: ამას ამტკიცებს უმთავრეს მეფეთა კოალიცია ტროანელთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს მეფენი დამოუკიდებელი არიან ერთიერთმანერთისაგან; თუ აგამენონს, ილიადაში, მეტი გავლენა აქვს, ეს აიხსნება მის სიმღიდრით, ვაჟაც უობით და იმ გარემოებით, რომ იგი იყო თვით საქმის დამწყები, ინიციატორი. თვით პოემის სიუჟეტი, აქილესის მრისხანება, იმის დამამტკიცებელია, რომ ბერძნთა შედართ-მთავარნი დამოუკიდებელი იყვნენ აგამენონისაგან:

შეურაცხყოფილი აქილესი თავის ჯარით თავს ანებებს გერმანული ნებს და შორიდან უცქერის ბერძნთა დამარცხებას. ცუდი საქმე მოუვიდოდათ ჩვენ დროის სარდლებს, რომ აქილესისათვის მიბაძვა დაეწყოთ!

**2. კამარასას დროის ბერძნთა მართველობა.** პირვანდელ ხანაში საბერძნეთის მართებლობის ფორმა—მონარქიულია. მეფობა—ღვთაებრივია ჰომილოსის წარმოდგენით. მეფეები ყოველთვის ძევსის მოწაფენი არიან; გარდა ამისა ისინი ხშირად ან თვითონ ძევსის ან სხვა ღმერთების ჩამომავალი არიან: აქილესი ვერცხლის ფეხებიან თეტიდის შვილია, ენეასი—მშევნიერ აფროდიტასი, მაქაონი—ესკულაპისა და სხვა. გარდა ნამდვილ მეფეებისა ბევრი კეთილშობილი (noble) ატარებდა მეფის ტიტულს. პენელოპას ქმრობის მსურველნი, რომელნიც მადიანად შეექცეოდნენ ულისის ღორებს და თხებს, ყველა მეფეები იყვნენ. მეფის უფლება შეზღუდული იყო. კეთილშობილ ოჯახთა მამასახლისები (მეორე ხარისხის მეფეები) ხშირად ეწინააღმდეგებიან მას; ისინი მეფის მრჩეველი არიან და არც ერთი საყურადღებო საქმე არ გადაწყდება მათდა დაუკითხავად და დაუთანხმებლად. ამ თანხმობის შოვნისათვის მეფენი ყოველთვის დიდ ნადიმებს მართავდნენ: საქმე ირჩევა და სწყდება სუფრაზე; მაგრამ სუფრის წინ მსხვერპლი იყო საჭირო ღმერთებისათვის. ძველ საბერძნეთში საკურთხი და ლხინი განუშორებელი მხიარული თანამგზავრები იყვნენ. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მის შესატყობინებლად დანარჩენ ხალხს დაუძახებდნენ მაგრამ ლაპარაკის ნება მხოლოდ უფროსებს, მეფეებს, ჰერონებს, ხალხი სჯაში მონაწილეობას არ იღებდა; იგი ბედავდა მხოლოდ სიამოვნების ან უსიამოვნების გამოხატვას,—თუმცა ხალხშიაც გამოჩენილან ამ ხანაში იმისთვის პირები, რომელნიც არ ეთანხმებიან უფროსების სურვილს და ბედავენ ამ არ-თანხმობის გამოთქმას სახალხო კრებაზედ. ამ გვარია თერსიტესი ილიადაში. მაგრამ ეს ოპოზიციის წარმომადგენელი ჯერ-ჯერობით

მახინჯი რამ არის: იგი ელამიც არის, კოჭლიც, კუზიანიც და მელოტიც. ხალხთა მწყემსი ულისი ჯოხის ცემით აჩუქებს მას და იგი არავის ებრალება, მიუხედავათ მისა, რომ სიმართლეს ამბობს. ჯერ კიდევ ის დროა, როცა ძლიერი ყოველთვის მართალია.

**3. მეფე და მისი უფლებანი.** მეფე გამგეობის თავი და ჯარის უფროსია; ამასთანავე იგი უმაღლესი მოსამართლეა; საქმეების გარჩევა მამასახლისების თანადასწრებით ხდება გაშლილ ჰაერზე. აგორაზედ (მოედანი) თავის-მომბეზრებელი და ენა-ჭარტალა ბრძოც არის და ხშირათ თავის სიმპატია-ანტი ჰატიას აცხადებს. სხვა არა ვიცით რა ამ დროის სამართლის ფორმის შესახებ. გარდა ამისა მეფე თავმჯდომარეობდა მსხვერპლების შეწირვის ცერემონიებს; მაშასადამე მეფე ქურუმიც იყო. სხაფრივ ამ ხანის მეფეები არაფრით არ განირჩეოდნენ უბრალო მომაკვდაბებისაგან; არც განსაკუთრებული ტანისამოსი, არც დიადემა და არც გვირგვინი. ერთად-ერთი ნიშანი მეფობისა იყო ერთგვარი ჯოხი, რომელსაც სკიპტრის ეძახოდნენ. მეფეები სცხოვრებდნენ სოფლად ერთობ უბრალოდ და სრულებით არ უკადრისობდნენ თავიანთ მელორეებთან ბაასს. მათი ეზოები სავსე იყო ნეხვის გროვებით; ყველა თავისუფლად შედის და გამოდის მეფის სასახლეში, მათხოვარიც კი ხშირი სტუმარი იყო იქ, მაგ. ოროსი ულისის სახლში. ღრმა მოხუცებულობაში მეფეები ხშირად ტახტს თავს ანებებდნენ და უთმობდნენ მას ახალგაზდა მემკვიდრეებს: ამ ხანაში ამ „ღმერთის შვილებს“ მანამდე ჰატივს სცემდნენ, სანამ მათ ძალ-ღონე ჰქონდათ. ულისის მამა ლაერტოსი თავს ანებებს მეფობას და სცხოვრობს თავის ბალჩაში; ტანთ მას ძველი დაკერებული ტანისამოსი აცვია, ფეხსაცმელი ტყავისა აქვს, თავზე თხის ტყავის ქუდი ხურავს, და ასე გამოწყობილი საწყლად ბარავს თავის ბალჩას. აი რა ხდებიან ჰომიროსის მეფეები სიბერის დროს!

**4. ქურუმი.** ამ ხანაში თანამდებობის პირი მარტო ქურუმია. პირვანდელი სამლოცველოები—ტაძრებია ან საკურთხევ-

ლები, რომელთაც ირგვლივ ლობე უვლის და რომელნიშნების საკუთრებად ითვლებოდნენ. პომიროსის პოემებში ნახსენებია მხოლოდ ორი ტაძარი-ათინისა ათინაში და აპოლონისა დელფიში. ქურუმები მღვდელ-მსახურებდნენ ტაძრის ეზოში; ამ ეზოს გარეთ იმათ არც საქმე, არც გავლენა არა ჰქონდათ. აგამენონი საშინლად ემუქრება აპოლონის ქურუმს ქრიზესს, რომელიც მოვიდა ბერძენთა ბანაკში თავის ქალის სათხოვნელად; უფრო მოურიდებლად ეპყრობა იგივე აგამენონი თესტორის შვილს კალხასს, შესანიშავ ქურუმს, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ბერძნებს; ამ ქურუმმა იცოდა წარსული, აწმყო და მომავალი და მან მიიყვანა ბერძნები მშვიდობით ილიონის ნაპირზე.

5. თავისუფალი და მონა. გარეშე მეუეებისა, მამასახლი-სებისა და ქურუმებისა, როგორი იყო დანარჩენების სოცია-ლური მდგომარეობა, ნამდვილი არა ვიცით რა. ვიცით მხო-ლოთ, რომ იყვნენ თავისუფალნი და მონები. თავისუფლები გაყოფილი იყვნენ რამდენიმე მუხლად, ბერძნულად-ფილა, და თვითოეული მუხლი რამდენიმე „მმობად“, — ბერძნულად ფრა-ტრია. მონების დმგომარეობა ამ ხანაში არ იყო ისე ცუდი, როგორც შემდეგ. თავისუფალსა და მონას შეა არ უნდა ყოფილიყო დიდი მანძილი, რადგანაც დღეს თავისუფალი ხვალ ადვილად მონად იქცეოდა ომიანობის მიზეზით. ევმეოსი ოდისესში მეფის შვილია, რომელიც ერთ მონას მოეტაცნა და ფინიკიელებისთვის მიეყიდნა. საკვირველია, მონებს ამუ-შავებენ, მაგრამ თვით ბატონებიც არ უკადრისობენ მათთან ერთად მუშაობას. ულისმა თვითონ გაიკეთა თავის საწოლი და მშვენიერი ნაგზიკაა, ფეხაკელ მეფის ალკინოოსის ქალი, თვითონვე რეცხს მდინარეზედ თავის სარეცხს.

6. პერშენთა შარგანდელი დაჯახი. რაც ჩვენ ბერძნებს ვიცნობთ, მათ ყოველთვის ჰქონიათ ოჯახი. ოჯახის წევრებს საერთო წინაპარები ჰყავთ და ამ წინაპრების საერთო კულტი აქვთ. ოჯახის უფროსი მამა; მამა სწირავს წინაპრებს დაწე-სებულ მსხვერპლს „მე ვღვრი სამარხზე, ამბობს იფიგენია

ევრიპიდესის ტრაგედიაში, რძეს, თაფლს და ლვინოს, რაღა-  
 ნაც ამითი ხარობენ გადაცვლილნი“. ოჯახის უფროსი ინა-  
 ხავს კერაზე ცეცხლს, რომელიც არ უნდა ჩაქვრეს. ყოველ  
 ოჯახს თავისი კერა აქვს; კერას ცეცხლი წმინდაა, იგი უწი-  
 ნარესი ღმერთია, რომელსაც თხოვნითა და მადლობით მიმარ-  
 თავდნენ; იგი მონაწილეობას იღებს ოჯახის ჭამა-სმაში; სანამ  
 თვითონ შესჭამდნენ ან შესვამდნენ რასმე, ჯერ ცეცხლში  
 ჩააგდებდნენ ან ჩაასხამდნენ ჰატარა რაშეს. რაღანაც ძველად  
 ჩვეულება იყო გადაცვლილების სახლში დამარხვა, წინაპრე-  
 ბისა და ცეცხლის კულტი შეირია და ბოლოს ერთი და იგივე  
 შეიქნა: ერთის თაყვანისცემა იყო აგრეთვე მეორეს თაყვანის-  
 ცემაც. ოჯახი ქორწინებაზედ იყო დამყარებული; მამა ამო-  
 ურჩევდა საცოლეს თავის შვილს. „თუ ღმერთები სიცოცხლეს  
 შემარჩენენ, ამბობს აქილესი ილიადაში, თუ სამშობლოში  
 მშვიდობით დავბრუნდი, პელეოსი თვითონ ამომირჩევს  
 საცოლოს.“ დანიშნულები ერთმანერთს საჩუქრებს აძლევენ;  
 ქალს შეეძლო ქმრის სიკვდილის შემდეგ მზითვი უკანვე მო-  
 ეთხოვა. აქილესის ფარზე ამოეჭრა ჰეფესტოსს ქორწინე-  
 ბის სცენა: ანთებულ ჭრაქების სინათლეზედ, დაჰყავთ დაქორ-  
 წინებულნი ქალაქში, ხმა-მაღლა მოუწოდებენ ჰიმენეს \*); ახალ-  
 გაზღანი ფერხულში ჩაბმულან; შუაში ფლეიტა და ციტრა  
 უკრავს; თავმოყრილი დედა-კაცები ხარბად შეჰყურებენ ამ  
 სცენას. ქალს ოჯახში ჰატივისცემით ეპყრობიან, მაგრამ მან  
 თავისი ადგილი უნდა იცოდეს. „წადი შენს ოთახში, ეუბნება  
 ტელემაკი თავის დედას პენელოპას, ართე და ქსოვე; დაასაქმე  
 მოსამსახურე ქალები; იარაღი და მაზედ ზრუნვა მამა-კაცის  
 საქმეა, და ყველაზედ უწინ ჩემი, როგორც ამ სასახლის ბა-  
 ტონის“. \*\*) ბავშვების აღზრდა მეტად მარტივია, შესაძნი

\*) ქორწინების ღმერთი.

\*\*) ქმრის სიკვდილის შემდეგ ქვრივი უფროსს შვილის უფლებაში  
 გადადიოდა.

ცოდნა-ერთობ პატარა. სამხედრო ვარჯიშობა, დაკვრა და გამოიყენება.

7. ზექ-ჩეულებათა საიტის და სიმჭაცრე. ზექ-ჩეულები ჯერ კიდევ მუხეშავი და ველურია; მძლავრი ყოველ-თვის მართალია. ომში დამარცხებულებს შეუბრალებლად ულეტენ. გამოყიდვის იმედმა გააჩეროს, შეიძლება, გამარჯვებული და არ მოაკვლევინოს ტყვე. მტრის მოკვლის შემდეგაც არ ცხრება სიმძულვარე და შურის ძიების სურვილი. ჰეკტორი კვდება და ემუდარება თავის მკვლელ აქილესს, მისცეს მისი გვამი მშობლებს. „ძაღლო, შორს ჩემის მუხლებიდან, უპასუხებს გმირს აქილესი. აჲ! რატომ არ მაქვს ძალი და გაბედულება დავგლიჯო და ვსჭამო შენი უმი ხორცი! განა არ იცი, რა მიქენი! არა, ვერაფერი ვერ დაითარავს შენს თავს გაუმაძლარ ძაღლებისაგან. რამდენი სასყიდელიც არ მომიტანონ, თუნდ პრიამოსმა შენი წონა თქრო შემომაძლიოს, მშობელი დედა ვერ დაგიტირებს; შენ შეიქნები ძაღლებისა და ორბების კერძი“. აღამიანის მსხვერპლად ‘შეწირვა ჯერ კიდევ არ გადავარდნილა. აქილესი თორმეტ ახალ-გაზდა ტრიანელს ჰკლავს პატროკლოსის სამარეზე. როცა აქილესი კვდება, ბერძნები სწირავენ მას მსხვერპლად პოლიქსენოსს. ამ ტლანქ პირვანდელ ხალხს ლირსებაც აქვს: იგი მეტად სტუმართ-მოყვარეა; უცხოელი და ღარიბი ყოველთვის იშოვის აქ მასპინძელს.

8. სასოფლო მეურნეობის მნიშვნელობა ამ ხანაში. ამ ხანის ცხოვრება ნამდვილი სოფლურია. სიმდიდრე მიწის სივრცითა და საქონლის რიცხვით იზომება. იდგილის მიხედვით, აშენებენ ხარს, ცხენს, თხას. მენელაოსი, რომელიც გამოცდილი მეურნეა, ბატებს აშენებს. მოჰყავთ პური, ქერი, ღვინო. მოხუც ნესტორს თერთმეტი წლის ღვინო ჰქონდა თავის სარდაფში და როცა მას ტელემაკი ეწვია, უმასპინძლდება მას ამ ძვირფას ღვინით. ხილებში ბერძნები ხმარობდნენ ლელვს, ზეთის ხილს, მსხალს, ბროშეულს, ვაშლს; ზოგი ბოსტნეულობაც იცოდნენ ამ ხანაში, მაგ.—მუხუდო, ხახვი და ცერც-



ვი. მაგრამ ამ დროის ბერძნების საქმელების რიცხვი ერთობ მცირეა: პური, ღვინო და ცეცხლზე შემწვარი ხორცი. მაშინ-დელ ხალხს მაღა დიდი ჰქონდა და ამიტომაც საქმელების სხვა და სხვაობას არ საჭიროებდა.

გარდა ნადიმისა, ბერძნები პოებდნენ სიამოვნებას ნადი-რობაში და უფრო იშვიათად თევზის კერაში.

9. **ზღვასნობასა და ვაჭრობას მდგრადარება:** ზღვაო-სნობა და ვაჭრობა ერთობ განუვითარებელი იყო ამ ხანაში; ზღვით მგზავრობას მოკლე მანძილზე თუ ბედავდნენ. ტროაში წასვლა და იქედან დაბრუნება დიდ რამე საქმედ ითვლება. უფრო მოშორებულ ქვეყნებზე და ზღვებზედ რაღაც ზღაპრუ-ლი წარმოდგენა აქვთ, ისე როგორც ვასკო-დე-გამასა და კო-ლუმბის წინ ატლანტიკის ოკეანზე. ნესტორი რაღაც ბოდვას მოჰყვება, როცა მენელაოსის შორ-მგზავრობაზედ ლაპარაკობს: „იგი დაბრუნდა ისეთ შორეულ ქვეყნიდან, საიდანაც დაბრუ-ნებას უთუოდ არ ჰყიქრობდა, და ისეთის ზღვით, რომელსაც თვით ფრინველიც კი ვერ გადაივლის ერთის წლის განმავ-ლობაში, ისე დიდი და საშიშია იგი“. ჩვენ ვიცით, ფინიკიე-ლების მაგალითით, რომ ამ ხანაში მეკობრეობა ვაჭრობაზე ნაკლებ სარგებლიანი არ ყოფილა მოხერხებულის კაცისათვის და ბერძნები ხომ ერთობ მოხერხებული ხალხი იყო. მეკობ-რეობას ამ დროს ცუდის თვალით როდი უყურებდნენ. აი რას ეუბნება იგივე ნესტორი ტელემაქს და მის თანამხლებ-ლებს: „ვინა ხართ თქვენ, ჩემო სტუმრებო! საიდგან მოდი-ხართ ამ სველის გზით? ვაჭრობისათვის მოგზაურობთ, თუ დადიხართ, როგორც თავდაუზოგველი მეკობრენი, უცხოე-ლებისათვის უბედურების მომტანნი?“

10. **ბერძნთა პირვენდება ხელოვნება; შეღაზგიური და ციველობიური ნაშთები.** საბერძნეთის ნიადაგზე ეხლაც პოულო-ბენ პირვანდელ ხელოვნების რამდენიმე ნაწარმოებს: უზარ-მაზარ შენობებს, რომლების ამშენებლები, შეიძლება, პელაზე-ბი იყვნენ, და ბერძნების აზრით კი ციკლოპები—ზღაპრული არსებანი. უძველესი ამ ნაშთებთაგან არის ეგრედ წოდებული

ციკლოპიური კედელი: იგი აშენებულია უშველებელ განვითარებულ კლდეებისაგან, რომელნიც უკიროდ არიან ერთი-მეორეზედ დაწყობილი, ცარიელი აღგილები ამოვსებულია უფრო პატარა ქვებით. ამისთანა კედლები უფრო ხშირია არგოლიდაში, მაგ. ტირინთში, ჰერკულესის სამშობლო ქალაქში. ტირინთის კედლები აქამდე სრულად შენახულან: სისქე ამ კედლისა რვა მეტრიდან თხუთმეტამდე; ზოგი ქვა ამ კედლისა სიგრძით სამი მეტრია და სიგანით მეტრ ნახევარი. შემდეგ მოდის ეგრედ წოდებული ჰელაზგიური კედელი; ამას მეტი ხელოვნება ეტყობა: მრავალ კუთხიანი დიდრონი ქვები რიგ-რიგად არიან მიმდგარი ერთი-მეორეზე; ამისთანა კედელია მიკენაში, რომლის ციხე, მაღალ კლდეზედ აშენებული, დღემდე სავსებით შენახულა. აქვე არის მესამე ტიპის კედელი — მისი ქვები ოთხ-კუთხიანია.

მიკენაშივე, ხალხთა მწყემსის და მეფეთა-მეფის აგამენონის სატახტო ქალაქში, არის კიდევ ერთი ნაშთი წინა-ისტორიულ დროის ხელოვნებისა; ეს არის მიკენის ციხის კარი—ეგრედ წოდებული „ლომების კარი“. კარის სიმაღლე ხუთ მეტრნახევარია, სიგანე—სამი მეტრი; კარის ნალი უშველებელი ქვაა, რომლის სიგრძე ხუთი მეტრია, ნალზე ორი ყალყზე შემდგარი ლომია გამოქანდაკებული. ეს ქანდაკება ეკუთვნის უფრო ახლო ხანას, ვიდრე ზემოდ აღწერილი კედელი და არის უძველესი ნიმუში ბერძნულ ქანდაკებისა. საუბედუროთ, ლომების თავები, რომელნიც შეიძლება ბრინჯაოსი იყვნენ, არ შენახულან. მთის ძირის ახლო, ოთხასი მეტრის მანძილზე კედლიდან, არის ეგრედ წოდებული „ატრეოსის საუნჯე“; ეს მიწის ქვეშ აშენებული სამარხია; ფორმა მისი — სიმრგვლეა, რომლის დიამეტრი თუთმეტ მეტრს უდრის; სიმაღლე ამ სამარხისა — 14 მეტრია; მარჯვნივ პატარა ოთხ-კუთხი ოთახია, რომელიც კლდეში არის გამოჭრილი. ამ „საუნჯე“ში შესავალი კარი ლომის კარებზე უზარმაზარია. აქედან ცოტა მოშორებით ცნობილმა არქეოლოგმა შლიმანმა აღმოაჩინა 1876-ში მეორე საუნჯე ან სამარხი, საღაც მან

ნახა რამდენიმე საკვირველ სიღიღის ჩონჩხი; ერთი ჩონჩხი კარგათ იყო შენახული: აღვილი გასარჩევი იყო თვალების აღგილი და პირი თავის ოცდა თორმეტის კბილით; სახე და-ფარული ჰქონდა მძიმე ოქროს ნიღაბით. ეს აღმოჩენა მეტად საინტერესოა, თუმცა ძნელი მისაღებია შლიმანის ის აზრი,



ლომის გარი

ვითომც ეს საუნჯე იყოს იგამემნონისა და მის ოჯახის სა-მარხი. აქ ნაპოვნი ნივთები—ოქროს ბალთები, ოქროსავე გვირგვინი და სხვ. აზიურ ხელოვნების ნაშთები უნდა იყვნენ. ჰომიროსის დროებში ყველა ცოტად თუ ბევრად ხელოვნურად გაკეთებული ლითონის ნივთი უცხოეთიღან მოდის. იტალიაში და საბერძნეთში ნაპოვნი ვეცხლისა და ოქროს ნივთები თით-ქმის ყოველთვის ფინიკიელების ნაწარმოებია. რომ ოქრომჭე-დლის ხელობა ბერძნებმა აღმოსავლეთიდან ისწავლეს, ამას

მათი ლეგენდაც ამტკიცებს. ამ ლეგენდით ეს ხელობა აღმარ-  
ჩინეს უსხეულო არსებეპმა—ტელხინებმა, რომელთა სამშო-  
ბლო როდოსია. ატიკაში ნაპოვნი პირვანდელ ხანის ნახატი  
ჭურჭლეულობა კი ბერძენთა ერის ნამდვილი ნაწარმოებია;  
მას არ ეტყობა უცხოეთის გავლენა. სამაგიეროთ ყველა ნახა-  
ტებს ეტყობა, რომ ისინი სრულებით გამოუცდელის ხელის  
ნაკეთებია. უცხოეთის გავლენა ბერძნულ მეჭურჭლეობაში  
თავს იჩენს მე-VIII-ე და VII-ე საუკუნოებში.

### თ ა ვ ი VII-ე.

**ბერძენთა გადასახლება და მათი ახალშენება.**

**სარჩევი:**—1. ბერძენთა ოთხი უმთავრესი მუხლი; დორიელებისა  
და იონიელების ხასიათების სხვა და სხვაობა. 2. თესალიელების და ბერ-  
ძიელების გადმოსახლება. 3. დორიელების გადმოსახლება; პელოპონეზის  
დაპყრობა. 4. ზღვით გადასახლება. ბერძენთა პირვანდელი ახალ-შენები.  
5. ეოლიელების, იონიელების და დორიელების ახალ-შენები თრაკიაში  
და მცირე აზიაში. 6. პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაცია მცირე-  
აზიელ ბერძენთა თემებისა. 7. ბერძენთა, განსაკუთრებით მილეტელთა,  
ახალშენები შავის ზღვის ნაპირებზედ. 8. ბერძნები ეგვიპტეში. 9. ბერძ-  
ნები მაკედონიაში და ხალკიდიკაში 10. ბერძენთა ახალშენები იტალიაში  
და სიკილიაში. 11. ბერძნები კორსიკაზე, სარდინიაზე და გალიისა  
და ესპანიის ნაპირებზედ; 12. ბერძნები აფრიკის ნაპირებზედ. 13. ბერ-  
ძნულ კოლონიზაციის ხასიათი.

**1. ბერძენთა ოთხა უმიკრესი მუხლი; დორიელები და  
იონიელები.** ლეგენდის შემდეგ ისტორია იწყება. ბერძენთა ერი  
იმ თავითვე ოთხ დიდ მუხლად იყოფოდა; პირველი ორი მუხ-  
ლი—ეოლიელნი და აქეელნი —ისტორიულ ხანაში ბევრს არას  
წარმოადგენდნენ, ამათის დიდების დრო გმირული ხანა იყო:  
იაზონი ეოლიელია, აქილესი და აგამენონი—აქეელები არიან.

ამათ შემდეგ ისტორიულ ასპარეზზედ გამოდის ორი დანარჩენი  
მუხლი—დორიელებისა და იონიელიებისა. ეს ორი მუხლი—სა-  
ბერძნების ის ორი ნაწილია, რომელნიც ბერძნთა ისტორიის  
მიმდინარეობაში ერთმანერთის მოპირდაპირე და მოქიშვე  
იყვნენ. დორიელი ყველაზედ უწინ მოუხეშავი და სასტიკი  
მეომარია, რომელიც მუდამ ომზედა ჰყიქრობს. სპარტა დო-  
რიელებისა არის. მარჯვე და მახვილ გონებიანი ათინელი  
ყველაზედ უწინ ვაჭარი და ზღვაოსანია. საბერძნების საუკუ-  
თხეო მწერლები და ხელოვანები იონიელები იყვნენ. ქ. ათინა  
იონიელებისა იყო.

**2. თესლი და ბერძნების გადმოსახლება** და **ბერძნების გადმოსახლება**. სა-  
ბერძნების ისტორიის ისტორიული ხანა იწყება დორიელების  
გადმოსახლებით; ამ გადმოსახლებამ სრულებით შესცვალა სა-  
ბერძნების რუქა და იგი შეიქნა საგრძნობელი თვით მცირე  
აზის კუნძულებისთვისაც. თვითონ ეს გადმოსახლება იყო  
შედეგი იმ არეულობისა, რომელსაც ჩრდილოეთ საბერძნებიში  
ჰქონდა ადგილი. უხსოვრის დროიდან ეპირის მთებში სცხოვ-  
რებდა რამდენიმე ხალხი, რომელნიც მწყემსობას და ხან-დაა  
ხან მიწის-მუშაობასაც მისდევდნენ. ამათში ყველაზედ ძლიერი  
იყვნენ ქაონიელები, თესპროტები და მოლოხები; ამ ხალ-  
ხებს ერთი საერთო სახელიც ერქვათ; ეს სახელი იყო გრეკა  
რომელიც შემდეგ რომაელებმა ბერძნებზედაც გადაიტანეს.  
ამათი უმთავრესი რელიგიური სიწმინდე იყო დოდონის ტა-  
ძარი, სადაც ძევსის საკურთხევლის ირგვლივ დაწყობილი იყო.  
სამფეხები ნიშნად იმისა, რომ პირველად ამ ღმერთმა მოუ-  
ყარა თავი მოსახლეებს და შექმნა ფედერაციის დაგვარი კავ-  
შირი. ერთი ამ თემთაგანი იყო თესალიელებიც; ამათ მოს-  
წყინდათ რკოებით თავის გამოკვება, გადმოლახეს პინდის  
მწვერვალები და ჩამოვიდნენ იარალით ხელში მდ. პენეოსის  
ნაყოფიერ ჭალებში. ეს მწყემსობის მიმდევარი ხალხი იყო,  
ველური, გულის თქმის ამყოლი და ისევ დაუმორჩილებელი,  
როგორც ის ხარები, რომელთა ჭიდილით ის თავს იქცევდა-  
პენეოსის ჭალის მცხოვრებლებმა ეოლიელებმა, რომელთაც

ბეოტიელებს ეძახდნენ (ამათი წინაპარი პოსეიდონის შეკიდულ  
ბეოტოსი უნდა ყოფილიყოს), ველარ გაუძლეს ამ ბარბარო-  
სების შემოსევას; ბევრი მათგანი დაემორჩილა ახალ მოსუ-  
ლებს და შეურიგდა მონაბას. ესენი წილის ყრით იქმნენ გა-  
ნაწილებული გამარჯვებულთა შორის და იძულებული იყვ-  
ნენ დაემუშავნათ თავიანთ ბატონების სასარგებლოდ ის მიწე-  
ბი, რომელთა პატრონები ისინი წინეთ იყვნენ, მოკლებული  
იყვნენ ყოველ პოლიტიკურ უფლებას და აღკრძალული ჰქონ-  
დათ ფეხი დაედგათ იმ აღვილზე, სადაც კეთილშობილი თე-  
სალიელები იკრიბებოდნენ. ამ მონებს სახელად ერქვათ პრე-  
ნესტები. მაგრამ ყველა ბეოტიელი როდი შერიგებია ასე  
ადგილად თავის ბეღს. უფრო ამაყნი და მამაცნი თავს ანებე-  
ბენ სამშობლოს და მშვენიერ ქ. არნეს, რომელიც სტირის და  
გლოვობს, როგორც დაქერივებული ბეოტიელი ქალი, მი-  
დიან სამხრეთისაკენ და ესახლებიან კოპაისის ტბის ნოკიერ  
ადგილებზე, რომლებსაც ამის შემდეგ ბეოტია ეწოდება სახე-  
ლად. აქაური მკვიდრნი, რასაკეირველია, დაიმორჩილეს და  
მონებათ გახადეს, როგორც ეს წესი იყო იმ დროს, მხოლოდ  
ორი ქალაქი დარჩა დაუმორჩილებელი — თესპისი და პლატეა:  
ამ ქალაქების მცხოვრებნი ყოველთვის განირჩეოდნენ დანარ-  
ჩენ ბეოტიელთაგან.

**3. დორიგების გადმოსახსელება და შეღობანების და-  
შერთვა.** ზემოდ ნახსენებ ცვლილებებმა დიდი არეულობა  
მოახდინეს ჩრდილოეთ საბერძნეთში: ბევრი ხალხი შეეხეთქ-  
შემოეხეთქა ერთმანერთს და უმრავლესი მათგანი, ბეოტიელებ-  
სავით, იძულებული შეიქნა ახალი ადგილები და ახალი სამშობ-  
ლო ეძებნა. განსაკუთრებით დიდ-მნიშვნელოვანი იყო დორიე-  
ლების გადასახლება. ეს ხალხი წინედ ოლიმპის კალთებზე  
სცხოვრებდა. აქედან განდევნილი იგი მოემწყვდა ეტასა და  
პარნასს შუა (ამ ადგილს შემდეგშიაც დორიდას ეძახდნენ),  
მაგრამ აქ მას სული ეხუთებოდა სივიწროისაგან და ამიტომ  
მან გასწია სამხრეთისაკენ ჰილოსიანთა მეთაურობით. ეს ჰილო-  
სიელნი იყვნენ ჰერკულესის შვილის ჰილოსის ჩამომავალნი

და როგორც ეგეთნი ემიებდნენ თავიანთ სამკვიდრო პეტრო-პონეზს, რომელიც უსამართლოდ წაართვა პეტრებულესს ევრისთვისმა. სწორედ ამ გარემოების გამო ჰქვია დორიელების გადმოსახლებას „პეტრაკლიდების დაბრუნება“. დორიელების ოთხი გალაშქრება პელოპონეზის წინააღმდეგ უნაყოფოდ ჩაიარა, მხოლოდ მეხუთე გალაშქრების დროს მიაღწიეს მათ თავიანთ მიზანს. დელფის მისანმა შემდეგი პასუხი მისცა პეტრაკლიდებს, როცა ისინი მას დაეკითხნენ: გაიმარჯვებთ, თუ სამთვალა კაცი გეყოლებათ ბელადადო. სად ეშოვათ ბუნებისაგან ეგრე დაჯილდოვებული კაცი? მაგრამ, როგორც ეს ხშირად მომხდარა, მისანი იოლად დააკმაყოფილეს: ეტოლიელი ოქსილოსი ცალთვალა იყო, მაგრამ იგი იჯდა ვირზე, რომელსაც ორი თვალი ჰქონდა, ერთათ ხომ სამი თვალი გამოდის და, რასაკვირველია, მისნის წინასწარმეტყველებაც უნდა ასრულებულიყო. ოქსილოსმა გვერდი აუხვია კორანთის ვიწრო ყელს, რომლის დაცვა აღვილი იყო, და ტივებით გადაიყვანა ჯარი პელოპონეზში. შემდეგში სპარტა დიდი ხნის განმავლობაში დღესასწაულობდა ამ ტივების სამახსოვრო დღეობას. მოსულები მოედვნენ მთელ ნახევარ-კუნძულს. ვერც მიკენა და ვერც ტირინთოსი ვერ დაითარეს მათ უზარმაზარ ციკლოპიურმა კედლებმა. გამარჯვებულებმა დორიელებმა გაინაწილეს პელოპონეზი, კორინთის ყელი და მეგარაც, რომელიც აგრეთვე ვერ გადურჩა დაპყრობას: ოქსილოს ელიდა ერგო, ტემენოს არგოსი, კრესფონთესს—მესენია და არისტოდემის შვილებს—სპარტა. დამარცხებულნი ზოგი გამარჯვებულთა ქვეშევრდომი შეიქნა, როგორც მაგალითად ლაკონიის პეტრეკები, ზოგი მონები, როგორც ჰილოტები, რომელთა საბრალო მდგომარეობა საანდაზო დარჩა. მარტო არკადია დარჩა ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი, მაგრამ რაღვანაც იგი თან და თან ზღვას დააშორეს, მას მნიშვნელობა არა ჰქონია რა.

ძველ ისტორიკოსებს, განსაკუთრებით თუკიდიდესს, სავსებით სარწმუნოდ მიაჩნიათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები. არც ჩვენ გვაქვს საბუთი, ეჭვი შევიტანოთ მათზე,

თუმცა ეს ხანა ნაკლებად ცნობილია. დორიელების გადმოსახლების ამბავი ყოველთვის ახსოვდა პელოპონეზის ტრადიციას. სპარტიატებმა ბოლომდე შეირჩინეს დორიელების ორგანიზაციის ზოგი მხარეები. ტრადიციას ისიც კარგად ახსოვდა, რომ დორიელების შემოსევაში მონაწილეობა ჰქონდათ აქეელებსაც: სპარტას მცფეს კლეომენს უნდოდა მისნისათვის მიემართნა; ათინის ქურუმი ქალი ეუბნება მას:— „შორს აქედან, ლაკედემონელო, აქ შემოსვლა დორიელებს აკრძალული აქვთ. „შენ სცდებით, უპასუხა კლეომენმა, მე დორიელი როდი ვარ, არა მედ აქეელი“. როგორც უნდა იყოს, პელოპონეზი დორიელების თემის სიმაგრე გახდა; იონიელთა ტერიტორიას უერთდებოდა იგი ვიწრო და ძნელად გასავალ ყელით. ამ ორ ტომთა განსხვავება და ანტაგონისმი, რომელსაც საბერძნეთის დამღუპველი ომები მოჰყვა, ძალიან კარგად იყო შემდეგში აღნიშნული ერთის სვეტით, რომელიც ამართული იყო კორინთის ყელის შეა ადგილას. სამხრეთ მხარეზე ეწერა: აქ დორიელები არიან; ჩრდილოეთ მხარეზე: აქ იონიელები არიან.

4. ზღვით გადასახლება, ბერძენთა შირგანდებული ახალ-შენები. ის არეულობა და მოძრაობა, რომელიც შიდა საბერძნეთში მოხდა, საგრძნობელი შეიქმნა ზღვისპირებისა და კუნძულებისათვისაც. ბევრი გადასახლდა ზღვით სხვა ქვეყნებში და გაავრცელა ენა და გავლენა საბერძნეთისა. მაგრამ ეს პირველი როდი იყო ზღვით შორს ქვეყნებში გადასახლება. ქვეყნის მდებარეობა და ზღვის პირების ხასიათი ხელს უწყობდა ბერძენს, რომ იგი ადრე შეჩვეოდა ქაფიან ზღვის; მაგრამ მას დიდ ხანს გამბედაობა აკლდა, რადგანაც გეოგრაფია და ზღვაოსნობა ძალიან ნაკლებად იცოდა. დრომ ეს ცოდნაც მოიტანა და შიში თან-და-თან გაჭრა; ბერძენმა ისწავლა მანძილისა და ნამდვილ საშიშროების დაფასება და ხმელთა შუა ზღვა გაეცნო ჰელადის ცნობის მოყვარე და მახვილ გონიერ შვილს. როგორც ფინიკიელები და კარიელები, ბერძენებიც ერთ და იმავე დროს ვაჭრებიც იყვნენ და მეკობრენიც. ფინიკიელებსავით ბერძნებსაც მალე მოსწყინდათ სავაჭროების

ნაპირებზე გამოფენა და მკვიდრთან საქონლის გაცელა-გაძო-ცვლა. ამიტომაც ადრევე დაარსეს სხვა-და-სხვა აღგილას ფაქ-ტორიები. ფაქტორიების დაარსებიდან ნამდვილ კოლონიზა-ცუიამდე დიდი მანძილი არ არის. საუბედუროდ ბერძენთა ამ ხანის ვაჭრობაზე დანამდვილებით ჩვენ არა ვიცით-რა; მე-XII საუკუნიდან და დორიელების გადმოსახლებიდან კი ჩვენი ცნო-ბები უფრო ნამდვილია. შემოსევებისაგან შევიწროებული ნა-პირების მცხოვრებნი იძულებული იყვნენ ზღვისთვის მიე-მართნათ. საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაპირიდან ემიგრანტების ნავები გაემართნენ აზისაკენ, რომელიც წინა დროებში თვი-თონ უგზავნიდა დასავლეთს ახალშენლებს.

**5. ეთნიკურთა, იუნივერსალური და მცირე გზიაში.** ახალშენლები შესდგე-ბოდნენ სამის ჯგუფისაგან; პირველები იყვნენ ეოლიელები, რომელნიც ბეოტიის ავლიდიდან წავიდნენ ორესტისა და მის შვილების მეთაურობით; ამათი გზა იყო თრაკიის ზღვა; პროპონ-ტიდა კიზიკის ნახევარ კუნძულით, ტროადა და კოტა უფრო სამხრეთით, ლესბოსი ეოლიელებმა დაისაკუთრეს. მცირე აზიის მთელ ჩრდილოეთის ნ: წილს ლამფსაკითა და კიმეთი ეოლიდა ერქვა. შემდეგ დაიძრენ იონიელები ატიკიდან და არგოლიდიდან და დაიპყრეს ქიოსი, სამოსი, ეფესი, მილეტი; მცირე აზიის ნაპირები მდ. ჰერმოსიდან მეანდრამდე იონია იყო. ამ ქვეყნების დაპყრობა უომრად არ მომხდარა; მაგალითად, ეფესში არ-ტემიდის ქურუმები 22 წლის განმავლობაში ეწინააღმდეგე-ბოდნენ ახალ მოსულებს. იონიელების გამარჯვებას აქ არა შე-უცელია-რა; წინანდელი მცხოვრებნიც ხომ ბერძნები იყვნენ და ახალ მოსულები ადვილად შეერივნენ მათ. აქეთა მხრის კოლონიზაციას ის მოჰყვა შედეგად, რომ მცირე აზია უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა საბერძნეთს, განსაკუთრებით ათინას, რომელიც იონიის მეტროპოლია იყო. უველაზე გვიან დორიე-ლები გადმოსახლდნენ; ამათ დაიპყრეს კიკლადების სამხრეთი ნაწილი, მელოსი, რომლის მცხოვრებლები უმტკიცებდნენ შემდეგში ათინელებს, რომ ისინი სპარტიატები იყვნენ, თესა

და უველა კუნძულები კოსამდე, როდოსი და მის ახლო მდებარე ნაპირები, სადაც ჰალიკარნასი იყო უმთავრესი ქალაქი. უველაზე ძნელი იყო დორიელებისათვის კრეტის დაპყრობა, მაგრამ ბოლოს მანც მთელი კუნძული ჩაიგდეს გელში.

6. მცირე აზის ბერძენთა თემების (cité-polis) პლა-  
ტიგრიდ და სასტატუნებრივი ფრგანიზაცია. მცირე აზის  
ბერძენთა თემები არ იყვნენ განკერძოვებული ერთმანეთისა-  
გან. შეკავშირების საფუძველი ჩამომავლობა და საერთო კულ-  
ტი იყო. მაგრამ აქაც ვპოვებთ იმ შურიანობასა და განკერ-  
ძოებულებას, რომელიც შეადგენს მთელ საბერძნეთის ისტო-  
რიის ცუდ მხარეს. ეოლიდაში იყო თორმეტი თემთა კავშირი,  
იონიაშიაც კავშირი შესდგებოდა ამდენივე თემისაგან და დო-  
რიდაში ექვსი თემის ფედერაცია იყო. იონიელა ფედერაციამ  
ააშენა მიკალეში ტაძრი—პანიონიონი; მაგრამ პოსეიდონის  
დღეობას, რომელსაც აქ დღესასწაულობდნენ, ვერ დაესწრე-  
ბოდა ვერც ერთი კავშირის გარეშე მყოფი იონიელი. ასევე  
იქცეოდა დორიელთა ფედერაციაც: კნიდოსში აშენებულ აპო-  
ლონის ტაძარში არ უშვებდნენ დორიელსაც კი, თუ იგი ფე-  
დერაციის არ ეკუთვნოდა. ეს შური ბერძნისა ბერძნისადმი  
ყოველთვის უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ გავიგოთ, თუ რად  
მოანდომეს ბერძნებმა გონების და მკლავის ამდენი ძალა სრუ-  
ლებით უნაყოფო ომებს. ეგვევ შური ხსნის განსაკუთრებით  
იმ გარემოებას, თუ რად დაპკარგეს მცირე აზის ბერძნებმა  
ეგრე ადვილად დამოუკიდებლობა.

7. ბერძნების, განსაკუთრებათ მიღეცულების, სასამენების  
და არსება შევიზღვის ნაპარებზე.—აქამდე ბერძნები არ გასცი-  
ლებიან არხიპელაგს—თავის შინაგან ზღვას. მაგრამ ზღვაოსნო-  
ბის განვითარებამ და ვაჭრობის საჭიროებამ მაღლ იძულო ისი-  
ნი გასცილებოდნენ სველ საზღვრებს. ამ მოძრაობის სათავეში  
მცირე აზის იონიელები იდგნენ. ეოლიელები არ დაძრულან  
თავიანთ ადგილებიდან. იონიელთა ახალ-შენები—ფოკეა და  
მილეტი, უძველესი ახალშენები მცირე-აზის ნაპირზე; ეს ოთხ-  
კარებიანი კოსმოპოლიტური ქალაქი განთქმული იყო წმინდა



შალეულობისა და ხალიჩების ფაბრიკებით და მცხოვრებლების  
შეზღვეურობით. რამდენად შეჩვეული იყვნენ მიღეტლები  
ზღვაზე ცხოვრებას, ეს იმ გარემოებიდან სხანს, რომ ერთი  
აქაური კორპორაცია (ამხანაგობა) პოლიტიკურ კრებებსაც კი  
გემებზე მართავდა. მე-VIII საუკუნეში მიღეტლებმა შავის  
ზღვის ნაპირები გახადეს ბერძნულ კულტურის მონაწილედ.  
მაგრამ სანამ ამ ნაპირებს მიატანდნენ, მათვის საჭირო იყო  
ეტაპები (შესაჩერებელი აღგილი); ამიტომაც ჯერ ჰელესპონტ-  
ზე აბიდოსი დაიკავეს, შემდეგ კიზიკი და ვიწრო ბოსფორის  
გავლის შემდეგ მიადგნენ შავის ზღვის ბნელსა და დიდს წყალს.  
აქაური არც ჰავა, არც ნაპირების მოხაზულობა, არც თვით  
ზღვა და არც კა საბერძნეთისას არ ჰგავდა, მაგრამ სამაგიე-  
როდ, რა სიმდიდრე არ ნახეს აქ ბერძნის ვაჭრებმა! აუარებე-  
ლი თევზი, მუგენიერი პური, სხვა-და-სხვა ტყავი, წებო, თაფ-  
ლი, კანაფი, მინები და ოქროს მაღანი. ამ სიმდიდრემ გამოი-  
წეობა მრავალ კოლონიების დაარსება ზღვის ნაპირებზე: ჯერ  
სინოპი, რომლის მეტროპოლია მიღეტი იყო; ეს ქალაქი იყო  
უკანასკნელი პუნკტი ნინევიიდან მომავალ სავაჭრო გზისა  
და ამიტომაც მოკლე ხანში ის იმდენად განვითარდა, რომ  
კიდევ მერვე საუკუნეში დაარსა თავისი საკუთარი კოლონია  
ტრაპეზონტი, კოლხიდის მაღანეულობის გზაზე. მიღეტლებმა  
ჩრდილოეთ ნაპირებზე გაშენეს კოლონიები უპირატესად დიდ  
მდინარეების შესართავთან. მეშვიდე საუკუნეში მიატანეს  
ტავრიდის (ყირიმი) ნაპირებსაც, რომლებსაც ეგრე უფრთხო-  
დნენ მეზღვეურები ბრაგებისა (რიფებისა) და მკვიდრთა ვე-  
ლურობის მიზეზით. აქ გაშენდა ფეოდოსია და პანტიკაპეა  
(ებლანდელი კერჩი), შემდეგ მეოტიდის ტბის (აზოვის ზღვა)  
ნაპირზე—ტანაისი, მდინარე ტანაისის (დონის) შესართავში.  
ამ მხარეზე მცხოვრებ ბოგანო სკითებს, რომელნიც ცხენი-  
დან თითქმის არ ჩამოდიოდნენ, დიდი წინააღმდეგობა არ გა-  
უწევიათ ბერძნებისათვის; ბერძნების კულტურამ ცოტა გავ-  
ლენაც კი იქონია მათზე; ერთი ამათ მთავართაგანი ანახარზისი  
ათინაში მოვიდა სოლონის დროს. შავის ზღვის აღმოსავლეთ